Тбилисская грузиноведческая школа, со своей стороны, в новых условиях развивает, углубляет и расширяет лучшие традиции Петербургской (Петроградской) школы грузиноведения. Ее достижения огромны, однако здесь не место о них распространяться⁴⁷.

Остановимся только очень кратко на наших контактах и связях с учреждениями Всесоюзной Академии Наук.

Мы с искренней благодарностью должны отметить, что в 1922/1923 годах по указанию Советского правительства Российская Академия Наук великодушно вернула Грузии свыше 300 драгоценных грузинских рукописей из Ленинградских и Московских собраний.

У нас установились прекрасные, дружеские, деловые отношения с соответствующими учреждениями Академии Наук (реорганизованной в 1925 г. во Всесоюзную Академию Наук) — с Отделением литературы и языка АН СССР, с Институтом мировой литературы им. Горького и с Институтом востоковедения. Вместе с этими институтами проводим научные сессии, конференции, совещания, симпозиумы, дискуссии. Так, например, вместе с Институтом им. Горького в Тбилиси в 1962 году провели научную сессию, посвященную творчеству молодого Горького, в мае 1970 г. в Тбилиси была созвана всесоюзная научная конференция по актуальным проблемам иранской филологии, а в 1967 г. — всесоюзная конференция на тему: «Литература народов Востока». Всесоюзные научные конференции были посвящены проблемам археографии и изучения древних рукописей (в 1959 г. в Ереване, в 1962 г. в Тбилиси), текстологии и описанию рукописей (Ташкент, 1960 г.), рукописной и научной книге (Москва, 1973 г.). Институт рукописей им. К. С. Кекелидзе АН СССР совместно с археографической комиссией при отделении Истории АН СССР участвует в составлении «Сводного каталога» рукописей, хранящихся в СССР, предпринятого по инициативе акад. М. Н. Тихомирова. Цель «Сводного каталога» — выявление, учет и введение в научный оборот рукописного наследия и обеспечение сохранности этого наследия. В настоящее время уже завершен учет грузинских рукописей IX—XV веков в Грузии и закончено составление их краткого описания на русском языке.

В 1972 г. в ноябре месяце в Тбилиси состоялась Всесоюзная научная конференция, посвященная теоретическим вопросам фольклора. Мы принимали активное участие в разных научных сессиях и конференциях по вопросам литературных взаимосвязей и реализма, которые проводились в Москве, Тбилиси, Ереване. Институт мировой литературы им. Горького совместно с литературными институтами Армении и Грузии, провел в Москве, в октябре 1963 г. научную сессию, посвященную Саят-Нове.

Огромное внимание уделяли академические органы АН СССР юбилейным датам Шота Руставели: 750-летию со дня написания «Визы в барсовой шкуре» и 800-летию со дня рождения Руставели. По-

⁴⁷ Об этом кратко говорится в нашей статье «Литературоведение в Советской Грузии» (Литературная Грузия, 1971, № 5, стр. 9—13).

мимо совместных научных сессий, проведенных в Москве и Ленинграде, были опубликованы важные научные сборники с участием крупных русских ученых. Так, в Ленинграде, в 1938 г. под редакцией и с введением акад. И. Орбели Государственный Эрмитаж издал специальный сборник «Памятники эпохи Руставели» (406 стр.). 3-й номер Известий Академии Наук, серии «Литературы и языка», за 1938 г. целиком посвящен Шота Руставели; здесь помещены интересные статьи видных советских ученых академиком А. Ф. Шишмарева и В. В. Струве, члена-корреспондента П. Н. Беркова, а также текст вступительной речи президента Академии акад. В. Я. Комарова на торжественном заседании АН СССР, посвященном 750-летию поэмы «Витязь в барсовой шкуре» (16.1.38 г., в Колонном Зале Дома союзов)⁴⁸. В 1937 году под редакцией и со вступительной статьей акад. И. Орбели в Ленинграде вышло первое издание русского перевода поэмы Руставели, выполненное поэтом П. Петренко. В том же году в Москве был напечатан сборник «Шота Руставели и его время», среди авторов сборника академик Н. К. Лушюл («Образы и идеи Шота Руставели»). На торжествах по случаю 800-летия со дня рождения Руставели в Тбилиси приехала большая делегация Академии Наук, в состав которой входили академики Н. И. Конрад и В. М. Жирмунский. Выступления этих ученых на торжественном юбилейном заседании АН СССР опубликованы в печати⁴⁹. На объединенной научной сессии Института им. Горького и Института им. Руставели, посвященной восьмисотлетию Руставели (в Москве, 21.X.66 г.), весьма содержательный доклад сделал профессор Р. Самариш на тему «Значение Руставели в мировой литературе». Текст этого доклада в переработанном виде опубликован на русском и грузинском языках⁵⁰. Статьи действительных членов грузинской Академии А. Г. Шанидзе и А. Г. Барамидзе напечатаны в «Вестнике Академии Наук СССР» (1961, № 8; 1966, № 9).

Особо хочу отметить замечательный доклад проф. И. Г. Неупокоевой «Николоз Бараташвили и европейская поэзия» (на сессии Института им. Руставели в Тбилиси в 1968 г.)⁵¹.

Совместно с Институтом мировой литературы им. Горького, Институтом грузинской литературы им. Руставели подготовлена и в будущем году выйдет из печати «История грузинской советской литературы» (50 и. л.). Институт истории грузинской литературы участвует в подготовке 6-томной истории многонациональной советской литературы и 10-томной истории всемирной литературы (Головной Институт — Институт мировой литературы). В сотрудничестве с институтами востоковедения АН СССР, АН СССР и АН Тадж. ССР тбилискими иранистами М. А. Тодуа и А. А. Гвахария, под общим руководством акад.

⁴⁸ Статья акад. Шишмарева «Шота Руставели» (несколько параллелей и аналогий) в том же 1938 г. была опубликована на грузинском и французском языках в «Известиях» Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра (III, стр. 229—250, 251—274). Она вошла также в сборник избранных статей В. Ф. Шишмарева (М., 1972, стр. 336—356).

⁴⁹ Мачне (Вестник), 5, 1935, стр. 203—207, 208—209; Выступление акад. Конрада под заголовком «Витязь в тигровой шкуре и вопрос о ренессансном романтизме» включено в его книгу «Запад и Восток», М., 1972, стр. 265—272.

⁵⁰ Литературная Грузия, 1967, № 3, «Минатоби», 1967, № 5.

⁵¹ Текст доклада опубликован в сборнике «Литературные взаимосвязи» (2, Тб., 1968) и в «Литературной Грузии» (1957, № 1); см. также книгу И. Г. Неупокоевой «Революционно-романтическая поэма», М., 1971, стр. 291—307.

Г. В. Церетели подготовлен научно-критический текст известной поэмы Гургани «Вис-о-Рамин», который был издан в Тегеране в 1970 г. научным центром Ирапа.

Наконец, мы с большой благодарностью отмечаем, что в 50-ю годовщину образования великого Союза Советских Социалистических Республик общее собрание Отделения литературы и языка Академии Наук СССР заслушало, обсудило и одобрило деятельность научного литературоведческого центра грузинской республики, Института истории грузинской литературы им. Руставели.

Это наше краткое изложение, думается, в какой-то степени достаточно ясно показывает, какую огромную роль сыграла Российская Академия Наук в развитии грузинского литературоведения. Мы справедливо часто цитируем следующие слова вождя национально-освободительного движения Грузии XIX века И. Г. Чавчавадзе: «Русская литература, безусловно, оказала большое руководящее влияние на путь нашего развития, оказала большое воздействие на все то, что составляет нашу духовную силу, наше сознание, нашу мысль. Она наложила свой отпечаток на наши чувства и направление в целом. Нет среди нас сегодня ни одного деятеля на поприще литературы или общественной жизни, не испытавшего на себе воздействия русской литературы. И не удивительно: русская школа — наука открыла нам врата просвещения и русская же литература питала и направляла нашу мысль на путь движения».

К этим замечательным словам нашего великого поэта и мыслителя не могу не добавить слова профессора Петербургского и Тбилисского университетов А. А. Цагарели: «Забота о культурных потребностях грузинского народа, всегда готового принести и свою лепту в пользу просвещения и образования, конечно, составит и впредь честь и славу России в глазах всего цивилизованного мира и признательного потомства»⁵².

⁵² Сведения, III, 1894, стр. III.

მირიან აბულაძე

ერთი ფსიქოლოგიური დეტალის შესახებ მიხეილ
ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“

ლიტერატურათმცოდნეობა, კერძოდ ლიტერატურის ისტორიკოსები, თავიანთი კვლევითი მუშაობის პროცესში ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდნენ მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის მიმართ. ეს არ არის გამოწვეული მკვლევარის უბრალო ცნობისმოყვარეობით, ანდა შემოქმედის სულიერ სამყაროში თუ მის სამწერლო მეურნეობაში უხეში ხელის ფათურის სურვილით, არამედ — იმ გასაღების ძიებით, რომელიც მისცემდა ამ მკვლევარს საშუალებას მწერლის მხატვრულ ქმნილებათა უკეთესი ახსნისა და ინტერპრეტაციისთვის. მისი ანალიზისა და ზოგადი დასკვნების გამოსატანად.

ჩვენ ამ შრომაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მიხეილ ჯავახიშვილის ისტორიული რომანის „არსენა მარაბდელის“ ერთ ფსიქოლოგიურ დეტალზე. რომელსაც თავისთავად შეიძლება დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს ამ ნაწარმოების მხატვრულ იდეური ანალიზისთვის, მაგრამ ავტორის სამწერლო ხელოვნების დახასიათებისთვის, კერძოდ ამ რომანის შექმნის ისტორიისათვის, ძლიერ დამახასიათებელ და ტიპურ მომენტადაც კი გვეჩვენება. იგი მ. ჯავახიშვილს გვიხასიათებს არა მარტო როგორც უნიკიერეს ბელეტრისტსა და მახვილი მხატვრული ალღოს მქონე ლიტერატორს, არამედ სამწერლო შრომის დიდი კულტურის მქონე შემოქმედადაც.

„არსენა მარაბდელის“ ის ეპიზოდი, რომელზედაც ჩვენ გვინდა შევჩერდეთ, მ. ჯავახიშვილის მაღალ პროფესიულ წრთობასა და მკითხველი საზოგადოებისადმი ხალას მხატვრულ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, რაც ყველა იმ მასალისა თუ წყაროების დაუცხრომელ ძიებაში გამოიხატება, რომლებიც მას საერთოდ ამა თუ იმ თემის დასამუშავებლად სჭირდებოდა. ეს შეეხება, კერძოდ, სევასტი ლაცაბიძისა და სიმონა ცხოვრებაბის სიკვდილით დასჯის სცენას ამ რომანში, რომელიც ასე ობტატურად და მხატვრული სინამდვილის დაცვით აქვს აღწერილი ავტორს.

საერთოდ, ადამიანის სიკვდილით დასჯის მხატვრული წარმოსახვა საკმაოდ რთულსა და ძნელ მხატვრულ ამოცანას წარმოადგენს მწერლისთვის. ამ სირთულეს ბევრი მომენტი განაპირობებს, რომელთაგან მწერლოს მიერ ყველაზე ძნელად დასაძლევად მიგვაჩნია თვითონ ნაწარმოების პერსონაჟის — სიკვდილმისჯილი პირის დასჯის მომენტში სულიერი განცდების მხატვრული რეალიზაცია. ეს კი მწერლისგან დიდ ტალანტთან ერთად მოითხოვს უებარ მხატვრულ ტაქტსა და ალღოსაც, რათა არ დაირღვეს ამ ეპიზოდის დამაჭერებლობა და, რაც მთავარია, მთელი ნაწარმოების მხატვრული სიმართლე, მწერლისთვის შემოქმედებით პროცესში ამ თავისებურ ბეწვის ხილზე გაელას ძირითადად

ისიც აინელებს, რომ ცხოვრებაში სიკვდილმისიჯილი კაცის ურთულესი სულიერი განცდები პირადად შემოქმედისთვის უცნობია, მას არ განუცდია სასიკვდილოდ გამზადებული კაცის ჭოჯობითი ვნებათა ლელვანი. მსოფლიო მწერლობის ისტორიამ ორად ორი შემოქმედი იცის, რომლებიც სიკვდილმისიჯილების საკანში იყვნენ, ანდა ეშაფოტზე იდგნენ და შემდგომ ამისა ცხოვრებას დაუბრუნდნენ ისევ. ესენია: თეოდორე დოსტოევსკი და ცნობილი ფრანგი პოეტი ფრანსუა ვიიონი. ჩვენ მხედველობაში არა გვყავს ის პირები, რომლებიც ბედნიერი შემთხვევის გამო ასცდნენ სიკვდილით დასჯას და შემდეგში მეტ-ნაკლებად საინტერესო მემუარები თუ დღიურები დაგვიტოვეს: მაგალითად, ზოგიერთი შლისელბურგის ციხის ტუსალი, რომელთაც სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით ჰქონდათ შეცვლილი და სხვ.

ხელაღწების სხვადასხვა დარგს (ფერწერას, ქანდაკებას, თეატრს, მხატვრულ კინემატოგრაფიასა და სხვ.) არაერთხელ მიუძღრათავს ადამიანის სიკვდილით დასჯის თემისთვის და მისი მხატვრული წარმოსახვის დროს ხშირად დიდ მხატვრულ-ენციკლოპედიურ დამაჩერებლობისთვის მიუღწევია.

იმ სიძნელეების გამო, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერლები ხშირად გაურბოდნენ ადამიანის სიკვდილით დასჯის სცენის აღწერას თავიანთ ნაწარმოებებში. თვით ისეთი დიდი მწერალი, როგორიც სტენდალია, რომელიც პერსონაჟთა ხატვის დროს ადამიანის სულიერი ცხოვრების უფაქიზესი ენციკლოპედიური ნიუანსირების უბადლო ოსტატად ითვლება, ისიც კი თავს არიდებდა ამას. რადგან, ემჩნევა, არ უნდოდა თვალეზაზეუღს ევლო იმ ლაბირინთებში, რასაც ადამიანის სულიერი სამყარო წარმოადგენს სიკვდილით დასჯის პროცესში. სხვა მომენტებთან ერთად ესეც იყო მიზეზი, რომ „წითელი და შავის“ მთავარი პერსონაჟის ვიჟლენ სორელის გილიოტინირება რომანში ერთგვარად ფარდის უკან ჰდებდა. მიუხედავად იმისა, რომ „იტალიური ქრონიკების“ ავტორმა თავის ერთ-ერთ ნოველაში ოსტატურად დაგვიჩაბა უმშვენიერესი ქალის — ბეატრიჩე ჩენჩის დახრჩობის ამაზრზენი სცენა. უფრო რთულ ეპიკურ ტილოში, როგორცაა ზემოთ დასახელებული ნაწარმოები, როგორც ვხედავთ, თავი შეიკავა. ამ მხრივ, მსოფლიოს არაერთმა გამოჩენილმა მწერალმა მიბაძა სტენდალს ნაწარმოების სიუჟეტის შენების დროს.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში სხვადასხვა ერის მწერლებმა სცადეს ადამიანის სიკვდილით დასჯის პროცესის მხატვრული წარმოსახვა თავიანთ ნაწარმოებში. ეს ცალკეული ეპიზოდები მხატვრული თვალსაზრისით, სხვა ღირსებებთან ერთად, იმდენად არიან საინტერესონი, რამდენადაც თავიანთ თავში ატარებენ სათანადო იდეურ დატვირთვას და გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით, მრავალფეროვნებასთან ერთად, ავტორის მკვეთრ შემოქმედებით ინდივიდუალობას ააშკარავენ. ამიტომ, რომ ეს თემა სხვადასხვა მწერალთან განსხვავებული მხატვრულ-სტილისტური ხერხებითაა გაშლილი. აღნიშნული მომენტი მტკიცე კავშირშია ავტორის იდეურ პოზიციასთან და, ამდენად, მის შემოქმედებით მეთოდთანაც.

რომანტიკული ელფერთაა შეფერილი სიკვდილმისიჯილი ადამიანის განცდები შატობრიანის მოთხრობაში „ატალა“, სადაც, ამერიკელი ინდიელი ტომების ჩვეულების მიხედვით, სიკვდილგადაწყვეტილს შეუძლია დასტკბეს ამქვეყნიური სიამოვნებით, „უკანასკნელი სიყვარულის ქალწულთან“ (რო-

გორკ ადგილობრივი მკვიდრნი უწოდებდნენ)განცხრომითაც კი, ვიდრე მას სიკოცხლეს გამოასალმებდნენ. დიდი პოეტური გზნებითაა აღწერილი ელუარდ ბაგრიკის მიერ პოემაში „ფიქრები ათანასეზე“ კომისარ იოსებ კოჯანის დასურეტის სცენა. რომელიც მთელ ამ ნაწარმოებს რევოლუციური რომანტიკის პათოსით მსკვალავს.

ერთი და იგივე მწერალი ადამიანის სიკვდილით დასჯის სცენას თავისი შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულ მხატვრულ-სტილისტურ სურათებში წარმოებისადაც. ერთად ისევე უაილდი ამ თემის დამუშავებ-ტრავად „სალღმეშო“ იოჰანანის სიკვდილით დასჯას თუ რელიგიუ-ფსატიზმისა და ეროტიკულ-მისტიკური ტემპის ფონზე წარმოგვისახავს. ექვტორი უფრო მოგვიანებულ. პირადი სულიერი ტრავმისა და სინამდვი-ლისადმი ასლებური დამოკიდებულების გამო, პოეტურ ნაწარმოებში „რი-ლი“ ციხის ბაღად“ თავისი გმირის აღსასრულს რომანტიკული ფერებით ეფრთხავს.

ამ თემის დამუშავების დროს ყველაზე მეტ მხატვრულ სიძლიერეს მიიღ-ვს რეალისტმა მწერლებმა და ამათთანვე აღნიშნული ეპიზოდების აღწერის დროს ბოლონდეს ერთგული ღარნივე მხატვრული სინამდვილისადმი თავიანთ ნაწარმოებებში. ბავალითისთვის გავიხსენოთ ლევ ტოლსტოის „ომი და მშვი-დობა“ და მიხედავ მოლოხოვის „წყნარი დონი“. ლევ ტოლსტოიმ ამ ეპოპეაში ეუფლებრივი უშუალობითა და მწერლისთვის ცნებად მისაღწევი სისადა-გით დაჯიხისათა ხანძარში გახეველი მოსკოვის ფონზე ფრანგი ჭარისკაცების მიერ ეგრეთ წოდებული გალაქისთვის ცეცხლისწამკიდებლების, ფაქტიურად უღამაშაფლო ხაღხის დახერტა. ამ ეპიზოდის აღწერის დროს ლევ ტოლს-ტოიში გაერთიანდა გენიალური მხატვარი-ფსიქოლოგი უდიდეს ჰუმანისტთან პირ ბესნუაოვის თვალთ დაგვიანება მთელი ეს ამბარზენი სანახაობა, სა-დაც მველიდებოც და მათი მსხვერპლნიც ერთნაირად ცახცახებენ სიკვდილის წიშაში, პირველნი თავიანთი უცენურებისა და სიღენძის, ხოლო მეორენი — მწარაწუნებელი ძალადობის შეგნების გამო.

თითქმის ისეთივე მხატვრული სიძლიერით, ოღონდ უფრო ფართო პლა-ნით აღწერა ისევე მოლოხოვმა თავის „წყნარ დონში“ პოეტულყოვისა და კრავოშოკოვის ბოლშევიკთა ჭკუფის სიკვდილით დასჯა დონელი თეთრი კახაყების მიერ. ავტორმა ამ ეპიზოდში გამოამეღავენა ადამიანის სულში ჩაღრ-მ ეებას უდიდესი უნარი და ბრწყინვალე რეალისტური მხატვრული ფერებით დაჯიხისათა მებრძოლი რევოლუციონერის — დონელი კახაყის პოეტულყოვის სახე. რომელიც თავისი გაუტეხავი ბუნებისა და რწმენის წყალობით თვით სიკვდილს ამარცხებს ეშაფოტზე შემდგარი.

ღირიზნითა და რევოლუციური პათოსით გამოირჩევა კონსტანტინე პაუს-ტავსკის მოთხრობა „შავი ზღვის“ ერთ-ერთი თავი — „მამაცობა“, სადაც აღ-წერილია ოჩაკოვოსთან შავი ზღვის უდაბურ კუნძულზე — ბერეზანზე რეაქ-ციონერ და მონარქისტ მიხეილ სტაერაკის ხელმძღვანელობით ლეიტენანტ შმიდტისა და მის თანამებრძოლ რევოლუციონერ მატროსების დახერტის სცენა.

თავის დროს დიდი გამოძახილი პოვა მკითხველ საზოგადოებაში ლეონიდ ანდრეევის მოთხრობამ „მოთხრობა შვიდ ჩამოზრჩობილზე“, რომელიც პირ-ველად დაიბეჭდა აღმანახ „შიპონიკში“ 1908 წელს და ავტორმა იგი მი-

უძღვნა ლევ ტოლსტოის. ამ მოთხრობაში აღწერილია შვიდი სიკვდილმისჯილი ადამიანის სულიერი მდგომარეობა და მათი სიკვდილით დასჯის პროცესი. ეს თხზულება ძლიერ პოპულარული გახდა, ითარგმნა მრავალ ენაზე, მაგრამ, მიუხედავად ასეთი წარმატებისა, კრიტიკაში და მკითხველებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ძლიერ უარყოფითად შეხვდა ამ ნაწარმოებს გორკი; ე. ვოროვსკიმ ავტორს მიუთითა ამ მოთხრობაში გადაქარბებულ მხატვრულ სტილიზაციაზე¹. ძლიერ ბევრი შენიშვნა გამოთქვა ლევ ტოლსტოიმაც², ვისადმიც ეს მოთხრობა იყო მიძღვნილი. მაგალითად, ცნობილია მისი გამოთქმა ამ ნაწარმოების გამო: „მას (ლ. ანდრეევს. — მ. ა.) ჩემი შეშინება უნდა. მე კი მინი არ შეშინია“.

ყველა ეს შენიშვნა, ძალიან ბევრი პრინციპული ხასიათისა, ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ლეონიდ ანდრეევი აღნიშნული თემის დამუშავების დროს ძირითადად დაეყრდნო თავის თანატოლსა, მხატვრულმა გამონაცემმა წაშალა სიკვდილმისჯილ ადამიანთა რეალურად შესაძლებელი განცდების საზღვრები, დაიარსა პროპორცია და მკითხველთა თვალში ამ ნაწარმოებმა დაეარება მხატვრული დამაჯერებლობა. რაც ხელოვნების ნიმუშის შექმნის დროს ავტორის მიერ მხატვრული სიმართლისადმი დალატს უდრის. ჭარბმა და, ამდენად, გაუმართლებელმა ფსიქოლოგიურმა წიადსვლებმა ამ მოთხრობას ფსიქოპათოლოგიური ელფერის დაღი დაასვა.

ლეონიდ ანდრეევის ამ მოთხრობაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მასთან შეიპირისპირებით უფრო რელიეფურად გამოეკვეთათ მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში“ სევასტი ლაცაბიძისა და სიმონა ცხოვრება-ბის სიკვდილით დასჯის სცენის მხატვრული წარმოსახვის რეალისტური ხერხები.

აღნიშნული რომანის ერთ-ერთი თავიდან ვიციტ, რომ სევასტი ლაცაბიძემ და სიმონა ცხოვრებადემ სხვა თავიანთ თანამზრახველებთან ერთად შურისძიების მიზნით ამოწყვიტეს ქვიშაღის ბატონის — თავად სუმბათაშვილის ოჯახი. ეს მებატონე ცნობილი იყო თავისი სისასტიკითა და არაადამიანური დამოკიდებულებით ყმა გლეხების მიმართ. ლაცაბიძემ და მისმა ამხანაგებმა არ დაინდეს ქალები და ბავშვებიც კი და ტყეში მიიბაღნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სევასტი და სიმონა შეიპყრეს და სოფელ ხარაგოულში ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. ახლა ორივე ხელ-ფეხშეშებული სახრჩობელის წინ იდგა და სიკვდილით დასჯას ელოდა. მიხელო ჯავახიშვილი ასე აღწერს ამ სცენას თავის რომანში: „სევასტის თავის მიჩლუნგებულა ეშვები მოთელილ წეარ-ელეაშზე დაეწყო, გულგრილად ათვლიერებდა ხალხს და ნიადაგ სდუმდა. სიმონა თავიჩაქინდრული იდგა და დროგამოშვებით ნაწყენი ბავშვივით ექნესოდა.“

— ენა, სევასტი! ენა მომაშორე, შე კაი კაცო!

ლაცაბიძემ ფეხებთან დაეარდნილი პურის ნაჭერი დაინახა, სწრაფად წაიჩოქა, კბილებით დასწვდა. ისევე წამოდგა და გააფთრებით დაღრღნა, მას ძალიან ხშირად ჰშიებია, მაგრამ ასეთ მწვეავე შიმშილს პირველად ჰგრძნობ-

¹ М. Горький, Собр. соч., т. 24, гл. 63.

² В. Воробский, Лит.-критические статьи, 1956, гл. 305.

А. Грузинский, Яснополянская библиотека, კრებულა «Толстовский ежегодник-1912, гл. 142.

და. გაუგებარი იყო: ლაკობიძემ წინა საღამოს პირთამდე გაივსო სტომაქი, ახლა კი ხუთ პურს და ერთ ბატკანსაც მოინელღებდა“⁴.

შემდეგ ავტორი აგრძელებს ამ ორი ადამიანის სიკვდილით დასჯის სცენის რეალისტურ აღწერას.

მ. ჭავჭავაძის მიერ წარმოსახული ეს ეპიზოდი ხასიათდება სიკვდილისკენ ადამიანში, სხვადასხვა სულიერი განცდისა და სიცოცხლისადმი სწრაფვის ინსტიქტის გარდა, ფიზიოლოგიური ხასიათის მოთხოვნების გაჩენითაც. კერძოდ შიმშილის გრძნობით, რაც მათ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის უფრო ბუნებრივია, რომ ჩაწმობილი ყოფილიყო. ყველაფერი ეს, ერთი შეხედვით, მკითხველს გაუგებრობასა და გაოცებას იწვევს და ალბათ ზოგჯერ ჰკონია, რომ მწერალს მხატვრული ალღო დაღატობს და მხატვრული სიმატლის მხრივ სცოდავს კიდევ. ასეთ წარმოდგენას ისიც აძლიერებს, რომ ეს მომენტი ადამიანური მდგომარეობისა სიკვდილით დასჯის პროცესში უპრეცედენტოა მსოფლიო ლიტერატურაში და ანალოგიურ შემთხვევას ვერც ერთი მწერლის ნაწარმოებში ვერ შევხვდებით. მართლაცდა საოცარია თითქოს, რომ სიკვდილმისტილი ადამიანი სახარბობელის წინ იდგეს. დაწმუნებულია, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამოკიდებენ. და ის კი, სიცოცხლისადმი სწრაფვის მაგიერ, არაადამიანურ შიმშილის გრძნობას განიცდიდეს და ერთ ლუქმა პურზე ოცნებობდეს. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური კაზუსი რომ მ. ჭავჭავაძის მხატვრული თანატაზის ნაყოფი არ არის და რომ არც ნაწარმოების მხატვრული სიმატლია დარღვეული, ამაში რეალური სინამდვილიდან მომდინარე ფაქტობრივი მასალა გვარწმუნებს.

ჯერ ერთი, იმის დასასაბუთებლად, რომ სიკვდილმისტილი ადამიანს სიკვდილით დასჯის პროცესში შეუილია, თუნდაც შეგნებულად. ფსიქოლოგიურად გადაერთოს ისეთ სულიერ მდგომარეობაში, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს მოსალოდნელი სიკვდილის შეგრძნებას და იმ მომენტში მასზე ფიქრს, ამის მაგალითი გვაქვს დოსტოვესკის ცხოვრებიდან.

ცნობილია, რომ დოსტოვესკის პეტრამევესკის პოლიტიკური გზუფის საქმეზე პირველად, სხვებთან ერთად, დახვრეტა მიუთაჯეს, ხოლო იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დახვრეტა შეუცვალა ყველას სხვადასხვა ვადით კატორღაში გაგზავნით. ოღონდ ეს შეწყალება, რომელიც უფრო საღისტურ აქტს ჰგავდა, ვიდრე შეწყალებას. მისივე მითითებით, მსჯავრდებულთათვის დახვრეტის ხელოვნური ინსცენირების დროს უნდა გამოეცხადებინათ. შემდეგში გენიალური მწერალი არაერთხელ იგონებდა, რომ „სიკვდილით დასჯის“ მომენტში იგი სიკვდილზე კი არ ფიქრობდა, არამედ რომელიღაც ჭერ კიდევ დაუწერელი მოთხრობის სიუჟეტს უყვებოდა თავის გვერდით მდგომ ამხანაგს. ეს რეალური ფაქტი დოსტოვესკის ბიოგრაფიიდან გამოიყენა მწერალმა მიხეულის ნიკიტინმა თავისი დოკუმენტური ხასიათის მოთხრობის „აქ ცხოვრობდა დოსტოვესკი“ ერთ-ერთ თავში⁵.

ეს ერთი ზოგადი ფაქტობრივი საბუთია, რომელიც ჭავჭავაძის რომანში აღწერილი ეპიზოდის მხატვრული სინამდვილის მტკიცების დროს მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური მომენტის ანალოგიისთვის გამოგვადგება. უფრო უცილობელი რეალური წყაროც მოიპოვება, რომელთანაც, ჩვენი ღრმა

⁴ მ. ჭავჭავაძის მიერ, რჩეული თხზულებანი, 1961, ტ. IV, გვ. 499.

⁵ М. Никитин, Здесь жил Достоевский, М., 1956, гв. 16.

რწმენით, სევასტის სულიერი მდგომარეობა და, ამდენად, „არსენა მარაბდელის“ აღნიშნული დეტალიც პირდაპირ კავშირშია.

მ. ჭავჭავაძელმა ამ ისტორიულ რომანზე მუშაობა დაიწყო 1925 წელს. ამის შესახებ იგი თვითონვე წერდა თავის სტატიაში — «როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი“»: „დაეწვდი, და ერთი წლის შემდეგ (1926) „არსენა მარაბდელის“ პირველი თავი დავბეჭდე „მნათობში“. დავბეჭდე და მაშინვე შევწყვიტე. იმიტომ შევწყვიტე, რომ მოგროვებული მასალა საკმარისი არ აღმოჩნდა. საერთოდ ჩვენი ისტორია ჯერ სისტემატურად არ არის დალაგებული. ხოლო მე-19 საუკუნის ისტორია სულაც არ დაწერილა, ამიტომ იძულებული გავხდი. მე თვითონვე შემესრულებინა ჩემთვის ეს უმაღლური შრომა. ესწავლობდი კავკასიის იმდროინდელ ისტორიას, ადმინისტრაციულ წყობილებას, ბატონყმობას, ეთნოგრაფიას, ხალხურ პოეზიას, ლექსიკას, გრამატიკას. ეკონომიკას, ისტორიულ გეოგრაფიას, იმ ეპოქის საერთო სტილს და ამგვარ მსხვილმანსა და წვრილმანსაც. რომანისტს ათასი რამე სჭირდება, და მეც მჭირდება ზოგიერთი ბოტანიკური, ბიოლოგიური, ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი ცნობების მოგროვება. ამისათვის საჭირო იყო მრავალი დაბეჭდილი მასალის წაკითხვის გარდა მუზეუმებისა და ხელნაწერების გაჩხრეკა, ზოგიერთ სოფელში მისვლა, კორესპონდენტების შოვნა და ზეპირ გადმოცემათა მოგროვება. ამ საქმეს კიდევ ოთხიოდე წელიწადს მოუწიდა და ბოლოს 1929 წელს საქმაოზე მეტი მასალა დამიგროვდა და რომანის წერაც განვახლე.

საკმაო მასალა მკვიდრი საძიკველია იმ მწერლისთვის, ვინც თავის რომანს ან მოთხრობას უმთავრესად ფაქტებზე აშენებს, ხოლო „საკმაოზე მეტი“ იმიტომ სჭობს საკმარისს, რომ მის მფლობელს გამოუღუეველი არჩევანი ექნება. მარტო აგურით და ფიციით სასახლე ვერ აშენდება. ამ მხრივ მე უხვად ვიყავი დატვირთული და არა ვნანობ იმის გამო, რომ მრავალი ზედმეტი მასალა დამრჩა გამოუყენებელი და მის მოგროვებაზე უამრავი ზედმეტი დრო და ენერჯია დამეხარჯა. მაგალითად, რუსეთიდან ჩამოტანილი 28 ხელნაწერი ტომი 1832 წლის შეთქმულების შესახებ ყველაზე ადრე მე წავიკითხე (ამის გარდა ჩვენს არქივშიც ინახებოდა 8—9 ტომი). მაგრამ თითქმის ვერაფერი ვერ გამოვიყენე, და რაც გამოვიყენე, ის ადრეც ვიციდი⁶.

აქედან ჩანს. თუ ოთხი წლის განმავლობაში რა უდიდესი მოსამზადებელი მუშაობა გასწია მ. ჭავჭავაძელმა ამ რომანის დასაწერად. იგი ამავე წერილშივე წერს: „ტიპების უმრავლესობა სინამდვილიდან ამოვიღე: შაალი პორჩალოელი თავადი ივანე მელიქიშვილია. მისი მხარეული იმერელი სანდრო — სევასტი ღაცაბიძგე... ჩემს რომანში ზოგი ისტორიული პიროვნება ჩაერთო და ზოგიც მოღონილი. ისტორიულია თვითონ არსენა, მარინე, მეშთა, სემონა, როსტომი, სევასტი, ღამბაშიძე... სავსებით ისტორიულია იმდროინდელი ომი. ასალციხის აღება, შეთქმულება, სოციალური არე. სუჰბათაშვილების ამოკლვა. მკვლელობის მონაწილეთა აღსასრული...“⁷. როგორც ვხედავთ, რომანზე ნუშაობის დროს მ. ჭავჭავაძელი ძლიერ დიდ ანგარიშს უწევდა შესაფერ ისტორიულ რეალებს. ფაქტებს, პიროვნებებს: პერსონაჟების შესაქმნელად სათანადო ცოცხალ მოდელებს არჩევდა და, რა გასაკვირია, რომ ამ პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების შექმნაშიც, მათი ფსიქოლოგიური დახა-

⁶ მ. ჭავჭავაძის დიქციონერი, რეველ ოსბელუჟანა, 1964, ტ. VI, 374.

⁷ იქვე.

სიათების დროს, როგორც ქვეშაირიტი რეალისტი მწერალი, ზოგჯერ უპირატესობას რეალურ სინამდვილეში შენიშნულ მომენტებს ანიჭებდა, რომელთა ექვივალენტური ღირებულებისანი არიან ამა თუ იმ მემუარულ ლიტერატურაში თუ დღიურებში გაფანტული ცნობები, რომელთაც დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ მწერლისთვის.

ერთ-ერთ ასეთ წერილობით წყაროდ მიგვაჩნია ეურნალი „ქართული მწერლობის“ 1929 წლის № 2-ში დაბეჭდილი დღიური, რომელიც ქუთაისის ციხის მღვდელს ლავრენტი დევიძეს უწარმოებია 1903 წლიდან 1917 წლამდე აღნიშნული დღიურის პუბლიკაცია ეკუთვნის მწერალ დავით სულიაშვილს და მოკლე შესავალ წერილში — „დღიური სახარაბელაზე“ იგი შემდეგს წერს: „დღიური დაწერილია უბის წიგნაკში, ხან კარანდაშით, ხან მელნით. ზოგჯერ ორი ფრაზა, ზოგჯერ მთელი ამბავი. მაგრამ ამბავი, რომელსაც მწერლები ტომებს ანდომებენ და მაინც სინამდვილეს ვერ აღწევენ.“

1907 წ. და შემდეგი წლები, საშინელი რეაქციის ხანა ნიკოლოზის რეჟიმისა, — აღნიშნულია პოლიტიკურებზე შურისძიებით, სახარაბელებით და დახვრეტებით. სწორედ ეს ხანაა გადმოცემული ლ. დევიძის დღიურში.

ციხის ღვდელი ლ. დევიძე ამ ამბებს გადმოგვცემს ისე, როგორც სინამდვილეში ხდებოდა; უბრალოდ და შეუფერადებლად.

ღირსებაც ამ დღიურისა იმაშია, რომ იგი დაწერილია უშუალოდ ნახულის და გაგონილის შემდეგ, დაწერილია არა სხვების წასაკითხად, არა დასაბეჭდად, არამედ პირადი სურვილის დასაკმაყოფილებლად. ლ. დევიძე სრულიად არ მოელოდა, თუ მისი ნაწერი ოდესმე დაიბეჭდებოდა, და ამიტომ მის ნაწერს ისტორიული დოკუმენტის ფასი ეძლევა. შეიძლება მეტიც ითქვას — იქნებ ეს დღიური მსოფლიო ლიტერატურაში უნიკუმშიც იყოს...

ჩვენ მრავალი დღიურები, მემუარები, მოგონებანი, წაგვიკითხავს, სადაც ცხოვრების სხვადასხვა მომენტებია გაშუქებული, მაგრამ არსად შეგვხვდრია დღიურები სახარაბელაზე, დახვრეტაზე, იმ მომენტზე სიკვდილის წინ რომ განიცდის ადამიანი, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვით დახვრეტილი ამას ვერ დაგვიტოვებდა, დამსწრენი კი ცოტა ყოფილან და ლავრენტი დევიძის დღიურიც შესანიშნავია ასეთი გამონაკლისით და ამ დღიურსაც ამიტომ დიდი ფასი ედება. და კიდევ იმიტომ, რომ იქ მრავალი ადგილებია გაფანტული, საიდანაც მწერლებს შეუძლიათ ისარგებლონ და ამბავი მხატვრულად გადმოგვცენ⁸.

როგორც ვხედავთ, დღიური ფრიად საინტერესო მასალებს შეიცავს და განსაკუთრებით ძვირფასია სინამდვილის ობიექტური გადმოცემით, ვინაიდან, როგორც თვითონ დავით სულიაშვილი აღნიშნავს: „... იგი (დღიური. — მ. ა.) დაწერილია უშუალოდ ნახულის და გაგონილის შემდეგ. დაწერილია არა სხვების წასაკითხად, არა დასაბეჭდად, არამედ პირადი სურვილის დასაკმაყოფილებლად“.

დღიურის ავტორს, როცა იგი ქუთაისის ციხის მღვდლად მსახურობდა, 1908 წლის 10 ივლისის თარიღით აღწერილი აქვს ორი სიკვდილმისჯილი პატიმრის, ყოფილი ტერორისტების. დახვრეტა. როცა მან, როგორც ეკლესიის მსახურმა, სიკვდილის წინ პატიმრებს აღსარება ათქმევინა და ზიარების მიღებაც შესთავაზა, ერთ-ერთმა პატიმარმა, კერძოდ ბოკორიშვილმა, უარი თქვა

⁸ ეურნალი „ქართული მწერლობა“, 1929, № 2, გვ. 159—160.

ზიარების მიღებაზე. აი, რას წერს ამის შესახებ მღვდელი დევიძე ამ დღიურში: „აღსარება სთქვეს, ზიარება არ მიიღეს, რადგან ბოკორიშვილმა სთქვა: — მაშაო, სრულიად მოუშაღებელი ვარ... მე ღვთისა მეშინია... თვითონ ღვდლის შვილი ვარ და ეს ზიარება ჩემთვის, უღირსისათვის ცეცხლია დამწვევლი, ხოლო გთხოვთ ცოტა ღვინო დამალევინეთ...“. მეც პატარა საღვინე შენით ორი თუ სამ-სამი ჰქია დაეალევინე. ბოკორიშვილმა მომთხოვა, — იქნებ პური ან სეფისკვერის ნატეხი გაქვთო, მე ვუთხარი არა მაქვს-მეთქი და მაშინ სთქვა: „ — რომ იცოდე, ერთი ლუკმა პური მთელი სიცოცხლის ფასიაო. და აწი მაშაო. ვისაც ჩემსავით დასჯიან და შენ დაესწრები, იცოდე, ღვინოსთან პურიც იქონიეთო“⁹.

ამ დღიურში გამოყვანილი სიკვდილმისჯილი პატიმრის შიმშილის გრძნობა სიკვდილით დასჯის მომენტში, რაც ასე უჩვეულოდ გვეჩვენებოდა „არსენა მარაბდელის“ ზემომოყვანილ ეპიზოდში, ზუსტად ემთხვევა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სევასტი ლაცაბიძის მსგავს მოთხოვნილებას და ამ ლიტერატურული პერსონაჟის ზემოაღნიშნული ვითომცდა ფსიქოლოგიური გახუთი. — შიმშილის გრძნობა, — სწორი არ არის. როგორც ამ დღიურიდან ვრწმუნდებით, ობიექტურ სინამდვილეში ადამიანის ასეთი მდგომარეობა შესაძლებელი ყოფილა. ეს კი მ. ჭავჭავიძის რომანში მოცემული ამ ეპიზოდის უპირველ მხატვრულ სიმართლეზე მეტყველებს და რეალურადაც დამაჯერებელია.

ინტერესს მოკლებული არ არის ის მომენტი, რომ ბოკორიშვილმა სოციალური ბრძოლის ნიადაგზე ამოხოცა წერეთლების ოჯახი. რაც დღიურში ასეა გადმოცემული: „მე (ბოკორიშვილი. — მ. ა.) ტერორისტი ვიყავი სოციალ-დემოკრატიის პარტიისა — ვის სიკვდილსაც დამეალებდნენ უთუოდ უნდა მომეყვანა სისრულეში... ყველაზე უფრო მაწუხებს მე წერეთლის ოჯახის ამოწყვეტა, რამდენი გვემუდარენ ნუ ამოგვხოცათო და მე კი არ შევიწყნარე — მის შემდეგ სამი წელიწადია და ყოველ დამეს მესიზმრებიან ის მკვდრები — ენას მიყოფენ და მაშინებენ — ო! როდის მოკვდები, რომ მოვისვენო...“¹⁰.

ბოკორიშვილის ამ აღსარების ერთგვარ ლიტერატურულ პარალელბად გვევლინება სოციალური ბრძოლის ნიადაგზე სევასტის, სიმონასა და სხვათა მიერ სუმბათაშვილების ოჯახის გაყვლიტა. ისინიც ასევე ეხვეწებოდნენ — ნუ დაგვხოცათო. ხოლო სიმონა ცხოვრებაძეს სულ თვალწინ უდგას და სიკვდილამდე მოსვენებას არ აძლევს მის მიერ მოკლული სუმბათაშვილის ვაჟის ენა. ყველაღვრი ეს ერთად აღებული გვაძლევს იმის უფლებას, რომ დავასკვნათ შემდეგი: მ. ჭავჭავიძელი თავის ისტორიულ რომან „არსენა მარაბდელზე“ ნუსხობის დროს, სხვა მასალებსა და წყაროებთან ერთად, სარგებლობდა 1929 წელს ეჭრნალ „ქართულ მწერლობის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებული ქუთაისის ციხის ყოფილი მღვდლის — ლავრენტი დევიძის დღიურითაც, რომელიც დასწრად მას ამ რომანში გამოყვანილი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — სევასტი ლაცაბიძის მხატვრული ხასიათის ფსიქოლოგიური დეტალიზაციისათვის.

⁹ იქნებ ასე „ქართული მწერლობა“, 1929, № 2, გვ.

¹⁰ იქნებ გვ. 163.

უ ლ ის ო ა ბ რ ა ლ ი ე ვ ი ლ ი

ს ა ტ ი რ ა დ ა ი უ მ ო რ ი ნ ი კ ო ლ ო რ ტ კ ი ფ ა ნ ი ძ ი ს შ ე მ ო ქ ე ე ლ ე ბ ა შ ი *

(„რუმბი“ და „ფოდალები“)

კომიუტრობის შექმნის მთავარ წყაროდ „რუმბში“ მისი სატირულად გააზრებული შინაარსი გვევლინება. შესაფერის მასალას ასეთი შინაარსისათვის მწერალი ცხოვრების წილიდან იღებს და მას ისეთნაირად ამუშავებს, რომ მკითხველი, რაც შეიძლება უფრო მეტად დაარწმუნოს თავისი ნათქვამის სიმართლეში. ამდაგვარი შთაბეჭდილების შექმნას მწერალი აღწევს პირველ რიგში რეალისტური წერის მანერით და ნაწარმოებში ისეთი დეტალების შეტანით, რომლებიც მეტ დამაჯერებლობას აძლევს მის მონათხრობს. ასეთ დეტალებად შეიძლება მივიჩნიოთ ქუთაისის „მწკანე ბაზრისა“ და ხონის დასახლება. პერსონაჟთა საშოკებელი ასპარეზის დაკონკრეტება მკითხველს უთუოდ დამაჯერებლობის გრძნობას უცხოველებს.

„რუმბში“ დაკონკრეტებულია ლიტერატურულ გმირთა არა მარტო სადაურობა, არამედ, განსხვავებით ზემოთ დასახელებულ ლირიკულ ნოველათა მოქმედი პირებისა. მათი სახელი და გვარი, სოციალური წარმოშობა, პროფესია თუ თანამდებობა. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მწერალი იმდაგვარად გვიხატავს თავის პერსონაჟებს, რომ ისინი სრულად ხორცშესხმულ ადამიანებად გვევლინებიან, ისეთ ადამიანებად, რომლებიც თითქოსდა საღდაც და ოდესღაც გენახავს.

„რუმბის“ მთავარი პირები (მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში თავადი არჩილ მინერიძე და აზნაური ფილიპე თამლაძე, რადგან ფაქტიურად მხოლოდ ეს ორი პირია ნოველაში აქტიური, დანარჩენ პერსონაჟებს ვეცნობით ან ფილიპეს გადმოცემით, ან არადა ავტორის რემაკებით) ლაპარაკობენ სრულიად ჩვეულებრივი, სასაუბრო ენით, ზუსტად იმ მანერითა და ლექსიკით, როგორაც მეტყველებენ იმერეთის მკვიდრნი. მათ სიტყვა-პასუხში ზომიერად დაცული იმერული დიალექტა, იმერული ოხუნჯობა თუ ენამოსწრებულობა ცოცხალ, რეალურ არსებებად წარმოგვიდგენენ ამ ლიტერატურულ გმირებს.

თვით ავტორის ენაც სრულიად უბრალოა და სადა, როგორც თავისი ლექსიკით. ასევე სინტაქსური წყობით, თავისუფალი იმ საგანგებოდ მოხმობილი პათუზებისა, ინტონაციური მახვილებისა, შინაგანი რიტმულობისა და გახშირებული ქვეტექსტებისაგან. რაც ესოდენ დამასახათებელია ნ. ლორთქიფანიძის ლირიკული თხზულებებისათვის. აქ ყველაფერს სისადავის ბეჭედი აზის. მწერლის შემოქმედებითი პოზიცია აშკარაა: ის საგანგებოდ ცდი-

* დასარწმუნო. დასაწყისი იხ. ჟურნალი „მაცნე“ ენისა და ლიტერატურის სპეციალური, 1974, N 1.

ლობს, რაც შეიძლება, ბუნებრივად წარმოადგინოს როგორც ნოველის პერსონაჟები, ასევე ის ამბავი, რომელიც მათ გადახდათ თავს.

აი, თუნდაც, როგორ გამოიყურება ტექსტის მესამე ნაწილში დიალოგი ფილიპესა და არჩილს შორის ავტორის რემაკებიტურთ:

„ხუთი თვე გავიდა, ზამთარი იყო. ქალაქიდან ბრუნდებოდა ფილიპე. არჩილის კიშკარზე უნდა ჩამოველო. არჩილმა თვალი მოკრა აივნიდან მიმავალს ფილიპეს და დაუძახა:

— მობრძანდი, ხილი იხილე. ჩრდილი იჩრდილე, ბუხარზე გათბი და მერე წაბრძანდით.

ფილიპემ ცოტა გაიპატიჟა თავი, მაგრამ უარ-უარობით ჩამოვიდა ეზოში, ჩამოსტა, ჭორი ბიას მიაბა და სახლში შევიდა... მიესალმენ.

არჩილმა გადასძახა ბიჭს:

— აბა, ერთი პატარა საღუნე მოგვიტანე, ღვინო ჩამოასხი. ახლა ქე იქნე-დამდგარი.

— მართლა, არჩილ, რას შვრება, კაცო, ჩვენი რუმბი?

— იცოცხლე, სახარბიელო გამოვიდა!

— აბა, არჩილ, ეს ხუთი თვე შენ გაქ და ახლა მე წავიღებ.

— თხოვებით რატომ არ გათხოვებ, მარა შენ ისე მელაპარაკები, თითქოს რამე მემართოს შენი...

— ხომ არ ხუმრობ, შე კაცო, რუმბი შენიც არის და ჩემიც.

— ბიჭოს! მაზანდარელი თათარი გოჭის თავს შედავებოდაო, სწორედ ამას ქვია!

— საგოჭისთავო არაფერი დამიშავებია, კნიაზო! — წყენით უპასუხა ფილიპემ, — საქონელი თუ სანახევროდ ვიყიდეთ, ტყავიც სანახევრო უნდა იყოს.

— სად იყავი, შე დალოცვილო, ორი თვე გითვალე, გამაცალე ამყრალბული ტყავი-მეთქი, მარა ვერ დავანძრია კაცმა.

— აყროლებული იყო თუ არა, ეს არ ვიცი, მარა სვავივით რომ დაეცი იმ ტყავს, ამას ქე ვუყურებ, — მკვახელ შეაწყვეტინა ლაპარაკი ფილიპემ.

— ასე იცი, შე საწყალო, ერთი კაპიკისათვის საფლავში ჩაყვეები კაცს. გინდოდა მეხარჯა, მეყეუებიინა და შენ კი გესარგებლა, მარა ვერ მოგართევს პატრიჯანი.

— გმადლობ პატივისცემისათვის. გასალანძლავად ჩამომიპატიე? კაი მასპინძელი შენ ყოფილხარ, კაი მიეცა შენს ცოლსა და შვილს. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— ჩემი ცოლ-შვილი რა სახსენებელია?! და შენისთანა სტუმარი კი ღწერთმა შემირცხვინა! — შიახალა არჩილმა ფილიპეს, რომელიც ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა ჭორისკენ...

— დაგიჯენ ფასად. არჩილ, ჩემს გალანძლვას, თუ კაცი ვყოფილვარ!

— ხახვი არ ჩამაკრა კისერში, ანდა რუმბი არ წამართვა! — ხარხარით მიაძახა არჩილმა ფილიპეს, რომელიც ბურღლუნ-ბურღლუნით გადიოდა ეზოდან.

ისიც საგულსხმობა, რომ ნ. ლორთქიფანიძე არც სიუჟეტის შერჩევაში და არც პერსონაჟთა დახატვისას არ მიმართავს ჰიპერბოლიზაციის, ფანტასტიკურობისა თუ გროტესკის ხერხს. რასაც ხშირად იყენებენ მწერლები იუმორის-

ტული და განსაკუთრებით კი სატირული ხასიათის ნაწარმოებების შექმნისას. ყოველ შემთხვევაში, ამ ნოველაში წარმოდგენილი დავა რუმბის გარშემო ისეთი დამაჯერებლობითა და ისე ბუნებრივად აქვს მწერალს დახატული, რომ პკითხელისათვის აქ არაფერი ჩანს საგანგებოდ გამოგონილი ან თუნდაც ზედმეტად გადაჭარბებული.

გადაჭარბების შთაბეჭდილებას არ ტოვებს თვით ფილიპე თამლაძის სასეც კი, რომლისათვისაც მწერალი არ იშურებს მუქ საღებავებს: იგი ამ მოქმედ პირს მიაწერს ათასგვარ მანკიერ თვისებას, აბუჩად იკვებებს მთლიანად მის პიროვნებას, დამამკირებელ და კომიკურ სიტუაციებში წარმოადგენს მას და ამდაგვარად ფილიპეს სახით ნამდვილ სატირულ გმირს ხატავს. საზოგადოდ. „რუმბის“ მოქმედ პირთა შორის თავისი კოლორიტულობით ყველაზე უფრო მეტად აზნაური ფილიპე თამლაძე გამოირჩევა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ მისი სახით შეიძინა კიდევ ერთი დაუეიწყარი კომიკური პერსონაჟი, რომელიც თავისუფლად შეიძლება ამოუღდეს გვერდში დავით კლდიაშვილის მიერ ოსტატურად დახატულ იმერელ აზნაურებს. მაგარა ნ. ლორთქიფანიძის ფილიპე გარკვევით განსხვავდება დ. კლდიაშვილის გმირებისაგან. უარყოფით თვისებათაგან ერთადერთი კუდაბზიოება და ამპარტყანობაა, რომელიც არ ახასიათებს ფილიპეს, მაშინ, როდესაც დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა ბუნებისათვის სწორედ ეს თვისებაა განმსაზღვრელი. გარდა ამისა, კლდიაშვილის გმირები უმეტესად თავიანთი ეკონომიური სიდუხჭირის გამო ვარდებიან კომიკურ სიტუაციებში, სიღარიბემ და უკულო ამპარტყანობამ აქცია ისინი კომიკურ პერსონაჟებად, ნ. ლორთქიფანიძის ფილიპე კი საქმოდ შეძლებული აზნაურია, ეკონომიური სიღარიბე როდი უბიძგებდა მას ასეთი აყალმაყალი აეტეხა ერთი საცოდური რუმბის ჯამო. ფილიპეს სამარცხვინო საქციელი მხოლოდ და მხოლოდ მისი პიროვნული არსის გამოვლენა და ამიტომაცაა იგი სატირული გმირი.

აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავებით დ. კლდიაშვილისაგან, ნ. ლორთქიფანიძე ამ ნაწარმოებში არ არის დაინტერესებული თავის პერსონაჟთა წოდებრივი წარმოშობით. მის მიზანს არ შეადგენს, ხაზი გაუსვას მაინცდამაინც აზნაურობა კომიკურობას და მათ მანკიერ მხარეებს. მართალია, ნოველის სხვა მოქმედ პირთა შორის აზნაური ფილიპე ყველაზე უფრო კომიკურად გამოიყურება და ავტორის მათრახებიც მის მიმართ უფროა მიმართული. მაგრამ ასევე კრიტიკული თვლით უყურებს იგი ამავე ნოველაში სხვა წოდებისა თუ სოციალური წრის წარმომადგენლებსაც თავადი არჩილ მინერიძე, ყოფილი სამხედრო პირი — ივანე სანდამაშვილი, სასამართლოს მოხელე — გიორგი ვაშლობაშვილი, სონის მოხამართლე და დამცველები — ყველა ესენი უარყოფით პირებად ჰყავს გამოყვანილი ნ. ლორთქიფანიძეს. აქედან აზნაურ ფილიპეს. ყოფილ სამხედრო პირს ივანე სანდამაშვილსა და სასამართლოს მოხელეს — გიორგი ვაშლობაშვილს ერთი საერთო მახინჯი თვისება ახასიათებთ — უზომო სიხარბე. ამით მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის, რაც ფილიპეს ახასიათებს, არ არის მაინცდამაინც აზნაურების განმსაზღვრელი ნიშანი. ფილიპეს მსგავსი სხვა სოციალური წარმოშობის ადამიანიც შეიძლება იყოს. ამდენად წოდებრივობის საკითხი არ დგას აქ ყურადღების ცენტრში. მწერალი აქცენტირებას ახდენს არა ადამიანთა სოციალურ წარმოშობაზე, არამედ საერთოდ ადამიანებზე, რომელთაც შეიძლება ერთ-

ნაირად ახასიათებდეთ სიხარბე, განურჩევლად მათი წოდებისა თუ თანამდებობისა.

აღსანიშნავია, რომ „რუმბში“ არც ერთი დადებითი მოქმედი პირი არ იღებს მონაწილეობას. ნაწარმოების სიუჟეტურ კონფლიქტს მხოლოდ უარყოფითი პიროვნებები ქმნიან: სატირული პერსონაჟები მეტ-ნაკლებად თავის-სავე მსგავს პერსონაჟებს ებრძვიან.

ნაწარმოებში ბრძოლა წარმოებს, ერთი მხრივ, ივანე სანდამაშვილსა და გიორგი ვაშლობაშვილს, ხოლო მეორე მხრივ, ფილიპე თამლაძესა და არჩილ შინერიძეს შორის. პირველი წყვილი მკაფიოდ გამოხატული სატირული პერსონაჟებია. როგორც ვაშლობაშვილი, ისე სანდამაშვილი პათოლოგიურად სარბი ადამიანები არიან. ამ შემთხვევაში ორი სრულიად თანაბარი ძალა ებრძვის ერთმანეთს. რაც შეეხება ფილიპესა და არჩილს, ამ წყვილიდან პირველი თავისი უარყოფითი თვისებებით გარკვევით ფარავს არჩილის პიროვნებას. მაგრამ ეს უკანასკნელი თავისი სულთერი და გონებრივი სილატაკის გამო ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე რომ, ამჯერადაც „უარყოფითი“ „უარყოფითსავე“ ებრძვის. თავის მხრივ, ფილიპეცა და არჩილიც სასამართლო აპარატის წარმომადგენლებს უპირისპირდებიან და აქაც კვლავ უარყოფით ძალთა შეჭახებაა წარმოდგენილი.

როგორც მოსალოდნელიც იყო, დავა არჩილსა და ფილიპეს შორის უშედეგოდ დამთავრდა. უფრო ზუსტად, ამ დავას დასასრული არ უჩანს, დასასრული არ უჩანს სასამართლოს უსამართლობისა, მექრთამეობისა და უვიცობის გამო. ამგვარად, „რუმბში“, როგორც ყველა წმინდა სატირული ნაწარმოები. მხოლოდ „უარყოფითის“ გამომწვეურებაა და თანაც ისეთი არსებითი ხასიათის „უარყოფითისა“, რომლის მთლიან განადგურებას ისახავს მწერალი მიზნად.

ავტორის დამოკიდებულება განსასახიერებელი ობიექტისა და ამავე დროს მკითხველისადმი თხზულებაში სხვადასხვა გზითაა განხორციელებული. ერთი მხრივ, მწერალი თავის თავს ავლენს, ასე ვთქვათ, თვალსაჩინოდ, აშკარად, ხოლო, მეორე მხრივ, დაფარულად, არაპირდაპირი გზით. „რუმბში“ ეს მეორე გზა წამყვანი, რადგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იუმორისტულ-სატირული თხზულებებისათვის სწორედ ისაა ნიშანდობლივი, რომ მწერალი თავის სათქმელს შენიღბულად გამოხატავს.

ამ ნაწარმოებში მწერალი „თვალნათლივ“ ჩანს მხოლოდ სამ ადგილას: დასაწყისში, შუაში და დასასრულში.

საკვანებოდ წამძღვარებულ ეპიგრაფში, როგორც ეს ზევითაც იყო აღნიშნული, ავტორი უშუალოდ ესაუბრება მკითხველს და აცნობს მას, თუ რა დაულო საფუძვლად თავის ნოველას და როგორია მისი, როგორც შემოქმედის. დამოკიდებულება განსასახიერებელი მასალისადმი. ეს არის, ასე ვთქვათ, პირველი მაკორული აკორდი. რომელსაც შეგნებულად იღებს მწერალი ჭერ კიდევ ნაწარმოების დასაწყისამდე, რათა ამ ხმაზე მომართოს შემდეგ მთელი ნოველა.

ამის შემდეგ ნ. ლორთქიფანიძე თითქოსდა შეგნებულად გადადის კულინეზში და სკენაზე ნაწარმოების პერსონაჟებს უთმობს ადგილს. თხზულების მეოთხე მონაკვეთში კი ავტორი მოულოდნელად ერთვება მოქმედების მსვლელობაში და აზნაურ ფილიპე თამლაძის მიერ რუსულად შედგენილ საიმიჯრთან

დაკავშირებით მკითხველს ჰპირდება: „ვეცდები დავიცვა სტილი ამ უცნაური თხრობისაო!“ ამ ფრაზის შემდეგ მწერალი ისევ „უჩინარდება“ და მხოლოდ ნაწარმოების ბოლო სტრიქონებში ეხმიანება მკითხველს: „ამნაირად, თუ მიუყვარძობლად ვიანგარიშებთ, მოზერას ტყავის ნახევარი, სულ დიდი, მანეთ-ნახევარად ღირებული, ორ ადამიანს სამას-სამასი მანეთი დაუჯდა, მთავრობას — 1000 მანეთი... მე სამი საათი წერა და თქვენ, ჩემო მკითხველო. 15 წუთი მოწყენა“.

როგორც ვხედავთ, სამივე შემთხვევაში მწერლის „გამოჩენა“ გაპირობებულია უშუალო კონტაქტის დამყარებით მკითხველთან, რაც, თავის მხრივ, გარკვევით ინტიმურ ატმოსფეროს ქმნის, მით უფრო, რომ მწერლის მიმართებებში აშკარად იგრძნობა ავტორის „გულისხმიერი დამოკიდებულება თავისი მკითხველებისადმი“.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ მწერალი თხრობას იწყებს და ამთავრებს პირველ პირში და, რაც მთავარია, ერთნაირ მაჯორულ ტონში, რის გამოც ის კიდევ უფრო მარჯვედ კრავს ნოველის სიუჟეტურ ქარვას. ავტორის აშკარა „გამოჩენის“ ფუნქციები „რუმბში“ ამ კონკრეტული მიზნებით იფარგლება. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სამსავე შემთხვევაში მწერლის „გამოჩენა“ ნაწარმოებში მომენტალურ ხასიათს ატარებს. ნოველის სიუჟეტი ფაქტიურად ავტორის უშუალო მონაწილეობის გარეშე იშლება. მიუხედავად ამისა, მწერლის ნამდვილი სახე ტექსტის სწორედ იმ ადგილებში უფრო ჩანს, რომლებშიაც ავტორი მკითხველის თვალთა ხედვას მოფარებულია. მაგრამ აქ იგი ჩანს უკვე დაფარულად და შენიღბულად იმ მცირეოდენ ეპითეტებსა და ირონიითა თუ იუმორით სავე გამოთქმებში, რომელთაც ის ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოვლენის დახასიათებისას იყენებს. განსასახიერებელი ობიექტებისადმი მწერალი მკაცრ. მაგრამ თავშეკავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. უფრო ზუსტად, თავის შეფასებას ის ძუნწად, მაგრამ ამავე დროს მასწავლად გადმოგვცემს.

ავტორის თავშეკავება განსაკუთრებით ეპითეტებზე ვრცელდება. მთელი ნაწარმოების მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ ექვს ეპითეტს თუ შევხვდებით. თანაც ზოგი მათგანი უბრალო განსაზღვრების როლს უფრო თამაშობს, ვიდრე მხატვრული სამკაულისას. ეს ეპითეტებია: „ღრმა სალამი“, „დიდი გემამულე“, „ამჟრალბული ტყავი“, „დიდებული საბუთი“, „უცნაური თხოვნა“, „გაბოროტებული მოსამართლე“, „ცნობილი ვეჭილი“, „დაღრევილი აზნაური“, „გაანჩხლებული თამლაძე“, „კეთილხინდისიანები“ (ხაზი აქაც და სხვაგანაც ჩვენია. — ე. ა.).

აქედან ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — არჩილ მინერიძის დასახასიათებლად მწერალი მხოლოდ ერთ ეპითეტს იყენებს: „თავადმა ძველის წესით ღრმა სალამი მისცა“ (მიმართვის ობიექტი ფილიპე თამლაძეა). ამ ეპითეტით ავტორს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ არჩილ მინერიძე, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც ძველ ადათ-წესებს იცავს და, როგორც თავადს, მაღალი წოდების წარმომადგენელს, „ღირსეულად“ უპირავს თავი. გარდა ამისა, იგივე ეპითეტი არჩილისა და ფილიპეს ურთიერთდამოკიდებულებაზე მიუთითებს. ამით მწერალი თითქოსდა თვალს უხვევს მკითხველს, რათა შემდეგში უფრო კომიკურად გამოიყურებოდეს მათ შორის მომხდარი კონფლიქტი.

რაც შეეხება ნოველის წამყვან პერსონაჟს — აზნაურ ფილიპე თამლაძეს, ვველაზე უფრო დასრულებულ სატირულ პირს ამ ნაწარმოებში, მის მიმართ წერალი, როგორც მოსალოდნელიც იყო, უფრო აქტიურ და აგრესიულ და-ბოკიდებულებას ამჟღავნებს. ამ გასანადგურებელი ობიექტის დახატვისას ის იყენებს ოთხ ემოციურად დატვირთულ ეპითეტს: „დაღრეკილი“, „გაანჩხლებული“, „დიდებული“, „უცნაური“, რომელთა შორის განსაკუთრებული ემოციურობით „დაღრეკილი“ გამოირჩევა. ტექსტში ვკითხულობთ: „უწყებულ დროისათვის არჩილი სასამართლოში არ წასულა: დაღრეკილმა აზნაურმა ზედ-მინეწვით იცოდა „ზაკონის კანონები“ და ამიტომ არხეინად მოელოდა „დაუს-წრებელ განჩინებას“. „დაღრეკილი“ შეფასებითი ეპითეტია და ის ფილიპე თამლაძისადმი მწერლის სარკასტულ დამოკიდებულებას გამოხატავს. გარდა ამისა, ამ ეპითეტს ექსპრესიულობას მატებს ისიც, რომ ის კუთხური სიტყვაა, სვანგებოდ შერჩეული ავტორის მიერ.

ეპითეტი „გაანჩხლებული“ ფილიპეს სულიერ მდგომარეობაზე მიუთითებს. ხოლო დანარჩენი ორი: „დიდებული“ და „უცნაური“ ავტორს გამოყენებული აქვს თამლაძის მიერ შედგენილი საჩივრის დასახასიათებლად: „ეს დიდებული საბუთი რუსულად არის დაწერილი. ვეცდები დავიცვა სტილი ამ უცნაური თბოვნისა“. ეპითეტი „უცნაური“ პირდაპირი გზით განსაზღვრავს თამლაძის საჩივრის რაგვარობას, ხოლო „დიდებული“ — შენიღბით, რადგანაც ის მწერლის გამკილავი ირონიის შემცველია და ამიტომაც მისი ნამდვილი მნიშვნელობა შებრუნებით უნდა გავიგოთ. ამდენად ეს ეპითეტი მკითხველის აქტივიზაციას მოითხოვს.

იმევე ხასიათისაა ეპითეტი „კეთილსინდისიანები“, რომლითაც ავტორი ერთ ტაფაში აქცევს ნაცვალს, მამასახლისს, ჩაფრებს, მწერალსა და მომრიგებელ მოსამართლეს. „კეთილსინდისიანები: ნაცვალი, მამასახლისი, ორი თუ სამი მოწმე ჩაფარი, თარჯიმანი, მწერალი და მომრიგებელი მოსამართლე, ზოგიერთი ოცი-ორმოცი ვერსის მანძილიდან მოსული სამი თუ ოთხი საათი უვლიდენ ყოფილ 'ნაღვარეს...'“ ამგვარად, მწერალი ახერხებს, რომ ერთი ზუსტი და მეტყველი ეპითეტით ირონიულად შეაფასოს ამდენი პიროვნება ერთდროულად.

რამდენადმე სხვაგვარი ახსნა აქვს ეპითეტს „ცნობილი“, რომელსაც ნიკო ლორთქიფანიძე იყენებს როგორც არჩილის, ისე ფილიპეს ვეჭილების დასახასიათებლად. ამჯერად ამ ეპითეტში ჩაქსოვილი ირონია მიმართულია არა მარტო ვეჭილებისადმი, არამედ იმ საზოგადოების მიმართაც, რომელმაც ასეთი ვეჭილები „ცნობილებად“ მონათლა. ასე რომ, გარეგნულად სრულიად სანდო ეპითეტი „ცნობილი“ ნ. ლორთქიფანიძის ამ ნოველაში ღრმა შინაარსისა და მძაფრი ემოციურობის მატარებელია.

გარდა ამ მცირეოდენი ეპითეტებისა, ავტორი უნებურად ავლენს აგრეთვე თავს იმ ირონიითა და იუმორით სავსე რემარკებში, რომლებშიაც ასევე ჭაფარულად ჩანს მისი დამოკიდებულება ნაწარმოების მოქმედი პირებისადმი. მაგრამ ამჯერადაც მწერალი თავშეკავებულია. მთავარი მოქმედი პირების: არჩილისა და ფილიპეს დასახატავად ავტორი, შეიძლება ითქვას, რომ სავსებით კმაყოფილდება ამ ძუნწად წარმოდგენილი ეპითეტებით, მათი სახეების დასრულებას აღარ ჰქირდება მწერლის დამატებითი კომენტარები. როგორც ერთი, ისე მეორე პიროვნება ისედაც ნათლად იკვეთება მათ რეპლიკებსა,

დიალოგებსა თუ მოქმედებებში. ამიტომაც მწერალი არ ცნობს საჭიროდ საკუთარი აზრებითა თუ მსჯელობით შეავსოს მკითხველის წარმოდგენა მათზე. ერთადერთ გამონაკლისს ის უშვებს მხოლოდ არჩილის მიმართ, როდესაც წერს: „უწყებაში მოყვანილი კანონის მუხლები მის გონებას არაფერს ეუბნებოდა“, რითაც ის ხაზს უსვამს არჩილის უვიცობასა და გონებრივ სიჩლუნგეს.

რამდენადმე სხვა გზას მიმართავს მწერალი ნოველის მეორეხარისხოვანი პერსონაჟების შექმნისას. მხედველობაში გვაყავს არჩილისა და ფილიპეს დამცველები. თუ არჩილსა და ფილიპეს ავტორი პირველ რიგში მოქმედებაში წარმოადგენს, ამ შემთხვევაში ის ვეჭილების მოქმედების შესახებ თვით ლაპარაკობს. ასე რომ, ამჯერად აქტიურები პერსონაჟები კი არ არიან, არამედ თვით ავტორი და ამიტომაც მისი უშუალო დამოკიდებულება ამ პირების მიმართ უფრო თვალნათლივია, თუმც ამჟამადაც ის თავის სათქმელს შენიღბულად გამოხატავს:

„ოქის სასამართლოში ცნობილი ვეჭილები გამოვიდნენ ორივე მხრით. ამათ უკვე აინტერესებდათ — როგორც ამბობდნენ და როგორც გასამარჯვლოს იღებდნენ — პრინციპიალური მხარე უფლებისა.“

თამლაძის ვეჭილი, ნაფიცი ვეჭილი, ამტკიცებდა, რომ თავადი არჩილი ტიპი იყო იმ ავსული ადამიანისა, რომელსაც სურს ყოველივე დაჩაგროს, დათრუნოს და, თანაც, არ იეიწყებს მატერიალურ სარგებლობას.

თავადი არჩილის ვეჭილი კი, ისიც ნაფიცი ვეჭილი, უფრო ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევარი იყო და არწმუნებდა მოსამართლეთ:

„-- თამლაძე ჩარჩია, რომელიც ცდილობს სხვისი ნაშრომი კანონის დახმარებით ხელში ჩაიგდოსო, მაგრამო. — დაუმატა ვეჭილმა აღტაცებით, — ახლანდელი კანონი აღარ არის ბრმა: მან იცის. კანონის წმინდა ფრთების ქვეშ რამდენი ავაზაკი აპირებს დაბუდრებასო; ღრმით მკვრეტელი მოსამართლენი კი ჩახედენ საქმისა გულს და სინამდვილეს ამოიკითხავენო“.

როგორც ვხედავთ, ვეჭილების პიროვნება მათ უშუალო მოქმედებაში კი არ არის ნაჩვენები, არამედ ავტორისეულ რემარკებში, რომლებშიაც გარკვევით იგრძნობა მწერლის მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულება სასამართლოს მოხელეთა მიმართ. სულ რამდენიმე მოკლე აბზაცში ნ. ლორთქიფანიძე ახერხებს, საამკარაოზე გამოიტანოს როგორც მათი ზნეობრივი დაცემა, ასევე მათი გონებრივი სიღარიბე. ის გესლიანად, მწვავე ირონიით სავსე სიტყვებით დასცინის მათ უპრინციპობას, უსამართლობას, მექრთამეობას, გონებრივ შეზღუდულობას. მათ ყალბ პათოსსა და თხრობის მანერულობას — ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რაც არ უნდა ახასიათებდეს ნამდვილ ვეჭილს და რაც ახასიათებდათ სწორედ იმდროინდელ სასამართლო მოხელეებს.

სატირისათვის დამახასიათებელ სიმწვავეს ამ ნაწარმოებს აძლევს არა მარტო ის შეურჩეველი, კომიკური კონფლიქტი, რომელიც თხზულების წამყვან პერსონაჟთა შორის არსებობს, არამედ ავტორისეულ რემარკებში ჩართული ეს მწარე ირონია, რომელიც განსაკუთრებით ცხოვლად გამოხატავს მწერლის კრიტიკულ დამოკიდებულებას დასამუშავებელი მასალისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ლორთქიფანიძის ირონიაშიაც არაფერია ზომანზე მეტად გადაჭარბებული, ფანტასტიკური თუ გროტესკული.

ანალოგიური თემა და მსგავსი სიტუეტი უდევს საფუძვლად ნ. ლორთქიფანიძის იუმორისტულ ნაწარმოებს „ფეოდალები“. აქაც ისევე, როგორც

„რუმბში“ თხზულების წამყვანი პერსონაჟები ე. წ. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან და, რაც მთავარია, გარკვეულად ის ინციდენტები, რომელიც „ფეოდალების“ მოქმედ პირებს შეემთხვათ, ძალზე წააგავს, ერთი მხრივ, გიორგი ვაშლიბაშვილსა და ვანო სანდომაშვილს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, არჩილ მინერაძესა და ფილიპე თამლაძეს შორის მომხდარ ამბავს. მსგავსება შეინიშნება არა იმდენად წინააღმდეგობათა გამოხატვის ფორმაში, არამედ კონფლიქტის საგანში. ეს უკანასკნელი ორივე ნაწარმოებში ერთნაირად სასაცილომდე უმნიშვნელოა. „რუმბში“ დავის ობიექტს, როგორც ვიცი, ნესვი და რუმბი წარმოადგენს, ხოლო „ფეოდალებში“ — თუთუნის მოქმედ პირთა შორის დაძაბულობა აქაც გაყოფის პროცესში იქმნება, მაგრამ კონფლიქტის წარმოქმნის მთავარი მიზეზი „რუმბში“ სხვაა, და „ფეოდალებში“ კიდევ სხვა.

„ფეოდალებში“ საზიაროდ ყიდვაცა და შემდეგ გაყოფაც პირველ რიგში მოქმედ პირთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობითაა გაპირობებული. „რუმბში“ კი არც პირდაპირ და არც მინიშნებით არსად არ არის ლაპარაკი პერსონაჟთა მატერიალურ სიღირსოვნეზე. პირიქით. აზნაურ ფილიპე თამლაძის შესახებ. რომელიც ყველაზე უფრო აქტიური ჩანს დავაში, მწერალი აღნიშნავს, რომ ის შეძლებული მემამულე იყო. საზოგადოდ. ამ თხზულებაში ავტორი არ ამტკიცებს საგანგებო ინტერესს სოციალური საკითხებისადმი. მაშინ, როდესაც „ფეოდალებში“ წინა პლანზე სწორედ პერსონაჟთა ეკონომიური მდგომარეობაა წამოწეული. მთელი ნაწარმოები იმდაგვარად არის აგებული, რომ ნისი ყოველი დეტალი ამ მომენტის ხაზგასმას ემსახურება: ძუნწად წარმოდგენილი ავტორისეული რემარკები. მოქმედ პირთა გატაცებული ლაპარაკი სიმღიდრეზე, თუ მათი ენამოსწრებულობა საკუთარი სიღარიბის შესახებ — ყველაფერი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, გარკვევით მიუთითებს იმაზე. რომ უჭირს მთელ სოფელს. მაგრამ გაკირვების ამ საერთო ფონზე ნ. ლორთქიფანიძე საგანგებო ყურადღებას აზნაურთა წოდების სრულ გაღატაკებაზე ამახვილებს. ამდენად. „რუმბისაგან“ განსხვავებით, „ფეოდალებში“ რამდენადმე წოდებრიობის საკითხიც დგას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა რაიმე განსაკუთრებული ინტერესს ამ წოდების მიმართ ნ. ლორთქიფანიძე „ფეოდალებში“ არ ამჟღავნებს. ამჭერად მწერლის კონკრეტულ ამოცანას მხოლოდ ის შეადგენს, რომ აჩვენოს ამ წარმავალი კლასის უკიდურესი სიდუხჭირე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და ის, თუ როგორ უბიძგებს ეს ეკონომიური სიღირსოვნე მათ სიხარბისაკენ.

ამ მიზნის მისაღწევად ნ. ლორთქიფანიძე იღებს მხოლოდ და მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდს აზნაურთა ცხოვრებიდან და ამ ერთი დეტალის დახატვით ახერხებს ხორცი შეასხას თავის ჩანაფიქრს.

ჩონჩხი ნაწარმოებისა ასეთია: ორი გაღატაკებული აზნაური საზიაროდ ყიდულობს მღელქნისაგან ხუთმეტ კაპიკად შეფასებულ თუთუნს. ერთი მღელქნეს აძლევს რვა კაპიკს, ხოლო მეორე — შეიდს. იმის გამო, რომ გაყოფის დროს ორივე ცდილობს თუთუნის რაც შეიძლება მეტი ნაწილი მიითვინოს. ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით მეორეს მარცხენა ხელის საჩვენებელ ხელს სამუდამოდ დაუზიანებს.

ეს არის ამ ნაწარმოების ბირთვი. რომელზედაც შემდეგ მწერალი აგებს იმდენად მცირე ზომის თხზულებას. რომ მისი ფაბულა და სიუჟეტი თითქმის

მთლიანად ერთმანეთს ემთხვევა. კვანძის შეკვრა, კულმინაცია და კვანძის გახსნა ღრის ძალზე მცირე მონაკვეთში ხდება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება: რომ ყველაფერი ეს ერთჯერადი ერთდროულად იყოს მოცემული ნაწარმოებში ამავე დროს. „ფეოდალები“ მხოლოდ და მხოლოდ ერთ კომიკურ ეპიზოდზეა აგებული მაშინ, როდესაც „რუმბი“ კომიკურ სიტუაციათა მთელ წყებას მოიცავს. არქიტექტონიკის თვალსაზრისით, სხვაობა აგრეთვე სხვა დეტალებშია ცხელდება. ნაწარმოები იწყება პირდაპირ ამბის გაშლით და, ნეიტრალური გამოხატვის გარდა, ის მთლიანად პერსონაჟთა დიალოგებზეა აგებული. რაც მას გარკვეულ დინამიკურობას ანიჭებს. საზოგადოდ თხრობა აქ სწრაფ ტემპში მიმდინარეობს: მოქნილი და ლაკონური რეპლიკები აჩქარებით ცვლიან ერთმანეთს.

გარდა ამისა, „რუმბთან“ შედარებით, ის კომიკური შინაარსის შემცველი წინააღმდეგობა, რომელზედაც მწერალი აგებს „ფეოდალებს“, გაცილებით უფრო სუსტია. ბრძოლა აქ წარმოებს არა მტრულად განწყობილ მოქმედ პირთა შორის, როგორც ამას ადგილი აქვს „რუმბში“, არამედ ისეთ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთისადმი კეთილად არიან განწყობილნი; კეთილად არიან განწყობილნი როგორც კონფლიქტამდე, ასევე დავის პროცესსა და მისი შედეგის შემდეგაც კი.

დავის პროცესი თხზულებაში ამდაგვარადაა წარმოდგენილი:

„პარკის გასაქრელად ერთმა დაზგიდან დანა აიღო.

— რას შვრები, კაცო... ორი წილი მიგაქვს? — ხელის ფათურით წაეღავა მეორე.

— რა ორი წილი, სად ორი წილი, ერთი ნამცეცაა მეტი.

— ამხანაგობა თუა, შუაზე გაიყოთ. — ვითომ ხუმრობით და ლიმილით. მაგრამ დაბეჯითებით ეუბნებოდა მეორე და უშლიდა დანა იქ დაესვა პარკისათვის. სადაც მიმიზნებელი იყო.

— რვა კაპიკია ჩემი, იმე!

— შენ არ მომიკვდე, ასე არ გაგაჯრევირო... ასე ორ ნაწილს შენ წაიღებ, რა სამართალია, მოიცა, შუაკაცმა გაყოს.

და სწორედ იმ წამს, როცა პირველმა დანა დაუსვა, მეორემ პარკი თავისკენ მოიზიდა.

— უპ, რა მიქენი, კაცო! — პარკს ხელი მიანება და მარცხენა საჩვენებელი თითი მარჯვენა ხელში ჩაბღუჯა.

— რა იყო?

— რაღა რა იყო, თითი ქე წამაცალე და!

— ეხუმრებოდი... — გაისმა შემკრთალი ხმა.

— კი ხუმრობა გამოგივიდა — კი მოგეცეს...

გაპრილ თითს ხელი მოაშორა, სისხლმა მალა აასხა.

ეს არის ყველაზე უფრო დაძაბული ადგილი, მოქმედების განვითარების კულმინაცია ამ ნაწარმოებში.

მცირე ხნის განმავლობაში დაძაბულობა კვლავ გრძელდება: ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი ჯერ კიდევ გასაქირშია და ამ ინციდენტის დამსწრენი, თხზულების სხვა პერსონაჟები, განსაკუთრებით კი „დამნაშავე“, აღუვებულნი ასეთი მოულოდნელი შედეგით, გაფაციცებით ცდილობენ, რომ დაზარალებულს სისხლის დენა შეუჩერონ.

სულ ჩქარა სიტუაცია იცვლება. დუქნის წინ შეყრილი მოზაასენი კვლავ თავიანთ ჰველ მდგომარეობას უბრუნდებიან: ოხუნჯობა და ენამახვილობა ისევ გრძელდება და დაძაბულობაც თანდათანობით მთლიანად იხსნება: „დამნაშავემ“ იგრძნო თავისი დანაშაული. ხალხ „დაზარალებულმა“ სულგრძელად აპატია თავის მეზობელს სიხარბე, რომელსაც მსხვერპლად მისი თითი შეეწირა. „მოწინააღმდეგეთ“ შერიგება ნაწარმოებში ასეთნაირადაა გადმოცემული (საუბარს იწყებს „დაზარალებული“):

„ — გაქერი მაგ დასაწვავი თუთუნი და მალირსე მაინც ერთი პაპიროსი. დამნაშავემ ჭერ ამოაცალა პარკს სისხლით გასვრილი თუთუნი და მერე ბევრათ უფრო დიდი ნაწილი მონაწილეს მიაწოდა:

— ეს შერიგების იყოს...

— კი არ გეჩხუბები, მარა ნამეტანი ხარბი ხარ, კინალამ ვადამყოლე...

— რა ვიცოდი, მაგ ოხერ დანაში თუ ეშმაკები იჯდა?!

— ქე მინდოდა, ღმერთო შეგცოდე, თქმა, დანა ახალი ალესილია და ფრთხილათ იხმარეთ-თქვა, მარა გულზე ვადამიარა რაცხა... დალახეროს ღერთმა!

— ასეა ფათერაკი! — შენიშნა მესამემ და ნაომარი თუთუნით ყალიონი ააქსო.

როცა გამოწვდილს დაგრეხილს პაპიროსს შეხედა. დაკრილმა შეუტია:

— ბარელამ ენაც გაუსვი. შე კაცო, რაღას მანჯვალე?!

— ახლა მეშინია, ძმო, ჩემმა ნერწყვმა არ მოგწამლოს...

— ოჰ, კი ახლა, გაათავე ოხუნჯობა!

ოთხივემ გააბოლა“.

როგორც ვხედავთ, კონფლიქტი, რომელიც „ფეოდალების“ სიუჟეტს უდევს საფუძვლად, უფრო მოჩვენებითი ხასიათისაა და ამდენად არ შეიძლება. რომ ის ნაწარმოებში განსაკუთრებულ დაძაბულობას ქმნიდეს. „რუმბში“ კი დაპირისპირებულ ძალთა წინააღმდეგობა მწვევე ხასიათს ატარებს. ის თითქმის განუწყვეტლივ გასდევს ნაწარმოებს და იგულისხმება, რომ თხზულების დასასრულის შემდეგაც ძალაში რჩება.

საზოგადოდ, „ფეოდალების“ მთავარი მოქმედი პირები საგრძნობლად განსხვავდებიან „რუმბის“ წამყვანი პერსონაჟის — აზნაურ ფილიპე თამლაძისაგან. ეს უკანასკნელი მკაფიოდ გამოხატული უარყოფითი პიროვნებაა, არაჩვეულებრივი თავისი მანკიერი თვისებებით. ფილიპეს ყოველი საქციელი თუ მოქმედება ეს მხოლოდ მისი მახინჯი შინაგანი ბუნების შესატყვისი გამოვლენაა. ამიტომაც მწერალს ის სატირულ ასპექტში ჰყავს დახატული და, საერთოდ, მთლიანად „რუმბი“ ავტორის სატირულ ტენდენციითა აშკარა გამოხატულებაა.

ფეოდალების მოქმედი პირები კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ისინი არ გამოირჩევიან არც თავიანთი არაჩვეულებრივად ამალეებული სულითა და არც არაჩვეულებრივად დაბალი ქვენა ზრახვებით. ეს გალატაკებული აზნაურები ცხოვრობენ ყოველდღიური ცხოვრებით და მათი ინტერესები ფაქტიურად ლუკმაპურის მოპოვებით შემოიფარგლება. ისიც აღსანიშნავია, რომ „ფეოდალების“ მოქმედ პირებს ნ. ლორთქიფანიძე ძალზე ძუნწ ფერებში ხატავს. მკითხველმა მათ შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ ისინი სრულიად უბოროტო და კეთილი ადამიანები არიან. თანაც ენა-

მსხვილები. იცის აგრეთვე ის, რომ მათ უზომოდ უჭირთ მატერიალურად. ეს დაუსრულებელი გაჭირვებაა, რომ უღვივებთ მათ სიხარბის გრძნობას, — გრძნობას, რომელიც მათი ბუნებისათვის სრულიადაც არ არის განმსაზღვრელი. ასეთი ადამიანების მიმართ, ბუნებრივია, არ შეიძლება იყო დაუნდობელი. მართალია, ნ. ლორთქიფანიძე მათაც დასცინის, მაგრამ ეს დაცინვა განადგურებას როდი ისახავს მიზნად. მწერალი ამჯერად მხოლოდ იმითი კმაყოფილება, რომ კომიკურ სიტუაციებში აქცევს მათ. ამგვარად, „ფეოდალებში“ მონაწილე ახნაურების სახით ნ. ლორთქიფანიძე ქმნის არა სატირულ, არამედ იუმორისტულ ლიტერატურულ გმირებს და ნაწარმოებსაც მთლიანად ნუნუბუქი იუმორის ტონში წარმართავს.

ისე როგორც „რუმში“, ასევე „ფეოდალებში“ იუმორის განსახორციელებლად მწერალი პირველ რიგში ე. წ. სიტუაციურ კომიზმსა და თავისებურ იმპროვიზაციულ ენამოსწრებულობას იყენებს. ამ ნაწარმოების ტექსტი, შეიძლება ითქვას, მთლიანად პერსონაჟთა ენამახვილურ რეპლიკებს ეყრდნობა. ეს საოცრად მსუბუქი იუმორის შემცველი რეპლიკები, დატოლილი ყოველგვარი გასორბუტებისა და ღვარძლიანობისაგან, მკითხველს ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

„— დიდი მდიდარი კაცია. ძმაო. დიდი მდიდარი! — ეკითხვობთ ნაწარმოების დასაწყისშივე, უშუალოდ ავტორისეული რემარკის შემდეგ:

„— რამდენი ექნება მანც?

— ჯიბეში არ ჩამიყვია ხელი. მარა ამბობენ, ათასი მანეთი გასესხებულნი აქვსო...

— იმე! რაჟა ვეკადრება?

— ?!

— რა ჩემი ფეხებია ათასი მანეთი?!

— იტყვი შენც რაღა?! ათასი მანეთი არაფერიაო!!!

— ერთ კვირეში ხარჯავენ, ძმაო. ამდენს!..

— შე დალიცვილო, ვინცა რაცხას შევა, იმას კი არ გეუბნები... აქ, ამ წვენ მიდამოში, ათასი მანეთი დიდი ღეთის წყალობა და ბედნიერებაა.

— ასე თუ თქვი. შე კაცო, ჩვენთვის ახლა წითელი თუქანიც კი საქმეა!

— შეს უნდა თქვა, როგველია ყოფილა აშერიკაში ვინცა. ყოველ წუთში — ფუუ! — მოლაპარაკებ სული შეუბერა. — აი, ამდენ ხანში, ერთ მუკა ოქროს ღებულსს თურმე.

— რაჟა. რაჟო?

— რაჟა და ერთ წამში — ფუუ — ამდენს ხანში. რაც კი ჩაეტევა ამ პეშეში. — ნობასემ პეშეი გააკეთა. — იმდენი ოქრო შემოდის.

— რას უშვება მერე ის სულწაწყვედილი?

— ჩვენ არ გვიგზავნის და რა ვიცი, რას უშვება?!

— მერე ერთ წუთში ერთი პეშეი. მეორე წუთში კიდევ ერთი პეშეი... დედაც, რამდენი შედგება ერთ საათში, ერთ ღღეში... ახლა წელიწადში. თქვი შენ!!

— ვერც ქე ვიანგარიშებთ მე და შენ. ჩემო ლავრენტი.

— მაგაზე დამიღვა ჯავრი! მომცა, იცოცხლე ვიანგარაშო, და რომ არ შაკვს, რათ შევიწუხო თავი?!

ჩვენ მიერ მოტანილი დიალოგი მრავალმხრივ არის საინტერესო. როგორც ვხედავთ, მოქმედ პირთა საუბრას შინაარსი და ფორმა: გახშირებული შეძახილები, გაოცების გამომხატველი კითხვითი წინადადებები, რომლებშიაც დაფარულად ჩანს თითოეული მათგანის სწრაფვა უზრუნველი ცხოვრებისადმი და როცაველერის სიმდიდრის წარმოდგენა პიპერბოლურად, ავტორის ყოველგვარი რემარკების გარეშეც, გარკვევით მიუთითებს მობაასეთა ეკონომიურ სიჭირბოროტზე, ხოლო მათი საუბრის მანერა, კილო, ლექსიკა და თავისებური გამოთქმები, ერთი მხრივ, — მოლაპარაკეთა ენამოსწრებულაზე, ხოლო, მეორე მხრივ, — მათ კუთხურ წარმომობაზე. მწერალი ისე ოსტატურად ამეტყველებს თავის პერსონაჟებს, რომ მკითხველის წინაშე სრულიად ხორცშესხმული ადამიანები დგანან. წერის ასეთი რეალისტური მანერა აახლოებს თხზულებაში წარმოდგენილ ამბავს სინამდვილესთან.

ვასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ „ვეოდალებში“, განსხვავებულად „რუმბისაგან“. ავტორისეული რემარკები ძალზე ძუნწადაა მოცემული. ამ მხრივ მწერალი თითქოსდა საგანგებოდ იზღუდება და თავის სათქმელს ნაწარმოების მოქმედ პირთა რეპლიკების, დიალოგებისა თუ მოქმედების სახელებით გამოსატყუებს. ერთადერთ გამონაკლისს ის უშვებს მხოლოდ ნაწარმოების დასაწყისში. სადაც თავისი ჩვეული ოსტატობით, საოცრად შეკუმშულად, მაგრამ ძალზე ცოცხლად და კოლორიტულად წარმოგვიდგენს იმერეთის სოფლის ცხოვრების სურათს:

„სადამო აუქმებული.

ეკლესიის გაღვანზე, მღვდლის მოლოდინში, გადმოყულებული მედავითნე:

იქვე, თითქმის გაღვანზე მოდგმული ღუქნის წინ, დირზე. ზის ერთი და წალდის ყუთი ხაზავს, მგონი, მეზობელთან სადაო ნაკვეთის საზღვრებს;

კუთხეში, კუნზე, წამოძვარაა მეორე, ცხვირსახოცით თავწაქრული და წალის ნაგლეჯით წელშემოხვეული:

ახლადგათილ სარს დაყრდნობია მესამე:

მედუქნე-ხარაზი მუშაობს გაღებელი დარაბის იქით:

სოფლის დამაწვილებელი მიდამო.

ნასლაათობენ-.

ნაწარმოების ეს ადგილი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ნ. ლორთქიფანიძე დასაწყისიდანვე მიგვანიშნებს, რომ მისი განსახიერების მთავარ საგანს მეზობელთა შორის დავა უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება სხვა რემარკებს, ნაშში არც პირდაპირი გზით და არც შემოვლით არსად არ შეიმჩნევა მწერლის დამოკიდებულება დასაბუთებელი მასალისადმი. ისინი თითქოსდა სრულიად თავისუფლად არიან ყოველგვარი ემოციურობისა თუ შეფასებითი მომენტისაგან. აი, თუნდაც ამისი მაგალითები: „მოზაასენი განაგრძობენ ბაასს“; „ყველა ნაჩერდა“; „მედუქნემ ნაუთით სავსე თანაქი უკან მოიტანა“; „ქალი უკან წასვლას აპირებდა, რომ ერთმა მოზაასეთაგანმა მიმართა“; „ქალი წავიდა“; „დამსწრეთ გაეღიმათ“; „თუთუნის პარკი ხელიდან ხელში გადადიოდა“; „ფულა მედუქნეს გადასცეს“; „პარკის გასაქრელად ერთმა დაზგიდან დანა აიღო“ და სხვ. ნაწარმოებში არსებული რემარკები ყველანი ამ ხასიათისანი არიან და მწერალს ისინი ძირითადად მხოლოდ სიუჟეტური მოქმედების ხაზის წინ წაწევაში ეხმარებიან.

საგულისხმოა. რომ მთელი თხზულების მანძილზე ვერსად ვერ შეხვდებით მოქმედ პირთათვის განკუთვნილ ეპითეტებს, რომლებშიაც ჩვეულებრივ ავტორის შეფასებითი დამოკიდებულება დასამუშავებელი მასალისადმი კარგად ჩანს. ასე რომ, ნ. ლორთქიფანიძე ამ ნაწარმოებში გაცილებით უფრო თავშეკავებულია. ვიდრე „რუმში“. მიუხედავად ამისა, მისი პოზიციები აქაც აშკარაა: განსასახიერებელი ობიექტის კომიკურ პლანში წარმოდგენა უკვე ნიშნავს იმას, რომ მწერალი მათ მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი და რომ ეს კრიტიკა ისე, როგორც „რუმშიც“, ემოციური ხასიათისაა.

ამ ორ თხზულებათა შედარებისას სხვაობა შეიმჩნევა აგრეთვე ქანობრივი თვალსაზრისითაც. „რუმში“ ნოველაა, ხოლო „ფეოდალები“ — მოთხრობა. მართალია, ამ უკანასკნელსაც გააჩნია ნოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები: მკვეთრად გამოხატული მიზანი. დასამუშავებელი მასალისა და ფაბულის შეკუმშულობა, ერთი ცენტრი, მაგრამ იმის გამო. რომ აქ დაქაბულობა რამდენადმე შესუსტებულია და იგი არც განუწყვეტელია და არც მზარდი, ნაწარმოები მთლიანად მოთხრობისკენ უფრო იხრება.

ამგვარად, ერთსა და იმავე საკითხზე ნ. ლორთქიფანიძე ქმნის ორ სხვადასხვა ხასიათისა და ქანრის ნაწარმოებს: სატირულ ნოველას „რუმში“ და იუმორისტულ მოთხრობას „ფეოდალებს“. როგორც ჩანს, თხზულების რაგვარობა, მისი განსხვავებული ხასიათი გაპირობებულია მწერლის რამდენადმე თავისებური მიდგომით დასამუშავებელი მასალისადმი. მაგრამ აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ როგორც სატირული, ისე იუმორისტული ნაწარმოებების წერისას მწერალი ძირითადად ერთგვარი შემოქმედებითი პრინციპებით ხელმძღვანელობს: ეს პრინციპებია — ასახოს ცხოვრების სინამდვილე რეალისტურად და დამაჩერებლად. რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მასალის მოხმობით. იყოფს ობიექტური, არ მოახვიოს მკითხველს ძალდატანებით თავისი საკუთარი აზრები.

ამ მანერით აქვს დაწერილი ნ. ლორთქიფანიძეს ყველა იუმორისტულ-სატირული ნაწარმოები. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ მცირეოდენ განსხვავებულ ნიუანსებს. რომლებიც არსებითად მის მიერ შემუშავებულ ნემოქმედებით პოზიციებს არ ღალატობენ.

(წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა)

თეიშურაჲ ღოიაჲილი

ბგერათმიბაძვის საკითხისათვის ლექსში

ბგერა. როგორც პოეტური მტყველებს ელემენტი, ლექსმცოდნეობაში ნაყლებად არის შესწავლილი. ბგერითი თანხმიერების, ეფფონიის როლს სალექსო სისტემაში არაეინ უარყოფს, მაგრამ შინაარსობრივ და ბგერით სტრუქტურათა ურთიერთობის პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩება. ბგერათმიბაძვა, როგორც ეფფონიური ორგანიზაციის ერთ-ერთი სახეობა, იმით არის საინტერესო, რომ ასემანტიკურიდან სემანტიკურზე გადასვლა აქ უფრო თვალსაჩინოა. ვიდრე ბგერითი მოწესრიგების სხვა რომელიმე შემთხვევაში.

ბგერათმიბაძვის არსი, როგორც ცნობილია, ის არის, რომ გარკვეული შესაბამისობა მყარდება ლექსის ფონეტიკურ ძღერადობასა და ბუნების „ხნიერ“ მოვლენებს შორის: პოეტი სამეტყველო ბგერების საშუალებით ბუნებაში არსებული ხმაურის იმიტაციას ახდენს. გავერკვეთ ამ მოვლენის სპეციფიკაში.

გ. ტაბიძის მოზრდილი ლექსი „ფოთლების შრიალი“ მთლიანად ბგერათმიბაძვაზეა აგებული:

ნელ შრიალით შლის ნიაეი ჩაშავებულ შქერებს,
აშრიალებს აღვის წვერებს, შიშით შენაჩვენებს;
შორი შექი შორ ჩასვლაში უცდის ალთა ფერებს,
მშვენიერი პორიზონტი ტალღებს ანანჩქერებს.
ნელ შრიალით შლის ნიაეი შამშს შებინდულ ტბაში
და ჩურჩული გაოისმის ყვავილთ მიმხერაში.
მშვენიერი სილამაზით იშვეშნება ცაში
შორეული შეღამების ღელვა და ჭახაში.

იგივე ხერხია გამოყენებული გალაკტიონის მეორე ლექსშიც — „ალაზნათანი“:

მთვარეში შაეი შრიალებს ჩალა.
შაეი ლენაქი დაეცა შარებს.
ღამშვიდლი. სძინავს ალაზნის კარუბს.
მთვარეში შაეი შრიალებს ჩალა:
სქენს მოგონებას, როგორც ეს ქალა,
მთვარის დემილა ამინანქარებს.
მთვარეში შაეი შრიალებს ჩალა
შაეი ლენაქი დაეცა შარებს.

ორივე ლექსში დომინირებს ბგერა „შ“, რომელიც უპირატესად სიტყვათა დასაწყისში გვხვდება და მიჭრილ ალიტერაციას ქმნის¹. ბგერის და-

¹ საკითხის თვალსაჩინოებისათვის არ გამოყოფთ იმ ბგერათ გამოვლენებს, რომელთაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ.

უინებელი გამეორება გვიბიძგებს, ექიოთ მისი მნიშვნელობა. რადგან ბგერათმბიძგე ბუნების ხმურთა იმბტაციას გულსხმობს, „შ“ ბგერა ფოთლუბისა და ჩალის შრიალს უნდა გადმოსცემდეს. თუ გამოთქმული აზრის მკაცრ ფორმულირებას მოვხდენთ, აღმოჩნდება, რომ ბგერა გარკვეულ მნიშვნელობას იძენს, სემანტიზაციას განიცდის.

ბგერისა და აზრის კავშირი ბგერათმბიძგეში ექვს არ იწვევს, ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ საიდან ლებულობს ბგერა სემანტიკას, როგორ ხდება განმეორებად ბგერათა გააზრიანება.

ეფფონიური სტრუქტურა, ჩვენი აზრით, კონტექსტის მეშვეობით იძენს შინაარსობრივ დატირთვას. ერთსა და იმავე ბგერას სხედასხევა კონტექსტში სხედასხევა მნიშვნელობა აქვს. თუ პირველ ლექსში „შ“ ფოთლუბის შრიალს უკავშირდება, მეორეში იგი ჩალის შრიალს ბაძევს. მართალია, „შ“ ორივე შემთხვევაში „შრიალს“ გადმოსცემს, მაგრამ მხატვრული სახის დეტერმინაციას კონტექსტი ახდენს. თავად „შრიალისა“ და „შ“ ბგერის დაკავშირებაც კონტექსტით არის განსაზღვრული, რადგან თუ დავუშვებთ, რომ „შრიალი“ ამ ბგერის იმანენტური თვისებაა, „ბგერითი სიმბოლიზმის“ პოზიციებზე აღმოვჩნდებით². ქვემოთყვანილ მაგალითებში გამოკვეთილად ხმიანობს „შ“, მაგრამ იგი შრიალის შეგრძნებას აღარ იწვევს, კონტექსტი ამის შესაძლებლობას არ იძლევა:

ჩვენ შინდისფერი დროშა გქონია,
შავი არშიით შემოვლებული.

(გ. ლეონიძე, „დროშა“)

როგორც შანდლი, დადგა ეზოში
შინდი და შუქი ავარდა შინდის.

(ს. ჩიქოვანი, „გაზაფხული“)

ბგერათმბიძგვის ნიმუშების განხილვისას ხშირად ცდილობენ საერთო ნიშანი გამოხაზონ გადმოსაცემ მოვლენასა და ბგერის ფონეტიკურ თვისებებს შორის. ამ თვალსაზრისით, „შ“ ბგერისა და „შრიალის“ კავშირს ასეთი გამართლება შეიძლება მოეძებნოს: „შ“ ბგერის წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოები (ენის წვერი და ნუნები) უახლოვდებიან ერთმანეთს, ქმნიან ნაპარალს, რომელშიც გადის არასრულად დაბრკოლებული ჰაერნაკადი და გამოსცემს შიშინის მსგავს ბგერას. სპირანტი „შ“ შიშინა ბგერაა, მაშასადამე, გ. ტაბიძის კიტირებულ ლექსებში იგი თავისი აქუსტიკით იწვევს „შრიალის“ შეგრძნებას.

ბგერათმბიძგვის შემთხვევაში განმეორებადი ბგერების შერჩევა მოტივირებულია, მაგრამ ეს არ იძლევა საბაბს ფონეტიკური შტრუღიებისათვის. ბგერისა და აზრის შეკავშირება ლექსში, ჩვენი აზრით, ისეთი სიტყვით არის გაშუალებული, რომელშიც უკვე განხორციელებულია ბგერისა და მოვლენის აქუსტიკური მიმსგავსება.

ცნობილია, რომ ყოველ ენაში არსებობს ე. წ. ხმაბაძვითი. ანუ ონომატოპეური სიტყვები. რომლებიც განსაკუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდ-

² „ბგერითი სიმბოლიზმის“ თეორიის მომხრეებს ბგერის სემანტიკის საკითხი პოეზიიდან ფსიქოლოგიის სფეროში გადააქვთ. ბგერა მნიშვნელობას იძენს არა პოეტურ კონტექსტში, არამედ ახასიათებს მას, როგორც ფსიქოლოგიური მოღვემელობა.

ბიან. პოეტი, რომელიც ბუნების ხშიერ მოვლენებს ბაძავს, მიბაძვისას სწორედ იმ ბგერებს იყენებს, რომლებიც გამოყენებულია შესაბამის ონომატოპეურ სიტყვაში. განმეორებადი ბგერები ასოცირდება ონომატოპეურ სიტყვასთან. განიცდის სემანტიზაციას. დავიმოწმოთ რამდენიმე ნიმუში:

შ რ ი ა ლ ი:

ო, შრაალით ეშეება
შემოდგომა სნეულო.

(გ. ტაბიძე, „სანატორიუმში“)

შეაშრაილა მთვარემ რუშების
და არშიების ნაზი ჩანჩქერი.

(გ. ლეონიძე, „ბარათაშვილი“)

შორს ალგები შრაილებენ,
რომ შეამკონ შელაშება.

(ს. ჩიქოვანი, „განშორების საღამო“)

ჭ რ ო ლ ე ა:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ.

(გ. ტაბიძე, „ქარი ჰქრის“)

ქუსლამოკრული ქერანი
მიჰქროდა ნიაფქარული.

(გ. ლეონიძე, „თუშის ქალი ალავერდობაში“).

ჩ უ რ ჩ უ ლ ი:

ჩარგალის ყველა ჩანჩქრიდან
ეაფას ხმა მჩჩურჩულება.

(გ. ლეონიძე, „ტოპონიმიკა“)

წ კ რ ი ა ლ ი:

მაჯაურების წკრიალო წყნარი
მწუხრზე დააწვა მღვიძარე მიწას.

(ს. ჩიქოვანი, „სიმღერა დავით გურამიშვილზე“)

ხ რ ი ა ლ ი:

მომაყვდავ დემონის ხრიალით ხრიალებს
გრძნეული ხეობა.

(გ. ტაბიძე, „ღამე ხეობაში“)

მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დამოწმებული სტრიქონებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ონომატოპეური სიტყვები განმეორებად ბგერათა რომელიმედაც განსაზღვრავს და მათს სემანტიკურ მნიშვნელობასაც.

ბგერითი ფორმისა და მნიშვნელობის კავშირის ახსნა ონომატოპეურ სიტყვაში ენათმეცნიერების საქმეა. პოეზიის მკვლევარისათვის სრულიად საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ევფონიური სტრუქტურის შედგენილობა ონომატოპეის ბგერითი ფორმით არის მოტივირებული, ბგერის სემანტიზაცია სიტყვასთან ასოცირების შედეგია. განმეორებადი ბგერა ანგარიშს არ უწევს ცალკეული სიტყვების აზრს; იგი სიტყვათა მიერ შექმნილ იმ მოვლენას გამოხატავს, რომლის ბგერითი დახასიათება, ჩვეულებრივ, ონომატოპეურ სიტყვაშია მოცემული.

ბგერათმშენებელზე მსჯელობისას განმარტებას მოითხოვს ერთი საკითხი. ევფონიური სტრუქტურა და სიტყვიერი შინაარსი იგივეობრივი სემანტიკის მქონეა. რაც არასაკმარისი გარკების, აზრობრივი ტავტოლოგიის შთაბეჭდილებას ქმნის. რა გამართლება აქვს ამგვარ გარკებას?

ხელოვნება თავის ნებისმიერ გამოვლინებაში საგნის გამოსახვისაკენ მიისწრაფვის. გამოსახვა საგნის უშუალო წარმოდგენას გულისხმობს. ხელოვნების ყოველ დარგში გამოსახვის პრობლემა თავისებურად წყდება. რადგან გამომსახველობითი მასალა განსხვავებულია.

პოეზია საგანს სიტყვის მეშვეობით გამოსახავს. თუ სიტყვის სპეციფიკა ერთ შემთხვევაში პოეტს გარკვეულ უპირატესობას აძლევს, სხვა შემთხვევაში მას სიძნელეების წინაშე აყენებს. სიტყვა აბსტრაქციზმის შედეგია. იგი ფაქტიურად განზოგადებული ცნებაა, რომელიც ასახელებს, მაგრამ არ გამოსახავს. იქ, სადაც გამოსახვის მოთხოვნილება ჩნდება, სიტყვა პირველ რიგში ცნებითობისაგან უნდა გათავისუფლდეს. ტროპული მეტყველების ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ იგი სიტყვის შესაძლებლობის ფარგლებში გრძნობად-კონკრეტული გამომსახველობისაკენ მიისწრაფვის. მაგრამ პოეზიას გამოსახვის სხვა საშუალებაც გააჩნია. ერთადერთი კეშმარიტად გრძნობადი მასალა, რომელიც პოეტს ხელთ აქვს, ეს ბგერაა; ამიტომ წარმოდგენილიც კი იქნებოდა, რომ მას ეს მასალა თავისი მიზნებისათვის არ გამოეყენებინა. ლექსში ევფონიური სტრუქტურა გადმოსაცემ მოვლენას უკავშირდება და სიტყვისათვის დამახასიათებელი დასახელების სანაცვლოდ უშუალოდ გამოსახავს მას.

ბგერათმბიბაძვის დროს აზრობრივი ტაქტოლოგია გამორიცხულია: სიტყვიერი ფორმა ასახელებს, ხოლო ბგერა — გამოსახავს. ბგერათმბიბაძვისას „ჩვენს წარმოდგენაში იქმნება არა მარტო მხედველობითი, არამედ სმენითი სახეც“³. ცხადია, გამოსახვის პროცესში ბგერა იმ მნიშვნელობასაც იერთებს, რაც მის მიერ მატერიალიზებულ ობიექტს გააჩნია.

ბგერის გამომსახველობითი ფუნქციით გამოყენება ესთეტიკური ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა. კ. ჩუკოვსკი წერს: „როცა ნეკრასოვი აღწერს მატარებელს. რომელმაც ეს-ესაა ჩაუარა რუსულ სოფელს, მისი ლექსიც ქშენას იწყებს: „Пусто вам! Пусто вам! Пусто вам!“ ეს არ არის უბრალო ბგერათმბიბაძვა. ეს ყოველი სიტყვის ფონეტიკის გამძაფრებელი, ლირიკული შეგრძნებაა. რომლის გარეშე მსოფლიოში საუკეთესო სემანტიკა პოეზიისათვის მკედარია“⁴.

არტულ იშვიათად პოეტები ექსტრალინგვისტური ხმაურის მიბაძვისას არტიკულირებულ. მაგრამ ასემანტიკურ ბგერათა კომპლექსებს იყენებენ. მიბაძვა სიტყვათა რიგში კი არ არის შეფარული. არამედ პირველყოფილი ექსპრესიით არის გადმოცემული. გ. ტაბიძე წერს:

ბუნქს შარფეით ბოლს ორთქლშავალი ჰფენს
და გა-მის თან: რა-რა-რა-რა, ჩინ!
(„მატარებელში“)

ღამით მუს-კა წელოება
და მოდუდუნებს, როგორც რე:
რა-რა-რა-რა, რა — პაუნა.
და ისე: რე-რე, რე-რე-რე!
(„ღლი ჭაღაქი“).

ამავე ხერხს სხვა პოეტებიც იყენებენ:

და მას შემდეგ სად არ ეუთავ,
ბეღმა სად არ მატარა,

³ В. Е. Холшевников, Основы стихотворения, Л., 1962, гл. 133.
К. Чуковский, Мастерство Некрасова, М., 1962, гл. 413.

ახლაც შესმის მატარებლის
რატა-რატა-რატა-რა!

(ა. მირცხულავა, „დაბრუნება სოფლად“)

ნაუ, ნაუ ნანო, ნაუ ნანო ნინა
შორს სადღაცა ყუაილს ბურქქვეშ მიეძინა.
ქარმა ცერთან ბალახს ეელზე ჩაუბრინა,
ცვარი ბალახს მოსწყდა, სუელით დაიგომინა,
ქარში ზარის ხმა ისმის.

ნაუ ნანო ნინა!

(ბ. იაშვილი, „ზარის ხმა ქარში“)

ნსგავს ნიმუშებს სხვა ქართულ პოეტებთანაც ვხვდებით.

დამოწმებულ მასალაზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ კონტექსტს ბგერათა სემანტიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გალაკტიონის ლექსებში კომპლექსი „რა“ კონტექსტის ზემოქმედებით ურთიერთგანსხვავებულ მოვლენებს უკავშირდება. თუ ტიპიურ ბგერათმობაძვაში ბგერის შერჩევა მოტივირებულია, აქ ბგერისა და მნიშვნელობის დაკავშირება პირობითია. „შ“ ბგერის გამოყენებას „შრილის“ გამოსახატავად ონომატოპეურ სიტყვასთან ასოცირების გამო ობიექტურობის ელფერი აქვს, „რა“ კომპლექსის გამოყენებას კი მატარებლის, ან მუსიკის ხმელების გადმოსაცემად მხოლოდ პოეტის აღქმაში შეიძლება პქონდეს რაიმე გამართლება. მკითხველისათვის ამ ორი რავარობის დაკავშირება შემთხვევითია და მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტით არის მოტივირებული.

ბგერათმობაძვაში გარესინამდვილის ხმაურსა და ბგერათა ხმიანობას შორის მსგავსებას ვხედავთ, მაგრამ არის კი აქ ნამდვილად მსგავსება?

ეფფონიური სტრუქტურის ელერადობას და გარესინამდვილის ხმაურს, როგორც უკვე დავადგინეთ, ონომატოპეური სიტყვის ანალოგიით ვაიგივებთ, ამიტომ თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გაირკვეს, არის თუ არა ონომატოპეაში ზუსტი ასახვა ობიექტური სინამდვილისა. ცნობილია, რომ სხვადასხვა ენაში ხმაბაძვითი სიტყვები არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, „ყიყილიყოს“ რუსულში შესაბამება „кыкареку“, გერმანულში — „kikeriki“, ფრანგულში — „coquerico“, ინგლისურში — „cock-a-doodle-do“, ჩინურში — „kila“. მონგოლურში — „djordjor“⁵. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ონომატოპეა სმაურის ზუსტ ასახვას კი არ ახდენს. არამედ პირობით კავშირს ამყარებს მასთან. ონომატოპეის გამომსახველობა მოქმედებს მხოლოდ ერთი, განსასწავლელი ენის ფარგლებში.

ამ აზრის გავრცელება ბგერათმობაძვაზეც შეიძლება. ეფფონიური სტრუქტურისა და რეალური სამყაროს ხმაურის შესაბამისობა პირობითია და მოცემულ ენის ფარგლებში მოქმედებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ცნობილი ფრანგი რომანისტის ა. დოდეს ერთი ჩანაწერი. დოდე მოგვითხრობს: „მე გამუდმებით ვიხსენებ ხოლმე ცნობილ სტრიქონს: Quadrupedante putrem sonitu quatit... ეს ფრაზა ხშირად მოჰყავდათ ჩვენთვის, როგორც ნიმუში ბგერათმობაძვისა. მასწავლებელმა დამარწმუნა, რომ ფრაზის ელერადობის გამორჩევა ცხენის ჭენებისაგან შეუძლებელი იყო. ერთხელ ჩემი დის შემინება განვიზრახე, რომელსაც ცხენები ძლიერ აურთხობდა. მე ჩემად მიეპარე მას და დავი-

⁵ G. Kahlo, Der Irrtum der Onomatopoeiker, in: Phonetika, Basel (Schweiz)—New-York, 1960, vol. 5, st. 36—37.

ყვირე: Quadrupedante pulrem sonitu quatit... მაგრამ რა მოხდა? პატარა ოდნავადაც კი არ შემკრთალა“⁶. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბგერისა და ბუნების სძიერი მოვლენების კავშირი პირობითია, ევფონიური სტრუქტურა ექსპრესიას მხოლოდ შინაარსის მეშვეობით იძენს.

თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ბგერათმობაძვაზე ითქვა, ნათელი გახდება, რომ:

1. განმეორებადი ბგერები უკავშირდებიან გარკვეულ შინაარსს. ევფონიური სტრუქტურა სემანტიზაციას განიცდის.

2. ევფონიის აზრობრივ დანიშნულებას განსაზღვრავს კონტექსტი.

3. ბგერისა და მნიშვნელობის დაკავშირება გაშუალებულია ონომატოპეური სიტყვით: ბგერა ასოცირდება ამ სიტყვასთან. ბგერითი სტრუქტურის რომელია ონომატოპეის ბგერითი ფორმით არის მოტივირებული.

4. ევფონიური სტრუქტურა სემანტიკურობას გამომსახველობას უთავსებს.

5. ბგერათმობაძვა გარესამყაროს ხმაურის ზუსტი ასახვა არაა. კავშირი ბგერასა და მოვლენას შორის პირობითია. ბგერის გამომსახველობა მოცემული ენობრივი სისტემით არის შემოფარგლული.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

⁶ А. Д о д е, Собр. соч., в семи томах, т. 7, М., 1965, გვ. 539.

იამზე ბაბუა

ოვიდიუს ნაზონის ბიოგრაფიისათვის

ისმინე, ვინ ვიყავ მე, ნაზი, სასიყვარულო ლექსების მომღერალი,
რომელსაც კითხულობ შენ შთამომავლობა.

ასე იწყება ოვიდიუსის ერთ-ერთი ლექსი, რომელიც შედის ელეგიების კრებულში „სეულანი“, სადაც პოეტი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებს. სწორედ ეს ლექსები, რომელიც რომიდან განდევნილმა პოეტმა გადასახლების პერიოდში დაწერა, არის მისი ბიოგრაფიული ცნობების წყარო.

ოვიდიუს ნაზონი დაიბადა 43 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქ. სულმონში. იგი მხედართა წრიდან იყო გამოსული. მამამ ოვიდიუსსა და მის უფროს ძმას საკმაოდ კარგი განათლება მიაღებინა. გაგზავნა ძმები რომში, სადაც ისინი დაეუფლნენ რიტორიკულ ხელოვნებას. მაშინდელი წესების თანახმად სწავლა ოვიდიუსმა დაასრულა საბერძნეთსა და მცირე აზიაში მოგზაურობით. რომში დაბრუნებულმა პოეტმა უარი თქვა სამსახურობრივ კარიერაზე, თუმცა ადვილად შეეძლო წარმატებების მოპოვება. ოვიდიუსის მისწრაფება თავიდანვე მუზეზისადმი სამსახური იყო. რომში პოეტი დაუკავშირდა ლიტერატურულ წრეებს. განსაკუთრებით დაუახლოვდა პროპერციუსს. ლექსების წერა ოვიდიუსმა ადრე დაიწყო:

მე კი ბავშვობიდანვე ციური ღმერთების სამსახური მომწონდა,
მუზა თავისი ხელოვნებისაკენ მენოლა მეუბნებოდა მალულად.

(„სეულანი“, IV, X, 17—20)

როგორც კი რაიმეს დაწერას მოვისურვებდი, სიტყვები თავისთავად
ლაღვებოდა ტავებზე და უმაღლეს ლექსად იქცეოდა.

(„სეულანი“, IV, X, 25—26).

ოვიდიუსის პირველი ნაწარმოები არის „ელეგიების კრებული „ტრაფობანი“, რომელიც თავდაპირველად ხუთი წიგნისაგან შედგებოდა, ხოლო შემდეგ თვითონვე პოეტს შეუშეცირებია სამ წიგნამდე. ამ ნაწარმოებით ოვიდიუსი გვევლინება როგორც რომაული სასიყვარულო ელეგიების თვალსაჩინო წარმომადგენელი. პოეტმა პირველი ნაწარმოებითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. იგი სიცოცხლეშივე გახდა აღიარებული.

შენ მე სიცოცხლეშივე მომიტანე დიდი სახელი

(რაც ასეთი იშვიათია). ასეთ დიდებას სიყვარლის შემდეგ

თუ მოიპოვებენ მხოლოდ. არაკეთარ შერს, რომელიც ყოველივეს
აზიანებს, არ გაუკრავს კბილი ჩემი შრომისათვის.

(„სეულანი“, IV, X, 121—124)

სასიყვარულო თემაზეა აგებული პოეტის მომდევნო ნაწარმოები „პეროიდები“, სადაც იგი მითოლოგიურ სიუჟეტებს ამუშავებს მეტად ორიგინალური ხერხით. ეს არის კრებული წერილებისა, რომლებსაც მითოლოგიური გმირი ქალები (მედეა, ფედრა, პიპსიპილე, ჰერო და სხვ.) უგზავნიან თავიანთ სატრ-

ფოებს. კრებულში შედის სულ ოცდაერთი წერილი, უკანასკნელი ექვსი, როგორც ვარაუდობენ, ოვიდიუსს მოგვიანებით, გადასახლების პერიოდში შეუთხზავს.

პოემაში „სიყვარულის ხელოვნება“ პოეტი რჩევა-დარიგებებს აძლევს ცალკე მამაკაცებს და ცალკე ქალებს, თუ როგორ მოიპოვონ და შეინარჩუნონ სიყვარული. ამ ნაწარმოებით ოვიდიუსი აშკარად ილაშქრებს ავგუსტუსის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც კანონიერი ქორწინების დამცველი იყო და ცდილობდა აელაგმა თავაშვებული ვენებები და აღვირახსნილობა. სწორედ ამ პოემამ (ნაწილობრივ „ტრფობანმაც“) ითამაშა გარკვეული როლი პოეტის ცხოვრების ტრაგედიაში. იგი გახდა საბაბი ოვიდიუსის გადასახლებისა ქ. რომიდან შორს, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, სადაც მეგობრებსა და ნათესაებს მოწვევტილმა პოეტმა დაასრულა თავისი ცხოვრების მწუხარე დღენი.

გადასახლებაზე კიდევ ორი პოემა დაუწერია ოვიდიუსს: „განქვრნებაში“ სიყვარულისაგან“ და „კოსმეტიკური საშუალებანი“. ამ უკანასკნელის მხოლოდ დასაწყისია შემორჩენილი. ამავე პერიოდში შეუთხზავს პოეტს ტრაგედია „მედია“. რომელშიც ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით მოაღწია.

უკვე სახელმძღვანელო იყო ოვიდიუსი, როცა ხელი მოჰკიდა ორი პოემის წერას. ესენია „მეტამორფოზები“ ანუ „გარდაქმნანი“ და „ფასტები“. „მეტამორფოზები“ ვრცელი პოემაა, რომელშიც მრავალი მითოლოგიური სიუჟეტია გადმოცემული. ნაწარმოები თხუთმეტი წიგნისაგან შედგება. დაწერილია იგი დაქტილური ჰეგზამეტრით. „ფასტებში“ ოვიდიუსი რომაულ მიუზებს ამუშავებს. ვერ მოასწრო პოეტმა ამ ნაწარმოებების სრულყოფა. რომ მოულოდნელად თავს დაატყდა იმპერატორის რისხვა. იგი 8 წ. (ძვ. წ.) გადაასახლეს შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ქ. ტომისში (ახლანდელი კონსტანცა). სადაც პოეტმა სიკვდილამდე იცხოვრა.

გადასახლების პერიოდში ოვიდიუსმა დაწერა „სევდანი“, „წერილები პონტოდან“, „იბისი“ და „თევზის ქერის შესახებ“.

რით დაიმსახურა ოვიდიუსმა ესოდენ დიდი გულისწყრომა იმპერატორისა, რატომ გაპოუტანა ავგუსტუსმა მას ასეთი მკაცრი განაჩენი და მიუხედავად პოეტის ვედრებისა. არათუ არ შეიწყინარა იგი, არამედ ოდნავად არ შეეღწებუქა მას სასჯელი. ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს დღემდე ვამოცანად რჩება. თვითონ ოვიდიუსი გადასახლების მიზეზად ორ ფაქტს ასახელებს: ერთია მისი წიგნი „სიყვარულის ხელოვნება“ და მეორე „შეცდომა“. რომელიც ნაწილებლივ მოსვლია:

მე რომა უკანასკნელს მიმხვერბლა, სიძულეება და შეცდომა.

ამ უკანასკნელს შესახებ სიძობ, რომ არაფერი ვიქვი.

(„სევდანი“, II, 207—208)

პოეტს სანანებლად გაუხდა სასიყვარულო ლექსები. რომლებშიც მწუხარება მოუტანეს:

ქაო ოღესღაც ჩემს მუხამ.

(„სევდანი“, V, 18)

ოვიდიუსმა იცის. მთავარი ბრალდება მისი წიგნისადმი ის არის. რომ იგი ქადაგებს თავისუფალ სიყვარულს, რითაც ეწინააღმდეგება ავგუსტუსის კანონებს ოჯახისა და კანონიერი ქორწინების შესახებ. პოეტი ცდილობს, ვამართ-

ლება მოუძებნოს თავის ნაწარმოებს. ჩემი ლექსები არაფერ ცუდს არ ასწავლიან რომელმა მატრონებს, — წერს პოეტი, — შეიძლება მასში იყოს რაიმე საზიანო, მაგრამ თუ ასე მკაცრად განესჯით, მაშინ უნდა აიკრძალოს ცირკი, თეატრი და ყოველგვარი სანახაობა. სადაც ადამიანს შეუძლია ბევრი ისეთი რამის მოსმენა ამ დანახვა. რაც მას დანაშაულისაკენ უბიძგებს:

რა მოხდებოდა მშები რომ დამეწერა, წრეგადასული ხუმრობანი, რომლის საგანი ყოველთვის აკრძალული სიყვარულის დანაშაულა, სადაც წარმოგვიდგება მუდამ ღამაში მრეში: ცოლი ცბიერი სიტყვებით აკურებს ბოიყ ქმარს. ამ სანახაობას ესწრება ქალი თუ კაცი, ეყო თუ ქალწული და ხშირად სენტიც მოდის. ამაზე მეტიც, ეუბნებ ავსება ბილწისიტყვაობა, თვალბი ვჩვევა და იაშენს მოჯალ ურცხვობას, ხოლო რიცა საყვარელი მოხერხებულად ატყუებს ენმეს, ტაშით აიღოდებენ და წყალობის ნიშნად პალმას აძლევენ.

(„სევდანი“, II, 497—506)

ოვიდიუსმა კარგად იცის, მისი ლექსებისადმი წაყენებული ბრალდება არ არის მთლად უსაფუძვლო, ამიტომ იგი ყოველთვის როდი ახერხებს ბოლომდე იმპერატორს თავი. როგორც ჩანს, „სიყვარულის ხელოვნება“ ოვიდიუსის გადასახლებისათვის საბაბი უნდა ყოფილიყო მხოლოდ. იმპერატორსა და პოეტს შორის მუდამ კარგი ურთიერთობა ყოფილა და იგი არ შეცვლილა, სანამ პოეტის თავისმა შეცდომამ არ დაღუპა.

კი მასოეს, შენ მოსაწონად მოგანდო ჩემი ქცევები
და ჩემი ცხოვრება, როცა მე შენი ნაბორები ცხენით დადიობი.

(„სევდანი“, II, 69—90)

იმპერატორს ადრე არც გაუმახვილებია ყურადღება ოვიდიუსის „სახუმარო“. „გასართობი“ წიგნზე (ასე უწოდებს ხშირად ნაზონი თავის წიგნს „სიყვარულის ხელოვნებას“), სანამ პოეტის „გაუფრთხილებლობის“ („შეცდომის“) შენდევ სხვებმა არ მიუთითეს მასზე:

ავლაზე უღობიერი და მკაცრი მტერი ის იყო ჩემთვის,
როცა შენ ჩემი გასართობი სომღერები წაგოცობა.

(„სევდანი“, II, 77—78)

მე ასლა დამნაშავედ მოაცხ, მაშინ კი, როცა ლექსები
გამოვეუ, მრავალჯერ ჩამივლია მშვიდად შენს წინ.

(„სევდანი“, II, 541—542)

ოვიდიუსი ენერგიულად და საკმაოდ ოსტატურად ცდილობს უცოდველად წარმოგვიდგინოს თავისი ლექსები. მისთვის, ბრწყინვალე ორატორისათვის, არ არის ეს ძნელი საქმე. მაგრამ ფაქტია, რომ „სიყვარულის ხელოვნება“ ეწინააღმდეგება ავგუსტუსის კანონებს არა მარტო ოჯახისა და კანონიერი ქორწინების, არამედ სამხედრო სამსახურის შესახებაც¹, თუმცა მხოლოდ ლექსებს არ გამოუწვევია ოვიდიუსის ტრაგედია. იმ საბედისწერო „შეცდომას“, რომელსაც ნაზონი არა ერთხელ იხსენიებს თავის ლექსებში, ისე განურჩევია იმპერატორი, რომ საჭიროდ უცნია მისი თავიდან მოშორება. ოვიდიუსი ცდილობს, არსად არ გაამჟღავნოს ეს დანაშაული, უფრო რომ არ განარჩიოს იმპერატორ-

¹ Покровский М. М., Очерки по римской истории и литературе, С.-б, 1907, 69—74.

რო. თუმცა პოეტის ზოგიერთმა ფრაზამ და სიტყვამ შეიძლება რაღაც მიჯვანისნოს. ოვიდიუსის დანაშაული არ არის პოლიტიკური ხასიათისა. იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ არც კი შეიძლება დანაშაული ეწოდოს.

მე შემიძლია იმედიე კი მჭონდეს ხსნისა,

რადგან დაეისაჟე არა სისხლს სამართლის დანაშაულის გამო.

(„სევედანი“, V, 43—44)

გთხოვთ, გამოვთ, ჩემი განდევნის მიზეზი შევდომა არის მხოლოდ

(აქვენ მაინც ვერ მოგატყუებთ) და არავითარი ბოროტი საქციელი.

(„სევედანი“, IV, X, 89—90)

მიზეზი ჩემი დანაშაულისა არის შევდომა. არ არის ადვილი

იმის ვამხელა, რაც მოხდა, თანაც საშიშია. საბედისწერო ბოროტების

მიწვე თვალები ვახდა. სული შეფთავს, როცა იმ დროს და იმ პრილობას

ეივონებ. თითქოს იღვიძებს ახალი ტკივილი. საქროა, ეს საიდუმლო

წყევდიანა ლამეშ დაჟაროს, რადგან მას შეუძლია სირცხვილის მოტანა.

მაშ, ასე. არაუერს ვიტყვი, თუკი შეუცოდეს, მაგრამ არავითარი

გასამრჩელო ამ დანაშაულისათვის არ მომიღია. მხოლოდ სისულელე შეიძლება ეწოდოს მას, თუ კი აუცილებელია ნამდვილი სახელის დარქმევა.

(„სევედანი“, III, VI, 26—35)

მეველევართა ნაწილი ვარაუდობს. რომ ოვიდიუსის გადასახლება რაღაც კავშირში უნდა ყოფილიყო ავგუსტუსის შვილიშვილის — იულია უმცროსისა და სილანის რომანთან. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია, ოვიდიუსი ხელისშემწყობი იყო მათი რომანისა, ან დაისაჯა იმიტომ. რომ არ დააბეზლა ისინი?

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. მაგრამ იგი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს:

1. პოეტს ძალზე გვიან, რვა წლის შემდეგ, აგებინეს პასუხი „სიყვარულის ხელოვნებისათვის“ და გაასახლეს იმავე წელს, როდესაც განდევნილ იქნენ რომიდან იულია და სილანი.

2. ოვიდიუსს განზრახ არ ჩაუდენია დანაშაული. იგი შემთხვევითობის მსხვერპლი გახდა:

ბოროტი საქციელის გამო როკი მოესულვარ პონტოს ნაპირებთან.

(„წერილები პონტოდან“, II, IV, 67.)

სიურთხილოთ მაინც რომ ამეცდინა ეს ბოროტება.

ნუთუ არავითარ გონებას არ ძალუქს ბედისწერის დამარცხება?

(„სევედანი“, III, VI, 17—18)

ჩემს საქციელში არც დანაშაულია, არც წინასწარი განზრახვა.

ამას ღმერთიც გრძნობს, რადგან არ წაპართუა სიცოცხლე.

(„სევედანი“, IV, IV, 44—45)

3. პოეტი უნებლიე მოწმე გამხდარა რაღაც დანაშაულისა:

რატომ დაეინახე რაღაც თვალებმა რატომ ჩაიდინეს დანაშაული?

წინდაუხედავმა რატომ შეიტყუე დანაშაული?

აქტონმა, მიწველი დიანა რომ დაინახა უნებლიეთ,

საკეთარი ძაღლების უღუფა გახდა. ცხადია, ღმერთებს ფორტუნაც

კი შეუძლიათ დასაჯონ, როცა სახელა შეურაცხყოფილია, არ

არის შეწყნარებისათვის არავითარი მიზეზი, იმ დღეს, როცა

პატარა შევდომამ შეიტყუა, დაიანგრა მკორე, მაგრამ ულაქო სახლა.

(„სევედანი“, II, 104—110)

ოვიდიუსი არაერთგზის მიმართავს მითოლოგიურ პერსონაჟებთან შედარებებს, როცა თავის ცხოვრებას მოგვითხრობს, და ეს შედარებები ყოველთვის ახლოს დგას იმ ფაქტებთან, რასაც ის გადმოგვცემს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქტეონის მაგალითი პოეტს ტყუილუბრალოდ არ მოუტანია. მითი აქტეონსა და დიანაზე ოვიდიუსს დამუშავებული აქვს „მეტამორფოზების“ III წიგნში. აქტეონმა ტყეში ნადირობისას დიანახა შიშველი დიანა, რამაც ქალღმერთი აღაშფოთა და სასტიკად იძია შური მასზე. გადააქცია აქტეონი ირმად და საკუთარ ძაღლებს დააგლეჯინა. რა დაშავა აქტეონმა? არაერთი ბრალი მას არ მიუძღოდა ქალღმერთის წინაშე. იგი მისი შერცხვენის მხოლოდ შემთხვევითი მოწმე გახდა. რაღაც მსგავსი დანაშაული უნდა ჰქონოდა ოვიდიუსსაც. ხომ არ იყო იგი უნებლიე მხილველი ავგუსტუსის შვილიშვილის იულიას სასიყვარულო ინციდენტისა? და ამით ხომ არ გააღიზიანა მან იმპერატორი? ავგუსტუსის კანონები მკაცრად სჯიდა ოჯახის დამრღვევს. არის მაგალითები იმისა, რომ ასეთი დამნაშავე სიკვდილსაც კი იმსახურებდა³. ყველა ვალდებული იყო დაეცვა ოჯახის ღირსება. ქალი, რომელიც ღალატს ჩაიდენდა ნეულლის წინაშე, საკუთარ მამასა და ქმარს უნდა წარედგინათ სამსჯავროსათვის. როგორც ცნობილია, იმპერატორმა ავგუსტუსმა ქ. რომიდან გააძევა თავისი ქალიშვილი იულია და შვილიშვილი იულია ამორალურობისათვის. არაა გასაოცარი, რომ მან არც ოვიდიუსი დაინდო, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყო იულია უმცროსის ამბავთან (თუმცა პოეტი სულ სხვა საბაბით გადასახლა).

4. ოვიდიუსის დანაშაული სირცხვილთან არის დაკავშირებული:

იმედი მაქვს, რომ ღმერთი შემწყნარებელს შეაძლება იმტაო, რომ ჩემი დანაშაული ბოროტებაზე არ ასულა. მას სიძულელია აო დაუმსახურებია, თუმცა სირცხვილს კი ვერ გაიქცა.

(„სეველიანი“, V, VIII, 22—24)

საჭიროა, ეს საიდუმლო წყვილაღმა ღამეშ დაცაროს, რადგან მას შეუძლია სირცხვილის შიტანა.

(„სეველიანი“, III, VI, 31—32)

5. იმპერატორმა ისე გაასახლა პოეტი, რომ არ მოიწვია სენატი, თანაც „გაძევებულად“ კი არ მოიხსენია იგი ბრძანებაში, არამედ „მომორებულად“:

ჩემი დანაშაული არც სენატის დაოვენილებით დასჯილა, არც არჩეულ მსაჯულს ებრძანებია ჩემი განდევნა. რისხვა დამატებე თავს (როგორც ეს ღმერთებმა სჩვეიათ). პირაღო შეურაცხყოფისათვის საკადრისად დამსაჯე. ამას თან დაურთო ბრძანება, უადრესად მროსხანე, თუმცა სასჯელს სახელში შემწყნარებლობა მოიქმნ. რადგან იწონობი არა გაძევებულად, არამედ მომორებულად.

(„სეველიანი“, II, 131—133)

6. ის დანაშაული, რამაც პოეტი იმსხვერპლა, ყველასათვის კარგად ყოფილა: ცნობილი:

ჩემი დაღუპვის მიზეზი ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მე კი არ უნდა დავიმოწყო ეს ამბავი.

(„სეველიანი“, IV, X, 97—100)

³ Cornelius Tacitus, „Annales“, IV, 44.

7. იმპერატორის რისხვა შეეძლო იმას გამოეწვია, რომ ოვიდიუსმა, იცოდა რა იულიასა და სილანის რომანი, არ დააბეზლა ისინი:

მე არაღერი არ მიტყამს. ენას შეჯარა არ წაშო-უტყამს.
 ღვინით გაბრუებულს არ დამცდენა შეურაცხყოფელი სიტყვები.
 აჯალბმა დაინახეს უნებლო დანაშაული. დაინახე,
 ჩემი შეცდომა მხოლოდ თვალების ბრალია. მართალია,
 პოეტი ცოდვის დაჟიარეს ვერ შეეძლებ, მაგრამ ნაწილი
 ჩემი დანაშაულისა შეუდომა არის,

(„სეულანი“, III, V, 47—52)

მიშმა ან უფრო შეიღობამ მომიტანა საწყელი.

(„სეულანი“, IV, IV, 39)

ოვიდიუსი დაისაჯა როგორც ხელისშემწყობი კანონსაწინააღმდეგო საქციელისა, თუმცა მას ამისათვის არავითარი გასამრჯელო არ მიუღია. ამიტომ ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში:

ჩემს დანაშაულს სიძულელი არ დაუნახებრება,
 მაგრამ სიტყვილს კი ვერ გაეცა იგი

(„სეულანი“, V, VIII, 24).

ამრიგად, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. პოკროვსკი⁴, ოვიდიუსის თავისმართლებანი შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს: „1. Его литературная деятельность не была сознательной пропагандой прелюбодеяния. 2. Он сознательно, или бессознательно он не злоумышлял ни против Цезаря, ни против римского народа. 3. Он был лишь невольным свидетелем некоего позорного деяния, лично оскорбившего императора, но корысти из этого не извлек“⁴.

ისმის კითხვა. რამდენად შეიძლება ვერწმუნოთ პოეტს. რა თქმა უნდა, მისი სიტყვების ყოველთვის ჭეშმარიტებად მიღება ძნელია. ხშირად ოვიდიუსი საესებით უდანაშაულოდ წარმოგვიდგენს თავს, ზოგჯერ კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს:

შენი რისხვა ზომიერიც კია, რადიან სცოცხლე
 შემინარჩუნე. არც მოქალაქეობრივი უნლება, არც სახელი
 წამართვი. არც ჩემი საჯიბრება დაუფრე სხვისი. განდევნალადაც
 კი არ მომიხსენიე. ყველაფერი მაინ შემაშინა, რადიან ეხედავდი,
 რომ დაეშინახური. მაგრამ შენი რისხვა ჩემს დანაშაულზე
 გაყოლებით მსუბუქია.

(„სეულანი“, V, II, 55—60)

ორი მძიმე სასჯელი მაწუხებს: რომ სამშობლოა და
 მეგობრებს მოწყურელი ვარ და ვიყოფები სჯიარის
 საზღვრებთან. შეიძლება დაეშინახეთ ი. რომ რომი
 აღარ მეხილა, მაგრამ ასეთ აფილზე ცხოვრების ღირსი კი არ
 ვიყავი. რას ვამბობ მე უგუნდობი კეთრის სახელია
 შეურაცხყოფისათვის სიკვდილის ღირსი კი ვიყავი.

(„სეულანი“, V, X, 47—52)

ცდება ის, ვინც გატყეებულად მთვლის. ჩემს დანაშაულს
 შედარებით იოლი სასჯელი მოჰყვა. უღიდესი ცოდა ჩემი

⁴ Похровский И. М., Очерки по римской истории и литературе, СПб, 1967, гл. 74.

ის არის, რომ თვით იგი შეტრაცხეა. ი, ნეჯავ სოკელილის
საათი დამდგარყო ჩემთვის.

(„სევედანი“, V, XI, 9—12)

ამრიგად, აღრინდელ ლექსებში ოვიდიუსი მუდამ ერთსა და იმავეს ამბობს: არავითარი ბრალი არა მაქვს, მხოლოდ შეცდომა არის ჩემი დანაშაულო. შემდეგ კი აღიარებს: მძიმე ცოდვა მაქვს, უფრო მკაცრი სასჯელის ღირს ვიყავიო. არის რაიმე შეუსაბამობა პოეტის ამ ორ განცხადებას შორის? რა თქმა უნდა, არა. ოვიდიუსი არავითარ ახალ დანაშაულს არ აღიარებს. იგი უბრალოდ, ცდილობს მოუღბოს გული იმპერატორს და დაამშვიდოს მეუღლე (რომელსაც გული ატკინეს იმით, რომ დევნილის ცოლი უწოდეს). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს მაგალითები ამოღებულია „სევედანის“ ბოლო, V წიგნიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოეტმა შეცვალა ტაქტიკა. იგი უკვე მძიმე დანაშაულს იღებს თავზე, რომ იქნებ ამით მაინც დაიმსახუროს შებრალება და სასჯელის შემსუბუქებას მიადწიოს. უსასრულო აღმოჩნდა ოვიდიუსის ვედრებ-გოდება. იგი არ შეიწყენარა არც ახალმა იმპერატორმა ტიბერიუსმა, თუმცა სილანიც კი დააბრუნა გადასახლებიდან. ამ ფაქტიდან გამომდინარე გამოითქვა შეხედულება, რომ ოვიდიუსის გადასახლების მიზეზი სხვა ფაქტორით აიხსნას: შესაძლებელია, პოეტი პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას წარმოადგენდა ლივიასა და ტიბერიუსისათვის და ისინი შეეცადნენ, თავიდან მოეშორებინათ იგი, რათა ამით თავისი ძალა ეჩვენებინათ მტრებისათვის. დაარწმუნეს რა ავგუსტუსი, რომ „სიყვარულის ხელოვნება“ მის მიერ დადგენილი კანონების საწინააღმდეგო აზრებით იყო სავსე, გაასახლებინეს პოეტი⁵. მართლაც, დასაშვებია, რომ სწორედ ლივიამ და ტიბერიუსმა გაამახვილებინეს ავგუსტუსს ყურადღება ოვიდიუსის ლექსებზე, მაგრამ ამ ვითარებას შეეძლო მხოლოდ გაემწვევებინა საკითხი და დაეჩქარებინა პოეტის გადასახლება. შემდეგ კი, როდესაც ტიბერიუსმა ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, მას შეეძლო უკვე თავისი სურვილის მიხედვით მოპყრობოდა ოვიდიუსს, ხოლო კანონი (რომელიც მან 15 წ. ძვ. წ. აღადგინა), რომლითაც ისჯებოდნენ ისინი, ვინც ოდნავ მაინც შეურაცხყოფდა ავგუსტუსის სახელს. უფლებას აძლევდა ტიბერიუსს არ შეეწყენა რებინა პოეტი.

სამშობლოს მოშორებულ, ყველასა და ყველაფერს მოწყვეტილ ოვიდიუსს უკანასკნელი სურვილიც კი არ შეუსრულდა, დაესაფლავებინათ თავის სამშობლოში:

ეცადე, ძელებო მაინც დააბრუნონ პატარა ღრნო.

მკვდარიც დიენილო ნუ ვიქნები, ამას არაფერ ავიკრძალავს.

მეფემ ატყრდალა, მაგრამ თებულმა მაინც დამალა იმა და სთუჯავიკ გაუთხარა. შენც შედრიო იგი (ფეროლი) ფოთლებსა და ამოძს იხენილს და საძმე ქალაქგარეთ ჩაივლო, რომ აჩქარებულმა მგზავრმა თვალემით წაუკითხოს სტრიქონება, სამარხის მარმარილოზე მსხვილ-ნაქდევით ამოკვეთილი: აქ განესვენებ პოეტი ნაზონი, ბიძგურალი ნაზი სიყვარულია, ვინც საყუთარმა ნიჭმა მიმსხერადა.

ოვიდიუსი გარდაიცვალა ქ. ტომისში 18 წელს და იქვეა დასაფლავებული.

⁵ Б е л е ц к и й А., Овидий Назон и его творчество, М., 1937, გვ. 21.

ლილი ჟორჟოლიანი

ირანული საგმირო ეპოსის სათავეებთან

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მრავალ საინტერესო და მიმზიდველ ეპიზოდთა შორის ყურადღებას იქცევს ამ უკვდავი ქმნილების მთაბოლოოგური ნაწილის ერთი ეპიზოდი, რომელიც მოგვითხრობს ღვთისმგმობელ მეფე ჯიმშედისაგან ირანის სამეფო ტახტის მიმტაცებელ მხარველიან ზაჰქის ათასწლოვანი ადამიანობისა და ამ ტირანისაგან გზირი ფირდონის წიერ ხალხისა და ქვეყნის ვართა-სსუფლების შესახებ!

ეს ეპიზოდი, რომელსაც „ზაჰქის ეპიზოდის“ სახელით გამოყოფენ, საინტერესოა არა მხოლოდ მასში გადმოცემული ამბებისა და პერსონაჟების მხატვრული სახეების მხრივ, არამედ იმიტომაც, რომ იგი განსხვავებულად იკითხება „შაჰ-ნამეს“ სპარსულსა და ქართულ ვერსიებში.

ცნობილია, რომ ფირდოუსის მიერ მხატვრულად დამუშავებულ ირანის მითურ მეფეთა შესახებ თქმულებებსა და ლეგენდებს სათავე ირანელთა და არაფე უფრო შორს — არიელთა კოსმოგონიურ და თეოგონიურ წარმოდგენებში აქვთ. ისინი საუკუნეთა მანძილზე შეინახა ირანელმა ხალხმა ზეპირგადმოცემებისა და წერილობითი ძეგლების საშუალებით და მათ საბოლოოდ ჩამოკლებული სახე ფირდოუსის თხზულებაში მიიღეს.

ჩვენ მიზნად ვისახავთ ძველ ირანულ წყაროებში (ავესტა, ფალაურ ანუ საშუალო სპარსულ ენაზე არსებული ზოროასტრული რელიგიური ლიტერატურა) დავძებნით ზემოთ დასახელებულ მეფეთა შესახები თქმულებები (უფრო სწორად თქმულებათა ნაშთები), შევუპირისპიროთ ისინი ინდო-ევროპულთა ზოგიერთ მითოლოგიურ სახეს, რათა თვალი გავაღვიწყოთ, თუ როგორ უცვლელია და ყალიბდებოდა აღნიშნულ მეფეთა შესახები თქმულებები და ლეგენდები საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე ისინი გაფორმდებოდნენ იმგვარად, როგორც ფირდოუსისთან წარმოგვიდგებიან.

პირველ წყაროს, რომელშიც ძველი ირანული თქმულებების კვალს ვპოულობთ, წარმოადგენს ირანელთა ისლამამდელი რელიგიის — ზოროასტრიზმის სლეთო წიგნების კრებული, სპარსული მწერლობის პირველი და უძველესი ძეგლი „ავესტა“. რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახით მოაღწია.

ძველი ირანული თქმულებები, რომლებმაც ასახვა პოვეს ავესტაში და შემდგომ ფალაურ რელიგიურ ლიტერატურაში, შეგუებულ იქნენ ზოროასტრიზმის დოგმატიკის მოთხოვნებთან. ისინი მჭიდროდ არიან გადაწნულნი ამ რე-

1 სავსე არა სახელები მოგვეყვს ქართული ლიტერატურული ტრადიციული ფორმებით, რომლებიც მომდინარეობენ „შაჰ-ნამედან“ ანუ ამ მეფეთა სახელების ახ სპარსული ფორმებიდან جمشید (Jamšid), ضحاک (Zahāk), فریدون Faridun).

ლიგიის საფუძვლებთან და, ისე როგორც ირანელთა ძველი რელიგია, ატარებენ მკაფიოდ გამოკვეთილ დუალისტურ ხასიათს. ამიტომ, ვიდრე აღნიშნულ წყაროებში წარმოდგენილ ჯიმშედ-ზაქ-ფრიდონის თქმულებებს შევხვებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვის თქმა ამ რელიგიური მოძღვრების შესახებ.

ზორასტრული რელიგიის მალიარებელთა წარმოდგენით ერთმანეთს უპირისპირდება ქვეშარიტი ღმერთი სიკეთისა და სიცოცხლისა ორმუზდი (ავ. Ahura Mazda, ფალ. Auharmazd და Ohrmazd, მოგვ. Hormizd)² და არქიდემონა ბოროტებისა და სიკვდილისა აპრიმანი (ავ. Angra Mainyu, ფალ. Aharman ახ. სპ. Anrīman)³. სამყარო გაყოფილია ორ ნაწილად: სამყარო სიკეთისა და სამყარო ბოროტებისა -- სინათლისა და სიბნელის სინბლოთი.

ყოვლისმცოდნე და ქვეშარიტმა ღმერთმა ორმუზდმა მის მიერ შექმნილი მატერიალური სამყაროს არსებობა 12 000 წლით განსაზღვრა. პირველი სამი-ათასწლეულის ბოლოს სამყაროს ევლინება აპრიმანი. ორმუზდი და აპრიმანი, წინასწარი შეთანხმების შემდეგ, 9 000 წლის განმავლობაში ებრძვიან ერთმანეთს სამყაროში გასაბატონებლად. ორივე მათგანს ჰყავს თანამებრძოლები და დამხმარენი მათ მიერვე შექმნილი ნათელი და ღემონური სულების, კეთილი და ბოროტი არსებების სახით.

ზორასტრული რელიგიური მოძღვრების თანახმად, ადამიანი ორმუზდმა შექმნა თავის მოკავშირედ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი შექმნილია აგრეთვე ყოველივე, რაც ხელს უწყობს ადამიანთა სიცოცხლეს, გამრავლებასა და კეთილდღეობას. ამის გამო აპრიმანი, ბოროტ სულთა რაზმისა და მავნე ქმნილებების მეშვეობით, იბრძვის ადამიანთა მოსასპობად და მის შექმნილად ითვლება ყოველივე, რაც ადამიანთათვის საზიანო და ვნების მომტანია.

როგორც ვხედავთ, ამ რელიგიური მოძღვრების არსი სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა. მხოლოდ 12 000 წლის გასვლის შემდეგ მომხდარ კეთილ და ბოროტ ძალთა გადამწყვეტი ბრძოლისას, ყოვლისმცოდნე ორმუზდის წინასწარგანკვირების თანახმად, საბოლოოდ დამარცხდება ბოროტება და ქვეყნად მარადიული სიკეთე დამკვიდრდება.

ავესტის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში ცალკეული ნაწყვეტებისა და პატარა ეპიზოდების სახით იკითხება თქმულება ჯიმშედის — ავესტის ა ი მ ა ს (Yima), ზაქის — ავესტის აჟი დაჰაკას (Aži Dahāka) და ფრიდონის — ავესტის თრაეტაონას (Frəštər) შესახებ⁴. თუმცა, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ, შეიძლება, რომ ისინი ადრე უფრო ვრცელი და სრული უნდა ყოფილიყვნენ. მართალია, ეს ნაწყვეტები ავესტის სხვადასხვა ნაწილში (მასნა, მაშტები, ვენდიდადი) არიან გაბნეულნი, მაგრამ ზორასტრიზმის დოგმატიკის გათვალისწინებით და „შაჰ-ნამეს“ ზემოაღნიშნული ეპიზოდის დახმარებით მა-

² ა ა ჯ რ ა მ ა ზ დ ა ს ეტიმოლოგია ასეთია: Ahura — „უფალი, მუეუე“ და Mazda „გონების შემოქმედი, ყოვლისმცოდნე“ (იხ. E. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1950, გვ. 34).

³ ამ სახელს მთავრად ნაწილი — Mainyu — ნიშნავს „სული“, ხოლო Angra-ს შესახებ ე. ბერტელსი წერს: „სიტყვა Angra-ს ეტიმოლოგია სავსებით ნათელი არ არის, მაგრამ უნდა ვთვლიყოთ, რომ იგი ნიშნავს — „შემეიწროებელი“ (იხ. E. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, გვ. 38).

⁴ წყაროების მამოხილვისას ტექსტებში წარმოუვნილ საკუთარ სახელთა ფორმებს დაეიყვანა.

თი ერთმანეთთან დაკავშირება და გარკვეული მთლიანობის სახით წარმოდგენა შესაძლებელია.⁵

რადგანაც ამ თქმულებათა ნაწყვეტებს ჩვენ ავესტის ფრანგულ თარგმან-
ნი⁶ გვეყვანით და მათი ტექსტის სრული სახით წარმოდგენა ჩვენი მიზნისა-
თვის აუცილებლად არ მიგვაჩნია, ამიტომ ძირითადად მათ შინაარსს გადმოვ-
ცემთ, ხოლო ზოგჯერ ციტირებასაც მივმართავთ. ქართულ ენაზე არსებული
ავესტის ფრაგმენტის თარგმანიდან⁷

ასე გვაუწყებს ავესტა: ვივაჰვანტს, ჰაომას⁸ პირველ თაყვანისმცემელსა
და ხორციელი ქვეყნისათვის მის პირველ გამომწურავს, ის მაღლი მიენიჰა.
„რომ შეეძინა ვაჟიშვილი. ღიმა მეფე, ჯომარაუალი, უბრწყინვალესი შობილ-
თა, მზის მსგავსი ადამიანთა შორის, რომელმაც თავის მეფობაში უკვდავყო
ადამიანი და ცხოველი, უშრობელ წყალი და მცენარე, უღვევლ საქმელი და
(სასმელი)“⁹.

ღიმას მეფობისა და მისი საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს ვენდიდადი:
აჰურა მაზდამ, ადამიანთაგან პირველს, შესთავაზა ღიმას, რომ ყოფილიყო მისი
მოდერების გამაერთიანებელი და დამცველი, მაგრამ მან უარი თქვა ამ მისიანე
და ივალდებულა მაზდას შექმნილი ქვეყნის ზედამხედველობა და გამრავლება.
პირნათლად შეასრულა მან თავისი აღთქმა. მისი მეფობისას ღელამიწა ისე გა-
იესო მცირე და დიდი ოთხფენით, ადამიანებითა და ძაღლებით, ფრინველები-
თა და წითლად აალებადი ცეცხლით, რომ იგი იძულებული იყო მაზდას ბოძე-
ბული სასწაულმოქმედი იარაღებით სამგზის გაეზარდა ღელამიწა. მასვე ხვდა
წილად ღელამიწაზე სიცოცხლის გადარჩენა. აჰურას ბრძანებით აგებული ვა-
რის (var — „თავშესაფარი“) მეშვეობით მან დალუპვისაგან იხსნა მაზდას
რჩეული კენილებანი მკაცრი ზამთარით გამოწვეული წარღვნის დროს¹⁰.

ღილხანს მეფობდა¹¹ სვებედნიერად ღელამიწის შვიდი მხარის¹² მბრძანე-
ბელი ბრწყინვალე ღიმა (ავ. Yima xšaiša) და მეფური შარავანდლით (xvarar-
rah) მოსილი¹³ „ღიმა ქველის მეფობაში არ იყო სიცივე, არცა სიცხე, არ
იყო სიბერე, არცა სიკვდილი, არც დავეთავან შექმნილი შური, ვითარცა თხეთ-

⁵ ამ პირიქით ეხელმძღვანელობთ ჩვენ აგრეთვე ფალაურ რელიჯერ წიგნებში წარმოვ-
ცეილი ამ საბი მუხის შესახებ თქმულებებს ნაწყვეტთა გადმოცემისას.

⁶ Le Zend-Avesta, Traduction nouvelle avec commentaire historique et philologique par
James Darmesteter, Tome I, II, III, Paris, 1960.

⁷ მხედველობაში ვეაქვს გ. ახეღეღიანი ს. თარგმანი: ავესტა, მანა 7. „ლიტერატუ-
რული ძეგანი“, II, თბ., 1944

⁸ Haema, Hōm — წარმოადგენს ღილხანს ღელამიწის სასმელსა, რომელსაც ზორასტრეუ-
ბი რელიჯიური რიტუალებს შესრულებისას იყენებდნენ.

⁹ ავესტა, მანა, 9, მუხლი 4, „ლიტერატურული ძეგანი“, II, გვ. 1.

¹⁰ Le Zend-Avesta, t. II, Vendidad, Fargard II.

¹¹ ვენდიდადის მე-2 ფარგარის მიხედვით მან ცხრას წელზე მეტხანს იმეფა.

¹² ძველ ირანულთა წარმოდგენით მთელი ქვეყნიერება იყოფოდა შვიდ მხარედ — ქვეყნის
(ავ. karšvar, ახ. სპ. kršvar), რომლის ცენტრში ირანი მდებარეობდა.

¹³ Xvaranah (სამ. სპ. xurra, ახ. სპ. farr) — მეფური ბრწყინვალეობა, მეფური ღილხანა —
წარმოადგენს თავისებურ ღელამიწის მაღალ, ემბლემას მეფური წარმოშობისა და კანონიერებისა,
რომელიც მის მფლობელს ანიჭებს ძლიერებასა და უძლეველობას. თუ იგი საიმართლიანია და ჭეშ-
მარიტი ღმერთის მღ. არებელია, ხვარანს საკუთარი სურვილით მოპოვება არ შეეძლება, მისი მფლ-
ვა და განმარტება ღელამს ნებაა. ეს ღელამური მაღალი ავესტის მტაცებელი ფრინველის ან ცხვარს
სახის მქონეა, ხოლო მოგვიანებით (ძველ ერესკებზე) იგი გვირგვინის ან შარავანდლის სახით
წარმოგიდგება.

მეტის წლისანი მიმოდიოდნენ მამა და შვილი, სანამ მეფობდა ჯოგმრავალი
 ამა ვივაჰვანტის ძე¹⁴.

მაგრამ მიღწეული წარმატებებით გაამაყებულმა მიმამ შეიყვარა ცრუ და
 არასწორი სიტყვა. რის გამოც მას განშორდა ღვთაებრივი ბრწყინვალეობა,
 დაცა მისი ძლიერება და ხეარნასაგან მიტოვებული მტრების შიშით მიწის-
 ქვეშეთში იმალებოდა¹⁵.

ოდესღაც უძლიერესი და ბრწყინვალე მიმას აღსასრულის შესახებ ძალზე
 ძუნწ ცნობას გვაწოდის მე-19 ადგილი, რომელიც, მოგვითხრობს რა მიმასაგან
 განშორებული ხეარნას ხელში ჩასაგდებად კეთილი და ბოროტი საწყისის
 ბრძოლაზე, ასახელებს ორივე მხარის მებრძოლებს. ანჰრა მიანიჟუს მომხრეთა
 შესახებ ნათქვამია, რომ ესენი იყვნენ ავა მანა¹⁶, აეშმა¹⁷, აჟი დაჰაკა და სპი-
 ტურა¹⁸, რომელმაც მიმა შუაზე გახერხა¹⁹.

მიმას სიკვდილის შემდეგ ქვეყნიერებას ეპატრონება და ძალუფლებას
 ხელთ იგდებს აჟი სულის ქმნილება აჟი დაჰაკა²⁰, რომელსაც ასე გვიხანსიათებს
 ავესტა: „გველეშაპი დაჰაკი, სამხანა, სამთავა. ექვსთვალა, ათასხერხიანი, უძ-
 ლიერესი ეშმაკეული ურჩხული, საძაგელი, მაცდუნებელი ქვეყნისა. ეს უძლი-
 ერესი ურჩხული შექმნა ავმა სულმა ხორციელი ქვეყნის წინააღმდეგ, მარ-
 თალთა ქვეყნის დასაღუპავად“²¹.

აჟი დაჰაკას მბრძანებლობისას ქვეყნად მკვიდრდება ყოველგვარი სიამე,
 უწმინდურება და ჭადოქრობა, მაგრამ მისი ამ ქვეყნად მოვლინების ძირითად
 მიზანს დედამიწაზე ადამიანთა გაუღეტა წარმოადგენს. ასე მოგვითხრობს თქმუ-
 ლება: სამხანა აჟიმ ურიცხვი მსხვერპლი შესწირა არდვისურა ანაპიტასა²² და
 ეაჟუს²³ და შეევედრა მათ, რომ დახმარებოდნენ მას დედამიწის შვიდ მხარე-
 ში მბრძანებლობასა და მის ადამიანთაგან დაცარიელებაში, მაგრამ მისი თხოვნა
 არც ერთმა არ ილა ყურად²⁴.

დიხანს (ათასი წელი) ბოგინობს ბოროტება დედამიწაზე, მაგრამ აჟი
 დაჰაკას შემუსრავად და მის მიერ დამკვიდრებული ბოროტების მოსასპობად
 ქვეყანას ევლინება გმირი თრაეტაონა.

მე-9 ადსანა გვამცნობს, რომ ათფასს (Aīva). ჰომას მეორე გამომწურავ-
 სა და თაყვანისმცემელს, ის მაღლი მიენიჭა სანაცლოდ, „ის ბელი ეწია მას,
 რომ შეეძინა ვაჟიშვილი, თრაეტაონა, სახელოვანი გეარისა“²⁵.

¹⁴ ავესტა, ადსანა 9, მუსხლი 5, „ლიტერატურული ძეგანი“, II, გვ. 1. ავ, როგორც ჩანს, აღწე-
 რლია მიმას მეტრობას. პოიოთი, როცა იგი მასთან რჩეულ ქმნილებებთან ერთად ეარმა ცხოვ-
 რავდა და ბოროტ სულის ხელი არ მიღწეულობდა მათთვის სიამის წინაყენებლად.

¹⁵ Le Zend-Avesta, t. II, Yasht 19, § 33—34.

¹⁶ ¹⁷ Aka Manah — „სამთავარი“ და Ašma (ახ. xšma) „არსება, ბრახი“ ბოროტა
 სულის მფრთავის მოხმევი „შექმნილი“ — (ეონების (ავ. daēva, ახ. სპ. div) სახელებია.

¹⁸ Spityūra — შესასი ახ. ქვემოთ.

¹⁹ Le Zend-Avesta, t. II, Yasht 19, § 46.

²⁰ სასყლო — სწორად Aži — ნინჯე „აველი, ურჩხული“, ხოლო Daiti ან ურჩ-
 ტელის გამოთქმა — ანუ Ašma — „ამაქვეყნის, გამანადგურებელი“ (ქვერ. Aži Višpa,
 Aži Svava).

²¹ ავესტა, ადსანა 9, მუსხლი 2, „ლიტერატურული ძეგანი“, II, გვ. 2.

²² Ardvišūra Anāhita (მოკლ. Anāhit, Nahid) წყლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი.

²³ Vayu — ქარის ღვთაება.

²⁴ Le Zend-Avesta, t. II, Yasht 5, § 29—31 და Yasht 15, § 19—21.

²⁵ ავესტა, ადსანა 9, მუსხლი 7, „ლიტერატურული ძეგანი“, II, გვ. 1.

თრაეტონას, ადამიანთაგან ყველაზე უძლიერესსა და ძალგულოვანს, წილად სჯდა ღმრთისაგან განშორებული შარავანდელი, რომლის ხელში ჩასაგდებად ამაოდ იბრძოდა აქი დაჰაკა²⁶.

ამ უძლიერესი ვაჟაკის სურვილისა და მისწრაფების შესახებ მოგვითხრობს მე-5 ძაშტი: თრაეტონამ, ძემ ათვასი, მსხვერპლი შესწირა ანაპიტას და მისგან ითხოვა, რომ მიენიჭებინა მისთვის გამარჯვება სამხახოვან, სამთავა და ექვსთვალა აქი დაჰაკაზე, უძლიერეს ავსულზე, რომელიც არის საფუძველი ადამიანთა უბედურებისა. მიეცა მისთვის შემწეობა, რათა წარეტაცნა მისი ორი ცოლი — არნავაჰ (Arnavāh) და სანჰავაჰ (Sarhavāh), — ქალთა შორის უღამაზესნი ამ ქვეყანაზე²⁷.

ავესტის ფრაგმენტები არ აგვიწერენ თრაეტონასა და აქი დაჰაკას ბრძოლას, მაგრამ გვაუწყებენ, რომ სახელოვანმა თრაეტონამ სძლია ამ უძლიერეს ურჩხულს, მოკლა იგი და ქვეყანამ კვლავ კეთილი და სამართლიანი მეფე პოვა თრაეტონას სახით²⁸.

ასეთია ავესტაში შემონახული ღმრთი-აქი დაჰაკა — თრაეტონას შესახებ ძველი ირანული თქმულების ნაწყვეტები, რომლებშიც ნათლად არის გამოხატული ზორთანაბრებული რელიგიის ძირითადი პრინციპი — ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ბრწყინვალე ღმრთი, მართალია, მახვილით ხელში არ იბრძვის ბოროტ ძალთა წინააღმდეგ, მაგრამ იგი აპურა მაზდას მოკავშირე და დამხმარეა, რადგან მთელი მისი საქმიანობა დედამიწაზე სიკეთის დამკვიდრებისა და ადამიანთაგან იმ სიავის განშორებისადმი მიმართული, რაც აქი სულის მიერ არის დამკვიდრებული. აპრიმანის ბოროტ ზრახვათა განმახორციელებელია აქი დაჰაკა, ხოლო სიკეთისათვის მებრძოლი გმირია თრაეტონა, რომელიც აქი დაჰაკას მოკვლით ქვეყანასა და ადამიანებს იხსნის ყოველივე ბოროტეულისაგან.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მითიური მეფეების მსგავსი სახეები გვხვდება ვედებში, რომლებშიც შემონახულია უძველესი ინდური მითოლოგია. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა გერმანელმა ორიენტალისტმა რ. როტკმა²⁹. მკვლევარი მსგავსების პარალელს ავლებს ადამიანთათვის ამქვეყნიური ნეტარი ცხოვრების შემქმნელ ავესტის ღმრთი ვივაჰვანტის ძესა და ვედების ღმრთი ვივასვანტის ძეს (Yama Vivasanta) შორის, რომელიც, ვედი ინდოელების წარმოდგენით, ზეცის უსასრულო სივრცეში ცხოვრობს და წარმოადგენს მბრძანებელს გარდაცვლილთა სულებისა, რომლებიც ზეცაში მასთან ერთად ღმრთისა და განცხრობაში ატარებენ დროს³⁰, ხოლო თრაეტონასა და აქი დაჰაკას ბრძოლის იდენტურად თვლის იგი ვედების თქმულებას იმის

²⁶ Le Zend-Avesta, t. II, Yasht 19, § 36 და § 45—51.

²⁷ იქვე, Yasht 5, § 34.

²⁸ იქვე, t. II, Yasht 19, § 37 და Yasht 9, § 22.

²⁹ R. Roth, Die Sage von Feridun in Indien und Iran, Zeitschrift der Deutschen morgenländischen Gesellschaft, Zweiter Band., Leipzig, 1848, გვ. 216—230.

³⁰ შტრ. აგრეთვე ძველ ინდურ ეპიკურ პოემა „მაჰაბჰარატა“, სადაც ამა ძე ვივას-ვანტისა — ვანტის ძე — წარმოადგენს სოცდლის, კანონისა და მართლმსაჯულების ღმრთის და ერთხანს, სანამ იგი ხანგრძლივი მსხვერპლმეწირობით არის დაკავებული, ქვეყნად არ არსებობს სოცდლი და უჩვეულოდ მრავლდება ადამიანები. (იხ. Махавхарата, кн. I, перевод с санскрита и комментарий В. И. Кальянова, М.-Л., 1950, გვ. 494—455).

შესახებ, რომ წყლის ღვთაების აპტასა და თრიტამ (*Θριλα Ἄπτυα*) დაამარცხა სამთავა და ექვსთვალა ღრუბლის დემონი დასა (*Dasa*)³¹.

R. Roth-ის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ ამა და თრიტა ევლების მიხედვით ღვთაებებია და ბრძოლა თრიტასა და ღრუბლის დემონს შორის ზეცაში ხდება, ხოლო ავესტაში ბრძოლა ზეციდან დედამიწაზე ეშვება და ამა და თრაეტაონა მიწიერ, მოკვდავ ადამიანებზე წარმოგიდგებიან, მაინც მათ შორის მსგავსება აშკარაა და მასზე, საკუთარ სახელთა მსგავსების გარდა, ისიც მიუთითებს, რომ მეზბოლო, მტერი და ბრძოლა ორივე თქმულებაში ერთი და იგივეა.

ამ მსგავსების მაგალითზე R. Roth-ი ასკვნის, რომ ამ ორი ხალხის თქმულებები ისტორიამდელ წარსულში, როცა ინდოელები და ირანელები ერთად ცხოვრობდნენ, ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და ამიტომ არის, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი დამოუკიდებელი განვითარებისა, ამ თქმულებებში მაინც შემოინახა ბევრი ისეთი ნიშან-თვისება, რაც მათ თავდაპირველ ერთობაზე მიუთითებს³².

ჯიმშედ-ზაჰ-ფრიდონის თქმულებათა ცვლილებისა და განვითარების შემდგომი საფეხური ფალაურ ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ. რასაკვირველია, ჩვენი მიზნისათვის ყველაზე სრულყოფილი წყარო სასანიანთა ეპოქაში შედგენილი ძველ მეფეთა და გმირთა ქრონიკა „ხვატა ნამაჰ“ (მეფეთა წიგნი“). ან მისი არაბული თარგმანები იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ფალაური საერო ხასიათის ჩვენამდე შემონახული ლიტერატურული ძეგლებიც არაფერს გვაუწყებენ ჩვენთვის საინტერესო მითოლოგიურ მეფეთა შესახებ, ამის გამო უნდა დავკმაყოფილდეთ საშუალო სპარსული (ფალაური) ზორასტრული სასულიერო მწერლობის ზოგიერთი გვიანდელი (უკვე ისლამის დროს შედგენილი) ძეგლით.

წინასწარ შევნიშნათ, რომ ამ მეფეთა სახელებმა დროთა ვითარებაში ცვლილება განიცადეს და ისინი, ჩვენ მიერ გამოყენებულ ტექსტების მიხედვით, შემდეგი ფორმებით წარმოგიდგებიან: *Yima xšaeta* > *Yamšēt*-ს, ან შემოკლებით *Yam*-ს; *Aži Dahāka* > *Až Dahāk*-ს, უფრო ხშირად იკითხება მხოლოდ *Dahāk*; ხოლო *Fraxšai* > *Frēdū*-ს.

ამაშეტის შესახებ ფალაური წიგნები შემდეგს მოგვითხრობენ: „ბუნდაპიშნის“ („პირველქმნილება“ ანუ წიგნი სამყაროს შექმნის შესახებ) თანახმად ამა არის ძე ვივაჰანისა (*Vivahan*) და შთამომავალი ჰოშიანგისა (*Hōshyau*; ავ. *Ilacšyanha*, ახ. სპ. *Hūšai* §). აქვე ნათქვამია, რომ ამა, ტამპორუჰი (*Taimōruš*; ავ. *Tahma urupa*, ახ. სპ. *Tahmīraš*), სპიტური (*Spītūr*) და ნარსი (*Nārsi*) ყველანი ძმები იყვნენ³³.

როგორც ვხედავთ, ავესტაში ხსენებული დიშას შუაზე გამხერხავი სპიტურა, რომლის ვინაობის თუ რაობის საკითხზე ავესტის ფრაგმენტის (მე-19 ანტი, § 46) მიხედვით კონკრეტული პასუხის გაცემა ძნელია (დანამდვილ-

³¹ ევლების ზოგიერთი ნაწილების მიხედვით, ამ დემონს ერქვა აჰი (*Ahi*), ხოლო მისი დასაოცრებულ თრიატანა (*Frāitana*), რაც უფრო ახლოს დგას ავესტურ *Fraxšaitana*-სთან (იხ. R. Roth, *Die Sage von Feridun in Indien und Iran*, გვ. 219).

³² იხ. იქვე, გვ. 216—226.

³³ *The Bundahishn*, თავი XX XI, § 2—3. *Pahlavi Texts*, by E. W. West, Part I, Oxford, 1880.

ბით არ შეგვიძლია თქმა, ადამიანია იგი, თუ ბოროტი სულის რომელიმე ქმნილება, „ბუნდაპიშნის“ მიხედვით ამის ძმაა, რომელიც როგორც ქვემოთ ვნახავთ, მსგავსად ავესტისა, მის მოკვდინებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

მაშშეტის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ფალაური ძეგლები ძირითადად იმასვე იმეორებენ, რაც ავესტაშია მოთხრობილი. მაგალითად, „დენქარდ“ („რჭულის საქმე“) გადმოგვცემს ავესტის თქმულებას ამის მიერ აპურა მაზდას შექმნილი ქვეყნის დაცვის. გაფართოებისა და გამრავლების შესახებ. მოგვითხრობს, რომ მაშშეტმა აღასრულა ღვთისადმი მიცემული აღთქმა და თავისი მეფობისას ადამიანებსა და ცხოველებს მიაჩნია უკედეგობა, იხსნა ისინი სიბერისა და შიმშილისაგან, ხოლო ქვეყანა სინორჩითა და სიმშვენიერით სამოთხედ აქცია; რომ მან, აპურა მაზდას ბრძანებით, ააგო ვარი, რათა ყოველი არსება ეხსნა მოსპობისაგან ძლიერი წვიმით გამოწვეული წარღვნის დროს. ამავე წიგნით მამს მიეწერება საზოგადოების სასულიერო, სამხედრო, მიწათმოქმედთა და ხელოსანთა ფენად დაყოფა³⁴. ეს უკანასკნელი თქმულება (ამის მიერ ადამიანთა საზოგადოების ოთხ ფენად დაყოფა), როგორც ირანელი მკვლევარი ზ. საფა შენიშნავს, სასანელთა ეპოქაში წარმოშობილი ჩანს, რადგანაც ავესტის თქმულებებში ადამიანთა საზოგადოების ფენა სამს არ სცილდება³⁵.

ფალაური წიგნებიც მამს ღვთაებრივი შარავანდედის მქონედ წარმოგვიდგენენ და იმასაც იუწყებიან, თუ რა მიზეზით დაკარგა მან ეს ღვთაებრივი მადლი, რომლის განშორების შემდეგ მას მტრების შიშით ფარულად უხდებოდა ცხოვრება: „დატისტანი-ი დინიკ“ („რჭულის კანონები, წესები“): — „ბრწყინვალე მამს. როცა იგი აცდუნა ავმა სულმა და როცა მან, ნაცულად აპურა მაზდას თაყვანისცემისა, მძაფრად იწყო ღვთაება უმაღლესი მბრძანებლობისაყენ. განშორდა ღვთაებრივი შარავანდედი“³⁶.

„ბუნდაპიშნი“: — „ამი იქამდე მეფობდა, ვიდრე მას არ განშორდა ღვთაებრივი ბრწყინვალეობა. და ეს 616 წელი და ექვსი თვე იყო, ხოლო ამის შემდეგ იგი 100 წელი ფარულად იმყოფებოდა“³⁷.

„ჯამასპ-ნამაკ“ („ჯამასპის წიგნი“): „ამი 770 წელი და შეიდი თვე აპურა მაზდას დამჯერე იყო. როცა თავისი თავის თაყვანისცემა დაიწყო და თავი ღმერთად ჩათვალა, წარმატებებისაგან, ძლიერებისა და ბრწყინვალეებისაგან დამდაბლდა და 100 წელი თავის დასთან ამაგთან (Yamag) ერთად ზღვის ნაპირას ფარულად ცხოვრობდა“³⁸.

ამრიგად, ჩამოთვლილი თხზულებები გარკვევით იუწყებიან, რომ ამის შეცოლება ეშმაკ ცდუნების ვაპო ღმერთის უარყოფასა და თავისი თავის თაყვანისცემაში მდგომარეობდა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამის ავესტისებულ შეცოდებაში, ანუ მის მიერ ცრუ და არასწორი სიტყ-

³⁴ Է. — ԷՄ, 132a, تهران, محمد جواد مشکور, گفتاری در باره دینکرد، نگارش محمد جواد مشکور، تهران، 1333، 444.

³⁶ The Dādistān-i Dīnīk, თავი XXXIX, § 16, Pahlavi Texts, Translated by E. W. West, Part II, Oxford, 1882.

³⁷ The Bundahishn, თავი XXIV, § 4.

³⁸ იბ. Է39, ایران در سراسری.

ეების შეყვარებაში, ღიძას მიერ ღეთისგმობა და თვითგაღმერთება იგულის-
ხმება³⁹.

ავესტაში ღიძას აღსასრულის შესახებ ნათქვამია, რომ იგი სპიტურამ გა-
ცერხა ორად. ფალაური თხზულებებით კი მის მოკვდინებაში მთავარი მოქ-
ნელი პირი აე დაპაჲია, ხოლო სპიტური მისი დამხმარეა: „ჲამასპ-ნამაჲ“: „ამი
წყეული აე დაპაჲის მიერ, რომელსაც ბევარასსაც უწოდებენ, შეყვარობილ
იქნა და მან სპიტურისა და მრავალ სხვა ღეთა დახმარებით, იგი ხერხით, რო-
მელსაც ათასი კბილანა ჰქონდა, შეაზე გახერხა“⁴⁰.

„ბუნდაჲიშნი“: „სპიტური ის იყო, ვინც დაპაჲთან ერთად დაამარცხა და
ორად გახერხა ამი“⁴¹.

ისე როგორც ავესტაში, ფალაური თხზულებების თანახმადაც, ამშეტის
შემდეგ სამეფო ტახტს იკავებს აე დაპაჲი ბევარასპად (Bēvarāsp) წოდებუ-
ლი, რომლის ათასწლოვან სიავეს ბოლოს უღებს გმირი ფრედუნი.

ვიღრე ფალაური რელიგიური წიგნების დაპაჲისა და ფრედუნის შესახებ
ამებზე ვიტყოდეთ რაიმეს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ სომეხი ისტო-
რიკოსის მოსე ხორენელის (V—VI სს.) „სომხეთის ისტორიაში“ წარმოდგენი-
ლი მითი დაპაჲის, ანუ, როგორც ავტორი უწოდებს, ბევრასპ აედაპაჲის
(*Արարայ Արարակ*) შესახებ. მიუხედავად წყაროს არაირანულობისა, აღ-
ნიშნული მითის მოყვანა აუცილებლად მივიჩნით, რადგანაც იგი ნაწილობრივ
აესებს ფალაური რელიგიური თხზულებების დაპაჲ-ფრედუნის შესახები თქმუ-
ლების ცარიელ ადგილებს და თავისი სიძველით ბევრად უსწრებს წინ ჩვენ
მიერ გამოყენებულ გვიანდელი პერიოდის ფალაურ რელიგიურ წიგნებს.

მოსე ხორენელს სპარსელთა ეს მითი თავის თხზულებაში შეუტანია მისი
გეცენატისა და შემკვეთის სომხეთის მთავრის სააჲ (თუ სმბათ)⁴² ბაგრატუნის
სურვილის შესასრულებლად, რომელსაც ხორენელისათვის უთხოვია, რომ გა-
წემარტა და აზრი მიეცა ამ მითისათვის. ხორენელი გამოთქვამს თავის შეხე-
დულებას სომხეთში გავრცელებული სპარსელთა მითის მიმართ და გად-
მოგვეცემს მის შინაარსს:

„Что за страсть у тебя⁴³ до нелепого и грубого мифа о Бюраспе
Лждахаке? и зачем ты утруждаешь нас нескладными, безсвязными, скажу
более, безсмысленными сказками парсов о первоначальном недоброем бла-
годеннии Бюраспа, о служении ему девам и о том что они не могли сов-
ратить совращённого и живого; о лобзании плеч его, вследствие чего
рождение драконов и с тех пор усиление в нем злобы, заставляющей его

³⁹ ავესტაში ღიძას სხვა შევადებაზეც არის მინიშნებები. 32-ე მანას მე-8 პარაგრაფის თა-
ნახმად, მისი შევადება ის იყო, რომ იგი საქონლის ხორცით იყებებოდა, რის საფუძველზედაც
აღმოსავლეთმოდენნი ვარაუდობენ, რომ ძველ ზარასტრელთა წარმოდგენით მსხვილფეხა სა-
ქონლის ხორცის კმაჲ აკრძალული უნდა ყოფილიყო. შტრ. „შამ-ნამეში“ ეშმაჲის მიერ ზაჲისათ-
ვის ხორცის კმაჲის სწავლება (ზ. E. Э. Б е р т е л с, История персидско-таджикской литера-
туры, გვ. 59).

⁴⁰ იხ.

عاشه سرايى در ايران ، ۱۳۹

⁴¹ The Bundahishn , თავი, XXXI, § 5 .

⁴² ხორენელის თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელი ნ. ევინი მას „სააჲს“ უწოდებს, ხოლო
ღო სპჲოთა ენეულოჲეჲოჲოჲო (17-2 გაჲოჲეჲა, ტ. 23, გვ. 19) „სმბათ“ არის მითითებული.

⁴³ აჲ ხორენელი მიმართავს თავის შემკვეთს.

истреблять людей для своего чрева. За тем какой-то Хруден⁴⁴ связывает его медными цепями, уводит на гору называемую Дембасендом, также сон Хрудена на дороге, которого Бюраси тащит на холь; пробуждается Хруден, ведет Бюраси в пещеру горы, заключает его в оковы и сам становится скалою у входа пещеры. Устрашенный Бюраси говнуется своими оковам и не смеет выйдти и опустошать землю⁴⁵.

განმარტებებიდან, რომელსაც მოსე ხორენელი იძლევა მოყვანილი მითის შესახებ, ყურადღებას იქცევს აქ დაჰაკის მხრებზე გველთა ამოზრდის მიზეზის ახსნა. ხორენელი წერს: „ბევრასჰმა მოინდომა ჯადოქრობის შესწავლა და ავი სული, რომელიც ემსახურებოდა ბევრასჰს და ჩააგონებდა ხოლმე ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, ასწავლიდა მას ამ ავ საქმეს. ამისათვის სთხოვა მან ბევრასჰს ჯილდოდ მხრებზე მთხვევა“⁴⁶.

ფალაური ძეგლების დაჰაკისა და ფრედუნის ამბებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მათი საგვარეულო ნუსხები, რომელსაც გვთავაზობს „ბუნდაპიშნი“.

დაჰაკის გენეალოგია აქ მოცემულია როგორც მამის, ასევე დედის ხაზით. მამის ხაზით: დაჰაკი ძე ხრუტასჰისა (Khrutāsp), ძე ზაინიგაეისა (Zainīgāy), ძე ვირაფშაკისა (Virafshak), ძე თაზისა (Tāz), ძე ფრავაკისა (Fravāk), ძე სიამაკისა (Si yamak); ხოლო დაჰაკის დედის სახელია უდაი (Udai) და მისი გენეალოგიური ხაზი ბოროტ სულამდე აღწევს⁴⁷.

„ბუნდაპიშნითვე“ ვგებულობთ, რომ „მეორე ათასწლეულის დასაწყისში დაჰაკმა დააწესა ავი მეფობა (dush xvatāih) და ათასი წელი იმეფა. ათასწლეულის ბოლოს იგი შეიპყრო და შეკრა ფრედუნმა“⁴⁸.

დაჰაკის დამმარტებელი გმირის — ფრედუნის წარმომავლობის შესახებ ნათქვამია, რომ ფრედუნ ასპიანის (Frēdūn Āspiyān) იყო ძე პურტორასის (Pur-tōrā) და მისი გენეალოგიური ხაზი მიტანილია ვივაჰანამდე. აქვე აღნიშნულია, რომ ფრედუნის წინაპართაგან რვა კაცი ატარებდა წოდებას „ასპიან“ რომ ისინი ყველანი დაჰაკის დროს ცხოვრობდნენ და თითოეულმა ასი წელი იტოცხლა⁴⁹.

ავესტაში, როგორც ითქვა, თრავტონანს მამის სახელი ათვია იყო. ამასთან ეს სახელი, ავეიტის ზოგიერთი ნაწილის მიხედვით, საგვარეულო სახელადაც არის გაგებული და ათვია ხშირად იწოდება ეპითეტით Pur-tōrā ანუ Pouru-gar — „მრავალჯოგიანი, მრავალი საქონლის მფლობელი“⁵⁰. „ბუნდაპიშნი“ ფრედუნის მამის ავესტისეულ სახელს მისი გვარის წოდებად Āspiyān-ად, ხოლო ეპითეტს მამის სახელად — Pur-tōrā-ად⁵¹ წარმოგივლიდგენს:

⁴⁴ იმ, ანუ როსტოკისეულის თანახმად, Hruden — ესაა იმ Frēdūn-დან შემდგენიარა არის იმე-
ლებული: „კომპლექსი Ir, როგორც ცნობილია, იძლევა Ir-ს, ხოლო ხმონები e და a გადაწვევად
ბუნდა — Hruden Hredun-დან“ (იხ. ს. ა. ს. დრონი, „სევილ სარკვევისი ირანულ-ქო-
თელი ცნობრები ურთიანობიდან, 2-ე., 1966, 35).

⁴⁵ История Армении Мелсея Херенского, переведен с армянского и объяснен Н. Эмин, М., 1952, 69, 72.

⁴⁶ იქვე, 29, 73—74

⁴⁷ The Bundahishn, თავი XXXI, § 6.

⁴⁸ იქვე, თავი XXXIV, § 2—6.

⁴⁹ იქვე, თავი XXX, § 7

⁵⁰ Le Zend-Avesta, t. II, Yasht 23, § 4 — Yasht 24, § 2.

⁵¹ Tōrā წარმოიფენს აგრეთვე ფრედუნს ექვსი წინაპრის სახელთა მეორე ვადენეტს. ნათელი
საუ: Būr-tōrā, Spēd-tōrā და სხვ.

„ბუნდაჰიშნი“ იმასაც გვამცნობს, რომ ფრედუნს ორი ძმაც ჰყოლია: „პურ-ტორა ასპიჰანს გაუჩნდა ფრედუნი, რომელმაც შური იძია მამისათვის. მასთან ერთად იყვნენ აგრეთვე მისი (პურ-ტორას. — ლ. ე.) ვაჟები ბარმაჟუნი (Barmašūn) და კატაჟუნი (Katašūn), მაგრამ ფრედუნი უფრო მეტი დიდებულების მქონე იყო“⁵².

დაჰაკ-ფრედუნის შერკინების შესახებ ჩვენი რელიგიური თხზულებები შემდეგს მოგვითხრობენ:

„ბუნდაჰიშნი“: — „დაჰაკის შესახებ. რომელსაც აგრეთვე ბევარასსაც უწოდებენ, ამბობენ: ფრედუნმა, როცა მან შეიპყრო დაჰაკი, ვერ შეძლო მისი მოკვლა“⁵³.

მიზეზს იმისა, თუ რატომ ვერ მოკლა ფრედუნმა დაჰაკი, ეკითხულობთ თხზულებაში, რომელსაც „შაჰასთ ლა შაჰასთ“ („რა შეიძლება და არა“) ეწოდება: „ფრედუნს სურდა აუ დაჰაკის მოკვლა, მაგრამ აპურა მაზდა ასე ეუბნებოდა: ნუ მოკლავ მას ახლა, რადგანაც დედამიწა აივსება ბოროტი ქმნილებებით“⁵⁴ ამიტომაც ფრედუნმა დაჰაკი დემავეენდის მთაში დაამწყვდია⁵⁵.

ავესტის თქმულების მიხედვით, თრაეტაონა კლავს აუი დაჰაკას, ხოლო ფალაური რელიგიური წიგნებით დაჰაკი ცოცხალი, დემავეენდის მთაზე მიჭაქეული რჩება, რათა მან, ბოროტებიდან განთავისუფლებულმა, მონაწილეობა მიიღოს კეთილი და ბოროტი ძალების გადამწყვეტ ბრძოლაში და მისი საბოლოო გამანადგურებლის მისია მიკეთუნებული აქვს გმირს, რომლის სახელი ზოგჯერტი ტექსტით Keresāsp, ან Keresā:p Sāmān არის ზოგიერთი Sāmī.

ავესტაში Sāma წარმოადგენს პატრონიმიკას თრიტას (Hrita) და მისი ვაჟის. ავესტის პერკულესის, კერესასპასი (Keresāspa) და იგი რომელიმე პიროვნების საკუთარ სახელად არ გვხვდება⁵⁶. ავესტის Sāma Keresāspa-ს შემდგომ პერიოდში არასწორ გაგებას უნდა გამოეწვია მისი ორ სხვადასხვა გმირად Geršāsp-ად და Sām-ად ქცევა, რომლებიც ბუნდოვანი სახით წარმოგვიდგებიან და ხშირად მათ ერთი და იგივე საგმირო საქმე მიეწერებათ⁵⁷.

თუ ავესტის კერესასპასა და გვიანდელი პერიოდის გერშასფის თქმულებებს გავითვალისწინებთ, რომელთა მიხედვითაც იგი ღრაკონებთან და სხვადასხვა ავსულთან მებრძოლად წარმოგვიდგება, ფალაური წიგნებითაც აღნიშნული მისიის შემსრულებლად კერესასპი უნდა ჩავთვალოთ. ამასთან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის თხზულებები, რომლებშიც დაჰაკის საბოლოო გამანადგურებლის სახელად Sēm იკითხება, ამ სახელში Keresāsp-ს გულისხმობენ, რადგანაც ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ „ბაჰმან მაშტში“, დაჰაკის მომკვლენებელი გმირის სახელად ხან Keresāsp ან Keresāsp Sāmān არის ნაჩვენები. ხან კი Sām⁵⁸.

⁵² The Bundahishn, თავი XXXI, § 2.

⁵³ იქვე, თავი XXIX, § 9.

⁵⁴ Shāyast la Shāyast, თავი XX, § 18. Pahlavi; Texts, Part I.

⁵⁵ The Bundahishn, თავი XXIX, § 9.

⁵⁶ Le Zend-Avesta, t. III, გვ. 219 და 225.

„შაჰ-ნაშეში“ გერშასფის და საამის სახეები ერთმანეთს არ ემთხვევა; ვერშასფი აქ მეოთხედ არის გამოყენებული, სოლო საამი დაჰაკიანია. გერშასფის შესახებ თქმულებების სხვა ციკლი, რომელიც ბარბოტის არ გამოუყენებია, ვახტა სათუბელი ასევე ტუსტლის აგრესას-ნაშეში შექმნილია, რომელიც კინშედის შთამომავალი სსტანელი გერშასფი ზაჰეცასა და გრდინს მტკობის დროინდელი უძლიერესი დაჰაკიანია.

⁵⁸ Bahman Yasht, თავი III, § 59—60, Pahlavi Texts, Part II.

დაპაქთან საბოლოო ბრძოლის გადამხდელისა და მისგან ქვეყნის განმათავისუფლებელი გმირის შესახებ „ბუნდაჰიშნი“ ასე მოგვითხრობს: „სამი უკვდავი ვახდა, მაგრამ მაზდას რელიგიის დაუცველობის გამო თურქმა (Turk), რომელსაც ისინი ნიჰაგს (Nihag) უწოდებენ, დაქრა იგი და მას ძლიერი სიციხისას დაუფლა ლეთარგიული ძილი. და ზეციური ბრწყინვალეობა თავს ადგას მას იმ მიზნით, რომ, როცა აუ დაპაქი ბორკილებიდან თავს დაიხსნის, იგი შეიძლებს აღდგეს და მოკლას ეს ეშმაკეული ქმნილება, რისთვისაც მას იცავს მართლმორწმუნეთა ურიცხვი სული“⁵⁹.

როცა დგება კეთილი და ბოროტი ძალების გადამწყვეტი ბრძოლის დრო. აპრიმანი აღის დემავენდის მთაზე, რომელიც წარმოადგენს ბევარასპის სამყოფს და მოუწოდებს მას: „ახლა უკვე 9000 წელია და ფრედუნი ცოცხალი აღარ არის. მაშ, რატომ არ აღდგები და არ მოიხსნი მაგ ბორკილებს?!“ დაპაქი ამ მოწოდებაზე აღდგება, მაგრამ ფრედუნის შიშით ვერ იხსნის ბორკილებს და მას ამ ბორკილთაგან აპრიმანი ათავისუფლებს. ამის შემდეგ მისი ძალა იზრდება და იგი ისწრაფის, რათა ქვეყნად უკვდავეოს ცოცხად. დაპაქი ყლაპავს ადამიანების ერთ მესამედსა და სხვა ქმნილებებს, სპობს წყალს, სჩადის სხვა უთვალავ ცოდვებს. მისგან შეწუხებული კეთილი ქმნილებანი თხოვნით მიმართავენ აპურა მაზდას, რათა გააცოცხლოს ფრედუნი ავისმოქმედ დაპაქის მოსაკლავად. აპურა მაზდა შეისმენს მათ თხოვნას და ანგელოზებს — სროშს⁶⁰ და ნერიოსანს⁶¹ გზავნის კერესასპის აღსადგენად. ანგელოზთაგან გააცოცხლებული კერესასპი მიეშურება დაპაქთან საბრძოლველად⁶².

კერესასპი ამარცხებს დაპაქს და აიძულებს მას ირწმუნოს და აღიაროს ჰემშარიტი ღმერთი: „როცა ვერაგი დაპაქი, რომელსაც მხრებზე ფრთებივით აქვს მძლავრი დემონები გველების სახით, თავს დაიხსნის ფრედუნის ბორკილებიდან და ჭადოსნური ძალის წყალობით რჩება დემონად თვით დემონთათვისაც და დამაქცევარად, ძლევამოსილი ადამიანი, რომლის სახელი კერესასპია სამას გვარისა, კვიპაროსის ხის კეტით ამარცხებს ამ ეშმაკეულ ძალას და ძლიერი შიშის გზით დაპაქს წმინდა არსებათა რწმენაზე მოაქცევს“⁶³.

როგორც ჩანს, მაინც არ დაიშალა დაპაქმა სიავე და ბოროტება, რისთვისაც იგი კერესასპის ხელით იღუპება⁶⁴.

ამგვარად, ფალაური ძეგლებიდან ამოკრებილი ჯიმშედ-ზააქ-ფრიდონის თქმულების ნაწყვეტები და ხორენელთან დაცული მითი რამდენადმე ავსებენ ერთმანეთს და ამ სამი მითიური მეფის შესახებ თქმულება ახალი და განვითარებული სახით წარმოგვიდგება, რაც ძირითადად ცენტრალური პერსონაჟის — ზააქის (აუ დაპაქ ბევარასპად წოდებულის) თქმულების ცვლილების ნიადაგზე ხდება.

ვედების სამთავა და ექვსთვალა ღრუბლის დემონი, რომელიც ავესტაში ავი სულის მიერ შექმნილი უბოროტესი და უძლიერესი ურჩხულია, ამ შენთხევეაში ადამიან-ურჩხულის სახის მქონედ წარმოგვიდგება, რომელიც მამის მხრივ არაბთა ლეგენდარული წინაპრის — თაზის, ხოლო დედის მხრივ

⁵⁹ The Bundahishn, თავი XXIX, § 7—8.

⁶⁰⁻⁶¹ Srōš (ავ. Sraōša. აბ. სპ. Sorūš) და Nērjōsang (ავ. Nairyō-saitha) აპურა მაზდას ლეტაბრივი კანონისა და მორჩილების მაცნე გენიათა სახელებია.

⁶² Bahman Yasht, თავი III, § 56—60.

⁶³ The Dālistān-i Dīnīk, თავი XXXVII, § 97.

⁶⁴ The Bundahishn, თავი XXIX, § 9.

სულის შთამომავალია. იგი, მის მხრებზე ბოროტი სულის ამბორის შედეგად ამოზრდილი გველების გამო ნახევრად ეშმაკეული ქმნილებაა და ეშმაკის მიერ ჯადოქრობაში გაწვრთნილი, ისევე როგორც აქი დაჰაკა, ამ ქვეყნად სიავის, ბოროტების, ჯადოქრობის, უწმინდურების, უსამართლობის დამკვიდრებისა და ადამიანთა მოსაპობისთვის არის მოწოდებული. ამიტომაც, როგორც გაუგებელი სახით (ისიც ხომ მხრებზე ამოზრდილი გველებით სამი თავის, სამი ხახის და ეჭვის თვალის მქონეა), ასევე თავისი ბუნებით, მოწოდებით და საქმიანობით აქი დაჰაკას მსგავსი და ანალოგიურია.

ირანისტიკაში მიღებული შეხედულების თანახმად⁶⁵, ავესტის აქი სულის წიგნ შექმნილი ურჩხულის ადამიან-ურჩხულის სახედ გარდაქმნასა და მის შესახებ ახალი, ავესტისაგან განსხვავებული, თქმულების ჩამოყალიბებაში ასახვა პოვა ირანელთა ცხოვრების ისტორიულმა მომენტმა და ავესტის ურჩხული აქი დაჰაკა წარმოადგენს სიმბოლოს იმ დესპოტიზმისა და ჩაგვრისა, რასაც ირანის დასავლეთი ოლქები განიცდიდნენ სემიტი დამპყრობლების მხრივ⁶⁶.

ზ. საფა თავის მოსაზრებას ამ პროცესის შესახებ ასე აყალიბებს:

გადმოცემათა ერთობლიობიდან ასე გამოდის, რომ აქი დაჰაკი ირანის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთი სახელმწიფოს წარჩინებულთაგანი ყოფილა და, როგორც ჩანს, ასირიიდან ან ქალდეადან დაულაშქრავს ირანი. როგორც ვიცით, მიდიელთა და აქემენიდთა სახელმწიფოების დაარსებამდე ირანმა რამდენჯერმე განიცადა ასირიელი და ქალდეელი მხედართმთავრების თავდასხმა, რომელნიც ცნობილი იყვნენ თავიანთი სისხლისმღვრელობითა და სიმძეინვარიით. ამ შემოსევათა და სისხლისღვრათაგან ირანელთა გენსიერებას შემორჩენია მოგონებანი და შექმნილა ისეთი თქმულებები, როგორცაა თქმულება ზააქზე და თქმულება სპილოს ეშვიან ქეშზე. იმ პერიოდში, როცა ირანელებმა დაივიწყეს ქალდეას და ასირიის ისტორია, ზააქი მიაკუთვნეს არაბთა მოდგმას, რომელნიც, რა თქმა უნდა, სემის ტომისა და ასირიელებთან და ქალდეელებთან ერთად ერთი წარმომავლობის არიან. ხოლო მისი (ზააქის ლ. ე.) გენეალოგიური ხაზი პირდაპირ თანამდე მიჰყავდათ, რომელიც, ირანული გადმოცემების თანახმად, თანაბათა (არაბთა ლ. ე.) ყველაზე სახელოვანი წინაპარია⁶⁷.

ამრიგად, ავესტის თქმულება ურჩხულ აქი დაჰაკას შესახებ ირანში მიდიისა და აქემენიდების სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამდე თუ არა, მათი არსებობის დროს მაინც ცნობილი ყოფილა და, თუ ხორენელის ისტორიის მთარგმნელსა და კომენტატორს ნ. ემინს დავუჭვრებთ, რომლის აზრითაც სიბუნებლოან მოყვანილი სპარსული მითი სომხეთში უნდა მოხვედრილიყო და გავრცელებულიყო ტყვე მიდიელების მიერ, რომლებიც ტიგრან I-ის მიერ

⁶⁵ იხ. О т я к а р К л и м а, История авестийской древнеперсидской и среднеперсидской литературы (Ян Р и п к а, История персидской и таджикской литературы, М., 1970) 14—15.

⁶⁶ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მ. ხორენელი მდღის მეფე ასტიავას ადამიანს უწოდებს და ეჭვგარეშად ამ სახელით იხსენიებს (იხ. История Армении Моисея Хоренского, გვ. 40—70), რაც მისი წყაროების მოწინააღმდეგეობით უნდა იყოს განპირობებული და ევანჯელიზმის, რომელიც აქი დაჰაკის ბოროტი მეფის სიმბოლო გამხდარა.

⁶⁷ იხ. 23: 46, *حمله سرای در ایران*

იქნენ მოყვანილნი და დასახლებულნი სომხეთში ჩვ. წ-მდე 565 წელს⁶⁸, მაშინ ჩანს, რომ ზააქ-ფრიდონის თქმულების ახალი სახით ჩამოყალიბებას ძალიან დადი ხნას ისტორია აქვს და დროთა ვითარებაში იგი იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ გვიანდელი პერიოდის ზორიასტრული რელიგიური წიგნები მას ამ ახალი სახით წარმოგვიდგენენ, ხოლო ჯიმშედის შესახებ ისინი იმასვე იმეორებენ, რასაც ავესტა მოგვითხრობს ბრწყინვალე ჰიმას შესახებ.

უკანასკნელ ხანებამდე გულბათის (მეფე გიორგი XII-ის შვილისშვილის ოლღა გრუზინსკაიას) მიერ რუსულ ენაზე ორგზის გამოქვეყნებული⁶⁹ ქართულ ლეგენდად წოდებული „თ რ ი თ ი ნ ო“, რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი⁷⁰ და რომელიც სპარსეთის მეფეების ჯამშიდის, აედეპაკის და თრითინოს (აფრიდუნის)⁷¹ შესახებ მოგვითხრობს, ფოლკლორული წარმოშობისად იყო მიჩნეული. ამასთან მკვლევარნი (კ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი, გ. აბულედიანი, დ. კობიძე, მ. ჩიქოვანი, ა. გვახარია, მ. ანდრონიკაშვილი) „თრითინოს“ ქართულ ფოლკლორში „შაჰ-ნამედან“ შესულად კი არ თვლიდნენ, არამედ მას ძველ ირანულ ეპოსს უკავშირებდნენ.

ჯერნალ „დროშის“ 1971 წლის მე-4 ნომერში (გვ. 11—12) გამოქვეყნდა აკად. ალ. ბარამიძის ნარკვევი „თრითინოს გარშემო“, რომელშიც უარყოფილია „თრითინოს“ ფოლკლორული წარმოშობა. მკვლევრის მტკიცებით გულბათს არავითარი ხალხური თქმულება არ გამოუყენებია და „თრითინო“ გულბათის მიერ რუსულ და უცხო ენებზე არსებული მწიგნობრული წყაროებიდან („ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანი, მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ რუსული თარგმანი, შესაძლოა თვით ავესტისა და „შაჰ-ნამე“- თარგმანები, პლინიუსის ცნობები)⁷² გამოკრებილი მასალების დამუშავებისა და ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს.

⁶⁸ История Армении Монсея Хоренского, გვ. 276.

⁶⁹ იხ. «Московские ведомости», 1891, № 82 და Г у л и б а т, Сборник грузинских легенд, М., 1899, გვ. 17—27.

⁷⁰ თარგმანი ეკუთვნის ალ. მ ე ლ ი ჭ ი ე ა ს და დაბეჭდილია: „ავაკის კრებული“, 1899, № 5, გვ. 46—55.

⁷¹ სახელები „თრითინოს“ რუსული ტექსტის მიხედვით მოკვავს.

⁷² ერთ-ერთი მწიგნობრული წყაროთი — რომელი მწერლის პლინიუსის ცნობებით — სარგებლობის შესახებ თვითონ გულბათი მიუთითებს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მასალების გულბათის მიერ გამოყენება ს. ყუბანეიშვილმა გამოაქვინა (იხ. ს. ყუ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 6, თბ., 1953, გვ. 381—382).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. აბულედიანმა)

მარი შინგაძე

ათენის პოლიტიკური ბრძოლის ანარქული ესპილენსი „ევმენიდების“

ბერძენი ტრაგიკოსები მითოლოგიური სიუჟეტებით სარგებლობდნენ, მაგრამ ტრადიციული სიუჟეტის შემოქმედებითად გადაქმნავეებით მითიურ წარსულს თავისი დროის აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებს უკავშირებდნენ.

ესქილეს ტრილოგია „ორესტეა“ გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლის პერიოდში, 458 წ. დაიდგა. ტრილოგიის რელიგიურ-ეთიკური პრობლემატიკა მკიდროდ გადაწეულია დრამატურგის თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებთან. ტრილოგიის პოლიტიკური ტენდენციის გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესამე დრამას „ევმენიდებს“.

ჯერ კიდევ 1833 წელს კ. მიულერი წერდა: „ჩვენამდე მოღწეულ ძველ ტრაგედებს შორის ვერ ვიპოვით ვერცერთს, რომელშიც მითიური და პოლიტიკური, გმირთა ეპოქის მოვლენები და თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფაქტები ისე მტკიცედ იყოს შეზღუდული, როგორც „ევმენიდების“¹. ხოლო დროიზენი უფრო კატეგორიულად აცხადებდა: „ტრილოგიას „ორესტეა“ ისეთი აშკარა პოლიტიკური ტენდენცია ახასიათებს, რომ მრავალ პუნქტში იგი გაუგებარი დარჩებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებდით მდგომარეობას, რომელსაც იგი უკავშირდება. პოლიტიკურ ურთიერთობას, რომლის გარდაქმნაზეც აქ არის ლაპარაკი“².

„ევმენიდების“ პოლიტიკური ტენდენციის შესახებ პირველი ფუძემდებლური გამოკვლევა კ. მიულერმა გამოქვეყნა (1833 წ.). „ევმენიდების“ ტექსტში მიულერმა იპოვა უამრავი პოლიტიკური მინიშნება, რომელნიც ათენის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე მიულერმა სცადა გაერკვია ესქილეს პოზიცია მისი დროის აქტუალური საკითხებისადმი. ახალი ინფორმაციის მოპოვებამ (ზოგი წყაროს აღმოჩენის წყალობით) მიულერის ზოგიერთი დებულების გადასინჯვა მოითხოვა.

მიულერის შემდეგ „ევმენიდების“ პოლიტიკური ტენდენციის ცალკეულ საკითხებზე მრავალი სტატია გამოქვეყნდა (გ. დროიზენი, ბ. დრაკე, ა. ზიდგეიკი, თ. ზელინსკი, ფ. კაუერი და სხვ.), მაგრამ პირველი სპეციალური შრომა (მიულერის შემდეგ) ამ საკითხს ინგლისელმა მეცნიერმა რიჩარდ ლივინგსტონმა მიუძღვნა (1925 წ.)³.

საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ს. ლურიეს ეკუთვნის ფრიალ საყურადღებო გამოკვლევა (1943 წ.)⁴. „ევმენიდების“ ტექსტისა და სქოლიოების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ლურიემ შეძლო ახალი ფაქტების პოსტულირება, ხოლო ზოგიერთი საკითხი ახლებურად გააშუქა.

ამჟამად მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთობლივი აზრისაა იმის თაობაზე, რომ „ევმენიდების“ მიხედვით ესქილე იზიარებს და თანაუგრძნობს ათენის დემოკრატების საგარეო პოლიტიკის კურსს, მაგრამ დღემდე სადავო და აქტუალურად რჩება საკითხი ესქილეს პოზიციის შესახებ ათენის საშინაო პოლიტიკისადმი (განსაკუთრებით არეოპაგის 462 წლის რეფორმისადმი).

უქანასენელი ათელი წლების მანძილზე გამოქვეყნდა კ. დოვერის (1957 წ.), ვ. იარხოს (1958—1969 წწ.), მაზარინოს (1950 წ.), დოდსის (1960 წ.), კოსტას (1962 წ.), კვინსის (1964 წ.), გ. ტომსონის (1966 წ.), ა. პოდლეკის (1966 წ.), კ. გულკეს (1969 წ.) და სხვ. საყურადღებო გამოკვლევები „ევმენიდების“ პოლიტიკური ტენდენციის შესახებ, რომლებშიც ზოგიერთი საკითხი ან ახლებურადაა დასმული ან წინათ გამოთქმულ შეხედულებათა ორიგინალური არგუმენტაციაა წარმოდგენილი.

ამ სტატიის მიზანს შეადგენს მიმოიხილოს ავტორისთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა (განსაკუთრებით უქანასენელ ათელ წლებში გამოქვეყნებული), რომელიც აშუქებს ესქილეს პოზიციას არეოპაგის 462 წლის რეფორმის საკითხში. რადგან ეს უქანასენელი გამოკვლევები წინამორბედთა შრომებს ითვალისწინებენ, ამიტომ, ბუნებრივია, საკითხის ისტორია აქვე წარმოვადგინოთ.

ესქილეს ტრილოგიას „ორესტეას“ არგოსის მითი უდევს საფუძვლად. ამ მითის ძირითადი ბირთვი (ტროის ომის მონაწილე გმირების შინ დაბრუნების შესახებ) მიკენის პერიოდში შეიქმნა, როცა პომეროსის ეპოსის ფოლკლორული საფუძველი გაფორმდა. მითი ატრიდთა გვარის ტრაგიკულ თავგადასავალს ეხება. ატრევსმა, ემასთან — თიესტესთან — მტრობის გამო პისწყულები დაჰკლა და შვილების ხორცით მომზადებული კერძით მათ მამას — თიესტეს გაუშასპინდლა. ატრევსის ამ ცოდვამ წარმოშვა შურისძიების დემონი ალასტორი, რომლის გამო ატრევსის გვარში თაობიდან თაობამდე გრძელდება ბოროტმოქმედებათა დაუსრულებელი ჭაპკი: ატრევსის ვაჟმა აგამემნონმა თავისი ასული იფიგენია შესწირა ღმერთებს მსხვერპლად; აგამემნონის მეუღლემ კლიტემნესტრამ აგამემნონი მოკლა ეგისტეს (თიესტეს ვაჟის) დახმარებით. აგამემნონის ვაჟმა ორესტემ შური იწია მამის მკვლელობისათვის და დედა და ეგისტეთ მოკლა.

მითი ატრიდთა გვარზე გვაროვნული წყობის წიაღშია წარმომობილი და ამ წყობილების მორალურ ნორმებს შეიცავს: „დადგრილი სისხლი შურისძიებას მოითხოვს“. „სისხლი სისხლისა წილ“ (Lex talionis).

ამ მითს ვხვდებით ეპოსსა და ლირიკაში. პომეროსის ეპოსში (ოდისეია IV, 524—537) აგამემნონის მკვლელობის ინიციატორად მისი ბიძაშვილი — ეგისტეთა წარმოდგენილი. აგამემნონის მკვლელობიდან მერვე წელს მიკენში ბრუნდება ორესტე, აგამემნონის ვაჟი და კლავს ეგისტეთს. კლიტემნესტრას სიკვდილის მიზეზად „ოდისეაში“ ორესტე არაა დასახელებული.

პომეროსის შემდგომ ლიტერატურულ ტრადიციაში, კიკლიკურ ეპოსში („ეპირიები“) ჩნდება სრულიად ახალი მოტივი — აგამემნონის მიერ საკუთარი ასულის, იფიგენიას მსხვერპლად შესწირვა, რაც იწვევს აქცენტის გადასმას და აგამემნონის მეუღლეს, კლიტემნესტრას მოტივირებულ საფუძველს ოქმინის

ქმრის მკვლევლობისთვის (იგი დაღუპული ასულისთვის იძიებს შურს). მეორე კიკლიკურ პოემაში „დაბრუნებანი“ აგამემნონის მკვლელებად პირდაპირ დასაჯლებული არიან კლიტემნესტრა და ეგისთე.

მითის ტრასფორმაციის შემდეგ ეტაპს საგუნდო ლირიკაში ვხვდებით. სტესიქორეს „ორესტეაში“ მკვლევლობის ორგანიზატორი კლიტემნესტრაა. ორესტე კლავს დედას. მაგრამ მას სდევნიან საშინელი ერინიები, რომელთაგან ორესტე თავს იხსნის აპოლონისგან ბოძებული მშვილდით.

პინდარეს XI პითიურ ოდაში (ტ. 17—22) კლიტემნესტრა აგამემნონის და კასანდრას მკვლელადაა დასახელებული.

სიუჟეტის წყობით ესკილე თავის წინამორბედებს უახლოვდება. მაგრამ დრამატული კონფლიქტი თავისებურად აქვს გააზრებული, რაც გამოწვეულია კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოცვით და ავტორის იდეური მიზანდასახულებით.

მითმა ატრიდთა გვარის შესახებ დელფური რელიგიის გავლენით ტრანსფორმაცია განიცადა. დელფური ვერსიით დედისმკვლელ ორესტეს დელფო-ლმერთი აპოლონი უანწმუნდს. რითაც ბოლოვდება უბედურებათა ჯაჭვი. ესკილემ გამოიყენა დელფური ვერსია — აპოლონის მიერ ორესტეს ვანწმუნდის მოტივი, მაგრამ რელიგიური სანქციით იგი არ კმაყოფილდება. „ევკენიდეზში“ მან ორესტეს საქციელის საზოგადოებრივ-ეთიკური შეფასება წარმოგიდგინა.

დედის მკვლევლობისთვის ორესტეს სდევნიან დედის უფლების დამცველი ქალღმერთები ერინიები, რომელთა კომპეტენციას სისხლით ნათესავის მოვლისთვის შურისძიება შეადგენს. ორესტეს იცავს მამის უფლების დამცველი აპოლონი, რომელმაც ორესტეს შთააგონა მამის სისხლის ასაღებად დედა მოეკლა. ამგვარად, ტრაგიკული კონფლიქტი ორი ტოლფასოვანი ეთიკური ნორმის — დედის და მამის უფლებათა შეჭახების ფონზე იშლება და იგი ლმერთებს ღონეზე წყდება.

რადგან აპოლონის სანქცია ორესტეს გასამართლებლად საქმარბი არაა. ამიტომ კონფლიქტის გადასაჭრელად ათენას იხმობენ. ათენა ამ საკითხის გადასაწყვეტად აარსებს სისხლის საქმეთა სამსჯავროს — არეოპაგს — ათენის ღირსეულ მოქალაქეთაგან შემდგარ საბჭოს, რომელმაც ორესტე უნდა გაასამართლოს. მითიური ორესტეს ბედის დაკავშირება არეოპაგის საბჭოსთან ესკილეს ნეატურული ფანტაზიის ნაყოფია.

ორესტე, როგორც ბრალდებული. დედის მკვლევლობის მოტივს ასახელებს: კლიტემნესტრამ ორმაგი დანაშაული ჩაიდინა: საკუთარი მეუღლე და მამაჩემი მოკლაო. მაგრამ ერინიები ექომაგებიან კლიტემნესტრას: მის მიერ მოკლული მეუღლე მისი სისხლით ნათესავი არ იყოო. ამ ეპიზოდის კლასიკური ინტერპრეტაცია ენგელსს ეკუთვნის: „მკვლელობა მამაკაცისა. რომელიც არაა სისხლით ნათესავი. თუნდაც იგი მკვლელის ქმარი იყოს, შეიძლება მიტევებულ იქნეს, იგი ერინიებს სრულიად არ ეხება; მათი ვალდებულებაა შური იძიონ მხოლოდ იმ მკვლევლობისთვის, რომელიც სისხლით ნათესავენ შორის ხდება და აქ დედის უფლების თანახმად ყველაზე გამოუსყიდავი დედის მკვლელობაა. მაგრამ აპოლონი ორესტეს დამცველად გამოდის. ათენა კენჭს აყრევენებს არეოპაგიტებს — ათენელ ნაფიც მსაჯულთ; ხმები თანაბრად იყოფა — გამართლებისთვის და დასჯისთვის; მაშინ ათენა, როგორც თავმჯდომარე, თავი ხმას აძლევს ორესტეს სასარგებლოდ და მას ამართლებს. მამის უფლებამ გავ-

მარჯვა დედის უფლებებზე. „უმცროსი თაობის ღმერთები“ (ათენა და აპოლონი). როგორც მათ თვით ერინიები უწოდებენ, ამარცხებენ ერინიებს და ეს უკანასკნელნიც, ბოლოს, თანხმდებიან ახალი თანამდებობა დაიკავონ და ახალ წესწყობილებას ემსახურონ“⁵.

მამასადამე, „ევმენიდების“ ამ ეპიზოდში აისახა მატრიარქალური და პატრიარქალური წყობის ეთიკური ნორმების კიდილი. იმარჯვებს ზეადმივალი პატრიარქატის ისტორიულად პროვრესული ეთიკური ნორმა — მამის უფლება.

„ორესტეს“ ინტერპრეტაციისათვის ლესკის აზრით, ვადმწყვეტი მნიშვნელობა აქვს კასანდრას სცენას პირველ დრამაში „ავამემზონი“. სიკვდილსთ მიმავალი პრიამისის ასული კასანდრა წინასწარსდვის ნიჭის წყალობით წაბზლის საწინელ სურათებს ხედავს და იმ ტრაგიდიასაც, რაც ახლანა ხალხში უნდა მოხდეს. ამ სცენაში ვლინდება მოვლენათა ნამდვილი მნიშვნელობა და დასასრულისა და სასყელის უთიერთმიმარათების თვალსაზრისით. ავამემზონის ტრაგიკული ხედრი სათავეს მისი წინაპრის (ატრესის) ცოდვისაგან ვეარას წინაპრის ცოდვა მის შთამომავლებს აწევთ ვალად, მაგრამ წინა ცოდვა ესჭილესთან გააზრებულა. როგორც ბიძგი ახალი დანაშაულის ნადავნი. ვიველ ცალკეულ შემთხვევაში იგი განახლება შთამომავლის მიტომ ვეარას წინაპრის ცოდვის პარალელურად საქმე ვეაქვს პერსონალურ დანაშაულთან და პერსონალურ ტანჯვასთან.

დედის მკვლელობა ორესტეს აპოლონმა შთააგონა. მაგრამ ესქილეს დრამატრაგიკულ გმირად ვერ გამოდგება ადამიანი — ღმერთის ბრმა იარაღი. ცალკე ვმირს გააზრებული აქვს თავისი ამოცანაც და მოქმედების გეზიც.

„ორესტეს“ მეორე დრამაში „ქოფორებში“ ორესტეს გადაწყვეტილება განაღდ მოწიფდა. რითაც ესქილე გახაზავს პირადი პასუხისმგებლობის მოვმირს მიერ გადაწყვეტილების არჩევაში. „ორესტეს“ გმირთა ტრაგიზმისაში მკვლამარეობს, რომ ერთი ზნეობრივი საწყისის დაცვისას ისინი წინაუკვობაში ვქცევიან მეორე. არანაკლებ მნიშვნელოვანი ზნეობრივი ნორმის თიოვნებთან. ტრაგიკული კვანთი. რომელიც პირველ დრამაში „ავამემზონის“ სცენას. უფრო მეტად დაიხლართა მეორეში. „ქოფორებში“. რადგან ორესტეს მიერ დედის მოკვლა ერთსა და იმავე დროს საპართლიანობის აღდვენაცა და ახალი, უმქიმესი დანაშაული სამყაროს უფლებრივი წესრიგის დარღვევს თვალსაზრისით⁷.

ორესტეს გასამართლებაში სახელმწიფოს ჩარევა არეობავის სახით ჩაცეტავს უბედურებათა ქაქუცს, რომელიც ვეარას წინაპრის ცოდვამ წარმოშვა და ვეარას განადგურებისაგან იხსნის. მაგრამ განაჩენა ორესტეს შესახებ უფრო ფართო სოციალური მნიშვნელობა აქვს: ვეაროვნული წყობილების მორალურ ნორმებს სახელმწიფოს სამართლის ნორმები ენაცვლება.

„ევმენიდები“ მთავრდება ძველი (ერინიები) და ახალი ღმერთების (აპოლონი და ათენა) შერიგებით. ევმენიდებად ვარდაქმნილ ერინიებს საპატიო ადგილი ეთმობათ ახლად დაარსებულ წესრიგში.

კონფლიქტი ერინიებსა და აპოლონს შორის ეს არის კონფლიქტი ქვესკნელი (ხორნურ) ღმერთებსა და ოლიმპიური პანთეონის ღმერთებს შორის. მაგრამ ამ კონფლიქტის მიღმა, ტომსონის აზრით, უფრო ღრმა წინააღმდეგობა უნდა დაინახოთ. ერინიები აცხადებენ, რომ მათ ძალაუფლება მოირასგან მიიღეს (ტ. 324—335), ხოლო აპოლონი მამის — ზევსის ნება-სურვილის ინტერპრეტატორია (ტ. 19), მამის მითითებით მოქმედებს (ტ. 616—618). ერი-

ნიებისა და აპოლონის შერიგება ზევისა და მოირას თანხმობას მოასწავებს. „ევემნიდების“ ფინალში ნათქვამია, რომ „ყოველისმხედველი ზევსი მოირასთან თანხმობით მართავს“ (ტ. 1045). ესკილესთვის ზევისა და მოირას თანხმობა იგივე დიკეა — სამართლიანობა, სამართლიანობა კი სამყაროს არსებობის კანონზომიერი საფუძველი და გარანტიაა.

„ევემნიდების“ რელიგიურ-ეთიკურ პრობლემატიკასთან მჭიდროდ გადაწყნულია 60-იანი წლების ათენის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მტკივნეული საკითხები.

მცენიერთა ერთობლივი ასრით „ევემნიდებში“ აისახა ათენის დემოკრატიზაციის ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი: არეოპაგის 462/61 წლის რეფორმა და ათენისა და არგოსის კავშირი, რომელიც 461 წელს დაიდო.

V საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს ათენს დემოკრატიული პარტია ჩაუდგა სათავეში. დემოკრატების საგარეო პოლიტიკას მიზანი იყო ელადის დემოკრატიული ძალების გაერთიანება ანტიისპარსული კოალიციის შესადგენად. ამიტომ ისინი მტრულ ურთიერთობაში არიან ოლიგარქიულ სპარტასთან და ბლოკს კრავენ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან. ათენის არისტოკრატები, პირაქით, რეაქციულ სპარტაზე ამყარებენ იმედს და უცხოური ინტერვენციის მოშველიებით ლამობენ დაამხონ ათენის დემოკრატია.

საგარეო პოლიტიკის ასეთი კურსი უეჭველად მოითხოვდა ათენის პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციას. ეს პროცესი პირველ რიგში სახელმწიფო აპარატს შეეხო. 462/61 წელს ათენში ჩატარდა არისტოკრატიული საბჭოს — არეოპაგის რეფორმა, რომელმაც შეკვეცა არეოპაგის პოლიტიკური უფლებები. არისტოკრატთა ბელადის კომონის გასდევნისა და დემოკრატიული გადატრიალების შემდეგ ათენელებმა კავშირი გაწყვიტეს სპარტასთან და 461 წელს დემოკრატიულ არგოსთან დადეს ხელშეკრულება (თუციდიდე, I, 102, 4; პავსანია, IV, 24, 7). არეოპაგის რეფორმა და ათენ-არგოსის კავშირი დემოკრატების ერთიანი პროგრამის ორი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო. ესკილეს ტრალოგიის მესამე დრამაში — „ევემნიდებში“ ორივე ისტორიული ფაქტი აისახა.

არეოპაგის საბჭოზე გამართლებული ორესტე სამყარო უხდის მადლობას ათენსა და მის ხალხს დანხარებისთვის. რომლის წყალობით მან დაიბრუნა მამისეული მემკვიდრეობა არგოსში. სამგზის მეორდება ფიცი ათენ-არგოსის კავშირის სიმტკიცესა და მარადიულობაზე (ტ. 287—91, 667—73, 762—74). აქ კიდევ ანტიკური ხანის კომენტატორი მიუთითებდა, რომ აქ იგულისხმება არა მითოური არგოსი და ათენი, არამედ 461 წელს შეკრული ათენ-არგოსის კავშირი (ტ. 290-ის სქოლიასტი: *συμμαχισίῃσιν Ἀργείων Ἀττικῶν*). ეს იყო პოეტის თანამედროვე მოვლენების მითოლოგიური პროექცია ლეგენდარულ წარსულში (ტერმინი ზელნსკისეულია). როცა ესკილე ორესტეს პირით მრავალგზის განადიდებს ამ კავშირს, უეჭველია იგი მხარს უჭერს დემოკრატების საგარეო პროგრამის ამ პუნქტს და დაყენებით ურჩევს ათენელებს ეს „სიმასია“ შეინარჩუნონ.

არეოპაგის რეფორმა დემოკრატთა საშინაო პოლიტიკის მთავარი პუნქტი იყო. არისტოტელეს „ათენელთა პოლიტიკის“ მიხედვით (III, 6) უძველეს არეოპაგს უდიდესი პოლიტიკური უფლებები ჰქონდა: მას ევალებოდა კანონ-

თა დაცვა (νυμφοσύστασις). პოლიტიკის მეთვალყურეობა (ἐπιτοχασια πωλειαιας) და სხვა (ათ. პოლიტია VII,4)⁸.

კონონის არქონტობის დროს დემოკრატების ბელადის ეფიალტეს ინიციატივით არეოპაგის საბჭოს წაართვეს პოლიტიკური უფლებები. რომელთაგან ნაწილი გადაეცა საბჭოს, სასამართლოს და სახალხო კრებას. ათენის პოლიტიკურ ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დემოსი ეგზომ ღიდი უფლებით სარგებლობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში⁹.

რეფორმის შემდეგ არისტოკრატები ფარხმალს არ ყრიან. მათ მოკლეს ეფიალტი. დემოკრატები შურისძიებას მოითხოვენ. არისტოკრატები კი უჭველესი არეოპაგის აღდგენას ცდილობენ. გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლა ქვეყანას სამოქალაქო ომით ემუქრება. ასეთ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში დაიდგა ესქილეს ტრილოგია. გენიალური ესქილე შესანიშნავად ასერხებს თავის აუდიტორიას თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებზე ესაუბროს. თუმცა სიუჟეტის ჩარჩოებს არ სცილდება.

არეოპაგის დაარსების ეპიზოდში ათენა ასეთი დეკლარაციით მიმართავს ატიკის ხალხს: „ისმინე ხალხო ატიკისა. პირველად ვარჩევთ საქმეს დაღერილი სისხლის გამო (ტ. 662 *πρωτας δεχας κρινονας δεχασας γυας*) მოსამართლეთა ეს საბჭო მარად იქნება ეგეოსის მოდგმაში... დღისით და ღამით მოქალაქეებს რიღს შთაუნერგავს და მის მონათესავე შიშს. ნუ წაბლწავენ კანონებს მოქალაქენი. თუ ანკარა წყალს ცუდი შენარევით აამღებევ, ვეროდეს იპოვი სუფთა წყაროს. მოქალაქეებს ვერჩევ მოერიდონ ანარქიასაც და დესპოტიასაც. ნუ განდევნიან შიშს ქალაქიდან. შიშის გარეშე ვინლა იქნება სამართლიანი? მსგავსი საბჭო არ იპოვება არც სკვითებში, არც პელოპის მხარეს. მე ვაფუძნებ ამ უანგარო, მკაცრსა და სამართლიან საბჭოს დაძინებული ქალაქის ფიზიკურ გუშავად და ჭეყენის მცველად“ („ეემენიდები“, ტ. 681—706)¹⁰.

ესქილეს პოზიციის გასარკვევად არეოპაგის რეფორმის საკითხში საშიშროა ერთი გარემოება გავითვალისწინოთ. ანტიკური ზენიჭვეულებით კანონების შეცვლა ღიდი დანაშაულად ითვლებოდა. რადგან კანონები ღვთის დადგენილად იყო მიჩნეული. სასტიკად ისჯებოდა რეფორმატორიც და მისი გვარიც. ამიტომ ახალი კანონის დადგენისას იშველიებდნენ ე. წ. კონსერვატულ იურიდიულ ფიქციას. არგუმენტაცია ასეთი იყო: ახლად დადგენილი კანონი ფაქტურად ძველია. მაგრამ იგი ბოროტმა ადამიანებმა დაამახინჯეს. რეფორმატორებმა აღადგინეს თავდაპირველი მდგომარეობა. ასეთი არგუმენტაცია ხალხის თვალში დამაჯერებელი იყო. ათენის დემოკრატები ისტორიულა სინამდვილის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდნენ, რომ არეოპაგს ძველად მხოლოდ სისხლის სამსჯავროს ფუნქცია ეკისრებოდა. ამ შეხედულების კვალი არისტოტელეს „ათენელთა პოლიტიაში“ (XV) ჩანს, სადაც ეფიალტეს მიერ არეოპაგისთვის ჩამორთმეული უფლებები კვალიფიცირებულია როგორც დანართი. შემდეგ შექმნილი (τὰ ἐπιτοχασ) უფლებები. მაგრამ იქ სადაც უძველეს არეოპაგზე ლაპარაკი (IV,4), არისტოტელე გარკვევით ამბობს, რომ არეოპაგი კანონთა მცველი (φύλαξ τῶν νόμων) და თანამდებობის პირთა მეთვალყურე იყო.

თუ უძველესი არეოპაგი მხოლოდ სისხლის სამსჯავრო იყო, როგორც ესქილემ წარმოადგინა, რა აზრი აქვს ესქილეს დაქინებით გაფრთხილებას იმათ მიმართ, ვინც დადგენილ წესრიგს დაარღვევს. ეფიალტემ რეფორმის შემდეგ არეოპაგს სწორედ სისხლის საქმეთა სამსჯავროს ფუნქცია დაუტოვა.

ამიტომ ესქილეს პოზიცია არეოპაგის რეფორმის საკითხში ბუნდოვანია და დღემდე გაცხოველებული დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

მიუღერძი ფიქრობდა, რომ „ვემენიდების“ დადგმის წინ ეფიალტეს კანონი ძალაში არ იყო შესული და კამათი კანონპროექტის გარშემო გრძელდებოდა. არისტოკრატები იმედოვნებდნენ, რომ არეოპაგე შეძლებდა თავი დაეცვა ცოსლოდნელი შეზღუდვისაგან. მიუღერძის აზრით, საგარეო პოლიტიკის საკითხებში ესქილე დემოკრატთა პროგრამას უჭერს მხარს, საშინაო პოლიტიკაში კი კონსერვატორია. ამიტომ არეოპაგის რეფორმას იგი არ თანაუგრძობს. მიუღერძის სკეპტიციზმი ანტიკური ტრადიციისადმი (არეოპაგის რეფორმის დათარღლების საკითხში) ნაწილობრივ გამართლებულია, რადგან მაშინ (1833 წ.) არისტოტელეს „ათენელთა პოლიტია“ აღმოჩენილი არ იყო (იგი 1891 წ. აღმოჩნდა).

ბ. დრაკე შეეცადა გაებათილებინა მიუღერძის არგუმენტები¹¹. ესქილე ყველგან გვანიშნებს, — წერდა დრაკე, — რომ არეოპაგის იურისდიქციას მკვლელობათა საქმეში რეფორმა არ შეხებია. როცა იგი საზეიმოდ განადიდებს ამ ფუნქციას. ამით ცდილობს რეფორმით უკმაყოფილო ელემენტები შექმნილ მდგომარეობას შეარიგოს და შეარბილოს ორი მოწინააღმდეგე პარტიის ურთიერთსიძულვილი (ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა გროტმა). დრაკეს საინტერესო დაკვირვებით, ესქილე ეფიალტეს პარტიის მოწინააღმდეგედ ვერ ჩაითვლება თუნდაც იმიტომ, რომ იგი ასე დაუინებოთ გამოხეულა. აშკარად აქებს ათენ-არგოსის კავშირს.

ფ. კაუერის აზრით, არეოპაგის დაარსების ეპიზოდში ათენას მოწოდება „ანკარა წყალს ბინძური შენარევით ნუ ამღვრევ“ ეხება კანონ-პროექტს არქონტების არჩევნების შესახებ (არეოპაგის წევრები ყოფილი არქონტებიდან ირჩეოდნენ) და ესქილეს გარკვეულ ტენდენციასზე მიგვანიშნებს¹².

„ათენელთა პოლიტიკის“ (X XVI) ცნობით 457/6 წელს დაწესდა, რომ არქონტები ავრჩიათ მესამე სოციალური ფენიდანაც — ძველებიდან (მანამდე მხოლოდ პირველი ორი ფენიდან — პენტაკოსიომედიმნებიდან და მხედრებიდან ირჩეოდნენ). „ვემენიდების“ დადგმის წინ ამ კანონ-პროექტის გარშემო დებატები ნიმდინარეობდა და, როგორც ჩანს, ესქილე წინააღმდეგაა ამ დემოკრატიული ღონისძიებისა.

კაუერის შეხედულებით, ესქილე არც არეოპაგის რეფორმას უჭერს მხარს და არც მის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი რომ უკმაყოფილო იყო ათენის პროგრესული დემოკრატიზაციით, იქედან ჩანს, რომ სიცოცხლის ბოლო წლები სამწინააღმდეგე შორს — სიცილიაში გაატარა. ეს უკანასკნელი არგუმენტი ესქილეს კონსერვატორობის სასარგებლოდ არ გამოდგება, რადგან არ არსებობს აბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ესქილე უკან დაბრუნებას არ აპირებდა (სიცილიაში იგი აღრეც მოგზაურობდა). ამის გარდა, ისიც ცნობილია, რომ გარდაცვალებამდე ორი წლით აღრე, 458 წელს ათენის ყიურომ ესქილეს „ორესტეას“ პირველი ჟილდო მიაკუთვნა.

სიღვეციის მოსაზრება¹³ ნაკლებად დამარწმუნებელია, ვიდრე მისი წინამორბედებია. სიღვეციის შეხედულებით ესქილე თავისი სოციალური წარმომობის გამო კონსერვატიული და ოლიგარქიული ინტერესებით უნდა გამსჭვალულიყო. ამიტომ იგი, ბუნებრივია, დემოკრატიული რეფორმების წინააღმდეგ უნდა იყოს განწყობილი.

რიჩარდ ლიენგსტონმა თავის საყურადღებო გამოკვლევაში¹⁴ მრავალ- მითითება წარმოადგინა „ევმენიდების“ ტექსტიდან ათენის საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ლიენგსტონი არ ეთანხმება იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომელნიც ესჭილეს არქეოკონსერვატორად მიიჩნევენ: „იმით, ვინც დაწმუნებულია ესჭილეს კონსერვატულ შეხედულებებში, უნდა განმარტონ რატომ წარმოადგინა ესჭილემ არეოპაგი იმ ფუნქციებით, რომლებიც მას დემოკრატებმა დაუტოვეს შეზღუდვის შემდეგ და არაფერი თქვა მის სხვა ფუნქციებზე. ესჭილეს პოლიტიკურ სიმპათიებს დემოკრატებისადმი აღსატურებს ათენ-არგოსის კავშირის მრავალგზისი შექება „ევმენიდებში“. ესჭილეს პოლიტიკური იდეალი ზომიერი დემოკრატიაა, რომელიც რეფორმებს არ მიიყვანს უკიდურესობამდე და გადაკარბებულ სიმკაცრეს არ გამოიჩენს კანონებში. დასკვნა და ტერორში“¹⁵. „ევმენიდების“ სახით, — ლიენგსტონის აზრით, — ესჭილემ პოლიტიკური ალეგორია შეთხზა. ჩიხი, რომელშიც აპოლონი და ერინიები მოეწყვიდნენ, ასახავს ჩიხს, რომელშიც მოხვდნენ რადიკალები და კონსერვატორები 460 წელს.

არ შეიძლება გავიზიაროთ ლიენგსტონის ეს უკანასკნელი მოსაზრება. ალეგორიის იდეა საეხებით უცხია ესჭილეს ტრაგედიის სულისთვის, რომელსაც ახასიათებს ძირითად შინაარსში შეფარვით ჩართული პოლიტიკური მნიშვნელობანი და პოეტის იდეური ჩანაფიქრის შეხამება მხატვრულ ფორმასთან. „ევმენიდების“ პერსონაჟები განწყობილი სქემები კი არაა, არამედ ბერძნული პანთეონის რეალური დმერთებია და მათ შორის კონფლიქტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ ალეგორიას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

„ევმენიდების“ პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ საინტერესო შეხედულება გამოთქვა კლარა სმერტენკომ¹⁶. თავის ინტერპრეტაციას სმერტენკო ამყარებს პარალელიზმზე, რომელიც, მისი აზრით, უსათუოდ აღინიშნება მითურ ორესტესა და ალკმეონიდ პერიკლეს შორის (პერიკლე დედის მხრივ ალკმეონიდების ცოდვილი გვარიდან იყო). პერიკლე (და მისი გვარი) მრავალს იტანჯებოდა და ორესტეს მსგავსად აპოლონის ორაკულის მიერ იქნა განწმენდილი. აპოლონის არგუმენტით (დედა არაა მშობელი; ნამდვილი მშობელი, შემქმნელი მამაა. ტ. 658—664) ორესტეს ვამართლება მითითური პროტოტიპია პერიკლეს გასამართლებლად. თუ დედასა და შვილს შორის ნათესაობა არ არსებობს, არც პერიკლეს მიუძღვის ბრალი ალკმეონიდების ცოდვაზე. ამიტომ. სმერტენკოს აზრით, „ევმენიდების“ მთელი დისკუსია მიზნად ისახავს პერიკლეს რეაბილიტაციას.

სმერტენკოს ინტერპრეტაცია მიუღებელია. რადგან პარალელიზმი ორესტესა და ალკმეონიდ პერიკლეს შორის მოჩვენებითია. ორესტეს სდევნიან არა გვარის წინაპრის ცოდვისთვის. არამედ მის მიერ ჩადენილი მკვლელობისთვის. ამასთან, საჭიროა გავითვალისწინოთ ესჭილეს პოზიცია პერიკლეს კანონ-პროექტისადმი: პოზიცია, რომელიც „ევმენიდების“ ტექსტში შეინიშნება¹⁷.

„ათენელთა პოლიტიკის“ X XVI თავში აღნიშნულია, რომ ათენის მოქალაქეთა მოქარბების გამო 451 წ. პერიკლეს ინიციატივით გატარდა კანონი. რომლის თანახმად სრულუფლებიან მოქალაქედ მხოლოდ ის ჩაითვლებოდა, ვინც ორივე მშობლის მხრივ ათენელი მოქალაქე იყო. საფიქრებელია, რომ ამ კანონის სასარგებლო დისკუსია წინა წლებში მიმდინარეობდა. როგორც „ევმენიდებიდან“ ჩანს, ესჭილეს ლიბერალური პოზიცია უპირავს ამ საკითხში და მოქალაქის

სრულუფლებიანობისთვის საკმაოდ მიიჩნევს მხოლოდ მამის მხრივ ათენელობას. ამიტომ. — სამართლიანად შენიშნავდა ს. ლურიე სმერტენკოს ინტერპრეტაციის გამო, — გასაოცარი იქნებოდა პერიკლეს კანონპროექტის წინააღმდეგ ესქილეს პროტესტი პერიკლეს რეაბილიტაციად ჩაგვეთვალა. უფრო დასაშვებია საწინააღმდეგო: ესქილეს სურს უჩვენოს პერიკლეს, რომ მის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი თვით პერიკლეს წინააღმდეგაა მიმართული¹⁸

არ შეიძლება გაეიზიაროთ სმერტენკოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ევმენიდებში“ ესქილე დელფური განწმენდის პროპაგანდას ეწევა. ეს რომ ნამდვილად ასე იყოს, მაშინ „ევმენიდებში“ მეტი მნიშვნელობით იქნებოდა წარმოდგენილი ორესტეს განწმენდა დელფოში. ესქილე გვანიშნებს რა უნაყოფოა ორესტეს განწმენდა და ტრადიციული ხერხები ერინიების რისხვის დასაცხრომად. ორესტე ზშირად იმეორებს, რომ იგი განწმენდილი მოვიდა დელფოში (σὺν πατριάρχῳ: ἄ. 445) და რომ იგი „განიწმენდა სხვადასხვა სახლებში“ (ἄ. 239), ე. ი. სხვადასხვა რიტუალით და არა მარტო დელფოს წესით. როგორც სმერტენკო ფიქრობდა. მაგრამ ერინიები მას მაინც ცოდვილად თვლიან და მისი შესვლით დელფოს ტაძარს წაბილწულად მიიჩნევენ.

დოდსის აზრით, „ევმენიდებში“ წარმოდგენილია არა დელფური განწმენდის პროპაგანდა, არამედ შეხედულება, რომელიც მანამდე ცნობილი ტრადიციისგან განსხვავდება: განწმენდი ზევსი (Ζεὺς ἀμύμων) გამოდგენილია ახალი სახის ზევსით Ζεὺς ἄγραιος, რომელიც საზოგადოებრივ სახალხო შეკრებებს ხელმძღვანელობს. ტრაგედიის ფინალში. საზეიმო პროცესიის მსვლელობისას ათენა აცხადებს: εἰπαύησε Ζεὺς ἄγραιος¹⁹.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფელიქს იაკობიმ იმის მტკიცებით, რომ ესქილე რადიკალური რეფორმების მომხრე იყო. თავის შენიშვნებში ჰელანიკეს I ფრაგმენტის შესახებ²⁰. იაკობი წერს: „ესქილე მოქნილად და გაცილებით უფრო გაბედულად იყენებს მითს. ვიდრე ერთი შეხედვით მოგვეჩვენება... მე ეკვი არ მეპარება, რომ ესქილემ ეს ტრილოგია არეოპაგს უძღვნა და არეოპაგის 462/61 წლის რეფორმის გამო დაწერა. ასევე, ეკვი არ მეპარება იმაში, რომ იგი მხარს უჭერს ბველი საბჭოს იურისდიქციის დემოკრატიულ შეზღუდვას (არეოპაგს რჩება მხოლოდ მკვლელობის სამსჯავროს ფუნქცია) და რადგან არეოპაგის დაარსებისას ათენა განსაზღვრავს არეოპაგის ფუნქციებს, ამიტომ არეოპაგის ყველა დანარჩენი უფლება ἐπιπέτα-ს (დანართი. გვიან შექმნილი უფლება) კონცეფტიაში ექცევა. როგორც ამტკიცებდა ეფიალტე ან როგორც ეს არის არისტოტელესთან“.

დოვერმა „ევმენიდები“ სხვადასხვა პოლიტიკურ ასპექტში განიხილა²¹

ესე. როგორც მისი წინამორბედები. დოვერიც აღნიშნავს „ევმენიდებში“ ჩართულ მინიშვნებს ათენის საგარეო პოლიტიკაზე (ლიბიის ექსპედიცია. ათენის ტერიტორიული პრეტენსიები ტროის სანაპიროზე და სხვ.).

დოვერის აზრით. ესქილე თავის ხალხს ურჩევს დაკვირვებულ და არა ძალისმიერ დამოკიდებულებას პოლიტიკისადმი. შუალედი — ἄν ἄλλοι ესქილესთვის უცვლელი პოლიტიკური ლოზუნგი არ იყო. როდესაც ერინიების ჭროც და ათენაც ორი უკიდურესობისგან გვაფრთხილებენ (ანარქიისგან და დესპოტიზმისგან). ეს იმას ნიშნავს. რომ ორივე მხარე მართალია და აუცილებელი არაა ცალპარაკოთ ესქილესე. როგორც ზომიერ დემოკრატიზე. ან „ცენსტრალური“ პარტიის წევრზე.

არეოპაგის რეფორმის საკითხში დოვერი ფ. იაკობის პოზიციაზე დგას. მისი აზრით, ათენას გაფრთხილება „ნუ წაბილწავთ კანონებს“, „ანკარა წყალს ნუ ამღვრევთ“ — დემოკრატების ლოზუნგად უნდა გავიგოთ, რადგან დემოკრატებმა „გაასუფთავეს“ არეოპაგის ძველი სხეული შემდეგ დანართი უფლებების ჩამოცილებით (როგორც არის „ათენელთა პოლიტიის“ XXV თავში). ამიტომ დოვერიის შეხედულებით ათენას გაფრთხილება არეოპაგის რეფორმის ან მომავალი რეფორმატორების წინააღმდეგ კი არაა მიმართული, არამედ, პირაქით, იგი კარგად მიესადაგება თვით რეფორმატორთა არკუმენტებს.

მკვლელობის საქმეთა მოქცევა სახელმწიფო კონტროლის ორბიტაში, დოვერის აზრით, ერთი ნაბიჯი იყო წინ და ფაქტობრივად პოლისის მაცივილიზებულ გავლენას ადასტურებდა. ათენა თავის სიტყვაში მიუთითებს არეოპაგის იმ უფლებაზე, რომელიც ეფიალტემ დაუტოვა მას და რომელიც თავისთავად უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ სახელმწიფოს გრანდიოზული ფუნქცია განხორციელდეს.

„ევმენიდების“ პოლიტიკური ტენდენციის შესახებ მნიშვნელოვანი სტატია გამოაქვეყნა დოდსმა²². დოდსის აზრით, „ევმენიდების“ ზოგიერთ ეპიზოდს მაყურებელი აღიქვამდა, როგორც მინიშნებას პოეტის თანამედროვე მოვლენებზე (მაგ., ათენას ლიბიაში ყოფნა (ტ. 293—5) გულისხმობდა ათენის დამხმარე ექსპედიციას მოკავშირე ლიბიელისადმი). დოდსი იხილავს საშინაო პოლიტიკის ძირითად პუნქტს — არეოპაგის რეფორმის საკითხს. მისი აზრით, დაუშვებელია ესქილე კონსერვატორად ჩავთვალოთ, თუნდაც იმიტომ, რომ „ევმენიდებში“ მრავალჯონ არის განდიდებული ათენ-არგოსის კავშირი. მაგრამ ძნელია ესქილე მივიჩნიოთ რადიკალური რეფორმების თანამედევრულ მომხრედ²³. დოდსის ეს უკანასკნელი მოსაზრება „ევმენიდების“ ორ ეპიზოდს ემყარება: 1. ათენას მოწოდება „ანკარა წყალს ნუ ამღვრევთ ბინძური შენარევით“ (ἐναρπασαίαι μὴρῆρηται ἄχαια, ტ. 694), დოდსის შეხედულებით (ისე როგორც კაუერის, ლურიეს აზრით), ესქილეს პროტესტს გამოხატავს ძევგიტების დაშვების წინააღმდეგ არქონტების არჩევნებში. 2. დოდსი გამოყოფს „ევმენიდების“ ტექსტიდან 700—706 ტაქეებს (ათენას სიტყვაში) და ფიქრობს, რომ ახლად დაარსებული არეოპაგის ფუნქციები „ევმენიდებში“, უფრო ფართოდ შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი, ვიდრე მკვლელობის საქმეთა სასამართლოა, რომელიც ცალკეულ ინდივიდს იცავს და არა მთელ სახელმწიფოს.

შუალედი — τὸ μῆσος, რომელსაც ესქილე ერინიების პირით აღიარებს. სრულიადაც არ უნდა იყოს პოლიტიკური ლოზუნგი მემარჯვენეებისა ან მემარცხენეებისა, ან გარკვეული პოზიციის რეკომენდაცია პოლიტიკაში: შუალედი — აქტორის პოზიციის ნამდვილი და ზუსტი გამოხატულებაა. ფინალურ სცენასაც. — დოდსის შეხედულებით, — გარკვეული დამოკიდებულება აქვს ესქილეს თანამედროვეობასთან. მოსალოდნელ სამოქალაქო ომზე მითითებით ესქილე ცდილობს ორივე მოწინააღმდეგე პარტია შეარიგოს.

მსგავსი შეხედულება გაცილებით უფრო ადრე გამოთქვა ვილამოვიცმა. ვილამოვიცის აზრით, ესქილეს ნეიტრალური პოზიცია უჭირავს ათენის ოლიგარქებისა და დემოკრატების ბრძოლაში. იგი პარტიებზე მალაა დგება და უფრო მეტად სამშობლოს მომავალზე ზრუნავს, ვიდრე რომელიმე პარტიის პოლიტიკურ წარმატებებზე²⁴.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ დოდისის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ევმენიდებში“ საქმე გვაქვს პარადიგმატიკასთან და არა პოლიტიკურ ალეგორიასთან (როგორც ლეინგსტონი ფიქრობდა). ერინიების არჩევანი (ალტერნატივა) იმის ნიმუშია, რომ გამწვავებული მემკვიდრეობითი მტრობაც შერიგებით შეიძლება დასრულდეს.

„ევმენიდების“ შესახებ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საყურადღებო განოკლევა გამოაქვეყნა ს. ლურიემ. ლურიეს შეხედულებით, ესქილე მხურვალედ უჭერს მხარს ათენის დემოკრატიების საგარეო პოლიტიკას (ათენ-არგონის კავშირი, ეგვიპტის ექსპედიცია, ბრძოლა ტროის სანაპიროსა და დელფოზე გავლენისათვის და სხვ.)²⁵, მაგრამ საშინაო პოლიტიკის საკითხებში რადიკალური დემოკრატიზაციის წინააღმდეგია. თუმცა უძველესი არეოპაგი ესქილემ წარმოადგინა როგორც მკვლელობის საქმეთა სამსჯავრო, მაგრამ მისი დაჟინებითი გაფრთხილება „შინისა და კონტროლის საჭიროების შესახებ გავფიქრებინებს, რომ „ევმენიდების“ დადგმის წინ მზადდებოდა ახალი შეტევა კონტროლის ფუნქციების გასაუქმებლად. ლურიე იშველიებს გვიანდელი ანტიკურობის ენციკლოპედიის — *Lexicon Cantabriense* ცნობას იმის თაობაზე, რომ არეოპაგის რეფორმის შემდეგ კანონთა კონტროლის ფუნქციები გადაეცა ახლად დაარსებულ ნომოფილაკების საბჭოს²⁶. ამიტომ იგი ფიქრობს, რომ დემოკრატიების განმეორებითი შეტევა მიმართული იყო ნომოფილაკების წინააღმდეგ. ამ ასპექტში აიხსნება ესქილეს მიერ კონტროლის საჭიროების თავგამოდებული დაცვა და მისი პროტესტი ნომოფილაკების მოსალოდნელი გაუქმების წინააღმდეგ.

ლურიეს აზრით, ესქილე წინააღმდეგია მეორე რადიკალური რეფორმისა (ძვევითების დაშვების არქონტების არჩევით თანამდებობაზე — „ანკარა წყალს წუ ამღვრევთ ბინძური შენარევით“). ლურიე იხილავს აპოლონისა და ათენას არგუმენტებს (ორესტეს დასაცავად) შვილისა და მშობლების სისხლით ნათესაობაზე. როდესაც ორესტე ერინიებს მოაგონებს, რომ მისმა დედამ კლიტემნესტრამ ორმაგი დანაშაული ჩაიდინა — საკეთარი მეუღლე და ორესტეს მამა მოკლა. ერინიები პასუხობენ, რომ მის მიერ მოკლული მეუღლე მისი სისხლით ნათესავი არ იყო. არასისხლით ნათესავის მკვლელობა კი მათ კომპეტენციას არ შეადგენს. აპოლონი კონტრარგუმენტს იშველიებს ორესტეს გასამართლებლად. ორესტე უდანაშაულაა. რადგან მოკლული მამის სისხლი აიღო. ხოლო, რაც შეეხება დედის მკვლელობას, დედა არაა მშობელი. დედასა და შვილს შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობს. ნამდვილი მშობელი, შემქმნელი ნამაა. დედა ჩანასახის შემნახველი და მასაზრდოებელია (ტ. 658—661:

მამაჲე უან ანაჲკრესთი ომეოთი თათან, ბეს აიჲთათან ნათესავთი.

ს მ მარათათაჲ...

შეხედულება დედისა და შვილის ბიოლოგიურ უცხოობაზე პითაგორას ფიქტორიანა და იგი საკმაოდ გავრცელებული იყო ბერძნული აზროვნების ისტორიაში. ამ შეხედულებას ჩვენ ვხვდებით ანაქსაგორასთან (frg. 107). პლატონთან (Timaeus, 50d), არისტოტელესთან (Gen. An. IV, 1. 763). მაგრამ თუ ამ შეხედულებას სოკრატურ ვარემოზე გადავიტანთ. აღმოჩნდება, რომ დედისა და შვილის ნათესაობის საკითხი ელინებთან მკიდროდ დაკავშირებული იყო ნოქალანის იტრიდიულ მდგრძარეობასთან.

„ევმენიდების“ დრამატული კოლოზიის პოლიტიკური აზრის ამოსახსნელად, ლურიეს აზრით, ევრიპიდეს ტრაგედიები „ანდრომაქე“ (დაიღდა 411 წ.) და „ორესტე“ (დაიღდა 408 წ.) გამოგვადგება²⁷. დასახელებულ ტრაგედიებში მსგავსი კოლოზია ἄμφι-ს²⁸ უფლებებს უკავშირდება. ევრიპიდეს ამ ტრაგედიების დადგმის შემდეგ 403 წ. ათენში გატარდა კანონი, რომლის თანახმად სრულუფლებიანი მოქალაქეობისთვის აუცილებელი იყო ორივე მშობელი ათენელი მოქალაქე ყოფილიყო. ასეთი შეზღუდვა ათენელ მოქალაქეთა მოქარბებით იყო გამოწვეული.

მსგავსი კანონი, როგორც ზემოთ მოიხსენიეთ, 451 წელს გატარდა პერიკლეს ინიციატივით. ამ კანონის სასარგებლო დებულებები, ლურიეს ვარაუდით, ადრე წლებშიც მიმდინარეობდა. ამიტომ ესქილეს „ევმენიდებში“ აისახა დისკუსია პერიკლეს კანონ-პროექტის გარშემო (ასეთივე მოსაზრებისა არიან სმერტენკო, გ. ტომსონი, პოდლეკი). არეოპაგის საბჭოზე დედის მკვლელი ორესტეს გამართლებით ესქილე აშკარად ემიჯნება პერიკლეს კანონ-პროექტს.

სავსებით მისაღებია ლურიეს შეხედულება იმაზე, რომ ესქილეს მიერ არეოპაგის თავგამოდებული დაცვა ესქილეს პროტესტს გამოხატავს არეოპაგზე განმეორებითი შეტევის წინააღმდეგ (რეფორმის შემდეგ). მაგრამ არ შეიძლება გავიზიაროთ მისი მოსაზრება ნომოფილაკების შესახებ, რადგან „ევმენიდებში“ ლაპარაკია არეოპაგზე და არა სხვა რომელიმე საბჭოზე. ამ საკითხში, ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებელია პოდლეკის ინტერპრეტაცია, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

„ევმენიდების“ ტექსტზე დაკვირვება. — წერს პოდლეკი²⁹, — გვაფიქრებინებს, რომ ესქილე უკმაყოფილოა არეოპაგის მაშინდელი მდგომარეობით და რადგან ეფიალტეს რეფორმა 462/61 წელს გატარდა, საფიქრებელია, რომ რეფორმის შემდგომ არეოპაგს განმეორებით შეუტეოს („ორესტეს“ დადგმის წინ 458 წლამდე).

„ათენელთა პოლიტიის“ დასაწყისში არეოპაგის უძველეს უფლებებში კანონთა დაცვის ფუნქციაც იხსენიება (III, 6). ხოლო შემდეგ (VIII, 4) ნათქვამია, რომ „სოლონმა არეოპაგს დაუწესა ნომოფილაკია, სწორედ ისე, როგორც ეს იყო კონსტიტუციით“. რა იგულისხმება ზუსტად ნომოფილაკიაში, გაურკვეველია. შესაძლოა, ეს იყო განსაკუთრებული ფუნქცია „გრაფე პარანომონის“ მსგავსი. ან საერთო მეთვალყურეობის ფუნქცია სასამართლოსა და კანონებზე. ფუნქცია, რომელიც მოხსენიებულია ფილოქორეს ფრაგმენტში (FGH 328 frg., 64b). როგორც ნომოფილაკების საბჭოს კომპეტენცია. ნომოფილაკების საბჭოს დაარსების თარიღად 460 წელს ვარაუდობენ (ფილოქორე ზოგადად ამბობს, რომ ეს საბჭო ეფიალტეს რეფორმის შემდეგ დაარსდა).

„ათენელთა პოლიტიის“ 27-ე თავში წერია, რომ პერიკლემ არეოპაგეტს ზოგიერთი უფლება წაართვა (αὐτὸς γὰρ αὐτὸν ἄφαινετο τὴν ἐξουσίαν). პერიკლეს შეტევა არეოპაგზე არეოპაგის რეფორმის შემდგომ პერიოდს ეკუთვნის (როგორც მტკიცდება „ათენელთა პოლიტიის“ ცნობების შეჯამებით სხვა წყაროებთან). საფიქრებელია, რომ ამ ზოგიერთ უფლებებში იყო ნომოფილაკიაც. რომელიც პერიკლეს ასლად დაარსებული ნომოფილაკებისთვის უნდა გადაეცა. ამ შეურაცხყოფელი აქტის წინააღმდეგ ესქილე, ათენის სიტყვით, თავის პროტესტს გამოთქვამს.

ამ ასპექტში პოლდევი მოიხმობს დოდსის მითითებას 700—706 ტაეების მნიშვნელობის შესახებ. ათენა აცხადებს: „მე ვაფუძნებ ამ უანგარო, ღირსეულსა და მკაცრს საბჭოს, როგორც... ქვეყნის მცველს (φρῖσις ἡμῶν... ἀμύνασται). გამოთქმა „ქვეყნის მცველი“ შესაძლოა გავიგოთ, როგორც ნამოფილაკის ფუნქცია, რომელიც არეოპაგზე განმეორებითი თავდასხმის ობიექტი იყო 462 წლის რეფორმის შემდეგ. თუ ეს ვარაუდი სწორია, — სწერს პოლდევი, — მაშინ ათენას გაფრთხილება მოქალაქეებისადმი (ტ. 690—5) — „ნუ წაბილწავთ კანონებს“, „ანაკრა წყალს ბინძური შენარევით ნუ ამლერევთ“ — უნდა გავიგოთ როგორც ესქილეს პროტესტი ნომოფილაკების დაარსების გამო.

მაშასადამე, პოლდევის ინტერპრეტაციით, ესქილე მხარს უჭერს არეოპაგის 462 წლის რეფორმას, მაგრამ წინააღმდეგია კონტროლის ფუნქციების ნომოფილაკებზე გადაცემით. როგორც ჩანს, ნომოფილაკების საკითხში პოლდევის მოსაზრება ლერიეს შეხედულებებისაგან განსხვავდება.

თუ ლერიესა და პოლდევის ვარაუდი სწორია (არეოპაგისეული კონტროლის ფუნქციის ნომოფილაკებზე გადაცემის შესახებ), მაშინ, როგორც აღვნიშნეთ. უფრო სარწმუნოდ ჩანს პოლდევის ინტერპრეტაცია.

პოლდევის აზრით, ესქილე უკმაყოფილოა პერიკლეს მიერ დასახული დემოკრატიული ღონისძიებებით — ჯამაგირიანი სასამართლოების დაწესებით და კანონ-პროექტით νῆμι-ს შესახებ. ამის შესახებ მითითებებს იგი „ევმენიდების“ ტექსტში პოულობს.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს. ტრილოგია „ორესტეა“ ელინური ღმერთების მფარველის, ქალაქ ათენის მდგომარეობას და ბედს ეძღვნება, თუმცა იგი მითურ სიუჟეტზეა აგებული.

ათენის დემოკრატიული პოლისის აღმავლობის ხანის პოეტი ესქილე დარწმუნებულია, რომ ათენის სახელმწიფოს განვითარების გზა ისტორიულად გამართლებულია. იგი იწონებს რადიკალების საგარეო პოლიტიკის კურსს, მაგრამ ღრმად სწამს ამ საგარეო პროგრამის რეალიზაცია რადიკალური დემოკრატიზაციის გარეშე. ესქილე ლოიალურად ღებულობს არეოპაგის 462 წლის რეფორმას. სხვანაირად აუხსნელი დარჩებოდა კითხვა, რატომ წარმოადგინა ქალღმერთ ათენას პირით უძველესი არეოპაგი მკვლელობის საქმეთა სამსჯავროდ? გასაოცარი იქნებოდა მას ათენასთვის დაეკისრებინა უფლებაშეკვეცილი არეოპაგის განდიდება, თუ იგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ამ დემოკრატიული რეფორმისა. მაგრამ ესქილე წინააღმდეგია შემდგომი პროგრესული დემოკრატიზაციისა. რომელსაც ეფვალტეს შემდეგ ათენში პერიკლე ახორციელებდა.

ესქილეს უარყოფითი პოზიცია რადიკალური დემოკრატიული რეფორმებისადმი მკვიდროდ დაკავშირებულია მის რელიგიურ-ეთიკურ შეხედულებებთან. არეოპაგის დაარსების ეპიზოდში რამდენჯერმე მეორდება „შიშის“ აღმნიშვნელი სიტყვები: ἀνῆρας ἄρασιν φρίξας ἄε σαγχεσῆς (მოქალაქეთა რიდი და მისი მონათესავე შიში. ტ. 690); ἡγ' ἂν ἡεῖσιν ἄν πάλαιος ἕξω βῆλεῖν (ნუ განდევნიან შიშს ქალაქიდან. ტ. 699); შიშის გარეშე მოკვდავთაგან ვინ იქნება სამართლიანი? ტ. 700). როგორც ჩანს, „შიში“ ესქილესთვის თავისებური ეთიკური კატეგორიაა, რომელიც მოქალაქეთა სამართლიანობას უზრუნველყოფს.

სამართლიანობა კი სამყაროს საფუძველი და შინაგანი კანონზომიერი აუცილებლობაა. იგი ადამიანთა საზოგადოების არსებობის საწინდარია.

ამ ასპექტში საინტერესოა პრომეთეს მითის პლატონისეული ვარიანტი, რომელიც „პროტაგორაში“ ჩართული (321d—322d). ამ ვარიანტით ადამიანთა საზოგადოების შესანარჩუნებლად აუცილებელია სირცხვილი და სიმართლე (αἰσῶς καὶ δίκη), რომელსაც ზევსი ფლობს და პერმესის მეშვეობით ადამიანებს უგზავნის.

პესიოდესთანაც (რომლის ეთიკურ ტრადიციებს ავითარებს ესქილეს) სამართლიანი საზოგადოების არსებობა განპირობებულია მოქალაქეების მიერ სიმართლისა და სირცხვილის დაცვით. რკინის საუკუნეში სირცხვილი და სიმართლე დედამიწას ტოვებს. ესქილეს ერინიები ათენას მსგავსად გვაფრთხილებენ, რომ დავიკვათ სიმართლე — საზოგადოების სიმშვიდის საფუძველი („ევმენიდები“, 508—515, 521—524).

რადიკალურ-დემოკრატიული რეფორმები, ესქილეს აზრით, შიშის გაქრობით ემუქრებიან ქალაქს — ეს კი ანარქიას, ადამიანთა საზოგადოების დაშლას გამოიწვევს.

ესქილეს ეთიკის უმაღლესი კანონია ზრῆσθαι: ἀμείψαι (დამნაშავე უნდა დიიტანჯოს). ეს დოქტრინა რეალური არჩევანის შესაძლებლობას იძლევა. ესქილეს პერსონაჟები მოქმედების გარკვეულ გეზს ირჩევენ. ხოლო შემდეგში იტანჯებიან. გადამწყვეტი კრიტიკული არჩევანი ერინიებმა გააკეთეს, როცა წერ უარყვეს, შემდეგ კი მიიღეს ათენას წინადადება. გარდაქმნა აქ ისე ცხადია, რომ უნდა ვიფიქროთ მის პარადიმატულ მნიშვნელობაზე პოეტის დროისთვის³⁰.

მითის მორალური დასკვნები ცოცხალი დასკვნებია, რომელნიც ესქილეს რწმენის სწვა პრინციპებთან თანაარსებობენ. ეთიკური კანონის „დამნაშავე უნდა დიიტანჯოს“ პირუტყუ რეზულტატია ἀμειψαί: μάλιστα (ტანჯვით მოპოებული სიბრძნე). დრამის პერსონაჟები ეძიებენ, იტანჯებიან და მათი ტანჯვის შედეგად იმარჯვებს სამყაროსა და საკუთარი ბუნების ახლებური გაგება³¹.

„ევმენიდებში“ ათენა გამოთქვამს მყარ რწმენას ცოდნისადმი, რომელსაც მისი მოქალაქეები დროთა განმავლობაში მოიპოვებენ (ტ. 1000). „მე გაუბედავ გამოთქვა ვარაუდი. — წერდა დოდსი. — რომ ათენა იმედოვნებდა ქემშარიტ პრინციპულობას მიადწევდა კანონებში. რომელნიც მოქალაქეთა მდგომარეობას მართავენ. ეს უფრო ღრმაა და ამაღლებული, ვიდრე კამათი განკერძოებული საკითხის — არეოპაგის რეფორმის გამო, რომელიც ტრილოგიის კომპოზიციას აფორმებს. ამგვარად გაგებული ზრუნვა და გაფრთხილება პოეტისა, მარტო ვიწრო პოლიტიკურ მნიშვნელობას კი არ იძენს. არამედ ეთიკურ-მორალურსაც“³².

შ ე ნ ი შ მ ე ნ ა ბ ი

O. M ü l l e r, Pöflichcr Gesichtspunkt, გამოცემა: Aischylos, Eumeniden, Griechisch und deutsch, mit erluterung abhandlungen über die äussere Darstellung und den Inhalt und die Compositien dieser Tragödie von K. O. Müller. Göttingen, 1835. 115—125.

G. D r o s, წინასიტყვაობა გამოცემა: Des Aischylos Werke, übersetzt von Droy — 2te Auflage, Berlin, 1842, გვ. 3.

³⁰ R. W. L i w i n g s C o n e, The Problem of the Eumenides of Aeschylus, J H S, (1925) გვ. 120—131.

⁴ С. А. Лурье, Художественная форма и вопросы современности в аттической трагедии (докт. дисс.), მს-ვე: Политическая тенденция трагедии «Эвмениды», ВДИ, 1958, N 3. მს-ვე: Die politische Tendenz der Tragedie «Die Eumeniden», Bibliotheca classica Orientalis, 5, 1960, გვ. 495—497.

⁵ ე. ნ. გ. ე. ს. ოსახია, კირძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, იბ. კ. მ. ა. რ. ქსი, ფ. ე. ნ. გ. ე. ს. ოსახია, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, გვ. 199—200.

⁶ A. Lesky, Die tragische Dichtung der Hellenen, 3-te völlig neubearbeitete und erweiterte Auflage, Göttingen, 1972, გვ. 114.

⁷ В. Н. Ярхо, Эсхил, Москва, 1958, გვ. 201.

⁸ ა. რ. ს. ო. ტ. ე. ლ. ათენელთა სახელმწიფო წყობილება, აარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა ქუთაისი, 1935. ბერძნული ტექსტი კენიონის მეორე გამოცემაში, Oxford, 1891.

⁹ H. Bengtson, Griechische Geschichte (Von den Anfängen bis in die römische Kaiserzeit), München, 1950, გვ. 184.

¹⁰ The Oresteia of Aeschylus, edited by G. Thomson, Prague, 1966, ბერძნული ტექსტი და სქოლიოები I ტომში, ტომისთვის კომენტარები II ტომში.

¹¹ Aeschyli Eumenides, ბერძნული ტექსტი დრ. აქის კომენტარებით, Cambridge, 1853.

¹² F. Kaueer, Aischylos und der Arcopag, Rheinisches Museum, Neue Folge, Bd. 50 1895, გვ. 34^e—356.

¹³ A. Sidgwick, Aeschylus, Eumenides, Oxford, 1887.

¹⁴ ლოინგსტონის ხს. სტატია.

¹⁵ იქვე, გვ. 124.

¹⁶ C. M. Smercenko, The political Sympathies of Aeschylus, J H S, 52, 1932, გვ. 233—235.

¹⁷ „ეუმენიდები“, ტ. 65^e—664.

¹⁸ ლურეს ხს. დისერტაცია, გვ. 167.

¹⁹ E. R. Dodds, Morals and Politics in the Oresteia, Proc. of the Cambridge Philological Society, 186, 1960, გვ. 23.

²⁰ F. Jacoby, F G H III, Suppl. I, 22.

²¹ K. J. Dover, The Political Aspect of Aeschylus' Eumenides, JHS, 77, 1957, 230—237.

²² ლოსის ხს. ნაშრომი.

²³ „შახერშირიც ესკიზის ზომიერ დემოკრატიად თვლის. ან უნდა შეფასდეს, შახერშირის აზრით, ესკიზის ტენდენცია „მავდრებლებში“ ათენ-ს დემოკრატიული წყობილების გადატანა გმირთა ვაჟებში, როცა არგონის მითური მთელი პელასგე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სახალხო ყოვანს აწოდებს.“

როგორც ჩანს, ლესკიე იზიარებს შახერშირის ამ შეხედულებას. საკუთრადღებოა ლესკის აზრი ესკიზის პოსიციის შესახებ არეოპაგის რეფორმის საკითხში. ლესკი წერს: „ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ესკიზის მიერ არეოპაგის განდიდება იმ მოვლენებთანა დაკავშირებული, რომელთა მზესით ამ ბედოვ, არისტოკრატიულ საბჭოს, 462 წელს, ჯერა მისი პოლიტიკური უწყობა ჩამოერთვა. მგორამ უსაბოლოო იქნებოდა „ეუმენიდებში“ გავეუზრუნებინა პროტესტი. ალტერს რეფორმის წინააღმდეგ, რადგან ათენა არეოპაგის დაარსებისას მას სწორედ იმ უფლებას ანიჭებენ—სიხლო საკმით განხილვა, რაც არეოპაგს შემოიჩინა. ამ უფლებას, რა თქმა უნდა, მთელი თავიარა რქმენის მთელი ძალი იცავს. აქ უნდა დაეინახებოდა დადასტურება შახერშირის მიერ „მავდრებლებზე“ ემთხვეული შეხედულებისა, რომელსაც (შახერშირის. — მ. ფ.) ესკილე „სამიერი“ დემოკრატიად მიიჩნია“ (ლესკის ხსენებული ნაშრომი, გვ. 106, 133—134).

²⁴ U. v. Wilamowitz-Moellendorf, Aristoteles und Athen, II, 1893, 341, მს-ვე: Aischylos, Interpretationen, Berlin, 1941, გვ. 226 შვდ.

²⁵ კრისტინა გულკე იზიარებს იმ შეხედულებას ინტერპრეტაციებს, რომელნიც „ეუმენიდებში“ მოხუც მინ-შენებას პოელოგენ ათენის საჯარო და სამინიო პოლიტიკის საკითხებზე, თუმცა გულკე იტყობს, რომ ამ საკითხების კვლევისას არ უნდა დამჩრდილოს ეთიკურ-მორალური შინაარსი, ორწინადაც ტრილოგიის ინტერპრეტაციისათვის გავემყვედრი მიშენებლობა ატყვ. გულკე აზრობს, ალბათ ათენის დაახლოების ტენდენცია ესკიზის „მავდრებლებში“ შეინიშნება. დამაყრებელია ჯერჯეს არგუმენტები, იმ მოსაზრობის სასარგებლოდ, რომ „ეუმენიდების“ დადგმის წინ დღევანდელი ათენის ორიენტაციისა იყო. იხ. Christina Gulke, Mythos und Zeitgeschichte bei Aischylos, Meisenheim, 1969.

²⁶ არეოპაგის რეფორმისა და ნომოკლიაქების შესახებ ლურიუს შეხედულებების გადმოცემისას ექვსარბით მის ხსენებულ დისერტაციას, გვ. 141—157.

²⁷ ევრიპიდეს „ორესტეში“ (ტ. 552—554) ეკითხულობთ: „მე მამა შემქმნა, შენმა ასულმა კი ღამბაღა მხოლოდ, ვითარცა ყანამ, თესლი რომ მიიღო სხვისგან“. ანდრომაქეში“ (ტ. 635—633): „ხშირად თესლისთვის შშრალი ნიადაგი ნოციერზე უჭობესია; ასევე, ზოგჯერ უკანონო შეიღო კანონიერზე ღირსეულია“. ამ ასპექტში საყურადღებოა ლესკის დაკვირვება ესქილის ტრაგ. 14-ზე. რომელშიც დაპირისპირებულია ძაქება და გვიყავ (ლესკის ხსენებული ნაშრომი, გვ. 130, შენ. 94).

²⁸ ვძმეი — მოქალაქენი, რომელთაც მამა ათენელი ჰყავდათ, დედა კი უცხოელი. ისინი სახელმწიფო თანამდებობაზე ასარჩევად არ დაიშვებოდნენ.

²⁹ A. J. Podlecky, The political Background of Aeschylean tragedy, Michigan, 1966, გვ. 82—100.

³⁰ დოდსის ხს. ნაშრომი, გვ. 27.

³¹ იქვე.

³² იქვე, გვ. 31.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)

ლელია ბაგუჩაძე

დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის მიუხედავად
ბარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში

დროთა თანამიმდევრობის საკითხები ქვეწყობაში სინტაქსის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო უბანია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოყოფენ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს, რომლებიც მკიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ზრობრივსა და სტრუქტურულ მთლიანობას ქმნიან. თითოეული მათგანი შეიცავს დროის მნიშვნელობას. რომელიც, ჩვეულებრივ, ზმნა-შემასმენლის ფორმით გადმოიკემა.

ქვეწყობის ფარგლებში, სიტყვათა ურთიერთობის ხაზით, საინტერესოა მთავარი და დამოკიდებული წინადადებების შემასმენელთა შეფარდებანი ნწყრივთა თვალსაზრისით. „აღნიშნული შეფარდებების ასახვამ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შორის ურთიერთობის სახეობა, წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების სახეობა უნდა მოგვეცეს“¹.

ზმნის ფორმათა ხმარების საკითხი შეუძლებელია გაეანალიზოთ საეროოდ, იმრავან დამოუკიდებლად, თუ რომელ ტიპს განეკუთვნება რთული ქვეწყობილი წინადადება. ჩვენ დავეყრდნით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა ტრადიციულ კლასიფიკაციას და სვენთვის საინტერესო თვალსაზრისით შევისწავლეთ თითოეული ტიპი ცალ-ცალკე. აქ მხოლოდ ერთ-ერთ ამ ტიპთაგანს, ნიზუზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას, შევხებით.

მიზუზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელთა მეტად მრავალფეროვანი შეხამებაა შესაძლებელი: მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელად გვხვდება ყველა ნწყრივის ფორმა, გარდა მყოფადის კავშირებისა და III კავშირებითისა, ხლო დამოკიდებულ წინადადების შემასმენელად არ შეგვხედრია მხოლოდ მყოფადის კავშირებითი.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მთავარი წინადადების ამა თუ იმ ნწყრივით გადმოცემულ ზმნა-შემასმენელს შეუძლია დაიკავშიროს (იგუოს) დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ნებისმიერი შესაძლო ნწყრივის ფორმით: მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის ამა თუ იმ ნწყრივს დამოკიდებულ წინადადებაში რამდენიმე (ოთხიდან რეამდე), მაგრამ არა ნებისმიერი ნწყრივის ზმნა შეესაბამება.

როდესაც მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი აწმყოს ნწყრივისაა. დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება გვქონდეს ყველა ნწყრივის ფორმა.

¹ ერთელიძე ი. ლ., რთული წინადადების სტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსური კავშირები, 1963, ვვ. 22.

გარდა მყოფადის ხოლმეობითისა და II თურმეობითისა²; ნამყო უწყვეტლ-
თან გუჯდება აწმყოს, უწყვეტლის, ხოლმეობითის, წყვეტილისა და II თურ-
მეობითის ფორმები: აწმყოს კავშირებითთან — აწმყოს, მყოფადის, წყვეტი-
ლისა და I თურმეობითისა: მყოფადთან — ყველა, გარდა II თურმეობითისა
და III კავშირებითისა: მყოფადის ხოლმეობითთან — აწმყოს, უწყვეტლის,
ხოლმეობითისა და წყვეტილისა: წყვეტილთან — ყველა, გარდა აწმყოს კავ-
შირებითისა და III კავშირებითისა: II კავშირებითთან — აწმყოს, უწყვეტლის,
მყოფადის, ხოლმეობითის, წყვეტილისა და I თურმეობითისა: I თურმეო-
ბითთან — აწმყოს, უწყვეტლის, მყოფადის, წყვეტილის, I თურმეობითისა და
II თურმეობითისა: II თურმეობითთან — აწმყოს, უწყვეტლის, მყოფადის,
ხოლმეობითის, წყვეტილის, I თურმეობითისა და II თურმეობითისა.

მწკრივთა შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია და
უფრო მეტად დამახასიათებელი. ასეთია, მაგალითად, აწმყოს მწკრივთან —
აწმყო (მთა ცაში იმითმ ყელ-ყელობს, რომ სიმაგრე აქვეს ძირი-
თა: ვაჟა, I, 82), წყვეტილი (მეც შენებრ მიწას დავეყურებ თვალით, რად-
განაც ზეცა წამართვეს ძალით: ილია, I, 14) და I თურმეობითი (არსე-
ნაც ჰკენესის, რადგან ბედს ყველაზე მეტი საკენესი მისთვის მიუციია:
მ. ჯავ., 19, 260); ნამყო უწყვეტლთან — უწყვეტალი (რადგან ამას ვერა ხე-
დაედა, ჭავრობდა: ვ. ბარნ., 73), წყვეტილი (რადგან გზა ლამაზად
იყო გატყეული, მარო კარგად ახერხებდა სირბილს: ნ. ლომ.,
10, 315) და II თურმეობითი (... მოძღვარი... თავს გამარჯვებულად სთვლი-
და. რადგან კეთილს ბოროტებაზედ გაემარჯვნა: ალ. ყაზ., 11, 621):
მყოფადის მწკრივთან — წყვეტილი (რაკი თქვა, უსათუოდ ამოვია: დ. კვ.,
75): წყვეტილთან — უწყვეტალი (დაუჭერა, რადგან დაჭერება სწყუ-
როდა: მ. ჯავ., 19, 157), წყვეტილი (რადგანაც... თანხმობა საჭირო იყო,
მიაშურა მეფეს: აკაკი. 8, 20) და I თურმეობითი (მართლაც დიდად გაო-
ცებულნი იყო, რადგან ვეღზე არავის შეხვედრია ს. კლდ., 11, 57)
და ა. შ.

მწკრივთა ზოგიერთი შესაძლო კომბინაცია კი იშვიათია და ნაკლებად
დამახასიათებელი³. ასეთია, მაგალითად, აწმყოს მწკრივთან II კავშირებითი
(ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ბ-ნი აწყურელი... საკმაო ნიჭის
მქონებელი არ იყოს: ილია, III, 144) და III კავშირებითი (ბობო-
ყვათზე იმიტომ კი არ ვაჩერებ მკითხველის ყურადღებას, თითქმის იქ
რამე სენსაციური მენახოს: ვ. კერნ., 169): აწმყოს კავშირებითთან —
მყოფადი (შველას მართო ზოგადად გამოთქმულ აზრებისაგან უნდა მოე-
ლოდეს, იმიტომ რომ კერბოდვე გამოთქმული აზრი არსად არ იქ-
ნება: ილია, V, 57). წყვეტილი (რაკი ეს კაცი ბელადად ავიჩიეთ, უნ-
და კიდევაც ბელადობდეს: მ. ჯავ., 19, 258) და I თურმეობითი (მო-
სავლიან წელიწადს რომ სარჩო არ ღირსებია. ამისთანა გვაღვიან წე-

² ტექნიკურ მიზეზთა გამო სოლესტრაციო მაგალითებს მწკრივთა ყველა შეიარღობისათვის ვარ წარმოვთქვამ.

³ ჩვეულებრივად, ჯერ მთავარი წინადადებას ზნა-შემამდნელს მწკრივს ვახსენებთ, დემ — დამოკლებულს.

⁴ ნაკლებად დამახასიათებელი, ესეია, ან ველისხმობს ყოველთვის არაბუნებრივს ან გაუ-
მართავს. შეუასება მიუხსენებთ მხოლოდ რადიკალიზირებულ თვალსაზრისით.

ლიწადში შიმშილის მეტს რაღას უნდა მოელოდეს: დ. კლდ., 14, 174): წყვეტილთან — მყოფადი (ქართლი იმიტომ დავტოვე, თოვლს დადებს, აღარ აიღებს: ანდ., 63); I თურმეობითან — მყოფადი (მზისთვის ვერ შეუხედნია, იმიტომ რომ... შიმშილით სული ამოუვია: ილია, 111, 470) და II თურმეობითი (ეს სიმღერა იმას აღარ უთქვამს, რადგანაც, მისი აზრით, გლეხებს უნდა ემღერათ და არა იმისთანებს: შ. არაგვ., 16, 53) და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია წინადადებათა შეკავშირების სხვადასხვა სინტაქსური საშუალებისა და სახის შესწავლა ისე, თუ არ იქნა შესწავლილი ზმნის დროისა და კილოს საკითხი ქვეწყობაში⁵.

რას გვაძლევს საანალიზო ტიპი ამ თვალსაზრისით?

მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად თხრობითი კილოს ფორმებს ენიჭება უპირატესობა (შემთხვევათა დაახლოებით 80%), კავშირებითი (პირობითი) და ბრძანებითი კილოს ფორმები იშვიათად გვხვდება.

ყოველთვის თხრობითი კილოს მნიშვნელობისაა აწმყო, ნამყო უწყვეტელი. მყოფადი და I თურმეობითი. წყვეტილის ფორმას აქვს ხან თხრობითი (გავექანე „პურ-ლეინოსაყენ“, რადგან ვახშობამაც მოატანა: აკაკი, 8, 93). ხან — ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა (რაჟი იარალი იმიშლე, პირით დაჰქარ: მ. ჯავ., 19, 212). ასევე, ხან თხრობითი (რადგანაც ყურშაწერ ლეკვი იყო, ონოფრეს არსად გამოეცადა: აღ. ყაზ., 11, 505), ხანაც კავშირებითი კილოს გადმოცემა მთავარ წინადადებაში II თურმეობითი (სანეკრე რომ ნახა, სახტომიც უნდა გაეზომა: ვ. ბარ., 37). აწმყოს კავშირებითი და II კავშირებითი, ჩვეულებრივ, კავშირებით კილოს გამოსატყის (იშვიათად — ბრძანებითს). ხოლო მყოფადის ხოლმეობითი კი გვხვდება როგორც თხრობითი (ეკვირინე... შემოიყვანდა ხარებს სახლში, რადგან... ბაგა აქვე ჰქონდა მოწყობილი: დ. კლდ., 14, 241), ასევე პირობითი (კავშირებითი) კილოს მნიშვნელობით (ვერც დაინახავდა რამეს, რადგან გარშემო ღრუბლების მეტი არაფერი იყო: თ. ჯალ., 26).

დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი უპირატესად თხრობითი კილოს გადმოცემა. მაგრამ გვხვდება კავშირებითი და პირობითი კილოს მნიშვნელობითაც. აღსანიშნავია, რომ ბრძანებათი კილოს მნიშვნელობა დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელს არ შეიძლება ჰქონდეს.

საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მწყრივი სხვადასხვა პოზიციისა და სხვადასხვა მწყარვთან კომბინაციაში სხვადასხვა ფუნქციას ამჟღავნებს. მაგალითად:

1. თუ მთავარ წინადადებაში მყოფადის ხოლმეობითს თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, დამოკიდებულ წინადადებაში უწყვეტელი გვხვდება. მაგრამ, თუ იგი პირობითი (კავშირებითი) კილოს მნიშვნელობითაა ნახმარი, დამოკიდებულში წყვეტილით გადმოცემული ზმნა-შემასმენელი გვაქვს (მღრ.: მაინც ისევ მას მივმართავდით ხოლმე, რადგანაც კარგად ვხედავდით: ნ. ლომ., 10, 181. და: მართლაც არ შეგეპარებოდა

ცევი, ... რადგან ჩემმა მასპინძელმა სიამოვნებისაგან თვალები დახუჭა: ს. კლდ., II, 110).

2. II თურმეობითს შეიძლება ჰქონდეს როგორც თხრობითი, ასევე — კავშირებითი კილოს მნიშვნელობა, როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში წყვეტილია ანდა I თურმეობითი, მაგრამ II თურმეობითი ყოველთვის თხრობითი კილოსია, თუ დამოკიდებულ წინადადებაშიც II თურმეობითი გვაქვს (დავითი უკვე მოდუნებულ იყო. რადგან რაზმი ერთი-სამად მოსწვენებოდ მ. ჯავ., 19, 309).

3. თუ მთავარ წინადადებაში II თურმეობითს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კილოს მნიშვნელობა, დამოკიდებულ წინადადებაში იგი ყოველთვის თხრობითი კილოს მნიშვნელობითაა ნახმარი. დამოკიდებულში კავშირებითი კილოს მნიშვნელობით მისი ხმარება გამორიცხულია, რადგან ამ შემთხვევაში მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გვექნება და არა — მიზეზისა. შტრა: დაბრუნება დააპირა. რადგან მხოლოდ იმ ქალისათვის მის უღიყო იქ (ე. ბარნ., 43) და: სწორედ ამიტომ მოვიდა აქ. რომ ეჩვენებინა (თ. მნი. თარგმ., 251).

4. მთავარ წინადადებაში წყვეტილის მწყობრივი გვხვდება როგორც თხრობითი (თუ დამოკიდებულში აწმყოს, უწყვეტლას, წყვეტილის... ფორმას). ასე — ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით (როდესაც დამოკიდებულში მყოფადის, წყვეტილის ან I თურმეობითის ფორმებია). მაგრამ დამოკიდებულ წინადადებაში იგი უგამოსაქლისოდ თხრობითი კილოს მნიშვნელობისაა. რადგან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელს არ შეიძლება ჰქონდეს.

მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი შეიძლება იყოს ახლანდელი, წარსული ან მომავალი დროისა. ასევე სამივე დროის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ზმნა-შემასმენელს დამოკიდებულ წინადადებაშიც. მაგრამ მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ან ერთი დროის (ახლანდელი — ახლანდელი, წარსული — წარსული, მომავალი — მომავალი), ან სხვადასხვა დროის (ახლანდელი — წარსული, მომავალი — წარსული, მომავალი — აწმყო) ფარგლებში, მაგრამ ისე, რომ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედება უწინარესად ივარაუდება მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ (თუ ნათარაუდრე) მოქმედებასთან მიმართებით.

რამდენიმე მაგალითი:

ახლანდელი — ახლანდელი: დაჩრდილულია მისი ხმა. რაკი ჩხუვიან ყვავები (ვაჟა, I, 146); მე ვილაყას ვედავები, რადგან იგი — ვილაყა, ყველგან სასიკვდილოდ მებრძვის (ლ. გოთ., 77).

წარსული — წარსული: რადგანაც კაცებს არ ეცალათ შეშა-ფიჩხის მოსატანად, თითონ დედაკაცები ზიდაკდნენ თონისთვის ახლო ტყიდან (ეკ. გაბ., 10, 513); რადგანაც კარგად უსწავლია, პირველა სამოქალაქო წინი მიიღოა (ილია, III, 232): ... ქალმა... დამაწყნარა, რადგან ვფელავდი (ე. ბარნ., 30);

მომავალი — მომავალი: რაკი სცნობს შენსა სიმტკიცეს, მტერიც დაგაკლავს ვერასა (ვაჟა, I, 214); რაკი ამ საზიზღარ ჭორ-ზაქარას ჩამოვიტლი ვზიდან, სოფელი შეჩერდება (ს. მგალ., 10, 458);

ახლანდელი — წარსული: თქვენ ფუფუნებით ცხოვრობდით, გული ამიტომ კვდებაო (ვაკა, I, 137); მტრობით მნიშნავს მოწმედ, რომ ფელი არ ვასესხე (აკაი, 8, 101); იმიტომ არის ესე გემრიელი, რომ შენ გაგიკეთებია (მ. არაგვ., 16, 19);

მომავალი — წარსული: მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავთ საყუარს თავსა, რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ (ილია, V, 63); რაკი თქვა, უსათუოდ ამოვა (დ. კვ., 75); მეც შენთან ვივახშმებ. რადგანაც პური არ მიჭამია (ალ. ყაზ., 11,496);

მომავალი — ახლანდელი: შენი ამბავი რომ ეიცო, არ განიკვირდებო (ანდ., 87); თემიდას არაფერი შეეშლება, რადგან ჩვენივე ყოფის მსაჯულია (მ. კვ., 41).

როგორც ვხედავთ, დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით ნაკარულდები მოქმედება წინ უსწრებს მთავარისას არა მარტო მაშინ, როდესაც ეს ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა დროული მნიშვნელობისანი არიან. არამედ მაშინაც, როდესაც ისინი ეფარდებიან ერთმანეთს ერთი რომელიმე დროის ფარგლებში: დამოკიდებულისა ყოველთვის უწინარესია, მთავარისა — შემდგომი.

ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როდესაც მიზეზის გარემოებით დამოკიდებული წინადადების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის რომელიმე ნაწილში (იშვიათად — ორივეში) ე. წ. „ინფინიტიური“ კონსტრუქციამ გვაქვს. კონსტრუქციის შედგენაში მონაწილე ზმნები მწყრივთა ისეთსავე შეფარდებებს გვიჩვენებენ, როგორც მოსალოდნელი იყო ამ ტიპის სიტყვათშენაერთისთვის.

ამ ორი ზმნიდან მეტი სინტაქსური ძალისა ჩანს პირველი, კონსტრუქციის შემდგენი: იგი იკავშირებს დამოკიდებულ წინადადების ზმნა-შემასმენელს. როდესაც „ინფინიტიური“ კონსტრუქცია მთავარ წინადადებაშია (საოობია წახვიდე და თავი დაიღრჩო. რადგან ალგეთისოდენა სისხლმა და ოფლმა ფუქად ჩაგიარა: მ. ჯავ., 19,60), და იგი უკავშირდება მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს. როდესაც ეს კონსტრუქცია დამოკიდებულ წინადადებაშია (იმიტომ ვამბობ, რომ მინდა შენც ჩემსავით სჯიდე: პლატ., 94. მაინც გაიტანა. რადგან მარტო სიკვდილს თუ შენძლო გლეხისათვის ხენა-თესვაზე ხელი აეღებინებინა: მ. ჯავ., 19, 193).

ყველა შემთხვევაში მწყრივთა ისეთსავე შეფარდებებს ვიღებთ, რომელიც დამახასიათებელია ამ სახის რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის და დროთა თანამიმდევრობის არსებული წესებიც ძალაში რჩება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთსა და იმავე მწყრივს სხვადასხვა პოზიციასა და სხვადასხვა მწყრივთან ურთიერთობისას შეიძლება განსხვავებულ დროული მნიშვნელობა ჰქონდეს (განსხვავებული კილოს მნიშვნელობაზე უკვე გვქონდა საუბარი).

⁶ პირობითი ამ სახელწოდებით აღვნიშნავთ „შეცვლილ გაყოფის“, ანუ „წყობილ-კონსტრუქციას“.

მაგალითად:

1. აწმყოს მწკრივი მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს როგორც კონკრეტული (გადმოცემედეს მოქმედების მომენტის თანხედომილებას ამ მოქმედებაზე საუბრის მომენტთან), ისე — ე. წ. „ზოგადი“ აწმყოს მნიშვნელობისა (შდრ.: გვართ იმიტომ მოგმართავს, რომ ყოვლად ახირებული სახელი გქეია: თ. მანი, თარგ., 157; და: იმას აღარავინ იქერს შიშით, რადგან თევზი ასუქებს ადამიანს: ს. კლდ., II, 94); დამოკიდებულ წინადადებაში კი იგი, ჩვეულებრივ, „ზოგადი“ აწმყოს მნიშვნელობისაა. ასეთი აწმყო მხოლოდ მოქმედების არსებობის ფაქტზე მიუთითებს და დაცლილა დროის ჩვეულებრივი, კონკრეტული მნიშვნელობისაგან⁹. მას შეიძლება ჰქონდეს დროით შემოუფარგლავი მნიშვნელობა და, ამდენად, შეფარდებითი დროის თვალსაზრისით, შეიძლება ერთდროული იყოს ნამყოს ან მყოფადის რომელიმე მომენტისა. ეს ფაქტი შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში და აწმყოს ეს უნარი მიჩნეულია ახლანდელი დროის ძირითად გრამატიკულ მნიშვნელობად¹⁰. აწმყოს „ძირითადი გრამატიკული მნიშვნელობა“ განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც მთავარ წინადადებაში ნამყო დროის გადმომცემი მწკრივები გვაქვს (უწყვეტილი, წყვეტილი, I თურმეობითი): რაკი მუღამ გავრბივართ, გავარდნაც არ ღირდა (მ. ჭავ., 19, 249); სიციოცხლეს სიციოცხლე უყვარს, ეს შიტომ და დევა წესადა (ვაჟა, I, 202). დიდი ცოდვა არც ესაყოფილა, რადგანაც... ბატონს გომართელს „მწარედ ეცინება“ ხოლმე (ილია, III, 432);

ამგვარი აწმყო გამოდის არა ობიექტური, არამედ ე. წ. „მიმართებითი აწმყოს“ მნიშვნელობით¹⁰.

2. წყვეტილის მწკრივი მთავარ წინადადებაში ჩვეულებრივ ნამყო დროის მნიშვნელობისაა (დამოკიდებულშიც ნამყო დროის გადმომცემი მწკრივებია ნახმარი): სხვამ თავმომწონედ იარა, რომ დიდი ჰქონდა ქონება (ვაჟა, I, 275); მაშინვე შეეცბა, რადგან მიხედდა (თ. ზილ., 5); ვერავინ გაიგო, რადგან იქიდან ამბის მთქმელიც არავინ გამოოსულა (მ. ჭავ., 19, 443); რაკი ერთხელ იილი დაკრთობოდა, ხმაურობა მაშინვე გაიგო (ალ. ყაზ., II, 526).

მაგრამ თუ იგი (წყვეტილი) მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გარეხატავს (ბრძანებითი კილოს მნიშვნელობა აქვს), დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება მყოფადის მწკრივიც შეგვხედდეს: მალე დაბრუნდით, რადგან მეტს არათერს აღარ გამოგიგზავნით (მოპ., 313).

აქვე შევნიშნავთ, რომ მწკრივთა ამგვარი შეფარდება ძალზე იშვიათია. თანაც ზმნა-შემასმენლებს შორის არ იგრძნობა ჩვეული სტრუქტურულ-სემანტიკური კავშირი. თითქოს დამატებით კიდევ სხვა ზმნა ივარაუდება, რომელთანაც უფრო ბუნებრივი იქნება მყოფადის მწკრივის ზმნის დაკავშირე-

⁹ ა. ანდო, რუსული ენის გრამატიკა, I, შინაბოთი, 1962, გვ.

¹⁰ В. Виноградов, Русский язык, 1947, 171. В. С. Гесселов, Категория времени в грамматическом строе современного русского языка, М., 1953, гл. 212. Машинопис. გამოცემით ჰ. მ. კრიკორიანის ექვსსაუბრობითი ნაშრომის მხოლოდ: Соотносительное употребление временных форм глагола в сложноподчиненном предложении с придаточным определительным, диссертация на соиск. ст. кандид. филолог. наук, Ереван, 1955, гл. 44--47.

¹⁰ იქვე.

ბა. შდრ.: მეც იმიტომ დავაგვიანე ქორწილი, რომ [ვიცი/ვიცოდი] საქორწილო ხარკს ვერ გაუძღუებდი! (მ. ჯავ., 19, 414). ასეთ შემთხვევაში წყვეტილს შეიძლება ნამყო დროის მნიშვნელობაც ჰქონდეს.

3. აწმყოს კავშირებითი აწმყოში საუარაუდო მოქმედებას გამოხატავს, როდესაც მთავარ წინადადებაში აწმყოს მწკრივი გვაქვს: იქნება მკითხველი არ იჩერებდეს ამგვარ ამ ლექსის გაგებას, რადგანაც მართლა ძნელი დასაჩერებელია (ილია, III, 32): მაგრამ იგივე მწკრივი მომავალში შესაძლო მოქმედებას გულისხმობს, როდესაც მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი მყოფადის მწკრივითაა გადმოცემული: შეეღას მარტო ზოგადად გამოთქმული აზრებისაგან უნდა მოელოდეს, იმიტომ რომ... კერძოდვე გამოთქმული აზრი არსად არ იქნება (ილია, V, 57).

თუ ჩვენი ვარაუდი დამაჩერებელია, შეიძლება ღალა დაგვემატებინა, რომ I თურმეობითი ნამყო დროის გადმომცემ მწკრივებთან (უწყვეტელთან, წყვეტილთან. I თურმეობითთან) წარსული დროის მნიშვნელობისაა, აწმყოსთან კომბინაციაში კი მას ახლანდელი დროის მნიშვნელობა აქვს.

შდრ.. მაგალითად: ქალისთვის ვინაობა არ უკითხავს, რადგან ემიონოდა (აღ. ყაზ., 11, 508): სულ დაგვეფანტვია კეთუა და გონება, ხელოდიოთ სკულზე და ღმერთზე... იმიტომ, ხმალა მოწვედილი ჭალათი გვედგადამსჯელად გვერღზე (ვაჟა, I, 183): თავად ერისთავს უხმარია ეს უშესაბამობა... რომ სიტყვაზედ „ბუჟტავს“ რათმა ვერ მოუწყვია (ილია, III, 21), სადაც ორივე ზმნა-შემასმენელი ნამყო დროს ვარაუდობს, და: ... თქვენც ყაჩაღები ყოფილხართ, რადგან იმ არამზადებს ინახავთ (მ. ჯავ., 19, 347), სადაც I თურმეობითი ახლანდელი დროის მნიშვნელობისა ჩანს: თქვენც ყაჩაღები ყოფილხართ — ყაჩაღები ხართ თურმე, რადგან იმ არამზადებს ინახავთ...

ამგვარად, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებულა წინადადების შემცველ პიროტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. იმის მიხედვით, რე რომელია მწკრივისაა მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი, განსხვავებულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი: მაგრამ, მიუხედავად შესაძლო კომბინაციათა მრავალფეროვნებისა, მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელთა ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთ დროის ფარგლებში (ახლანდელი ახლანდელი, წარსული — წარსული, მომავალი — მომავალი). ამთგან უპირატესობა ენიჭება ნამყო დროში უკვარდებას: მაგალითებს უმრავლესობა ამას უქერს მხარს.

შესაძლებელია ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებოდნენ სხვადასხვა დროის ფარგლებშიც (ახლანდელი — წარსული, მომავალი — წარსული, მომავალი — ახლანდელი). მაგრამ ისე, რომ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი იმითი ანტიპეტული მოქმედება უნდა უსწრებდეს მთავარი წინადადების დამოკიდებულებას. შეუძლებელი იქნებოდა მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების გამოხატვა რაც ამ კონსტრუქციისათვის არის ნიშანდობლივი (დამოკიდებული წინადადება მიუთითებს მიზეზზე, ხოლო მთავარს შედეგის მნიშვნელობას). იმიტომაც, რომ მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელი, ეფარდებოდა, ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც მოსდევს (ან უნდა მოსდევდეს) დაქვემდებარებულისას მაშინაც კი, როდესაც ზმნა-შემასმენელი

ბი ერთმანეთს ეფარდებიან ერთი დროის ფარგლებში (დამოკიდებულით ნა-
ვარაუდები მოქმედების უწინარესობა შეიძლება ყოველთვის მკაფიოდ არც
იგრძნობოდეს).

შემოკლებათა განმარტება

- ანდ. — ანდაზები, შედგენილი ნინო ნაიშიძის მიერ, სახ. გამოქვეყნება, თბილისი, 1953.
აკაკი — აკაკი წერეთელი, რჩეული, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 3, თბილისი, 1960.
შ. არაგვი — შ. არაგვისპირელი, მოთხრობები, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 16, თბილისი, 1961.
ე. ბარნ. — ე. ბარნოეი, მოთხრობები, მოთხრობები, თბილისი, 1957.
კა. ვაბ. — ე. ვაბაშვილი, მოთხრობები, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 10, თბილისი, 1960.
ლ. გოთ. — ლ. გოთელი, ნილი ნახტარის ტექსტი, მოთხრობები, თბილისი, 1963.
ევა — ევა — ლ. შაველი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბილისი, 1964.
ილია — ილია ქავეციანი, თხზულებანი, ტ. I, ტ. III, ტ. IV, თბილისი, 1951.
ვ. კერნ. — ვ. კერნაძე, მუხარაგბისა და ნარინეების ქვეყანა, თბილისი, 1957.
დ. კლდ. — დ. კლდიაშვილი, რჩეული, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 14, თბილისი, 1961.
ს. კლდ. — ს. კლდიაშვილი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბილისი, 1966.
მ. ქა. — მ. ქვეციანი, ას ერგასის დღე, თემიდან თვლები, I, თბილისი, 1967.
დ. ქა. — დ. ქვეციანი, ნდობა, თბილისი, 1968.
ნ. ლომ. — ნ. ლომოური, მოთხრობები, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 10, თბილისი, 1960.
თ. მანი. — თ. მანი, მოთხრობები, თბილისი, 1965.
ს. მგალ. — ს. მგალობლიშვილი, მოთხრობები, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 10, თბილისი, 1965.
შოპ. — გიორგი შოქიაძე, წუთსოფელი, თბილისი, 1968.
პლატ. — პლატონი, ფელონი, თბილისი, 1956.
აღ. ყაზ. — აღ. ყაზბეგი, რჩეული, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 11, თბილისი, 1960.
თ. ჭილ. — თამაზ ჭილაძე, წერტილი, თბილისი, 1968.
მ. ჯე. — მ. ჯეჯეხიძე, არსენი მარაბული, ჩვენი საუნივერსიტეტო, ტ. 19, თბილისი, 1961.

(წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ენათმეცნიერებათა ინსტიტუტმა)

იზა ჩანტლაძე

ლანიალიზაციის ისტორიიდან სვანურში

ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თანამედროვე სვანურის დიალექტებსა ან კილოკავებში შესაძლებელია განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი, შედარებით უფრო მწყობრა სურათის აღდგენა ზოგჯერ ხერხდება ძველი ხალხური სიმღერების ენის მიხედვით, სადაც მოსალოდნელ ინოვაციათა გვერდით ბევრი საინტერესო არქაიზმი გვხვდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია პოეზიაში დადასტურებულმა ქორვა (სახლი), ყორვა (კარი), შდურვა (ქონგური), ხუნვა (საძირკველი), ძირვა (ძირი) სახელთა მხოლობითი რიცხვის ფორმებმა, ერთი მხრივ, და ზავას (წელს). ბაჩვან (ქვით=ქვად) ლექსიკურმა ერთეულებმა, მეორე მხრივ. არც ერთი მათგანი თანამედროვე სვანურში ცოცხალი აღარაა.

რა მონაცემებთან გვაქვს საქმე? შესაძლებელია თუ არა მათი ერთ ქრონოლოგიურ დონეზე განხილვა?

წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანური ენის ისტორიული განვითარების გრძელ გზაზე შეინიშნება ორი ურთიერთსაპირისპირო ფონეტიკური პროცესი: პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს ვ სონანტის გაუჩინარებას, ხოლო, მეორე მხრივ, მის გაჩენას, ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილებას. ქრონოლოგიურად პირველი პროცესი უნდა მოსდევდეს მეორეს. თავდაპირველად აღნიშნულ პროცესებს ადგილი უნდა ჰქონოდა მხოლოდ გარკვეულ ფონეტიკურ სიტუაციაში — ვინი ვითარდებოდა ბაგისმიერი ხმოვნების (ო. უ) შემცველ ფუძეებთან, ხოლო იკარგებოდა ბაგისმიერ (ბ, ფ, პ, მ) და სონორ (ლ, რ, ნ) თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში: შემდგომ კი ანალოგია შორს წასულა და გარკვეული შეზღუდვებიც მოსპობილა. ამ მხრივ დღესაც კი არ გვაქვს ერთგვარი სურათი სვანურის დიალექტებსა და კილოკავებში. ასე მაგალითად, ვ იკარგება ბალსზემოური დიალექტის ლატალურ თქმაში წინაენისმიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში (ანლატტშიც, ინლაუტშიც და აუსლაუტშიც). ბალსქვემოური დიალექტის ბეჩოურ კილოკავში კი — უკანაენისმიერთა შემდგომ¹, ხოლო ლენტეხურ დიალექტს სვანურის სხვა კილოებთან მიმართებით განსაკუთრებით ფართოდ ახასიათებს ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილება².

¹ თ. შარაძე ნი. გ. ლანელი ენის ცხოვრული კოლოკავის ძიებითა და იტ. IX—X, თბ., 1957, გვ. 226; მისი იტ. სვანური ენის ადრეული კოლოკავის თვისებებზე, იტ. XVII, თბ., 1970, გვ. 52.

² მ. ქალაძე ნი. სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, პართელურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, გვ. 177.

ძველი სვანური სიმღერების ენაში ასეთი ვითარება:

დღე მიშვეი, ყორჯა ემკარ (არს. ონ., ლშხ., 83, 47) — დედაჩემო, კარა ჯამილე. შღრ. ყორ ემკარედ (სვ. პოეზ., ცხუმ., 138, 20), ყორ ამკარე (იქვე. ნესტ., 38, 57). ჩიე ქორჯას ლჯყარ ზაფრა. მიშვეჯა ქორჯას მამა ხაფრა (არს. ონ., ლშხ., 83, 43-44) — ყველას სახლს სახურაეი აფარია, ჩემს სახლს არ აფარია || ქორას (სვ. პოეზ., მულახ., 34, 187; უშგ., სვან.-ქართ. ხელნაწ. ლქ-სჯ. მასალა) || ქორს (იქვე, 124, 6; მაგრამ იმავე სიმღერაშია ქორა ფორ-მაც — 124, 14). სჯა მეჩედლი ქორჯად მიჩა (სვ. პოეზ., ცხუმ., 138 18; 418, 18; ე. აბობ., 162, 9) || ქორთე (სვ. პოეზ., ცხუმ., 138, 16), ქორდ (სვ. პოეზ., მულახ., 168, 160). თითამ სოფელს ქორჯად ახშემხ (ფარ., სვან.-ქართ. ლექს.) — თითო სოფელს შინ დაუძახეს. ხუნჯას ლაჩეარი ჩიყურდახ (სვ. პოეზ., ცხუმ., 314, 11) — საძირკველთან ირმები გეწვით || ხუნას (იქვე, უშგ., 168,9) || ხუნს (იქვე, ეცერ., 4,11). ძირვას რიონი ხოგენდა (სვ. პოეზ., ლშხ., 316,11) — ძირში მღი-ნარე ეღდა || ძირსი (იქვე, მულახ., 166,123). შღურჯას შაურდენ ჩაცხეპა (სვ. პოეზ., ცხუმ., 314, 12; ეცერ., 4, 10) — 'ციხის' ქონგურს შევარდენი გერტყა: შღულჯას (იქვე, ლშხ., 316, 12), შღრ. შღურქა (იქვე, მულახ., 82, 71), შღუ-ღურ (იქვე, კალ., 200,54).

როგორც ვხედავთ, სონანტა მომდევნო -ვა კომპლექსიო ძირითადად და-ღასტურებულია ლაშხეთსა და ბალსქვემოთ ჩაწერილ უძველეს სიმღერებში: „ლილე“, „თარინგზელ“, „თამარ დედეფალ“. ის პარალელური ფორმები, რომლებიც -ა ხმოვანს არ შეიცავენ აუსლაუტში, ან რომელიმე ბრუნვის ნიშ-ნის წინ. შედარებით ახალია და ახასიათებს თანამედროვე ცოცხალ სვანურ ზეტყველებას. რაც შეეხება ვინს, იგი დღეს მეტ-ნაკლები გავრცელებულ-ობით გვხვდება სვანურის სხვადასხვა დიალექტში მარტოოდენ მრავლობითის წარმოებისას: ქორჯალ (ლშხ., ნოლურ.), ქორჯალ (ლენტ. პროზ. ტ., 109,11). ყორჯარ (ბქ. ტოპონ., პროზ., 11, 85, 10), ყორჯალ (არს. ონ., ლშხ., პოეზ. ნა. 54. დღესაც ასეა), ყორჯალ ლენტ. პროზ. ტ., 60, 11), ხუნჯარ (ბზ.) ხუნჯარ (ლშხ.), შღურჯალ (ბზ.), შღურჯალ (ბქ.).

ბალსქვემოურში საძირკვლის აღმნიშვნელი სიტყვის მრავლობითი რიცხ-ვის ფორმაში დღეს ვინი აღარ გვაქვს (ხუნჯარ). მაგრამ რომ გვექონდა, ამაზე ერთი ბენიძეა სიმღერა მიუთითებს: ხუნჯარს ლოკღრახ მურყყამს (სვ. პოეზ., „ვიცბილ — მანცილ“, 76, 42) — საძირკვლებს უთხრიდნენ ცისეს

ამავე სიმღერაში ერთი საინტერესო ფორმაც გვხვდება: მგლამ შღურუს ხაყდა — ალი სათოფერებს შესწოდოშია (76, 46). როგორც ვხედავთ, თარგმანის მიხედვით, შღურუს მრავლობითი რიცხვის ფორმა ჩანს. მაგრამ, იქ ვაქცილი ლაშხინებთ იმას, რომ პოეზიაში დადასტურებული, თანხმოვნებს შორის მოჭკეფილი /ჟ/ ფონემის მარცვლოვანი [ჟ] ვარიანტი სვანურა ენის არქაულ მღერიმარებობას ასახავს. მაშინ აქ მრავლობითის ფორმა არაფერ შეუძლია. ეს იგივე შღურჯ, რომელიც შღურჯას შემთხვევაში, -ა ხმოვნის წინა პოზიციაში, რეალზეგებულია სონანტის უმარცვლო ვარიანტით. ხოლო შღურუს შემთხვევაში — მარცვლოვანი ვარიანტით თანხმოვნებს შორის.

დღევანდელი სვანური წყვილბაგისმიერი თანხმოვანი ძველი ხალხური სიმღერების ენაში სხვა შემთხვევებშიც არაერთხელა წარმოდგენილი -უ ხმოვნით.

რაც შეეხება ქართულიდან ნასესხებ ძირ სიტყვას, იგი არც ერთ დიალექტში არ ავლენს ვინს, ოღონდ ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევეია ზოგი ბალს-ზემოური ფორმა: მურყემა ძირად ოდე — კოშკის ძირამდე მივედი. ძირან სვატა — ძირიანად ამოწყვეტა. ძირანვშ თხუმდ — ფეხიდან (ძირიდან) თავამდე. ვითარებითი ბრუნვის -ნ/დ მაწარმოებელთა წინ -ა ხმოვნის გამოვლენა, თუ აქ სისტემათა ანალოგია არაა, მიუთითებს ამ სიტყვის ამოსავალ*ძირა ფუძეზე, რაც ერთგვარად მიგვანიშნებს ძველ სვანურ სიმღერებში დადასტურებულ ძირვა ფორმაზე (მდრ. ქორვა, ქორა, ღორ). თუ ქართლის მიხედვით ვამსჯელბთ, მაშინ ამ სიტყვაში ვინი სრულიად მოულოდნელია, მაგრამ თუ თვით სვანური ენის შინაგან კანონზომიერებებს გავეთვალაწინებთ, მაშინ იგი გვერდით ამოუდგებოდა იანთ ფორმებს, როგორიცაა: რაშვარ (რაშენი), ყანჩვარ (ყანჩები — ლაშხ.), თურქვარ (თურქები), შუბვარ (შუბები), წვადვარ (მწეადები). ბუხვარ (ბუხრები), ბუშვარ (ნაბიჭვრები), შუკვარ (ჭუხები, შუკები) და სხვა. ამასთანავე პირველსა და უკანასკნელ შემთხვევაში ვ მხოლოდობით რიცხვშიაცაა წარმოდგენილი: რაშვ⁶ (ბეჩ., ეცერ.), შუკვ. მდრ. აგრეთვე ბუქვ (სვ. პროზ. ტ. I, ივარ., 108., 6) — ქარბუქი.

არა მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია ასეთი ვითარება: ღუნვარ (ხბობები), თხუმვარ (თაეები), ჰვადვარ (ყედლები), ქუთვარ (ხაჭაპურები), ტოტვარ (ხელები), ტუფვარ (ტყაეები), გვალვარ (სვანური სახლის ის ნაწილები, სადაც იმყოფებოდა მსხვილფეხა საქონელი), ცხუვარ (ტყეები), ცუშვარ (თეფხები--ბხ., ლშხ.), ცხვადვარ (საარყე ქვაბები--უშგ.), ტუნვარ (ქოთნები), პეხვდვარ (პებუდლები), მგუწვდვარ (მუყალალები). ზემოაღნიშნულ მაგალითთა მხოლოდობით რიცხვის ფორმებში ან სრულებით არ გვხვდება ვინი, ან აქა-იქ თითო-ორი კილოკაში.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთ უშგულურ სიმღერაში -თე თანდებულის წინაც დასტურდება ასეთი ვ — ვად-ვ-თე — ვადთან (310, 47), თუ იგი მიცემითის მაწარმოებელი არ არის. ყურადღებას იქცევს აგრეთვე უშგულური კინობითის ფორმა ჩაუველს (ცხენას — სვ. პოეზ., 70, 11). ამ სიტყვასთან ზოგ დიალექტში (კერძოდ, ბქ.) ვინი ვლინდება ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა. იგი მიცემითის მაწარმოებელია და ქმნის ორფუქიანობას. ზოგჯერ სამფუქიანობასაც (ჩაუ-ვ-ემ-იშ) მდრ. აგრეთვე ღუნჭერული აშხვილს (ერთს — სვ. პროზ. ტ. I, 52, 6). რამდენადმე უცნაურია მიცემითის ორ ფორმანტს (ვ და ხ) შორის კინობითობის სუფიქსის მოქცევა, ამიტომ ამ შემთხვევაში ვინი შეიძლება ფონეტიკურ დანართად ჩავთვალოთ. საერთოდ კი, ზოგ ქვემოცანურ კინობით ფორმაშიც შესაძლოა გამოჩნდეს ამგვარი ვინის კვალ: ღტ. ქორუნდ<ქორ -ვ-უნდ (მდრ. ბქ. ქორუნდ), ქორუნდოლ || ქორუნ-

* მ. ქალაჩანი, სვანური ენის ბალსქვემო კლასის ეცერული თავისებურებანი, ივ. IX-X, თბ., 1957, გვ. 209-210; თ. შარაძენიძე, სვანური ენის ლატალური კლოკავის ზოგერთი თავისებურება, გვ. 66-67; ვ. თოფუღია, ბრუნვის სისტემასათვის სვანურში სხვა ქართულურ ენათა ბრუნვასთან შედარებით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V(3), თბ., 1944, გვ. 343.

† თ. შარაძენიძე, ორფუქიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნვაში, ტფილისი მიცემითის გამოყენება რუკედ ღანარჩენ ბრუნვათათვის, ქართ. ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 221-231; მისივე, ბრუნვებითა კლასიფიკაციისათვის სვანურში, ივ. VII, თბ., 1955, გვ. 128-129, 133.

დოლ (ვ+ღ=უ პროცესისათვის შდრ. ქიულდ<ქივ+ღლდ „ყველის აკერი“, ლშხ. ქოროლ, ბხ. ქოროლ/ქორულ (შდრ. ფარ. ქორულ, ლშხ. ყოროლ/ყოროლდ). არა გეგონია, რომ ფუძეში ბაგისმიერ ბგერათა არსებობა უცვლილდეს სახეს კნინობითობის სუფიქსს, რადგანაც სვანურში — უმლაუტების ენაში — ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია თითქმის გამორიცხვლია.

პოეზიის ენაში, ერთსა და იმავე სიმღერაშიც კი, შეიძლება შეგვხვდეს უვინო და ვინიანი ფორმები მრავლობითში: გვალარს (სვ. პოეზ., მულახ., 152, 39) || გვალვარს (იქვე, 154, 51)), ზლუარე (სვ. პოეზ., ლშხ., 204, 19) || ზლუვარე (იქვე, 200, 38). თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში, ამ თვალსაზრისით, როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში ერთმანეთს უპირისპირდება დიალექტები თუ კილოკავები. ასე მაგალითად, ბეჩოურ-ცხუმარულ-ეცერულს ვინს ლახამულაში, ფარში. ჩუბეხევი, ხიშსა და ქუბერში ნული შეესაბამება. ბალსზემოურის ცხვადვ (საარყე ქვაბი) უშგულურსა და ლაშხურში ცხვად ფორმითაა წარმოდგენილი: ბალსზემოურ-ჩუბეხური კალვ (კალო) ეცერულსა და ქვემოსვანურში კალ-ს გვაძლევს (თუმცა ლენტეხის ტოპონიმიკაში კალვარ ფორმაც დასტურდება), ლახამულურში კი ფონეტიკური პროცესი სხვა გზით წასულა (კალო>კალვ>კალ-ეცერ., ლშხ., ლტ./კავ-ლხმ). ზემოსვანური გვალვარ (შდრ. მხ. რ. გვალ<გვალვ<ქ. გვალო ლაშხეთში ჩაწერილ სიმღერაში ამავე ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო სვანურ-ჭართული ხელნაწერი ლექსიკონის მიხედვით უშგულური სიმღერის გვალარეს (მიც. ბრ.) თანამედროვე ლაშხურში გვალარს შეესაბამება (შდრ. აგრეთვე იფარული გვალარე — გვალაობზე, სვ. პროზ. ტ. I. 10, 16).

აუსლაუტში -ვა კომპლექსის შემცველი ლექსიკური ერთეულები ასეთ შეყარდებას ამჟღავნებენ სვანური პოეზიის ენისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების შეპირისპირების თვალსაზრისით:

ა. ორსავე შემთხვევაში იდენტური ვითარებაა, დაცულია -ვა კომპლექსი: ძულვა (ზღვა), ნებგვა (შუბლი), უღვა (ულელი). უსგვა (ექვსი), ლაცლამაგვა (უშგ. პოეზ.) / ლაცლამგვა (უშგ. კალ. იფარ. კილოკავ.), მიშგვა (ჩემს), ისგვა (შენს). კუთხვა⁸.

ბ. ძველ ხალხურ სიმღერებში წარმოდგენილ ზოგ სიტყვას აუსლაუტში -ა ნოვეცვა და ამიტომ თანამედროვე მეტყველებაში -ვა დაბოლოების ნაცვლად მხოლოდ ვინი გვაქვს: ლახვა (მათ) — ლახვ, ქევა (ხევი) — ქევ, ფაყვა (ქუდი) — ფაყვ, ხეხვა (ცოლი) — ხეხვ, შუყვა (გზა. შუყა) — შუყვ, ცხეყვა (ქორი) — ცხეყვ. ფათვა (თმა) — ფათვ. ზუყვა (ბორცი, ზეკანი) — ზუყვ, ზასხვა (ტოპონიმი ზესხო) — ზასხვ და სხვა.

გ. პოეზიაში დადასტურებული -ვა დაბოლოება ზოგ შემთხვევაში დღეს მთლიანად მოკეცილია: ქორვა — ქორ. ყორვა — ყორ, შდურვა — შდურ/ლ, ხუნვა — ხუნ. ძირვა — ძირ.

დ. ზოგჯერ კი სიმღერებში ერთსა და იმავე სიტყვასთან სამივე ზემოაღნიშნული ვითარება შეგვხვდება. რასაც ფლევანდელ სვანურში მხოლოდ ერთი ვარიანტი შეესაბამება: ცოდვა (სვ. პოეზ., მულახ., 80, 11; 122, 67), ცოდვ (ჩე. იანუ. ტექსტი), ცოდა (უშგ., 262, 24; მესტ., 172, 21; კალ., 126, 43) || ცოდი (ჩხზ., 106, 14). ცოდ. უკანასკნელი ფორმა გვხვდება როგორც ძველ

სიმღერებში, ისე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც. ერთ უშგულურ ზოგადი ერთმანეთის პარალელურად იხმარება ცოდვა და ცოდ (ცოდვას დემ ზეზო, სი ცოდ მაგ ჭიქმინა — სვ. პრ. ტ., I, 68, 10 — ცოდვას ვერ ვიზამ, შენ ცოდვა ყველა გიქნია). ვფიქრობთ, რომ პირველ შემთხვევაში ქართული მეტყველების გავლენასთან გვაქვს საქმე. დღეს უშგულურსა და ლაზურში ქონების აღმნიშვნელი -პრ სუფიქსის წინ დაცულია ვინი (ცოდვარ, ცოდვარ — ცოდვიანი); თუ იგი აქაც (ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში ბაგისმიერი ო სმონის შემკველ ფუძებთან) განვითარებული არ არის, მაშინ ამოსავალი (ცოდ<ცოდვა) ვითარებაა დაცული. ცოდი, თუ ის კინობითი ფორმის (ცოდილ) შემოკლებული ვარიანტი არაა, თითქოს მოულოდნელია, მაგრამ თუ ამ თვალსაზრისით შევისწავლით პოეზიის ენის მონაცემებს და თანამედროვე სვანურის ნათესაობითი ბრუნვის -პ-შ, -იშ, -ეშ მაწარმოებელთა ერთმანეთის ნაცვლად გამოყენების შემთხვევებს, დავრწმუნდებით, რომ აქ შედარებით უფრო გვიანდელ, სხვადასხვა სისტემათა, კერძოდ კი უმლაუტიან და უუმლაუტრო ფუძეთა. აღრვის შედეგთან გვაქვს საქმე (შდრ. პოეზიის — ხეხვი / ხეხვა „ცოლი“. კანი / კანა „ხარი“; პოეზიისა და ცოცხალი მეტყველების — იქერეშ / იქერაშ „ოქროსი“. ფათეიშ / ფათეაშ „თმისა“ და ა.შ.).

ე. ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში ზოგჯერ სრულიად მოულოდნელია -ვა აუსლაუტში: ეივ ხაგეჰახ კალვისგა — გამაგრებულან კალონი (მულას.. 124, 15) — შდრ. თანამედროვე კალვისგა (ლენჯ., სვ. პროზ. ტ., I, 12, 11) // კალუსგა (იფარ.. იქვე, 10, 9). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ნათესაობითის ფორმას კალვაშ (სვ. პროზ. ტ., I, მესტ. 16,7). მაშინ აქაც სახელობითში უნდა აღვადგინოთ ქორვა'ს ანალოგიური ფუძე: ა ხმონის საკითხი აქაც ისევე გასარკვევია (შდრ. ქართ. კალო>სვან. კალვ), როგორც ძირვა'ს შემთხვევაში. ბეთქილისადმი მიძღვნილ ერთ უშგულურ სიმღერაში დაცულია ამოსავალი ვითარება: ბეთქან კალოს აველავი -- ბეთქანი კალოს ლეწავს (282,3). შდრ. აგრეთვე იფარული ფეშო (სვ. პროზ. ტ., I, 100,11) „ეშო“, მაგრამ იქვეა პაწეთესგა (105, 14) „ე.ოში“. თუ ქართული კალო ბოლო ხმონის რედუქციის შედეგად მოგვემდინა სვანურში კალვ სახეობას, ქართული ძირ ასეთ რასმე მოკლებული იყო (შდრ. ქ. წირვა — სვ. წირ, ლხმ. წირვ.). მიუხედავად ამისა. მაინც გვაქვს ძველ სიმღერებში კალვა, ძირვა ფორმები. ორსავე შემთხვევაში იდენტური პოზიციისა — სონანტს მოსდევს -ვა დაბოლოება, მაგრამ თუ პირველ მაგალიტში ვინი კანონზომიერია, ძირვა-ს შემთხვევაში ამას ვეღარ ვიტყვიან. იგი გაჩენილია ამ ფუძეში, როგორც ფონეტიკური დანართი (შდრ. რაშე, შუბვარ, თურქვარ, ლუნვარ...). რაც შეეხება -ა ხმონის (კალვა, ძირვა), იგი სხვა ფუძეთა ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი. ერთი კი მაინც გასაოცარია: რატომღა გაჩნდა ძირ ფუძესთან ვინი, თუ იგი ისევე დაიკარგებოდა თანამედროვე სვანურში?

რომ ვინი აშკარად ფონეტიკური დანართია. კარგად ჩანს ქართული ქარბუქის შესაბამისი სვანური ბიქვ ფორმის ანალიზიდან: ბუქ-ი>ბექ> ბვიქ> ბიქვ და ბუქ-ი> ბუქ> ბუქვ (იფარ.. 100, 11). აუსლაუტში უ-სა და ვ-ს დისტრიბუციის დიაქრონიკული ინტერპრეტაცია. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. ასეთია: [უ] თანხმონის შემდეგ [ვ] ხმონის შემდეგ (თ. გამყრელიძე, გ. მაქვარია).

რომ ვინი გვიანდელი არ იყოს, მაშინ ბუქუ ფორმისაგან ბუქეის მივიღებდით სახელობითის მაწარმოებლის დართვის შემდეგ (ბუქუ+ი>ბუქუ> ბუქეი).

ვ სონანტი ისტორიულად შეიძლება სხვადასხვა წარმოშობისაყ იყოს: ო ან უ ხმოვნის ნარედუქტალაო, ო ან უ ხმოვნის ნაუმლაუტარი, უ ხმოვნის პოზიტიური ვარიანტი, მიცემითი ბრუნვის მაწარმოებელი, მრავლობითობის ფორმანტი, ფონეტიკურად ვანეიტარებული ბგერა, ქართული ვინის ფონეტიკური შესატყვისი, ქართული -ალ სუფიქსისეული ღს ფონეტიკური ან მორფოლოგიური ეკვივალენტი⁹.

ამათგან რომელი ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ მასალაში (ქორვა, ყორვა, შდურვა, ხუნვა, ძირვა) ვინი? ძირვა-ს შესახებ ჩვენი მოსაზრებანი უკვე გამოვთქვით, ახლა სხვა შემთხვევები განვიხილოთ: ხომ არა გვაქვს აქაც ძირვა-ს მსგავსი ვითარება, ან დეტერმინანტი სუფიქსის კვალი?

ჯერ კიდევ სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ არნ. ჩიქობავა¹⁰ აღნიშნავდა: „სვანურ სადა სახელთა უმეტესობაში არ ჩანს მეგრულისა, ქანურისა და ქართულის სახელთა ფუძეებში შენიშნული აფიქსები. იყო და დიკარგა ფონეტიკური მიზეზებისა გამო, თუ არც ყოფილა ეს აფიქსები? უფრო უკანასკნელი, ვინმე პირველი... შეიძლებოდა გვეფიქრა: ფონეტიკურმა მიზეზებმა მოშალეს სვანურში სათანადო სუფიქსებიო, მაგრამ სახელობითის ნიშანმა (-ე/-ი) სახელში გარკვეული კვალი დატოვა. რამაც ამ ნიშნის აღდგენა შესაძლებელი გახადა. სადა სახელებში დეტერმინანტ სუფიქსთა ასეთი ნაკვალევი თითქოს არა ჩანს. სახელისაგან ნაწარმოებ სახელებსა და ნაზმნარ სახელებში — მიმლეობებში — გარკვეული სუფიქსები გვაქვს. სვანურში დეტერმინანტ სუფიქსთა ძიებისას ეს სუფიქსები უნდა იქნეს გათვალისწინებული. საკითხს სპეციალური განხილვა ესაჭიროება“ (ხაზი ჩვენია. — ო. ჩ.). თ. შარაძენიძე¹¹ ზოგიერთი სახელის მრავლობით რიცხვში გამოელენილ ბგერათა თუ მარცვალთა საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტილად მხოლოდ სვანურ დეტერმინანტთა სპეციალური შესწავლის შემდგომ მიიჩნევს. მ. ქალდაისი¹² ეარაულის მიხედვით, -ვ ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი ჩანს ზოგ პირველად

⁹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უქველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 85, 102--103, 130, თ. შარაძენიძე, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსუმიური კლასის მიხედვით, იყ., VI, თბ., 1954, გვ. 198--199; მისივე, სვანური ენის ლატალური კლოკაის ზოგიერთი თავისებურება, გვ. 52--53; მ. ქალდაისი, სვანური ენის ლახამელური კლოკაის ფონეტიკური თავისებურებანი, იყ., VII, თბ., 1955, გვ. 183, 189--192; მისივე, სვანური ენის ბალსუმიური კლასის ეცერული თავისებურებანი, გვ. 209--210; მისივე, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმაღლეს სისტემა სვანურში, თბ., 1967, გვ. 71--127; მისივე, შუამუშევ-ძირისაგან ნაწარმოებ ტომონიშთა საიობისათვის მესტარის მხარამომთავრობის მეზუქუმის პირველი სამეცნიერო სესია, სესიის მუშაობის ვენა და მოხსენებათა თეზისები, მესტარა, 1971, გვ. 14--15; თ. გამყრელიძე, ე. შარაძენიძის სონანტთა სისტემათა ანალიზი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 32--33; თაყაიშვილი, ქვა -- სტყუის აგებულებათათვის, იყ., XV, თბ., 1966, გვ. 247--248.

¹⁰ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უქველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 103.

¹¹ თ. შარაძენიძე, სახელთა მრ. რიცხვის წარმოება სვანურში ბალსუმიური კლასის მიხედვით, გვ. 179.

¹² მ. ქალდაისი, სვანური ენის ლახამელური კლოკაის ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 189--192.

სახელთან და მიმღობებთანაც (სკარგ — სამშოს ერთობლივი სალოცავი, წირგ — ურო, წირვა: ნედგ — ნადი, მუსვ — თოვლი, მალგ/მავ — მელა, წაბვ — სამართებელი, ყაბვ — წვერი, კალმახვ — კალმახი, ნა-რღ-ვ — ნამყოფი, ნა-მარ-ვ — ნამზადები, ლე-ჰა-თ-ვ — წყუელი...), ვინიანი ვარიანტები პირველად სახელებში მხოლოდ ლახამულურ კილოცავს ახასიათებს, მიმღობებთან კი ეს ვინი ხან წარმოდგენილია ზემოსვანურსა და ლენტეხურში, ხან კი არაა, ხოლო, რაც შეეხება ლაშხურს, აქ ნამყო დროის ნა-პრეფიქსიან მიმღობას იგი არასოდეს არა აქვს აუსლაუტში.

სვანურ დეტერმინანტ სუფიქსებს მოგვიანებით მხოლოდ ვაკვრათ შეეხო გ. მაქვარიანი სხვა საკითხთან დაკავშირებით თავის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში „მხვილეს საკითხისათვის ქართველურ ენებში“¹³. მან სპეციალური ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კვეცას უმთავრესად სონანტენი (ვ. ნ. ლ...) ვანიციანი, ქართველურ ენებში კი (შათ შორის სვანურში) სწორედ სონანტები შეადგენენ დეტერმინანტი სუფიქსების თანხმონით ელემენტს (გვ. 99). სვანური ჰითხ (წყრთა) და კოჭ (კლდე) სიტყვათა ანალიზიას გ. მაქვარიანი გამოთქვამს ძალზე ფრთხილ ვარაუდს - ა დეტერმინანტის შესახებ, რომელიც აუსლაუტში მოეკვეცა სვანურს. ქართული კლდე-ს შესატყვის, ამოსავალ ფორმაზე მსჭელობისას ავტორი კითხულობს: „კოჭ-ე თუ კოჭ-ა? და მეორე აღდგენილ ფორმას რეალურ, დადასტურებულ მონაცემად მიიჩნევს სწორედ სვანური პოეზიის მიხედვით. მამსადაძე, ე. წ. უტყვი - ა ხმოვანი, რომელიც დახლოებით ნახევარი საუკუნის წინ ფუძისეულად მიიჩნეის ა. შანიძემ და ვ. თოფურიაში¹⁴, გ. მაქვარიანის ვარაუდის მიხედვით. დეტერმინანტი სუფიქსიც კი შეიძლება იყოს.

ამრიგად, გარკვეულ მასალაში შესაძლებელია ქართ. -აღ/-ელ/-ლ — სვან. -უ/-ვ დეტერმინანტ სუფიქსთა არსებობის დადასტურება:

ჭურ-ელ	ჭურ-უ (მრ. რ. ჭურ-ვ-აღ)
ულ-ელ	ულ-ვ-ა (მრ. რ. უღ-ვ-აღ)
კედ-ელ	ჰედ-ვ>ჰნდვ>ჰვნდ (მრ. რ. ჰვნდ-ვ-არ) ¹⁵ .
ვაშ-ლ	ვისგ-ვ (მრ. რ. უსგ-ვ-არ)
ოფ-ლ	ვეფ< ვეფ-ვ
კეამ-ლ	კვპ მ<კვპმ -ვ

საინტერესოა, რომ ლენტეხურში უღვანდ მხოლოდითი გაგებით იხმარება. ე. ი. იგი ქართულ უღელ-ს შეესაბამება. ჩვენი ყურადღება მიაქცია ერთ ძველისძველ მულახურ სიმღერაში დადასტურებულმა ფორმამ უღვანდში (სვ. პოეზ., 246, 2—9), რაც დღეს გაუგებარია. ვფიქრობთ, რომ აქაც უღვანდ სიტყვის ერგატეზე დამყარებული ნათესაობითი გვაქვს, ე. ი. მხოლოდითი მნიშვნელობით უღვანდ დღეს ლენტეხურში უნდა განვიხილოთ, როგორც არ-

¹³ შრომის ანოტაცია გამოაქვეყნა მ. მაქვარიანმა, იხ. „მომოხილველი“, 6—9, სემენერობიბლოგრაფიული კრებული, თბ., 1972, გვ. 506—509.
¹⁴ ა. შანიძე, უმდაუტრ სვანურში, „არბილი“, პრიფ. ი. ჯავახიშვილისათვის მიძღვნილი კრებული, ტფ., 1925, გვ. 219—220, ვ. თოფურია, სახელთა დაბალიობის ისტორიისათვის სვანურში, ტსუ შოამბე, VII, 1927, გვ. 301.
¹⁵ მრავლობითის ფორმაში მეორე ვინი აშკარად განეთარებულა ფუძის მივნით გადასმულა წყვილბაგისმური ბგერას (დეტერმინანტი სუფიქსის) არსებობის გამო.

ქაიზში, ადრე კი ეს ფორმა სევანურის სხვა დიალექტებსაც ახასიათებდა (ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ეცერის თემის ერთი სოფლის სახელწოდებაც — უღვალი), სადაც ბოლოკიდური ლასის მოკვეციის შედეგად მივიღეთ დღევანდელი უღვა. მრავლობითში ლასი უფრო მკვიდრი აღმოჩნდა, რადგანაც იგი ამ კატეგორიის მაწარმოებელია. უღვა¹⁸სთან უნდა ჰქონდეს აგრეთვე კავშირი ერთი სევანური უღვლტეხილის სახელწოდებასაც — ესაა უღვირ ზაგვარ, რომელაც ძველი ხალხური სიმღერების ენაში უღვა ფორმითაც დასტურდება: ლალგანა ისგვი კანარე უღვა ზაგარის ჭიგვდა — შეწირული შენი ხარები უღვის ქედზე გვდა (უშგ., 22, 10).

როგორც ვხედავთ, ლასის შემცველ სუფიქსებს სევანურში ძირითადად ვინი შეესაბამება, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ქართული წყვილბაგის-მიერი ბგერის ნაცვლად სევანურში სწორედ სონორი წარმოგვიდგება (ღვი-ნო — ღვიწანღღღინ-ელ. მოსალოდნელი იყო ღვიწვ ან ღვინ, მაგრამ ამ ნაცვლებზე სიტყვას სხვა თავისებურებანიც გააჩნია ქართველურ ენებში და ამიტომ არც გასაფიქრია რაიმე).

შესაძლოა. ქორვა, ყორვა, შღურვა, ხუნვა-ს შემთხვევაშიაც დეტერმინანტ სუფიქსთან გეჭონოვს საქმე. მაგრამ რა უნდა იყოს -ა, ძნელი სათქმელია. თუ ის ფუძისეულია (შღრ. მხ. რ. ნათ. ბრ. ქორა-შ, ყორა-შ, შღურა-შ), მაშინ ფონეტიკურად განვითარებულია ვინის ან დეტერმინანტი სუფიქსის შემდეგ თითქოს არ უნდა მსხვილრილიყო. იმლატრნი ვ ვითარდება ჩვეულებრივ ფუძესა და ბრუნვის, რიცხვის ან სხვა რომელიმე კატეგორიის მაწარმოებელ მორტემას შორის. ასეთ ვინს სპეციალურ ლიტერატურაში ხან ხმოვანთადაც უწოდებენ (თ. შარაძენიძე)¹⁶, ხანაც — გარდამავალ ბგერას (glied) (თ. გამყრელიძე, გ. მაკაბარიანი)¹⁷: მუ-ვ-ემ/მუ-ვ-ემ-იმ „მამის“, ლამუვარ/ლამვარ (ზზ.), ლამუარ/ლამვერ (ლზზ.)-მეორე ფორმა პოეზიისა. 252, 14—15), ლამერ (ლტ.) „მამისეული ოჯახი“, ბუვუშ (სვ. პოეზ., ლტლ-ბერ. 164, 72) || ბუშუ (იქვე)¹⁸; „მამისავ“. გუ-ვ-ემ (ზ. სვ.) „გულმა“, ცხუ-ვ-ემ (ზ. სვ.) „ისარმა“, გუ-ვ-რ-ემ (სვ. პოეზ., მულახ., 80, 24) „გულების“, ცხუ-ვ-რ-ემ (ზზ.) „ისრების“, ქეუ-ვ-იერ (ლტ.) „ჭკვიანი“, ფათუ-ვ-არ „თქვი“, შუკუ-ვ-არ „გზები“, ჭიჭუ-ვ-არ „ტყელები“, მუგუ-ვ-არ „ბტრედები“, ლუსუ-ვ-არ „ბუტები“, ნაზუ-ვ-არ „ნაკვალევები“, ნინჩუ-ვ-არ „დრენჩები“, მეთხუ-ვ-არ/მეთხო-ვ-არ „მონადირე“, უკანასკნელი მაგალითები ლენტეხური კილოს კუთვნილებას¹⁹. მაგრამ რომ მრავლობითის მორფემის წინ, ო და უ-ს შემცველ ფუძეებთან, ვინის ჩართვა მხოლოდ ლენტეხურს არ ახასიათებდა, ამაზე მიუთითებს მულახში ჩაწერილ სიმღერაში დადასტურებული ცუწ'უვარე, ცუწუვარეს (თევზები, თევზებს) ფორმები (სვ. პოეზ., 102, 31—32) || ცუწვარს (იქვე, მულახ., 186, 19)²⁰. შღრ. აგრეთვე თანამედროვე ლენტეხური ჩირხუვარს / ჩირხწალს (სვ. პროზ. ტ., 1, 19, 12) „სიბ ქვებს“, ჩირხუვარმეც (იქვე, 19, 14) „სიბ ქვებთან“ (მხ. რ. ჩირხუ).

¹⁶ თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სევანურ სახელთა ბრუნვაში, გვ. 223.

¹⁷ თ. გამყრელიძე, გ. მაკაბარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატო ქართულურ ენებში, გვ. 27.

¹⁸ დღეს მხოლოდ ღვინო ფორმა იხმარება.

¹⁹ მ. ქალღანი, სევანური ვინის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება, გვ. 175.

²⁰ დღეს ზემო სევანში ცუწარ/ცუწარ გვხვება.

არც იმის უდავოდ თქმა ადვილი, ჭერ -ა დაიკარგა და მერე აუსლაუტ-
ნო. სონორის მომდევნო პოზიციაში. ნიხვედრილი ვინი, თუ პირიქით, ჭერ
ვინი და მერე -ა ხმოვანი. ქვემოსვანური მრავლობითის ფორმები ქორვალ/
ქორვალ, ყორვალ/ყორვალ მიუთითებს სწორედ -ა ხმოვნის მოკვეცაზე, ხო-
ლო ძველი ხალხური სიმღერების ქორვა/ქორა/ქორ, ყორვა/ყორა/ყორ, ხუნვა/
ხუნა/ხუნ ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეს განეკუთ-
ვნებიან. ხელს უშლიან ამგვარ ვარაუდს (მდრ. ბზ. კალე, მაგრამ ლზმ. კავ).

შესაძლოა ზემოაღნიშნულ მასალაში, რაკი ძირები ო ან უ ხმოვანს შეი-
ცავენ. ფონეტიკურად განვითარდა ვ, რომელიც აუსლაუტში, სონორთა მომ-
დევნო პოზიციაში, მოხვედრის შემდეგ მხოლობითის ფორმებში მთელს სვა-
ნურში დაიკარგა. ზემოსვანურმა ვერც მრავლობითში შეინარჩუნა იგი, ხოლო
ღმსხურ-ლენტეხურმა ინლაუტში დაიცვა ვინი. ეს ვარაუდი უფრო თანმიმ-
დევრული იქნებოდა მაშინ. თუ პოზიიის ენაში დავადასტურებდით უანო
(ქორვ, ყორვ, ხუნვ, მდურვ) ფორმებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც.
რომ ჩვენს მაგალითებში ვინი ყველგან სონორ ბგერებს მოსდევს, ხოლო „სო-
ნორ თანხმოვნებთან მეზობლობაში ყოველთვის ვინის რაღაც თავისებურე-
ბებს ვაწყდებით სვანურში“²¹. ამ თვალსაზრისით შეიძლება გაეჩხენოთ ერთი
სვანური ტოპონიმის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მგუაღვან-შ (მდრ. მხ. რ.
მგუაღ. მრ. რ. მგუაღვან) „მუქალის“, სადაც -ღვ- კომპლექსს განახილავენ.
რაგორც სონანტის ლაბიალიზებულ ვარიანტს²². ამგვარ რასმე უნდა ჰქონდეს
აღვილი ჩვენს განსახილველ ლექსიკურ ერთეულებშიც. ხომ არ შევევიშლიდა
ხელს ბზ. ჭუვა (მდრ. ბქ. ჭუა). უკვ. ჭუვოლ (ქან. ფ.) „ძე ძალღი“, ბუვა
მიშვე (სვ. პოვ., ლტლ.-ბეჩ., 162. 7) „მამაჩემო“ ფორმები? აქ ხომ სონორი
ბგერები არა გვაქვს? მაგრამ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. რომ ლაბიალიზაციისაკენ
მიდრეკილება სვანურში სწორედ მაშინ ვლინდება. როცა ფუძე ო ან უ ხმო-
ვანს შეიცავს. ასეთ ხმოვნებთან გაჩენილი ვინი სხვა შემთხვევაში, სხვა ქრო-
ნოლოგიურ დონეზე ან სხვა ფონეტიკურ სიტუაციაში თუ ენობრივ მონაცემში
(დიალექტში, კოლოკაცში) პირველ რიგში სწორედ ბაგისმიერი ან სონორი
თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში იწყებს დაკარგვას.

ვ ბგერის დაკარგვა სხვადასხვა ტემპით და სხვადასხვა პირობებში ხორ-
ციელდება კილოების მიხედვით, მაგრამ აშკარაა, რომ ვ-ს გაქრობის ტენდენ-
ცია მთელი სვანურისათვის ყოფილა დამახასიათებელი. ამასთანავე, ეს ტენ-
დენცია საკმაოდ ძველიც ჩანს²⁴.

მუშასადამე, ორი ურთიერთისპირისპირო პროცესი — ლაბიალიზაციისა-
კენ მიდრეკილება და ლაბიალიზაციის მოშლა ახასიათებდა და ახასიათებს
სვანურს.

ბოლოკიდურ -ა ხმოვანთან დაკავშირებით, ქართულიდან სვანურში შე-
სული მასალის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ასეთი სურათი წარმოვად-
გინოთ:

²¹ მ. ქალღანი, სვანური ენის ლენტეხური კილის ზოვერთა ფონეტიკური თაღისა-
რება, გვ. 175.

²² მ. ქალღანი, მუე/მგუ- ძირისაგან ნაწარმოებ ტოპონიმთა საითხილავის, გვ. 14.

²³ რამე ბალსქემოთავ გვერდია ჭუვას მუქალ ფორმა, ამაზე შეიძლება მიუთითდეს ზემ-
სვანური მასალარი ლი-ჭუ-ან-აღ/ლი-ჭუ-ან-აღ -მქუნობა“.

²⁴ თ. შარაძე ნიძე, ორფუქანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნვაში,
222.

1. -ვა დაბოლოების შემდეგ სიტყვებს ჩერ -ა მოეყვება. შემდეგ კი — ვინი (წირვა>წირვ>წირ. ცოდვა>ცოდვ>ცოდ).

2. ქართული ფუძე არ შეიცავდა -ვა დაბოლოებას. მან იგა ჩერ გარინა სვანურში. მერე იავე დაეარგა (ძირ>ძირვა>ძირვ / ძირა>ძირ).

3. აუსლაუტში -ა დაბოლოება გაუჩინარდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ქართულის შეკვეცილ ფუძეს სვანურში ვინი დამატა (ყანჩა>ბქ. ყანჩი|ყანჩიყ., შდრ. ლშხ. მრ. რ. ლ. ყანჩიყარ; ყნა>*ყ ბა>ყნა>ყანვ>ყანყუაფ²⁵ „წვერი“).

ახლა, რაც შეეხება სვანურ სიმღერებში დადასტურებულ ბაჩვან (მულან, 18. 69) და ზავას (უმგ., 302. 27) ფორმებს. იქმნება მოჩვენებითი შთაბეჭდილება, რომ თ-თქოს აქ ქორვად/ქორვას მსგავსი ფორმები გვაქვს და მათ ანალოგიურად სახელობითში ბაჩვა, ზავა ფუძეები უნდა აღვადგინოთ. ბაჩვან ფორმის ანალიზის საფუძველზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ვინ-ს დეტერმინანტიზის შესახებ: „იქნებ ვინი ფორმაში ბაჩვი (და ზოგიერთ მსგავს შემთხვევაში) არ იყოს მიცემითობის გამოხატველი და გაიაზრებოდეს ისე, როგორც ვინი ვისვ, ვისკვ, ველვ ფორმებში“²⁶. საგულისხმოა, რომ მ. ქალდანმა²⁷ ეცერჟლსა და ბეჩოურში, თ. შარაძენიმე²⁸ — ბეჩოურში, ხოლო გ. მაკაეარაძემ²⁹ — ლაშხურში მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმებში დადასტურეს რაშვ და ველვ: იმხენ ესერ ოხტიდა ალი რაშვ — საიდან მოიყვანე ეს რაში? ველვ ჩვადკვარ შეტუნჩე ლქაჩ დემდემ — ოალი ჩაადლო (გადაადლო) გზიდან დაქრილმა დათვმა. უშგულურ ცოხალ მეტყველებაში რაშვ ჩვენ შეგვხვდა სახელობითის ფორმაში: რაშვ ხაულე ამსეალდს (სვ. პარზ. ტ. I. 79. 11) — რაში ეუბნება ცხენს. ალას რაშვ ქობჯახმხ (იქვე, 80. 1) — ამას რაში შეუჯახმხს. მეჩი რაშვ ხაპპნა (იქვე, 79. 6—?) — ბებერო რაში დაბმული ყოფილა.

მ. ქალდანს რაშვ ფუძეში ვინი განვითარებულად მიჩნია (შდრ. სხვა თანხმოვანფუძიან სახელთა აუსლაუტები — მიჰვ (ბერ.)/მიჰ(ჩბხ.) — რქა, დვისვ (ბერ./დვის (ჩბხ.) — კირხლი. ვიშკვ (ბერ.)/ვიშყ (ჩბხ., ლხმ.) — პირი, ჩიანგვ (ბერ.)/ჩიანგ (ჩბხ., ლხმ.) — ყეელგან, ლასკარვ (ბერ.)/ლასკარ (ჩბხ., ლხმ.); ხოლო რაშვარ ფორმასთან დაკავშირებით თ. შარაძენიმე ასე მსჯელობს: „მრავლობითში -არ სუფიქსის წინ ვ-ს გამოვლენა საერთოდ დამახასიათებელია სახელთა მთელი ჯგუფისთვის (ქუთვარ, ჰულვარ, ჰვანდვარ). ეს მოვლენა ჯერჯერობით ახსნილი არ არის (ხაზი ჩვენია. — ი. ჩ.). ორი შესაძლებლობაა: ან ვ თვითონაა მრავლობითის ნიშანი (მართლაც, უ სუფიქსი მრავლობითის

²⁵ თ. გამყრელიძე, გ. მაკაეარაძე, სონანტა სისტემა და აბლატო ქართულურ ენებში, გვ. 116. Г. А. К а н т л а д з е, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1961, გვ. 209. უნდა აღინიშნოს, რომ ყაფ ფორმა არ არის რეალური, იგი არ დასტურდება არც ძველი სიმღერების ენაში და არც თანამედროვე ცოხალ მეტყველებაში. მაგრამ თ. გამყრელიძე და გ. მაკაეარაძე, ალბათ ლი-ლ-ფუფ-იელ „ნახრობა“ ოქპს შემეველ -ყაფ-ძირს გულისხმობენ, რომელიც ბოლოსთარის უბეობას (ეს კი თავის მხრივ ყნა) უკავშირდება (შდრ. ზავა, ლშ. ჰაყნა/ყნა, ლტ. აზაყა „ყნა“ და ყანა „მოლაყნა“; „ლაქლაქა“).

²⁶ ა. თაყაიშვილი, ქვა-სიტყვის აგებულებისათვის, ივე, XV, თბ., 1966, გვ. 247.

²⁷ მ. ქალდან, სვანური ენის ბალსქვემოური კლასის ეცერული თავისებურებანი, გვ. 210; მ. ინიკე, სვანური ენის ბეჩოური კლასის ფონეტური თავისებურებანი, ივე, XIII, თბ., 1962, გვ. 200.

²⁸ თ. შარაძენიმე, სვანური ენის ლატალური კლასის ზოგიერთი თავისებურება, გვ. 66—67.

²⁹ ა. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., სქ. 16.

მაწარმოებლად გვხვდება სვანურში). ან არადა იგი სხვა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო. მხოლოდობითი დავითვოდა სახელებს და დაიკარგა. მრავლობათა ი შეზღვევინაა. მეორე შესაძლებლობის რეალურობაზე მიუთითებს ბეჩოურის მხოლოდობით რიცხვში დადასტურებული ფორმა **რაშე**“. რომ პირველი შესაძლებლობა (ორმაგი მრავლობითობა) გამოიკახულა. ამაზე ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში ჩვენს მიერ დადასტურებული **ქარვა, ყორვა, შდურვა, ხუნვა, ძირვა** ფორმები მიუთითებენ. მაგრამ რომ ვინას ფუნქციის გარკვევა საკმაოდ ძნელია. ამაზე მიუთითებს მ. ქალდანის ორი ნაშრომა ერთმანეთთან შედარება. „სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკურ თავისებურებებში“ თანხმობანფუძიან სახელთა და მიმღობათა აუსლუტში განვითარებული ვინი მას დეტერმინანტ სუფიქსად მიაჩნია (გვ. 189—192), ხოლო ეცერელის თავისებურებებზე მსჯელობისას ასეთი ვინი შეფასებულია როგორც სიტყვის ბოლოს ფონეტიკურად განვითარებული ბგერა (გვ. 210).

ახლა რაც შეეხება ლაშხურის სახელობითში დადასტურებულ **ჟაღვ** ფორმას. რომლის ანალიზიც, **ბაჩვან** ფორმის გვერდით. საშუალებას აძლევს. თაყაიშვილს ორსავე სიტყვაში დაინახოს ქართული **-აღ/-ავ** დეტერმინანტ-სუფიქსის (**ძაღ-ღ, გა-ქვ-ავ-ება, ჩა-ქვ-აღ-ვა>ჩა-ქოღ-ვა**) შტრ. მეგრ. (**ქუ-აღ-ამ-ი, ქუ-აღ-ონ-ი**) მორფოლოგიური ეკვივალენტი და არა ორფუძიანობის შემქმნელი მიცემითის მორფემა. ერთ-ერთ საბუთად ავტორი ასახელებს იმას. რომ მიცემითის **ვ-** ნიშნინი ფუძე მხოლოდ **ღ-** ნიშნიან ვითარებითს აწარმოებს. მაგრამ თუ ღრმად ჩაუუყვირდებით წარიან ბრუნებას. რომელიც დღეს ჯადმონაშთის სახითა დასტურდება სვანურში და მთლიან სისტემას არ ქმნის. აღმოჩნდება. რომ **ზავნ ი ზავნ** (წლიდან წლამდე) ფორმა მიცემითზე დამყარებული ვითარებითია. გარდა ამისა. წარიანი ვითარებითის ფორმით ძველ სვანურ სიმღერებში (და დღესაც) ქვის აღმნიშვნელი სიტყვა უფინოდაც დასტურდება: **ბაჩან ი ბაჩან** (სვ. პოეზ.. ხალდე, 178, 29) || **ბაჩნ ი ბაჩან** (იქვე, მესტია, 130, 7) || **ბაჩნ ი ბაჩნ** (დღეს) — ქვიდან ქვაზე. -ა ხმოვანი ფუძისეულია (**ბაჩან — სვ. პოეზ.. უშგ.. 238, 9 — ქვას. ბაჩან ბოგინ — იქვე, მულან.. 58, 2 — ქვის ხიდზე**). მაგრამ **ბაჩვან** ფორმაში მის ფუძისეულობაზე ლაზიკი შეიძლება გაგვიპირდეს. აქ ალბათ -ან მთლიანად ბრუნვის მაწარმოებელია (შტრ სხვა ანალიგიური შემთხვევები: **ჩაშან — ცხენით, სვ. პოეზ., 198, 7; ნაღებან — ნაღებით, 170, 34; მაღიდან — მაღლით, 170, 24...**).

ქართული **-აღ** სუფიქსის (**ქვ-აღ>ქვ-ა**) მორფოლოგიურ ეკვივალენტად (არნ. ჩიქობავა) ან ფონეტიკურ შესატყვისად (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) სვანურში **-უ/-ვ** ბგერის წარმოდგენა სრულიად ბუნებრივია, რომ საერთოდ ადვილად სარწმუნო იყოს სვანური **ბაჩ** და ქართული **ქვა** ძირების ერთმანეთთან დაკავშირება (**ბაჩ<*ბაჩვ<*ბაჩავ<*ბაჩვე**). ა. თაყაიშვილის საკმაოდ საინტერესო დაკვირვებაში გარკვეული სიძნელეები რომ მოიხსნას კიდეც, მაინც აუხსნელი დარჩებოდა **ბაჩვან** ფორმაში -ა ხმოვნის საკათხი, თუ ის ბრუნების წარიანი სისტემის მაწარმოებელ ელემენტად არ ჩავთვალეთ.

ჭერ კიდეც ნ. მარიდან მოყოლებული სპეციალურ ლიტერატურაში³⁰ არაერთხელ აღნიშნულა ლასისა და ვინის ერთმანეთთან ფონეტიკურად დაკავში-

³⁰ Н. Я. Марр. Где сохранилось сванское склонение. ИИАН, СПб, 1911, гв. 1201. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 130; მ. ქალდანის, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 153—

რების შესაძლებლობის შესახებ. ლ > ვ ახსნილია, როგორც ლაბიალზაციის მოვლენა. მ. ჭალდანს საგანგებოდ აქვს აღნიშნული ამ ფონეტიკური პროცესის შესახებ ბალსტიკეზოური კილოს ლახამულური კილოკაეის ხაიშურ თქმასთან დაკავშირებით, ხოლო თ. გამყრელიძე და გ. მაქავეარიანი სონანტთა თეორიიდან ამოსვლით ლ > ვ პროცესს ვარაუდობენ მთელი სეანტრისათვის. მაშასადამე, მათი აზრით, ქართ. -აღ/-ელ/-ილ/-ლ — სეან. -უ/-ვ მორფოლოგიურ ელემენტთა (დეტერმინანტთა) ეკვივალენტობა კი არაა. არამედ სრულიად კანონზომიერი ფონეტიკური ბეჭერათშესატყვისობა. ამის მიზეზდით, საერთოქართულური *ჭაღი ფუძის შესატყვისად სეანტრში უნდა მოველოდეთ *ჭაღვ > ფაღ ფორმას³¹, მაგრამ სახელობით ბრუნვაში ფუძისეულ და ფორმანტიკულ ხმოვანთა ურთიერთმოქმედების შედეგად ვღებულობთ ფაღვ ფორმას. ამასთანავე, არც შემოხვევაში ბილოკიდური -ვ მოკვეცილია. ფაღ ფორმა ითქმის გამოსულია ხმარბიდან: ჩვეულებრივია ფაღ³². უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ლაშხურმა დიალექტმა, რომელიც ბრუნების სისტემაში იშვიათებს უფრო ავლენს, ვიდრე იცავს არქაიზმებს, გ. მაქავეარიანის ცნობით, სახელობითში ფაღ ფორმა შემოგვინახა. საინტერესოა, რომ იმავე ლაშხურში გვაქვს დეშვ ქართული დათვ- ფუძის შესატყვისად. ე. ი. მოხდა წინა მხარეთულების უმლატო (დაშვფ + ი > დაშვფ > დეშვ)³³. მაგრამ ვინს არაფერი მოსვლია. არ დაკარგულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სეანტრ სახელაუსლაუტებში ყოველგვარი ვინი როდი იკარგვის. ამ მხრივ შედარებით უმძღობას იჩენს ქართული ვინის ფონეტიკური შესატყვისი (დაშვფ „დათვა“ „დევი“. შღუვე თაყვი“. ზაგ „საფი“. ლარღვ მოღუევი“. ნაზე ვალი“ < *ნა-გზ-გ < ნა-გზ-გე-ვი, მაგრამ შღრ. შღა < ქ. თაგ — „თათავი“. ზვა-ა < ქ. ზვა-ე. „ბერი“) და დრო კილოთა (უწყაბუელი, სილმეობილი, წვეტილი) მაწარმოებელი ფორმანტი (ხაჰვიფ „აძღედა“, ანკდენიფ „მოვიდოდა იქნებოდა“ და სხვ.).

მაშასადამე, სახელობით ბრუნვაში ღადასტურებული ლაშხური ფაღ სახეობით კანონზომიერი ფორმაა, მაგრამ მისი ახსებობა სრულიადც არ ნიშნავს იმას, რომ ბაჩვან (ქვით) და მით უმეტეს ბაჩვი ფორმებში ვინი ფუძისეულია. დეტერმინანტი სუფიქსის შესაბამისი ელემენტია. პირველ შემთხვევაში მელახურ სიპლერაში შემონახულია უძველესი, ვინიან ბრუნვაზე დამყა-

³¹ 24: მისივე, მუფ/მგუ ძირსკან ნაწარმოვ ტონანთა საყოხიათაჲს, გვ. 14; თ. რაძე ნიძე, ბრუნვათა კლასიფიკაციასათჳს სეანტრში, გვ. 127; ვ. როგაჯა, ფუძის ბილოკიდურ სონორთა პოზიციურ ცვლადებასათჳს ქართულურ ენებში, საზ. საზ. ჰეუ. აკად. სახ. ქაცე. განყოფ. მოამბე, 1, თბ., 1962, გვ. 226 და შჰდ. თ. გამყრელიძე, გ. მაქავეარიანი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართულურ ენებში, გვ. 82, 94, 154—157, 333, 348, 351—353 და სხვ., გ. მაქავეარიანი, მახვილას საყოხიათაჲს ქართულურ ენებში, მიმოხილველი, 6—7, გვ. 507.

³² უკონობის სუფიქსის წინა პოზიციამ ფაღ დაუღია კოდც, რაფანაფ ფუძის მომდევნოდ პალატალური ხმოვანი მოსალოდნელი არ არის (ფაღურ მზგვე ყუბ ესერ ლი, ბქ. — უძღლო რახხი ყრუ არის).

³³ თ. გამყრელიძე, გ. მაქავეარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.
³⁴ გ. მაქავეარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართულურ ენებში, თსუ პრობები, ტ. 69, თბ., 1958, გვ. 272; მისივე, უმლატის ისტორიიდან სეანტრში, იყე XVII, პბ., 1970, გვ. 94—104; თ. გამყრელიძე, გ. მაქავეარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 155; F. H. Schmidt. Studien zur rekonstruktion des Lautstandes der Südkaukasischen Grun-
 sprache, Wiesbaden, 1962, გვ. 30—31, 50—51.

რებული ნარიანი ვითარებითი (მღრ. დღევანდელი ბაჩღ/ბაჩშე ოხგეშლას — ქვიჲ ამოუესიათ). ამაში გასაკვირი სრულებით არაფერია, რადგანაც სვანური ბრუნების თითქმის ყველა ტიპს (გარდა ე. წ. ქართველური სისტემისა) ახალიათებს ორფუძიანობა. მამ, რატომ უნდა იყოს ამ მხრივ გამონაკლისი ვინი-ან მიცემითზე დამყარებული ვითარებითი? რაც შეეხება ა. თაყაიშვილის მიერ სვანური ზოგზიდან მოტანილ ფორმას ბაჩვეუი³⁴ (189, 31) — ქვაზე, იგი აშკარად მიცემითია და არა მარტო ძველი ხალხური სიმღერების ენაში, არამედ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც ფრიალ გავრცელებული, სხვადასხვა თანდებულთა წინ (მღრ. მაგ. გვაშუეი — საქმეზე, საქმის შესახებ: ბინტუეი — ნისლზე, ნაბაქუეი — ნაბიჯზე, ღაბუთე — ყანისყენ...).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ. კლიმოვს შესაძლებლად მიაჩნია სვანური მიცემითის მორფემაში დაინახოს საერთო-ქართველურ სახელთა გადააზრია-ნებული ფუძისეული * -ლ თანსმოვანი³⁵.

შავას გვხვდება ერთ უშგულურ სიმღერაში: სემი შავას დეშ იცხები — სამ წელს გარს ვერ შემოუვლის (სვ. პოეზ., 308, 27). დღეს უშგულში შან ფორმა იხმარება, ბალსზემით და ლაშხეთში შამს, ხოლო ბალსქვემოურში — შავ. რაც შეეხება სახელობითს, აქ შამ/შა გვაქვს. საანტირესოა, რომ შამს პარალელურად გ. კლიმოვს შავ ფორმაც მოაქვს³⁶; უკანასკნელ შემთხვევაში, ალბათ, ზემოსვანური შავობ ფორმის (მღრ. ლაშხ. შა-ა-ობ „მოსავლიანობა“) ანალოგიური მასალა იგულისხმება. აუტლატში ვინი და ღოტი ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება კიდევ: ლნტ. შავ/შამ მერბან, ლშხ. შაა/შავ მერბან — ყოველ მეორე წელიწადს; მიცემითის ვინი შეიძლება ორი და სამფუძიანი ბრუნების დასაბამი გახდეს: ლშხ. შა-ვ-დ „გაისად“, შა-ვ-დ-ა-შა-ე < შა-ვ-დ-ა-შა-ა „გაისის წელი“, სხვ. ქვესვ. შა-ვანი-ი-შა-ვ-ნ „წლიდან წლამდე, წლითიწლიობით“. პარველსა და მესამე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაბიციემითარ ვითარებითთან. ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ფორმა ხელახლა იბრუნვის და მიცემითზე დამყარებულ ნავითარებითარ ნათესაობითს ეღებულობთ. ჩვეულებრივ თანდებულეზი და ზმინისარებეი მიცემით ბრუნვაში მართავენ ამ სახელს. მაგრამ ზოგჯერ შედარებით უფრო გვიანდელ, ბრუნების სისტემის უნიკალობის შედეგად მიღებულ სასელობითის ფორმასთანაც გვაქვს საქმე: შა-ვ-თი — წელს, წელზე; შა-ვ-ისგა-წელში: შა-ვ-თე-ქა (ბქ.). შა-ა-თე-ქა (ბზ., ივარ.): შა-ვ ღეჟა-ღეჟვა-მთელი წლას მანძილზე. მაგრამ სრულიად მოულოდნელია მრავლობითის -არ მაწარმოებლის წინა პოზიციაში მიცემითის ვინი. თუნდაც თანდებულიან ფორმაში: შა-ვ-არ-ქა (სვ. პროზ. ტ., ბქ. II, 227, 26) — „წლებში, წლების ახლომანხლო“. ადვირბიალური მნიშვნელობით გამოყენებისასაც ერთმანეთს ენაცვლება მიცემითისა და სახელობითის ფუძეები: შავ (სვ. პროზ. ტ., ბზ., I, 105, 31)|| შამ (იქვე, 106, 14) — წელს, წელში. აგრეთვე ბალსზემოური ღე-ნ-შა-ა „საზაფხულო“ ბალსქვემოურში წარმოღვენილია ღე-ნ-შა-ვ ფორმის სახით, ხოლო ლაშხურში ერთიან გვხვდება და მეორეც, ოღონდ უკანასკნელ შემთხვევაში ვინი მიცემითის ფორმანტი კი არ უნდა იყოს, არამედ ფუძის დერივაციული ელემენტი.

³⁴ ა. თაყაიშვილის სტატიაში ეს სიტყვა უშგულტანი ფორმითაა (83ჩვეი) მოყვანილი.

³⁵ Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте. Москва, 1962, стр. 88.

³⁶ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, стр. 86.

მამასადამე, როგორც დავინახეთ. ბრუნებისა თუ სიტყვაწარმოების პროცესში ორი ფუძევა გამოყენებული ზაჲ (სახელობითისა) და ზავ (მიცემითისა).

პოეზიაში დადასტურებული ზავას იქნება, ალბათ, მიცემითის ფორმა. გამოხატული ორმავე მაწარმოებლით — ვინით და სანით. რა უნდა იყოს ა ზმოვანი? იგი თითქოს ფუძისეული ელემენტია, რასაც თანამედროვე სვანურში გავრცელებული. ამ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები გვაპარალ-დებინებს: ზა-ვ-ა-ა-შ||-ზა-ა-ა-შ (ბზ.), ზა-ვ-ა-შ (ბეჩ., ლხმ.)||ზა-ი-შ (ბეჩ., ბზ.). რამდენადმე უცნაურია ერთი და იმავე ბრუნვის ფუნქციის გამომხატველ ორ სხვადასხვა ფორმანტს შორის ფუძისეული ხმოვნის ჩასმა (ისევე, როგორც უცნაურია ბალსკვემოურის მრავლობითობის მაწარმოებლის წინა პოზიციაში მიცემითის ვინის³⁷ გამოვლენა), მაკამა შეიძლება მოხერხდეს ანალოგიური ფაქტების დაძებნა სვანურში (მაგ. კალ-ნ-ვ-ი-კალ-ნ-ვ<კალვ-ნ-ი-კალვ-ნ ..კა-ლოდან კალოზე“. სადაც ფუძისეული ვინი გადასმულია ბრუნვის მორფემის შემდეგ).

რაკი ზავას ფორმაში მიცემითის ორი აფიქსი გვაქვს, უნდა ვიფიქროთ. რომ პირველ მათგანში დარღვილია მისი ფუნქცია და იგი ფუძისეულ ელემენტადაა რეინტერპრეტირებული. მაშინ სანის წინ მდებარე მონაცემი შეიძლება მთლიანად განსილულ იქნეს, როგორც ფუძე ამ სახელისა. ამ ვარაუდს საკმაო წინააღმდეგობები ეღობება, ამიტომ უფრო თანმიმდევრული იქნებოდა ზავას ფორმაში დაგვენახა მიცემითი ბრუნვის -ას დაბოლოება. რომელიც ქართულურ ენათა ადგერბილურ გამოთქმებშია დადასტურებული (ქართ. თირ-ას, ადგილ-ას, პირ-ას, წამ-ას, წეს-ას... მეგრ. ძვირ-ას „ძვირად“, შხირ-ას „ხშირად“, ეფ-ას „იაფად“, სვან. ჭვედი-ას „შორს“, ფედი-ას „ახლოს...“)³⁸.

ამრიგად. ძველი სვანური ზალხური სიმღერების ენაში დადასტურებული ქორვა, ყორვა, შდურვა, ზუნვა, ძირვა ფორმები წარმოადგენენ სონანტთა ლაბიალიზებულ ვარიანტებს, ხოლო ბაჩვან და ზავას მორფოლოგიური ელემენტების, კერძოდ ორფუძიანი ბრუნების შემქმნელ მასალას. ჩვენ რომ თანამედროვე სვანურის ნათესაობით ბრუნვასა ან მრავლობითი რიცხვის ფორმებში შემოგვრჩენოდა ბაჩ-ვ-ა-შ, ბაჩ-ვ-არ ვარიანტები, მაშინ ვინსაც და ანსაც ფუძისეულად გამოვაცხადებდით.

ამჭერად ლიად გვრჩება საკითხი იმ -ა ხმოვნის ფუნქციისა, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებში ფონეტიკურად განვითარებული ვინის ზომღვენი პოზიციაშია წარმოდგენილი. ჭერჭერობით ჩვენთვის უველაფერი მთლად ნათელი არ არის.

³⁷ ეგების ზა-ვ-ო-ბ და ზა-ვ-პ-კა ორბებში ვინი ფუძისეულ ხმოვნად გავაზარანებული მიცემითის ფორმანტია.

³⁸ ვ. თ. ო. უ. რ. ი. ა. ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართულურ ენათა ბრუნვასთან შედარებით, გვ. 340—341, 345.

მ ა ნ ა ნ ა მ ა ჰ ა პ ა რ ი ა ნ ი

ზ მ ნ ის ძ ი რ ა ბ ის ფ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

(ქართული ენის მასალაზე)

წინამდებარე შრომის მიზანია კონსონანტური ფონემების დისტრიბუციული წესების დადგენა ქართული ენის ზმნის ძირებში. ცნობილია, რომ ფონემები შეიძლება დაჯგუფდნენ მათი ფიზიკური, არტიკულაციური ან აკუსტიკური თვისებების მიხედვით, მაგრამ შეიძლება აგრეთვე მათი დაჯგუფება ფონემათა ფუნქციების ან მათი დისტრიბუციის (განაწილების) მიხედვით¹.

უკანასკნელ წლებში რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა მიემდინა ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურას² (პირველ რაგში აღსანიშნავია პ. ფოგტის დასახელებული ნაშრომი).

ცალკე პრობლემას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წესებს ემორჩილებიან და რა კანონზომიერებებს ავლენენ კონსონანტური ფონემები ან კომპლექსები ძირის ფარგლებში (ყეროდ ზმნის ძირებში).

ცნება ძირი. ტრადიციული ვანსაზღვრის მიხედვით, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე დაუშლელი ბგერათკომპლექსია. თუ რა უნდა მივიჩნიოთ სიტყვის დაუშლელ ნაწილად, ყოველთვის ნათელი არ არის და საერთოდ ცალკე საკითხს ქმნის. შევთანხმდეთ, ძირი ეუწოდოთ ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ბგერათკომპლექსს. რომელიც დაუშლელად მიგვაჩნია სინქრონიულ დონეზე.

ქართული ზმნის ძირის საანალიზოდ აღებულია არა მხოლოდ საკუთრივ ზმნური ძირები (ე. ი. ძირები, რომლებიც მოქმედება-მდგომარეობას გამოხატავს). არამედ ყოველნაირი ძირი, რომელიც ლექსიკონში ზმნის ფორმით არის წარმოდგენილი.

მასალად აღებული გვაქვს ზმნური ძირები რომლებიც მოცემულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვა ტომში. საანალიზოდ აღებული გვაქვს ისეთი სტრუქტურის ზმნური ძირები სადაც თანხმოვნები გაყოფილი არიან ხმოვნით³.

შვეიცრულ ენაზე როგორც თავიკიდურა, ისე ბოლოკიდურა თანხმოვნები და დავადგინეთ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის. თანხმოვანთა მახასიათებლებად აღებული გვაქვს მელერობა-სიყრუე და ხშულობა — ნაპრალოვნობა. ცალკე ჭკუფად გვაქვს გამოყოფილი სონორები.

¹ ქ. ფ. გ. ტ. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1951, ვვ. 5.

² ამ საკითხზე ჩვენი მუშაობის პერიოდში გამოქვეყნდა ბ. ქობალაძის შრომა „CVC ტიპის ძირთა ფონემატური სტრუქტურისათვის ქართულში“ (თანამედროვე ზოგადი და ნათემატური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, III). ჩვენ ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული შედეგები მივიღეთ.

³ ჩვენს მასალაში არ შედის CVC ტიპის ზმნის ძირები.

მასალის ამოწერისა და დამუშავების შედეგად გამოვეყავით და დავადგინეთ ზმნის ძირების ძირითადი კანონიკური ფორმები. ესენია: CVCC, CVCCC, CCVC, CCCVC და CCVCC. განვიხილოთ პითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

$C_1VC_2C_3$ სტრუქტურის მქონე ზმნის ძირები

1. თუ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში C_1 -ის ადგილი უკავია ფშვინვიერ თანხმოვანს, მაშინ

ა) C_2C_3 ადგილზე დასტურდება ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან:

მაგ: ფუძ — (დაფუძნდება, დაფუძნდა, დაფუძნებულა)
ფულრ — (ფულრაეს, ფულრა, ფულრაეს)
ფესლ — (ჩაეთესლება, ჩაეთესლა, ჩასთესლებია)
ფეკვ — (აეკვეებს, აეკვეა, უეკვეებია)
ქუნს — (ქუნსის, ქუნსა, უქუნსია)
თოელ — (გადმოთოელავს, გადმოთოელა, გადმოთოელავს)

ბ) C_2C_3 ადგილზე დადასტურებულია სონორის კომბინაცია ნებისმიერ თანხმოვანთან (გარდა მქლერი სპირანტისა):

მაგ: ქარგ — (ამოქარგავს, ამოქარგა, ამოქარგავს)
თალხ — (ოათალხდება, დათალხდა, დათალხავს)
ჩენჩ — (ვამოჩენჩავს, ვამოჩენჩა, ვამოჩენჩავს)
ფანტ — (გადაფანტავს, გადაფანტა, გადაუფანტავს)

გ) C_2C_3 ადგილას დასტურდება ორი ფშვინვიერი:

მაგ: ფეთქ — (აფეთქებს, ააფეთქა, აუფეთქებია)
ფიფქ — (მოფიფქავს, მოფიფქა, მოუფიფქავს)
ჩეჩქ — (გაჩეჩქავს, გაუჩეჩქა, გაუჩეჩქავს)
აეთქ — (გათეთქავს, გათეთქა, გაუთეთქავს)
აუექ — (აუექებს, ჩააუექა, ჩაუექებია)

დ) C_2C_3 ადგილას გვაქვს ფშვინვიერის კომბინაცია ყრუ სპირანტთან:

მაგ: ცოცხ — (გამოცოცხავს, გამოცოცხა, გამოუცოცხავს)
ოოთხ — (ოოთხავს, იოოთხა, უოოთხნია)
ჩაჩხ — (გაჩაჩხავს, გაჩაჩხა, გაუჩაჩხავს)
ფოფხ — (აფოფხებს, ააფოფხა, აუფოფხებია)
ფოცხ — (აფოცხივნებს, აფოცხინა, უფოცხივნებია)
ფიჩხ — (გააფიჩხებს, გააფიჩხა, გაუფიჩხებია)

ე) C_2C_3 ადგილას გვაქვს ყრუ სპირანტი + აბრუპტივი:

მაგ: კემხ — (გეკემხება, გეკემხა, გეკემხებია)

შემოთ მოყვანილ მაგალითებზე დავვირებებამ გვიჩვენა, რომ გ) წესის მაილესტრიტიბელ მაგალითებში ბოლოკიდურა კომპლექსი ყოველთვის A ტიპის პარპონიული კომპლექსია, ხოლო დ) წესის მაგალითებში ბოლოკიდურა კომპლექსი B ტიპის პარპონიული კომპლექსია⁴.

ზოგადად შეიძლება დავასტანათ, რომ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურის ზმნის ძი-

⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 109.

რებში, როცა C_1 ფშვინვიერია. თუ C_2 ან C_3 (ერთ-ერთი) არ არის სონორი. მაშინ C_2C_3 ჰარმონიული კომპლექსია⁵.

2. თუ CVCC სტრუქტურაში C_1 -ის ადგილი უკავია აბრუპტივს, მაშინ

ა) C_2C_3 -ის ადგილზე დადასტურებულია ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან:

- მაგ.: პოტნ — (დაიპოტნის, დაიპოტნა, დაუპოტნია)
 კოცნ — (ამოუკოცნის, ამოუკოცნა, ამოუკოცნია)
 წიხლ — (დაწიხლავს, დაწიხლა, დაუწიხლავს)
 კოქრ — (აკოქრებს, დაკოქრა, დაუკოქრებია)
 კადრ — (აკადრებს, აკადრა, უკადრებია)
 ჭურე — (აიჭურევა, აიჭურვა, აჭურეილა)

ბ) სონორის კომბინაცია ნებისმიერ თანხმოვანთან (გარდა მელერ-სპირანტიცა):

- მაგ.: წარბ — (დაწარბავს, დაწარბა, დაუწარბავს)
 კემს — (ამოკემსავს, ამოკემსა, ამოკემსავსა)
 ტურფ — (გაატურფებს, გაატურფა, გაუტურფებია)
 პენტ — (გააპენტივებს, გააპენტივინა, გაუპენტივებია)
 კინთ — (გაიკინთება, გაიკინთა, გაკინთულა)

გ) C_2C_3 -ის ადგილას დასტურდება ორი აბრუპტივი:

- მაგ.: ქეჰჰ — (გაჰეჰეჰავს, გაჰეჰეჰა, გაუჰეჰეჰავს)
 ჰეჰე — (მიეჰეჰეჰება, მიეჰეჰეჰა, მისეჰეჰეჰავს)
 წიწწ — (გაუწიწიწავს, გაუწიწიწა, გაუწიწიწავს)
 ტეტ: — (ჩაეტეტება, ჩაეტეტა, ჩასტეტავს)

დ) C_2C_3 -ის ადგილას დასტურდება ფშვინვიერი + ყრუ სპირანტი:

- მაგ.: კოტხ — (აკოტხებს, აკოტხა, უკოტხებია)
 კოცხ — (აკოცხავს, აკოცხა, უკოცხებია)
 ტუქს — (დაატუქსეინებს, დაატუქსეინა, დაუტუქსეინებია)

ე) C_2C_3 -ის ადგილას გვხვდება ყრუ სპირანტი + აბრუპტივი:

- მაგ.: კობტ — (გაკობტავს, გააკობტავა, გაუკობტავებია)

ზოგჯერ მივალითების მიხედვით დავასკენით, რომ სტრუქტურაში $C_1VC_2C_3$, თუ C_1 აბრუპტივია, მაშინ უძრავლეს შემთხვევაში C_2 ან C_3 , ან

⁵ პარმონიული კომპლექსი ჩვენ გვესმის ისე, როგორც ეს მოცემული აქვს გ. მაკვაზარიანს, კერძოდ:

პარმონიულის სახელწოდებით აღნიშნავენ ისეთ ჰომოგენურ ჯგუფებს, რომელთაც აქვე უნარი დაიკავონ ცალი თანხმოვნის ადგილი ერთი მორფემის ფარგლებში ნებისმიერ გარემოებაში.

პარმონიული ჯგუფი შეიძლება იყოს დეცესიური და არადეცესიური; ყოველი პარმონიული ჯგუფი ჰომოგენურია, მაგრამ ყოველი ჰომოგენური ჯგუფი არ არის აუცილებლად პარმონიული...

... უნდა იქნას პარმონიულ კომპლექსებს წარმოადგენენ არადეცესიური ჰომოგენურა ჯგუფები. რომელთა I წევრია ყრუ სიბილანტური სპირანტი, ხოლო II — დენტალური ან სიბილანტური სმული, ამათვან მარკირებული ჯგუფია (სთ), (სწ) და (სტ) დანარჩენთა შესახებ ვაღიქვით იტალიურს ვიტყვით. (გ. შაქაძე არიანი, საერთო-ქართული ენობრივი სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 80—90).

ორივე სონორია. (წესი ა) და ბ). თუ C_2 ან C_3 არ არის სონორი, მაშინ თითქმის ყოველთვის C_2C_3 პარამონიული კომპლექსია (წესი გ) და დ).

3) თუ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში C_1 -ის ადგილი უკავია სპირანტს, მაშინ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს თანხმოვანთა ბოლოციდური შედგენილობა იმისდა მიხედვით, მელერ სპირანტს უკავია იგი თუ ყრუს. ამიტომაც ჩვენ მათ ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

თუ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში C_1 -ის ადგილზე გამოდის მელერი სპირანტი. მაშინ

ა) C_2C_3 -ის ადგილზე დადასტურებულია სონორის კომბინაცია ნებისმიერ თანხმოვანთან გარდა ფშვინვიერისა:

- მაგ ზურგ — (ღაზურგავს, ღაუზურგა, ღაუზურგავს)
 ზანგ — (გაიზანგება, გაიზანგა, გაზანგულა)
 ვანგ — (ავანგებს, დაავანგა, დაუვანგვინებია)
 ლერღ — (ღერღავს, ღაუღერღა, ღაუღერღავს)
 ლირღ — (ღლირსება, ღლირსა, ღირსებია)
 ზანტ -- (გააზანტებს, გააზანტა, გაუზანტებია)

ბ) თუ C_3 სონორია, მასთან კომბინირებს მხოლოდ მელერი ხშული და მელერი სპირანტი:

- მაგ: ღაღრ — (გამოაღაღრის, გამოაღაღრა, გამოუღაღრა)
 ღაღნ — (ღიღნის, ღიღნა, უღიღნია)
 ზუზნ — (იზუზნება, მოიზუზნა, მოზუზნულა)

გ) C_2C_3 შეიძლება იყოს ორი მელერი სპირანტი:

მაგ: ზიზღრ (აზიზღებს, შეაზიზღა, შეუზიზღებია)

დ) ფშვინვიერი + ყრუ სპირანტი:

ზუთხ -- (გაიზუთხავს, გაიზუთხა, გაუზუთხავს)

ე) ყრუ სპირანტი + აბრუპტივი:

ზუსტ — (აზუსტებს, დააზუსტა, დაუზუსტებია)

ვ) თუ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში C_1 ადგილზე გვაქვს ყრუ სპირანტი, მაშინ

ა) C_2C_3 -ის ადგილზე დადასტურებულია ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან:

- მაგ: შიგნ — (ვაშიგნავს, გამოშიგნა, გამოუშიგნავს)
 ხიზნ -- (გადაიხიზნება, გადაიხიზნა, კადაიხიზნულა)
 ზაშმ — (დაიხაშმება, დაიხაშმა, დახაშმულა)
 ხაწნ — (ხიწნის, ხიწნა, უხიწნია)
 ს-ქ] (ღაიასქმავს, ღაიასქმა, ღაუსაქმავს)

ბ) სონანტისა და ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია:

- მაგ: სინჯ -- (ასინჯებს, გაასინჯა, გაუსინჯებია)
 შარე (გააშარეებს, გააშარეა, გაუშარეებია)
 ზარე — (გადახარეავს, გადახარეა, გადაუხარეავს)
 შოლტ -- (გაშოლტავს, გაშოლტა, გაუშოლტავს)
 შურთ — (მურთავს, მურთა, უმურთავს)

ნ წველითანხმოვნის კომპლექსების შესახებ, შეფარდებით ნაპარალოანი + ნაპარალოანი, იხ. ფ. ე. რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ზმწერი თუქების ფონემატურა სტრუქტურის და ისტორიის საკითხები ქართულში, 1970, გვ. 127.

გ) ორი ფშვინვიერი:

- ხეთქ — (ამოხეთქს, ამოხეთქა, ამოხეთქაეს)
სუფთ — (ასუფთავენს, გაასუფთაე, გაუსუფთაეებია)

დ) ორი სონანტი:

- სირმ — (დასირმავს, დასირმა, დაუსირმავს)
ხუმრ — (გაიხუმრებს, გაიხუმრა, გაუხუმრებია)

ე) ორი ყრუ სპირანტი:

- სესხ — (ასესხებს, ასესხა, უსესხებია)
შუშხ — (ამოშუშხავს, ამოშუშხა, ამოშუშხავს)

ვ) ფშვინვიერისა და ყრუ სპირანტის კომბინაცია:

- სიცხ — (დასიცხავს, დასიცხა, დაუსიცხავს)

ზ) ყრუ სპირანტი + აბრუპტივი:

- სუსტ — (ასუსტებს, დაასუსტა, დაუსუსტებია)
სახტ — (გაასახტებს, გაასახტა, გაუსახტებია)

თ) ყრუ სპირანტი + მჟღერი ხშული:

- ხოხბ — (ჩახოხბავს, ჩახოხბა, ჩაუხოხბავს)

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. სტრუქტურაში სპირანტი + VC_2C_3 ბოლოკიდურ თანხმოვანთა განაწილება განსხვავებას იძლევა იმისდა მიხედვით, მჟღერია თუ ყრუ თავკიდურა სპირანტი.

2. თუ C_1 მჟღერი სპირანტია და C_2 სონორი, მასთან კომბინირებ' ნებისმიერი თანხმოვანი, გარდა ფშვინვიერისა. ეს შეზღუდვა მოხსნილია, თუ C_1 ყრუ სპირანტია.

3. თუ C_1 მჟღერი სპირანტია და C_3 სონორი, C_2 -ის ადგილზე დასტურდება მხოლოდ მჟღერი ხშული და მჟღერი სპირანტი, ხოლო თუ იმავე სტრუქტურაში C_1 ყრუ სპირანტია, C_2 -ის ადგილს იკავებს ნებისმიერი თანხმოვანი.

4. თუ C_1 ყრუ სპირანტია C_2C_3 -ის ადგილზე დასტურდება ორი ყრუ სპირანტი, ორი სონორი ან ორი ფშვინვიერი, ხოლო თუ C_1 მჟღერი სპირანტია. მაშინ C_2C_3 შეიძლება იყოს ორი მჟღერი სპირანტი.

5. თუ $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში C_1 -ის ადგილი უკავია მჟღერ ხშულს. ნაშინ

ა) C_2C_3 -ის ადგილზე დადასტურებულია ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან:

- მაგ.: ბადრ — (გაიბადრება, გაიბადრა, გაბადრულა)
ბეზრ — (ბეზრდება, მობეზრდა, მობეზრებია)
ბასრ — (ბასრავს, ბასრა, უბასრავს)
ლაფნ — (დადაფნავს, დადაფნა, დაუდაფნავს)
ჩაქე — (ვალაჩაქეება, ვალაჩაქეა, ვალაჩაქეულა)
ველვ — (გამოაველვებს, გამოაველვა, გამოაველვებია)

ბ) და პირიქით. სონორის კომბინაცია ნებისმიერ თანხმოვანთან:

- მაგ.: გუნდ — (დაავუნდავენს, დაავუნდაე, დაუგუნდავენია)
ბურლ — (გაბურლავს, გაბურლა, გაუბურლავს)

გარს — (შემოიგარსება, შემოიგარსა, შემოიგარსულა)
 გარც — (აგარცინებს, გააგარცინა, გაუგარცინებია)
 აჩანყ — (აჩანყდება, აჩანყდა, აჩანყებულა)

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა ცალკე გამოიყოს ის შემთხვევა, როცა C_1 -ის ადგილი უკავია ბ-ს. ამ შემთხვევაში C_2C_3 -ის ადგილას დასტურდება (გარდა ზემოთ აღნიშნული ორი წესისა) შემდეგი მიმდევრობები:

გ) ორი მქლერი ხშული:

ბუბგ — (გაბუბგავს, გაბუბგა, გაუბუბგავს)

დ) მქლერი ხშულის კომბინაცია მქლერ სპირანტთან:

ბობლ — (გაიბობლება, გაიბობლა, გაბობლდა)

ე) ყრუ სპირანტის კომბინაცია აბრუპტივთან:

ბუშტ — (წარმოებუშტება, წარმოებუშტა, წამოპბუშტეა)

ვ) აბრუპტივი + მქლერი ხშული:

ბეპლ — (ამობეპლავს, ამობეპლა, ამოუბეპლავს)

გარდა ამისა, არის ერთი შემთხვევა, სადაც C_1 -ის ადგილი უკავია ძ-ს და C_2C_3 ადგილზე დადასტურებულია ორი მქლერი ხშული:

მაგ. აჟგ — (დაჟგავს, დაჟგა, დაუჟგავს)

6. $C_1VC_2C_3$ სტრუქტურაში თუ C_1 ადგილი უკავია სონანტს, მაშინ C_2C_3 შეიძლება იყოს:

ა) ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონანტთან:

ვეღრ — (დაავეღრებს, დავეღრა, დავეღრებია)

ჩაზმ — (დაჩაზმებს, დაჩაზმა, დაუჩაზმებია)

რეხვ — (არეხვავს, არეხვა, არეხვავს)

რეკლ — (არეკლებს, არეკლა, არეკლიდა)

ნათლ — (ანათლებს, გაანათლა, გაენათლებია)

ბ) და პირიქით, სონანტის კომბინაცია ნებისმიერ თანხმოვანთან: (არ დასტურდება მხოლოდ სონანტი + მქლერი სპირანტი)

ნერგ — (გაღინერგება, გაღინერგა, გაღინერგილა)

მარს — (ღამარსავს, ღამარსა, ღამარსავს)

ღუმპ — (გაღუმპება, გაღუმპა, გაუღუმპებია)

ღენწ — (გაღენწებს, გაღენწა, გაუღენწებია)

გ) C_2C_3 ადგილი შეიძლება დაიკავოს ორმა სონორპა:

ნომრ — (დანომრავს, დანომრა, დაუნომრავს)

დ) ორმა აბრუპტივმა:

ერწყ — (დაიერწყებს, დაიერწყა, დაუიერწყებია)

ე) ორმა ყრუ სპირანტმა:

ნუსს — (აღინუსსება, აღინუსსა, აღნუსსულა)

ჩისხ — (გააჩისხებს, გააჩისხა, გაუჩისხებია)

ვ) C_2C_3 ადგილზე დასტურდება ფშვინევიერის კომბინაცია ყრუ სპირანტთან და მქლერ ხშულთან:

- მაგ.: რაცხ — (აღირაცხება, აღირაცხა, აღრაცხულა)
 რეცხ — (ამორეცხავს, ამორეცხა, ამორეცხავს)
 ლეცხ — (გაალებს, გაალებსა, გაულებს)
 ნიჩხ — (ნიჩხავს, ნიჩხა, უნიჩხავს)

და ა. შ.

ზოგადად, თუ C_1 სონორი თანხმოვანია, მაშინ C_2C_3 კომპლექსი უფრო თავისუფლად იქცევა, ე. ი. დასაშვებია ნებისმიერ თანხმოვანთა კომბინაცია.

ამგვარად, $C_1VC_2C_3$ სტრუქტურის ძირების შესწავლამ მოგვცა ასეთი სურათი:

1. C_1 -ის ადგილი შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა თანხმოვანმა (ჩვენი მასალა ადასტურებს ყველა შემთხვევას).
2. C_2C_3 ამისდა მიხედვით, შეიძლება იყოს ორი სონორის კომბინაცია, ან ნებისმიერი თანხმოვნისა და სონორის, ან სონორისა და თანხმოვნის გაერთიანება.

3. თუ ბოლოკიდურა C_2C_3 კომპლექსში არ შედის სონორი, მაშინ C_2C_3 პარმონიული კომპლექსია (მცირე გამოჩაღისებით).

4. მცირედ განსხვავებულ სურათს იძლევა ის ძირები, სადაც C_1 სპირანტია. უფრო მეტიც, განსხვავებულია ბოლოკიდურა კომპლექსის სტრუქტურა იმის მიხედვით, C_1 მჟღერი სპირანტია თუ ყრუ.

შემდეგი სტრუქტურაა $C_1VC_2C_3C_1$ ტიპის ზმნის ძირები. აქ გამოიყოფა თავის მხრივ სამი ქვეტიპი I. $C_1VC_2C_3S$, II. $C_1VSC_2C_3$, III. C_1VSC_2S .

ანალიზის შედეგები ასეთია:

I. I და II ტიპის ძირები ერთნაირად იქცევიან. სახელდობრ, C_1 -ის ადგილზე გვხვდება ნებისმიერი თანხმოვანი (არ არის დადასტურებული მხოლოდ მჟღერი სპირანტი), ხმოვნის შემდეგ კი I ტიპის ძირებში S-ის წინ, ხოლო II ტიპის ძირებში S-ის შემდეგ C_2C_3 , როგორც წესი, ყველგან პარმონიული კომპლექსია:

- მაგ.: I. თეთქ — (გათეთქავს, გათეთქა, გაუთეთქავს)
 ტიტუნ — (ტიტუნის, ტიტუნა, უტიტუნია)
 იძიგნ — (დაძიგნის, დაძიგნა, დაუძიგნია)
 სეტყ — (დასეტყვება, დასეტყვა, დასეტყვილა)
 მასხრ — (ემასხრება, გაემასხრა, გამასხრებია)
- II. ბერტყ — (აბერტყავს, აბერტყა, აუბერტყავს)
 კურთხ — (შეუკურთხებს, შეუკურთხა, შეუკურთხებია)
 ღანძლ — (დაუღანძლავს, დაუღანძლა, დაუღანძლია)

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ $C_1VC_2C_3S$ სტრუქტურის ძირებში, თუ C_1 პარმონიული კომპლექსის შექმნის უნარის მქონეა, მაშინ $C_1=C_2$ (C_2C_3 კი ყოველთვის პარმონიული კომპლექსია). გამოჩაღისია ერთი მაგალითი:

ღუცქნ — (ღუცქნის, ღუცქნა, უღუცქნია)

სხვ. მაგალითებში სისტემატურად არის გატარებული ეს წესი:

- თუთხნ — (მოთუთხნის, მოთუთხნა, მოუთუთხნია)
 წიწნ — (მოწიწნის, მოწიწნა, მოუწიწნია)
 კიკნ — (დაკიკნის, დაკიკნა, დაუკიკნია)

რაც შეეხება CVSCS ტიპის ძირებს, ასეთი მაგალითები ძალიან მცირერიცხოვანია და ძნელია რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკი:

ძირე — (ამოძირევეს, ამოძირევა, ამოძირევეს)
 ხუნხლ — (ხუნხლავს, შეხუნხლა, შეუხუნხლავს)
 ჳირხლ — (შეჳირხლავს, შეჳირხლა, შეუჳირხლავს)

CCVC სტრუქტურის ძირები

1. თუ თავიიდურა კომპლექსში ერთ-ერთი შემადგენელი სონორია, მაშინ ვოკალის მომდევნო თანხმოვანს ენიჭება შედარებით დიდი თავისუფლება (აქ შეიძლება ჩაჯდეს ნებისმიერი თანხმოვანი):

მაგ.: გლახ — (დააგლახებს, დააგლახა, დაუგლახებია)
 გლუჯ — (აუგლუჯავს, აუგლუჯავს, აუგლუჯავს)
 კნაჳ — (შეკნაჳავს, შეკნაჳავს, შეუკნაჳავს)
 კვეთ — (აკვეთს, აკვეთა, აუკვეთია)
 პრაზ — (აბრაზებს, გააბრაზა, გაუბრაზებია)
 ჳროლ — (გადაჳროლებს, გადაჳროლა, გადაუჳროლნია)

2. თუ $C_1C_2VC_3$ სტრუქტურის თავიიდურა კომპლექსში ორივე შემადგენელი სპირანტია, ან ერთ-ერთი მაინც (C_1 თუ C_2 სულერათია მელერია იგი, თუ ყრუ), V-ს შემდეგ აკრძალულია რომელიმე სპირანტი:

მაგ.: ხენ — (გაახენდება, გაახენდა, გაახენებია)
 ხირ — (გაახირებს, გაახირა, გაუახირებია)
 შელ — (მოუშელებს, მოუშელა, მოუშელებია)
 შმაგ — (აშმაგებს, გააშმაგა, გაუშმაგებია)
 ზნიჳ — (აუზნიჳავს, აუზნიჳავს, აუზნიჳავს)
 ზლუჳ — (აზლუღერებს, აზლუღერა, აუზლუღერებია)
 ლლტ — (აღლტავს, აღლტავს, აუღლტავს)
 სხჳ — (სხჳავს, ასხჳავს, აუსხჳავს)

მაგრამ გვაქვს ჩვენს მასალაში ერთი მაგალითი, სადაც თავიიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მელერი სპირანტისა და სონორის კომბინაციით, ხოლო ნოლოვიდურა თანხმოვანი ყრუ სპირანტია:

მაგ.: ზრაზ — (აუზრაზავს, აუზრაზავს, აუზრაზავს)

3. თუ თავიიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია ორი სპირანტით (ორივე მელერი ან ორივე ყრუ), V-ს შემდეგ აკრძალულია ჰეტეროგენური ხშული (ე. ი. თუ C_1C_2 ყრუ სპირანტებია, მაშინ C_3 ყრუ ხშულია), თუ ის არ არის სონორი, და თუ C_1C_2 მელერი სპირანტებია, მაშინ C_3 მელერი ხშულია (თუ ის არ არის სონორი):

მაგ.: ჳლუღ — (აზლუღერებს, აზლუღერა, აუზლუღერებია)
 ელერ — (აუელერებს, აუელერა, აუელერებია)
 სხჳ — (სხჳავს, ასხჳავს, აუსხჳავს)
 შხუღ — (აშხუღებს, აშხუღავს, აუშხუღებია)
 ხენ — (გაახენდება, გაახენდა, გაახენებია)

ამ წესის გამონაკლისს წარმოადგენს სხეღ-ფუძე, სხედს (ისხდა, მსხდარა), სადაც C_1C_2 ყრუ სპირანტებია და C_3 კი მელერი ხშულია.

4. თუ თავიიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია ჰომოგენური თანხმოვნებით, მაშინ

ა) თუ C_1C_2 ორი მელერი ხშულია, C_3 შეიძლება იყოს ისევე მელერი ხშული ან ფშვინიერი (ყველა სხვა შესაძლებლობა აკრძალულია):

- მაგ.: ბგოლ — (ბგოლავს, ბგოლა, უბგოლავს)
 ჳგობ — (წაბგობავს, წაბგობა, წაუბგობავს)
 ბბან — (ბბანებს, ბბანა, უბბანებია)
 ჳგუფ — (აჳგუფებს, დააჳგუფა, დაუჳგუფებია)
 ჳგიმ — (გააჳგიმება, გააჳგიმა, გააჳგიმულა)
 რგერ — (აუბგერებს, აუბგერა, აუბგერებია)

ბ) თუ C_1C_2 ფშინწიერებია, C_3 შიიძღება იყოს მხოლოდ ფშინწიერი (თუ ის არ არის სონორი). ყველა სხვა შესაძღებღობა აკრძალულია:

- მაგ.: ჩქამ — (ანქამებს, აანქამა, აუნქამებია)
 ჩქეფ — (ანქეფებს, აანქეფა, აუნქეფებია)
 ჩქარ — (ანქარებს, აანქარა, აუნქარებია)
 ცოუნ — (აცოუნებს, აცოუნა, უცოუნებია)

გ) თუ C_1C_2 აბრუბტივებია, C_3 შიიძღება იყოს მხოლოდ აბრუბტივი ან ფშინწიერი (ყველა სხვა შესაძღებღობა აკრძალულია, რა თქმა უნდა გარდა სონორისა):

- მაგ.: ჰერ — (აჰერებს, აჰერა, უჰერებია)
 ტერც — (მისტერცს, მისტერცია, მრუტერცია)
 ტერჩ — (შეტერჩავს, შეტერჩა, შეუტერჩავს)
 ტეუბ — (გატეუბს, გატეუბა, გაუტეუბია)
 წერე — (აიწერებს, აიწერა, აუწერებია)
 ჰეან — (დაეჰეანება, დაეჰეანა, დასჰეანებია)
 ჰეან — (აჰეანუნებს, აჰეანუნა, უჰეანუნებია)

დ) თუ C_1C_2 სონორებია, C_3 შიიძღება იყოს მხოლოდ მღღერი ხშული ან სპირანტი (მღღერი ან ყრუ). ყველა სხვა შესაძღებღობა გამორიცხულია, გარდა: სონორისა:

- მაგ.: მღამ — (დამღამდება, დამღამდა, დამღამებია)
 მრირ — (ემრირებს, ემრირა, ემრირებია)
 მრულ — (ამრულდებს, აამრულდა, აემრულდებია)
 მრუმ — (იმრუმებს, იმრუმა, უმრუმებია)

5. თუ თავიღღურა კომპღღექსი წარმოდღღენიღღია მიმღღვერობით ფშინწიერი + სონორი, მაშინ C_3 -ის ადღღიღღზე აკრძალულია მხოლოდ მღღერი სპირანტი:

- მაგ.: კღობ — (გაკღობავს, გაკღობა, გაუკღობავს)
 ჰღეს — (ჰღესს, ჰღისა, უჰღესია)
 ჩღექ — (მოუნჩღექავს, მოუნჩღექა, მოუნჩღექია)
 ცღუჳ — (აცღუჳებს, ააცღუჳა, აუცღუჳებია)
 ფღენ — (გაღაიფღენს, გაღაიფღენა, გაღაიფღენია)

6. თუ თავიღღურა კომპღღექსი წარმოდღღენიღღია მიმღღვერობით

ა) აბრუბტივი + სონორი, ბ) ყრუ სპირანტი + სონორი და გ) მღღერი სპირანტი + სონორი, მაშინ C_3 -სთვის აკრძალღღა არ არსებობს:

- მაგ.: ა) ჰღაჳ — (აღღაჳავს, აღღაჳა, აუღღაჳავს)
 წღეთ — (აწღეთებს, ჩაწღეთა, ჩაუწღეთებია)
 კღაზ — (იღღაზება, შეიღღაზა, შეიღღაზულა)
 ჰღეს — (დააღღესავს, დააღღესა, დაუაღღესავს)
 ყღებ — (აიყღებს, აიყღება, აუყღებია)
 ტრუჳ — (ატრუჳდება, ატრუჳდა, ატრუჳდებულა)

- ბ) სეელ — (ასეელებს, დასეელა, დაუსეელებია)
 სლექ — (სლექს, სლიქა, უსლექია)
 ხვეტ — (აუხვეტს, აუხვეტა, აუხვეტია)
 სრეს — (ასრესინებს, ასრესინა, უსრესინებია)
 შნაგ. — (აშმაგებს, გააშმაგა, გაუშმაგებია)
 გ) ღვიძ — (აღვიძებს, გააღვიძა, გაუღვიძებია)
 ზრაზ — (აეზრაზება, აეზრაზა, აზრაზვია)
 ზნიქ — (აეზნიქება, აეზნიქა, აზნიქია)
 ღმიჭ — (დაეღმიჭება, დაეღმიჭა, დაღმიჭვია)
 ღნაე — (აშოიღნაელებს, აშოიღნაეა, აშოუღნაეა)

7. თუ თავკიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით მკლ. ხშული + სონორი, მაშინ C_2 -ის ადგილზე გამოდის ამ კომპლექსის ერთ-ერთი წევრი, ან სპირანტი, ე. ი. აკრძალულია ფშვინეიერი და აბრუპტივი.

- მაგ.: გლაზ — (დააგლაზებს, დააგლაზა, დაუგლაზებია)
 გლეს — (აგლესს, აგლისა, აუგლესია)
 გლქ — (აუგლქს, აუგლქა, აუგლქვია)
 ბრაზ — (აბრაზებს, გააბრაზა, გაუბრაზებია)
 გლინ — (გაგლინავს, გაგლინა, გაუგლინავს)
 გლოე — (გადაიგლოეებს, გადაიგლოეა, გადაუგლოეებია)

8. თუ თავკიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორი + მკლერი ხშული, მაშინ C_2 -ის ადგილი შეიძლება დაიკავოს მხოლოდ მკლერმა სპირანტმა (ყველა სხვა მიმდევრობა აკრძალულია):

- მგელ — (გამგელდება, გამგელდა, გამგელბულა)
 მღერ — (ამღერებს, დაამღერა, დაუმღერებია)
 რქულ — (მორქულდება, მორქულდა, მორქულბულა)
 მძიმ — (ამძიმებს, დაამძიმა, დაუმძიმებია)
 მძალ — (დამძალდება, დამძალდა, დამძალბულა)

9. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორი + ფშვინე-ვიერი, ვოკალს შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ სონორი ან აბრუპტივი (ყველა სხვა შესაძლებლობა აკრძალულია):

- მაგ.: მნატ -- (ამნატდება, ამნატდა, ამნატბულა)
 მთელ — (ამთელებს, გაამთელა, გაუმთელებია)
 მცირ — (ამცირებს, შეამცირა, შეუმცირებია)
 რქენ — (რქენს, ურქენა, ურქენია)
 რჩილ — (დარჩილავს, დარჩილა, დაურჩილავს)
 რთელ — (გართელებს, გართელა, გაურთელებია)

10. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონანტი + აბრუპტივი, ვოკალის შემდეგ აკრძალულია მკლერი ხშული და სპირანტი:

- მაგ.: მტუტ — (აუმტუტებს, აუმტუტა, აუმტუტებია)
 მყაყ — (ჩამყაყდება, ჩამყაყდა, ჩამყაყბულა)
 მყოფ — (ამყოფებს, ამყოფა, უმყოფებია)
 მწიფ — (დაუმწიფებია, დაუმწიფა, დამწიფებია)
 მწარ — (გამმწარებს, გამმწარა, გაუმმწარებია)
 რკინ — (დარკინავს, დარკინა, დაურკინავს)

11. თუ თავკიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორი + მკლერი სპირანტი, ვოკალის შემდეგ აკრძალულია მიმდევრობა მხოლოდ აბრუპტივი (სპირანტი თავისთავად აკრძალულია. იხ. წესი 2):

- მაგ.: მზად — (გადაამზადებს, გადაამზადა, გალაუმზადებია)
 მზით — (გაამზითებს, გაამზითა, გაუმზითებია)
 მზირ — (დაემზირება, დაემზირა, დამზირებია)
 მლერ — (აუმლერებს, აუმლერა, აუმლერებია)

12. თუ თავიკიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორი + ყრუ სპირანტი, მაშინ C_3 -ისათვის აკრძალული მიმდევრობა არ არსებობს:

- მაგ.: მსაჟ — (იმსაჟებს, იმსაჟა, უმსაჟნია)
 მხეც — (გაამხეცებს, გაამხეცა, გაუმხეცებია)
 მსუც — (აუმსუცდება, აუმსუცდა, ამსუცებია)
 მხილ — (ამხილებს, ამხილა, უმხილებია)

13. თუ C_1C_2 თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მკლერა ხშულისა და მკლერი სპირანტის კომბინაციით, მაშინ V-ს შემდეგ აკრძალულია მხოლოდ ფშვინევიერი:

- მაგ.: ბლუჟ — (ბლუჟავს, ჩაბლუჟა, ჩაუბლუჟავს)
 ბზარ — (გაბზარავს, გაბზარა, გაუბზარავს)
 ბზინ — (ამობზინდება, ამობზინდა, ამობზინებულა)
 ჯლან — (დაეჯლანება, დაეჯლანა, დაჯლანვია)

14. თუ თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით ფშვინევიერი + მკლერი ხშული, მაშინ C_3 -ის ადგილზე აკრძალულია ყველა თანხმოვნანი. გარდა სონორისა (ჩვენი მასალა ადასტურებს მხოლოდ ნ-ს):

- მაგ.: ცლუნ — (წააცლუნებს, წააცლუნა, წაუცლუნებია)
 თბუნ — (დაათბუნებს, დაათბუნა, დათბუნებია)
 ცბუნ — (გააცბუნებს, გააცბუნა, გაუცბუნებია)

15. თუ თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია აბრუპტივისა და მკლერი ხშულის კომბინაციით, მაშინ C_3 არ შეიძლება იყოს სპირანტი ან აბრუპტივი:

- მაგ.: ტბორ — (ატბორებს, შეატბორა, შეუტბორებია)
 ყბედ — ((აყბედებს, აყბედა, უყბედებია)
 კბერ — (აკებერს, გაკებრა, გაუკებრია)
 კბენ — (აკებენებს, აკებენა, უკებენებია)
 წბილ — (აწბილებს, გააწბილა, გაუწბილებია)

16. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია ფშვინევიერისა და ყრუ სპირანტის კომბინაციით, V-ის შემდეგ აკრძალულია მხოლოდ ფშვინევიერი:

- მაგ.: ფშეკ — (აფშეკს, აფშეკა, აუფშეკია)
 ჩხუბ — (აუჩხუბდება, აუჩხუბდა, ასჩხუბებია)
 ცხად — (აუცხადდება, აუცხადდა, ასცხადებია)
 ფშერ — (გამოიფშერება, გამოიფშერა, გამოიფშერულა)
 ქსელ — (დაქსელავს, დაქსელა, დაუქსელავს)
 ქშენ — (ამოიქშენს, ამოიქშინა, ამოუქშენია)
 ქსოც — (ამოაქსოვინებს, ამოაქსოვინა, ამოუქსოვინებია)

შემდეგი ტიპის ძირებია $C_1C_2C_3VC_4$ სტრუქტურას ძირები, ე. ი. ზმნის ძირები, რომლებიც ხმოვნის წინ წარმოდგენილი არიან სამი თანხმოვნით და ცალი თანხმოვნით ხმოვნის შემდეგ.

ამ ტიპის სტრუქტურაში გამოიყო შემდეგი ქვეტიპები:

I. CCSVC, II. SCSVC, III. CSCVS, IV. CSSVC და V. CCCVS.

განაღიზებულია თითოეული ქვეტიპი და შესწავლილია თანხმოვანთა განაწილება ამ სტრუქტურებში.

დავიწყით I ქვეტიპიდან. ეს არის $C_1C_2SVC_3$ ტიპის ძირები, ე. ი. ორი თანხმოვანი + სონანტი + V + თანხმოვანი.

1. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მჟღერი ხშულისა და მჟღერი სპირანტის კომბინაციით, მაშინ ვოკალის შემდეგ მეორდება ერთ-ერთი მათგანი. სხვა შესაძლებლობა არ დასტურდება:

მაგ.: ზღერ — (აზღერებს, აზღერს, უაღვერებია)
 დღებ — (აიდღებება, აიდღობა, ადღეებია)
 დღეზ — (დღეზს, დღიზა, უდღეზია)

2. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით ყრუ სპირანტი + აბრუბტივი, მაშინ C_3 -ის ადგილზე აკრძალულია აბრუბტივი და მჟღერი კონსონანტი (ხშული თუ სპირანტი):

მაგ.: სტვენ — (დასტვენს, დასტენა, დაუბტენია)
 შტვენ — (დაუშტვენს, დაუშტენა, დაუშტენია)
 სწრაფ — (ასწრაფებს, ასწრაფა, უსწრაფებია)
 შტრის — (დაშტრისავს, დაშტრისა, დაუშტრისავს)

3. თუ თავიადურა C_1C_2 წარმოდგენილია ფშვინევიერისა და ყრუ სპირანტის კომბინაციით, მაშინ ვოკალის შემდეგ მდგარი კონსონანტი C_3 არ შეიძლება იყოს ფშვინევიერი ან მჟღერი:

მაგ.: თხლემ — (გადაათხლემს, გადაათხლიმა, გადაუთხლემია)
 ფხრეფ — (ამოფხრეფს, ამოფხრიწა, ამოუფხრეფია)
 ჩხრეკ — (გამოჩხრეკენებს, გამოჩხრეკიმა, გამოუჩხრეკენებია)
 ცხრილ — (დაცხრილავს, დაუცხრილა, დაუცხრილავს)

4. თუ C_1C_2 წარმოდგენილია ორი ფშვინევიერის კომბინაციით, მაშინ C_3 -ის ადგილზე აკრძალულია მჟღერი ხშული და სპირანტი:

მაგ.: თქვირ — (შეუთქვირდება, შეუთქვირდა, შესთქვირებია)
 ღქვეფ — (გათქვეფინებს, გაათქვეფინა, გაუთქვეფინებია)
 ცქვეტ — (აქვეტს, აქვეტინა, უქვეტინებია)
 ჩქმეტ — (წაჩქმეტს, წაჩქმეტა, წაუჩქმეტია)
 ჩქმალ — (მიჩქმალება, მიჩქმალა, მიჩქმალულა)

5. თუ თავიადურა კომპლექსის შემდგენილობაა ორი აბრუბტივი, მაშინ ვოკალის შემდეგ დასტურდება ისევე აბრუბტივი ან სონორი (ყველა სხვა მიმდევრობა აკრძალულია):

მაგ.: წყვეტ — (აწყვეტინებს, აწყვეტინა, უწყვეტინებია)
 ტყლაპ — (გაიტყლაპება, გაიტყლაპა, გატყლაპულა)
 პყლუტ — (ამოპყლუტს, ამოპყლუტა, ამოუპყლუტია)
 ტყვერ — (ტყვერს, ტყვირა, უტყვერია)
 წყნარ — (აწყნარებს, დააწყნარა, დაუწყნარებია)
 პყვირ — (აპყვირებს, აპყვირა, უპყვირებია)

6. თუ C_1C_2 წარმოდგენილია ორი სპირანტის კომბინაციით, მაშინ C_3 -ის ადგილზე დასტურდება მხოლოდ სპირანტი ან აბრუპტივი:

მაგ.: სჯის — (გასხვისებს, გაასხვისა, გაე'ხვისებია)
სხლტ — (ასხლტს, ასხლტა, აუსხლტია)

II ქვეტიპს ქმნიან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, SC_1SVC_2 სტრუქტურის მქონე ზმნის ძირები.

1. თუ თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორა (S) + აბრუპტივი (C_1) + სონორი (S). მაშინ ვოკალის შემდეგ მდგარი კონსონანტი C_2 შეიძლება იყოს მხოლოდ სონორი:

მაგ.: მტვერ — (ამტვერებს, ამტვერა, ამტვერებია)
მწვეე — (გამწვეავდება, გამწვეავდა, გამწვეავებულა)
მწვეან — (ამწვეანებს, ამწვეანა, ამწვეანებია)
რწმენ — (არწმენდება, არწმენდა, არწმენებულა)
მყრალ — (ამყრალებს, ამყრალა, ამყრალებია)

2. თუ თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით სონორი + ყრუ სპირანტი + სონორი, მაშინ C_2 შეიძლება იყოს მხოლოდ მკლერი ხშული ან სონორი:

მშილ — (ამშილებს, დაამშილა, დაემშილებია)
მშენ — (ამშენებს, დაამშენა, დაემშენებია)
მშრალ — (ამშრალებს, გაამშრალა, გაემშრალებია)

III ქვეტიპს ქმნიან $C_1SC_2VC_3$ სტრუქტურის მქონე ძირები. ეს ჯგუფი საკმაოდ მცირერიცხოვანია და საერთო კანონზომიერებას ქმნის. ამ შემთხვევებში C_3 ყოველთვის სონორია:

მაგ.: ბბბან — (ჩაბბანდება, ჩაბბანდა, ჩაბბანებულა)

IV ქვეტიპს ქმნიან C_1SSVC_2 სტრუქტურის ძირები, ე. ი. ცალი თანხმოვანი კომბინირებს ორ სონორთან. ამ ტიპის ძირებში გამოიყოფა ორი შემთხვევა:

1. როცა C_1 აბრუპტივია, მაშინ V-ს შემდეგ მდგარი თანხმოვანი არ შეიძლება იყოს მკლერი (ხშული ან სპირანტი):

მაგ.: კკნეს — (ამოკკნესებს, ამოკკნესა, ამოკკნესებია)
კკნებ — (ამოკკნებს, ამოკკნება, ამოკკნებია)
კკლფ — (გადაუკკლფს, გადაუკკლიფა, გადაუკკლფია)

და 2. როცა C_1 ყრუ სპირანტია, C_2 -ის ადგილზე გვხვდება მხოლოდ აბრუპტივი ან სონორი:

მაგ.: სკლბ — (ასკლბს, ასკლია, აუსკლბია)
შკლბ — (გადააშკლბს, გადააშკლია, გადააშკლბია)
ხკრტ — (ამოხკრტს, ამოხკრიტა, ამოუხკრტია)
ხკრბ — (ამოხკრბს, ამოხკრიბა, ამოუხკრბია)
ხკრინ — (ხკრინავს, იხკრინა, უხკრინია)

რაც შეეხება სონორებს, ამ ტიპის ძირებში S_1 ყოველთვის ვ-ია, ხოლო S_2 შეიძლება იყოს ნ, ლ, რ (მ არ დასტურდება).

ისეთი მოდელი, როგორცაა $C_1C_2C_3VS$, წარმოდგენილია ერთადერთი მაგალითით: ტკბილ — თავში სამი ხშული თანხმოვანი და სონორი ხმოვნის შემდეგ.

ზემოთ მოყვანილი წესები და განხილული მასალა საშუალებას იძლევა გამოეიტანოს შემდეგი ზოგადი დასკვნები:

1. თუ თავიკიდურა კომპლექსში C_1C_2S ერთ-ერთი შემადგენელი ფშვინ-ვიერია, მაშინ ხმოვნის შემდეგ ფშვინვიერი აკრძალულია (იხ. მე-3 და მე-4 წესი). მაგრამ თუ C_1C_2 ორივე ფშვინვიერია, მაშინ C_3 -ის ადგილზე ფშვინვიერი დასაშვებია.

2. ზუსტად იგივე ითქმის აბრუპტივების შემთხვევაშიც (იხ. მე-2, მე-5 და მე-7 წესი).

3. თუ თავიკიდურა კომპლექსი წარმოდგენილია მთლიანად მკლერი თანხმოვნებით (წესი 1), მაშინ ხმოვნის შემდეგ აკრძალულია სიყრუე როგორც ნიშანი.

4. საინტერესოდ მიგვაჩნია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ სამთანხმოვანი თავიკიდურა კომპლექსში ნ-ის დისტრიბუცია შეზღუდულია სხვა სონორებთან შედარებით.

5. აღსანიშნავი და ხაზგასმელია ის ფაქტი, რომ სონორის წინ მდგარი ორი თანხმოვანი C_1C_2 თითქმის ყოველთვის პარამონიული კომპლექსია (მღრ. CVCCS სტრუქტურა).

$C_1C_2VC_3C_4$ სტრუქტურის ზმნის ძირები

აქ გამოიყო რამოდენიმე შემთხვევა თანხმოვანთა განაწილების თვალსაზრისით.

1. თუ $C_1C_2VC_3C_4$ სტრუქტურაში C_1C_2 წარმოდგენილია მკლერი ხშული და სონორის კომბინაციით მკლ. ხშული + სონორი, მაშინ ხმოვნის შემდეგ დასტურდება იგივე მიმდევრობა. გამონაყლის წარმოადგენს ერთი მაგალითი. სადაც C_3C_4 მოცემული გვაქვს აბრუპტივისა და სონორის კომბინაციით.

მაგ: ბლაკე — (დაბლაკეებს, დაბლაკეა, დაუბლაკეებია)

პლანკ — (გაბლანდაეს, გაბლანდა, გაუბლანდაეს)

გრავნ — (გრავნება, დაგრავნა, დაგრავნილა)

კნუ — (კმუქნის, ჩაემუქნა, ჩაემუქნია)

სრიკ — (გაპრიკეებს, გაპრიკეა, გაუპრიკეებია)

2. თუ C_1C_2 წარმოდგენილია მკლერი ხშულისა და მკლერი სპირანტის კომბინაციით, მაშინ V-ს შემდეგ ერთ-ერთი კონსონანტი აუცილებლად სონორია (თუ ორივე არა) და დასტურდება მკლერი ხშულისა ან აბრუპტივის კომბინაცია სონორთან. ანუ სხვაგვარად, როცა C_1C_2 მკლ. ხშული + მკლ. სპირანტია, მაშინ C_3 ან C_4 (ერთ-ერთი) აუცილებლად სონორია. მასთან კომბინირებს ნებისმიერი თანხმოვანი, ვარდა სპირანტისა და ფშვინვიერისა:

მაგ: ბლან — (ბლანის, ბლანა, უბლანია)

ბლერტ — (ბლერტის, ბლერტა, უბლერტია)

ბლუნძ — (ბლუნძის, შებლუნძა, შეუბლუნძეა)

- გზაენ — (აგზაენის, აგზაენა, აუგზაენია)
 ღლაბნ — (გაიღლაბნება, გაიღლაბნა, გაღლაბნილა)
 ჯლაბნ — (დაუჯლაბნის, დაუჯლაბნა, დაუჯლაბნია)

3. თუ $C_1C_2VC_3C_4$ ტიპის ძირებში C_1C_2 წარმოდგენილია მიმდევრობითი ორი აბრუპტივი, მაშინ ბოლოკიდურა კომპლექსი C_3C_4 წარმოადგენს აბრუპტივისა და სონორის კომბინაციას.

- მაგ: ტკენ — (ატკენინებს, ატკენინა, უტკენინებია)
 წკეპლ — (გაწკეპლავს, გაწკეპლა, გაუწკეპლავს)

4. თუ C_1C_2 წარმოდგენილია აბრუპტივის კომბინაციით სონორთან, მაშინ V -ს შემდეგ დასაშვებია ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან, აკრძალულია მხოლოდ მყდერი სპირანტი + სონორი.

- მაგ: ა) კლაკნ — (დაიკლაკნება, დაიკლაკნა, დაკლაკნილა)
 კმუქნ — (დაეკმუქნება, დაეკმუქნა, დაკმუქნილა)
 ულურწ — (გადაულურწავს, გადაულურწა, გადაულურწავს)
 ბ) ყუედრ — (აყუედრის, დაყუედრა, დაუყუედრებია)
 წმენდ — (ამოუწმენდს, ამოუწმენდა, ამოუწმენდია)
 კეანთ — (გადაეკეანთება, გადაეკეანთა, გადაეკეანთებია)
 გ) ტმანს — (აეტმანსება, აეტმანსა, ასტმანსებია)
 ტლომნ — (ტლომნის, ტლომნა, ეტლომნია)
 კშუხნ — (დაიკშუხნება, დაიკშუხნა, დაკშუხნილა)
 დ) ტვიფრ — (იტვიფრება, იტვიფრა, იტვიფრებია)
 ტვირთ — (გადატვირთინებს, გადატვირთინა, გადატვირთინებია)
 უეინთ — (დაუეინთავს, დაუეინთა, დაუეინთავს)
 ე) კეამლ — (გაკეამლავს, გაკეამლა, გაუკეამლავს)

5. თუ C_1C_2 წარმოდგენილია ორი მყდერი სპირანტით, მაშინ ბოლოკიდურა C_3C_4 არის სონორისა და ფშივნევიერის კომბინაცია.

- მაგ: ვლენთ — (ვლენთს, გავლენთა, გაუვლენთავს)

6. თუ C_1C_2 წარმოდგენილია მელ. სპირანტისა და სონორის კომბინაციით, მაშინ ვოკალის შემდეგ დასტურდება ნებისმიერი თანხმოვნის კომბინაცია სონორთან. გარდა ყრუ სპირანტისა. აკრძალულია ბოლოკიდურა ჭგუფში აგრეთვე ორი სონორი:

- მაგ: ზლაზნ — (წამოიზლაზნება, წამოიზლაზნა, წამოიზლაზნილა)
 ღვენთ — (ღღვენთება, დაღვენთა, დაღვენთილა)
 ღრაცნ — (ღრაცნის, ღრაცნა, ეღრაცნია)
 ღრებლ — ((დაიღრებლება, დაიღრებლა, დაიღრებლელია)

7. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობითი ყრუ სპირანტი + სონორი. მაშინ ბოლოკიდურა C_3C_4 ზუსტად იმავე კანონზომიერებებს გვიჩვენებს, როგორსაც მყდერი სპირანტი + სონორის შემთხვევაში:

- მაგ: სრაზნ — (ამოხრაზნის, ამოხრაზნა, ამოხრაზნილა)
 ხეედრ — (ახეედრებს, ახეედრა, უხეედრია)
 ხეამნ — (იხეამნავს, დახეამნა, დაუხეამნავს)

8. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობითი ყრუ სპირანტი + აბრუპტივი, მაშინ C_3C_4 წარმოდგენილია აბრუპტივისა ან მყდერი ხშულის კომბინაციით სონორთან. დადასტურებულია აგრეთვე ორი სონორი:

მაგ.: სპირტ -- (დასპირტავს, დასპირტა, დაუსპირტავს)
 სტამბ -- (სტამბავს, დასტამბა, დაუსტამბავს)
 სტემრ -- (გაისტემრებს, გაისტემრა, გაუსტემრებია)

9. თუ C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით ფშვინვიერი სონორი (რ, ლ), მაშინ ბოლოკიდურა C_3C_4 კომპლექსი წარმოდგენილია ან ორი სონორით, ან მელური ხშულისა და ყრუ სპირანტის კომბინაციით სონორთან. სხვა მიმდევრობა არ დასტურდება:

მაგ.: ორიმლ -- (ორიმლავს, ორიმლა, უორ-მლავს)
 ცრემლ -- (აცრემლებს, აცრემლა, ასცრემლებია)
 ღლანგ -- (მიფლანგავს, მიფლანგა, მიფლანგავს)
 ჰლუნგ -- (დაუჰლუნგებს, დაუჰლუნგა, დაუჰლუნგებია)
 სრახე -- (წამოჩრახებდა, წამოჩრახება, წამოჩრახებდა)

10. თუ თავიკიდურა C_1C_2 კომპლექსი წარმოდგენილია მიმდევრობით ფშვინვიერი + ყრუ სპირანტი, მაშინ ბოლოკიდურა კომპლექსში გვაქვს მელური სპირანტისა ან აბრუპტივის კომბინაცია სონორთან. ყველა სხვა კომბინაცია აკრძალულია:

მაგ.: ღხიზლ -- (გამოფხიზლდება, გამოფხიზლდა, გამოფხიზლებულა)
 ოხან -- (თხანის, გათხანა, გაუთხანია)
 ცხიე -- (აცხიეებს, აცხიეა, უცხიეებია)

გარდა ამისა, გვაქვს ერთი ფორმა, სადაც თავიკიდურა და ბოლოკიდურა კომპლექსები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთია მიმდევრობა ფშვინვიერი + ყრუ სპირანტი + V + ფშვინვიერი + ყრუ სპირანტი.

ქსაჟს -- (უქსაჟსავს, დაუქსაჟსა, დაუქსაჟსავს)

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ შენდები დასკვნები:

1. სტრუქტურაში $C_1C_2VC_3C_4$ ერთ-ერთი თანამოვანი აუცილებლად სონორია (თუ მეტი არა).

2. $C_1C_2VC_3C_4$ სტრუქტურაში C_1 -ის ადგილი შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა კონსონანტმა. გარდა სონორისა. ჩვენი მასალა ადასტურებს მხოლოდ ერთ შემთხვევას, სადაც C_1 -ის ადგილზე გვაქვს სონორი:

რწუთხ -- (გამწუთხებს, გამწუთხა, გაუმწუთხებია)

3. თუ $C_1C_2VC_3C_4$ სტრუქტურაში დასტურდება სონორები როგორც თავიკიდურა, ისე ბოლოკიდურა კომპლექსში, ისინი აუცილებლად განსხვავებული უნდა იყვნენ.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის აკადემიკოსმა შ. შიძივრამ)

ინგა შაღური

აფხაზური დინამიკური ზმნების სუფიქსურ მორფემათა
რანობრივი სტრუქტურა

წარმომშობი გრამატიკის ერთ-ერთი სახეობა — რანგების გრამატიკა¹ შედგება ლექსიკონისაგან — საწყის ელემენტთა გარკვეული სიმრავლისაგან და წესებისაგან. რომელთა საშუალებით ხდება მოცემული ენის სწორ მიმდევრობათა შედგენა საწყისი ელემენტებით; ლექსიკონის ელემენტებზე განსაზღვრულია მკაცრი რიგის, ე. ი. ასიმეტრიული და ტრანზიტული ბინარული მიმართება².

ცნობილია, რომ თუ რიგი განსაზღვრულია რაიმე სიმრავლის ელემენტთა ყველა წყვილისათვის, მაშინ ამ სიმრავლეს მოცემული მიმართებით წრფივად დალაგებული ეწოდება. ნაწილობრივ დალაგებულ სიმრავლეებში რიგის მიმართება განმარტებულია მხოლოდ ზოგიერთი წყვილისათვის.

რანგების გრამატიკაში გამოყენებულია სიმრავლეთა თეორიის ერთ-ერთი დებულება. რომლის მიხედვით ნაწილობრივ დალაგებული ძირითადი სიმრავლე ზოგჯერ შეიძლება დაიყოს რიგის ამავე მიმართებით წრფივად დალაგებულ ქვესიმრავლეებად. ლექსიკონის დაყოფას წრფივად დალაგებულ სიმრავლეებად საფუძვლად უდევს მისი ზოგიერთი ელემენტის თვისება გამოჩენის ერთმანეთი ენის ამა თუ იმ მიმდევრობაში (გამოსახულებაში).

ლექსიკონის დალაგებულ ქვესიმრავლეებად დაყოფის შემდეგ ერთ-ერთ მათგანს დავაფიქსირებთ, როგორც ცენტრალურ ანუ ნულოვან P_0 ქვესიმრავლეს. დარჩენილი სიმრავლეებიდან კი დადებით ინდექსებს მივანიჭებთ იმათ, რომლებსთვისაც P_0 მინორანტაა. ხოლო უარყოფითებს — იმათ, რომლებისთვისაც იგი მაიორანტა³. არაუარყოფითი ინდექსების მქონე სიმრავლეებს გადავნიშნავთ შემდეგნაირად: $+1$ ინდექსს ანუ რანგს მივაწერთ P_1 ქვესიმრავლეს, რომელიც მაიორანტაა მხოლოდ P_0 -ისა, $+2$ რანგს — იმ P_2 ქვესიმრავლეს, რომელიც მაიორანტაა მხოლოდ P_1 და P_0 ქვესიმრავლეთა ჯამისა

¹ В. Я. Пинес, Об одной модели автоматического синтеза (на материале личных глагольных форм азербайджанского языка), «Научно-техническая информация», серия 2, 1973, № 1; Пензин, И. И. Юданцева Г. Л., Грамматика порядков и ее историческое развитие, «Вопросы языкознания», М., 1969, № 1, стр. 42—56.

² Р. Фор, А. Кофман, М. Деви Папен, Современная математика, 1966, гл. 34.

³ სიმრავლეთა განსაზღვრა შეიძლება შემოვიღოთ თვისების შემოტანით, რომელიც გამოიყოფს უფრო იატაკი, ანუ ძირითადი სიმრავლეს ელემენტებს შორის ე რომ მკვირ სიმრავლეს, რომელსაც ძირითადი სიმრავლის ქვესიმრავლე ეწოდება.

⁴ თუ R რიგის მინორანტაა E სიმრავლეში, A ქვესიმრავლის მინორანტა ეწოდება peE ელემენტს, თუ ყველა ელემენტისათვის $ae \in A$ ადელი აქვს nRa მიმართებას. ანალოგიურად, aRm მაიორანტის ნიშნულებაში m არის A -ს მაიორანტა. Р. Ф о р и др., სს. შრ., გვ. 41.

და ა. შ. ზოგადად, $+k$ ინდექსი მიეწერება მხოლოდ k -ზე უფრო დაბალი ინდექსების მქონე სიმრავლეების ჯამის მაჟორანტას. ანალოგიურ პროცედურას ჩავატარებთ არადადებითი ინდექსების მქონე ქვესიმრავლეების მიმართ, ოღონდ მაჟორანტის ნაცვლად ყველგან მინორანტას ავიღებთ. რომელიმე P_k სიმრავლის ელემენტების შესახებ კიტყვი, რომ მათ აქვთ k -ური რანგი.

იგულისხმება, რომ ენის ყოველ მიმდევრობაში გამოვლინდება მხოლოდ ერთი ელემენტი თითოეული ქვესიმრავლიდან და ამიტომ ნებისმიერი გამოსახულება წარმოიდგინება მასში შემაჯავლი ელემენტების რანგების ჯაჭვის სახით. ამ წესს ერთი გამოხატვისი აქვს: კონტაქტურად მდგომი სიმეტრიული ელემენტები⁹ რანგების გრამატიკაში ერთიანდება საერთო რანგებში იმ მიზნით, რომ არ დაირღვეს სისტემის დალაგებულება. ამის გამო გამოსახულება-თა შედგენისას დასაშვები ხდება არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი ელემენტის არჩევა რომელიმე P_k სიმრავლიდან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ელემენტები ერთმანეთის სიმეტრიულია.

რანგების გრამატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა აგრეთვე ქვერანგის ცნება. იგი ელემენტებს შორის ეკვივალენტობის მიმართებას ეყრდნობა.

P_k სიმრავლის a ელემენტი „შენაცვლებადობის“ R დამოკიდებულება-შია მის x ელემენტთან, თუ ნებისმიერი M და N სიმრავლეებისათვის ლექსიკონიდან MaN და MbN ორივე სწორი გამოსახულებაა ან არა. ადვილი დასა-სახია, რომ R რეფლექსური, სიმეტრიული და ტრანზიტულია და ე. ი. იგი ეკვივალენტობის მიმართებაა¹⁰. მისით P_k სიმრავლე, ანუ k -ური რანგი, დაიყოფა თანაუკვეთ კლასებად — ქვერანგებად.

სწორედ რანგებად და ქვერანგებად დაჯგუფებული ლექსიკონის ელემენტების კონკატენაციის წესებით წარმოიშობა ენის სწორი მიმდევრობები. წესებს აქვთ სახე $P_{ij} \rightarrow P_{ki}$ ($k \geq i+1$), სადაც P_{ij} სიმბოლოთი აღნიშნულია i -ური რანგის j -ური ქვერანგი, P_{ki} სიმბოლოთი — k -ური რანგის i -ური ქვერანგი. ხოლო: — სიმბოლო აღნიშნავს P_{ij} -ის ელემენტის შემდეგ P_{ki} ქვერანგის ელემენტის არჩევის შეუძლებლობას. წესი გულისხმობს, რომ დასაშვებია ამავე რანგის სხვა ქვერანგების არჩევა (შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში წესს არ ჩამოაყალიბებთ).

რანგების გრამატიკით წარმოშობილი მიმდევრობებიდან ნებისმიერს ექნება a_1, a_2, \dots, a_n ჯაჭვის სახე: აქ a_i ($1 \leq a_i \leq n$) არის i -ური რანგის ელემენტი ან ამავე რანგის ორი სიმეტრიული ელემენტი. გრამატიკის ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ თითქმის ყოველ რანგს დაუმატონ ნულოვანი ელემენტი ანუ ქვერანგი, რომელიც გამოვლინდება იმ მიმდევრობაში, სადაც ამ რანგის ელემენტი, არაა წარმოდგენილი. ამის შედეგად ყველა ჯაჭვს ერთნაირი სიგრძე ენიჭება, სისტემაში რანგების რაოდენობის ტოლი. მიმდევრობათა წარმოშობა ხდება ინდექსიურად — პირველი რანგიდან მეორეზე გადასვლით, მეორედან მესამეზე და ა. შ.

⁹ სიმეტრიულია x და y ელემენტები, თუ $x \rightarrow y$ ($-x$ წინ უკვლით y -ს რაიმე მ.შ. ერობაში) და $y \rightarrow x$. ან თუ, არსებობს z ელემენტი, მთა სებულა ასეა: x და y ელემენტებს შორის. *Решив и И. И., Юлдашев ва Г. Д., Грамматика порядков и ее использование, «Вопросы языкознания», М., 1969, № 1, გვ. 45.*

¹⁰ *И. И. Решив и, Модели языка, М., 1962, გვ. 66.*

ლექსიკონის, როგორც დალაგებული სისტემის, დახასიათებისათვის შემოტანილია სისტემის სიმარტივის, დალაგებულობის⁷ და სისრულის⁸ ხარისხები.

არსებობს სისტემები, რომელთა დალაგებულობის ხარისხი საკმარისად მაღალია, მაგრამ რომლებსთვისაც რანგების გრამატიკა არაა საკმარისი ზოგიერთი მიმდევრობის წარმოშობისას. ასეთ სისტემებში წრფივი დალაგებულობის მიღწევა საერთო რანგებში სიმეტრიულ ელემენტთა გაერთიანებისა ვხვით არაა მიზანშეწონილი შევალედური რანგების არსებობის გამო. ამიტომ ვ. პინეს⁹ რანგების გრამატიკას დაურთავს ტრანსფორმაციულ წესებს, რომლებიც, როგორც ცნობილია¹⁰, შეიძლება ატარებდნენ აუცილებელ ან ფაკულტატურ ხასიათს. პირველ შემთხვევაში იგი იყენებს მათ რანგების არასწორი ჯაჭვებისაგან სწორ მიმდევრობათა მისაღებად, მეორე შემთხვევაში კი ეს წესები აფართოებენ ენის გამოსახულებათა სიმრავლეს, წარმოშობილ რანგების გრამატიკის წესებით.

ტრანსფორმაციული წესების გამოყენება გვეხმარება თავიდან ავიცილოთ რანგების გრამატიკის გართულება. მისი წესების რაოდენობის გაზრდა. ენაში, რომლის დალაგებულობის ხარისხი მაღალია, ტრანსფორმაციული წესები ჩვეულებრივ მცირერიცხოვანია.

დაბოლოს. რანგების გრამატიკისა და ტრანსფორმაციული წესებით მიღებულ ჯაჭვებს მიეუყენებთ მორფონოლოგიურ წესებს სწორი ფონემური მიმდევრობების მისაღებად.

როგორც ტრანსფორმაციული, ისე მორფონოლოგიური წესები გადაწერის წესებია: მათ აქვთ. ზოგადად. $Z_1 \rightarrow Z_2$ სახე, სადაც Z_1 და Z_2 რაღაც სიმბოლოები ან სიმბოლოთა კომბინაციებია. — სიმბოლოს კი წავკითხავთ, როგორც „გადაიწერება“. საკუთრივ რანგების გრამატიკის, ანუ მორფონოლოგიური წესებისაგან განსხვავებით, მორფონოლოგიური წესებია თანმიმდევრობა მკაცრადაა ფიქსირებული. გადაწერის წესებში ზოგჯერ მითითებულია კონტექსტი, რომლის პირობებშიც ხდება სათანადო გარდაქმნის განხორციელება.

წინამდებარე წერილში ვცადეთ აფხაზური დინამიური¹¹ ზმნების დროკილოთა სისტემაში შემაჯავლი სუფიქსური მორფემების აღწერა რანგების გრამატიკის ტერმინებში და წარმოვადგინეთ ამ ზმნურ ფორმათა სინთეზის ფრაგმენტი.

აფხაზური ზმნური ფორმებისათვის დამახასიათებელია მეტად რთული მორფემული სტრუქტურა, მათში შემაჯავლ მრავალრიცხოვან მორფემათა დალაგებულობის მაღალი ხარისხი. რანგების გრამატიკა ამ ფორმების დისტრიბუციული აღწერის ეფექტური და ეკონომიური ხერხია.

⁷ И. И. Реванин, Г. Л. Юлдашева, сл. гр., стр. 45—46.

⁸ В. Я. Пинес, Об одной модели автоматического синтеза.

⁹ В. Я. Пинес, О моделировании структуры глагольных форм в советской терминологии, Вак, 1971, № 3, стр. 78.

¹⁰ И. Сочский, Синтаксические структуры, Сб. «Язык в лингвистике», вып. II, М., 1952, 451—452.

¹¹ განვიხილეთ მხოლოდ საკუთრივ დინამიურ ფორმებს. სტატუკური ფორმებიდან — ზუსტ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები ცალკე კალეზის საჭიროებენ. იხ. ქ. ლომთათიძე, სტატუკურა და დინამიკური ზმნები აფხაზურში, ივე, ტ. VI, თბ., 1954.

ლექსიკონად ავიღეთ დროის, კილოს, უარყოფის და კითხვის გამომხატველ სუფიქსურ მორფემათა სიმრავლე აფხაზურ სალიტერატურო ენაში. ისინი დალაგებული არიან ტაბულაში ოთხ რანგად და ცხრაშეკვერანგად. სისტემის სიმარტივის ხარისხი $S = \frac{8}{19}$, დალაგებულობის ხარისხი მაქსიმალურია.

$\mu = 1$. სისრულის ხარისხი $K_n = \frac{81}{124}$.

რანგი, ქვერანგი	სუფიქსი ¹²	სუფიქსის მნიშვნელობა	მაგალითები ¹³
1.1	-ჭა	აწმყო	ინეა-ჭა „ეინც მიღის“
1.2	-რა	განსაზღვ. მყოფად	ინეა-რა ეინც მიეა“
1.3	-შა	განუსაზღვ. მყოფადი	ინეა-შა „ეინც (ალბათ) მიეა“
1.4	-ხა	უკვეობითი	ინეა-ხა „ეინც უკვე მივიდა“
1.5	∅	(აოროსტი)	ინეა-∅ „ეინც მივიდა“
1.6	∅ ∞ -ნ	ბრძ. ნებითი	უნეა-∅ „მიიღი“ უმხეა-ნ „არ მიხეილე!“
2.1	∅ ²		
2.2	-მ	უარყოფა	დნეა-ჭა-მ „არ მიღის“
2.3	-ლა	ხაყალა. კითხ. (აღამ.)	ინეა-ჭა-ლა? „ეინ მიღის?“
	-ზა	„ (აოაღამ.)	ინეა-ჭა-ზეა? „რა მიღის?“
2.4	-ზაო	პირობითი	დნეა-ჭა-ზაო „თუ მიღის“
2.5	-ზააპ	თურმეობითი I	დნეა-ჭა-ზააპ „თურმე მიღის“
	-ზაარგნ	„ II	დნეა-ჭა-ზაარგნ „თურმე მიდიოდა“
2.6	-ზააგტ	ინიუნქტური	დნეა-ჭა-ზააგტ დაე მიდიოდეს-
2.7	-ნდაზ	ნატურიითი	დნეა-ჭა-ნდაზ „ნეტაე მაღაოდეს“
2.8	-ნ	რთულ დროთა ფინიტ.	დნეა-ჭა-ნ მიდიოდა“
3.1	∅ ³		
3.2	-ზ	რთულ დროთა წარმოება	ინეა-ჭა-ლა-ზ? „ეინ მიდიოდა?“
4.1	∅ ⁴		
4.2	-იტ	ფინიტობა	დნეა-ხა-მ-ზ-ტ „ეჭო არ მივლეს“
4.3	-მა ∞ -ი	კითხვითია ¹⁴	დნეა-ჭა-∅-ზ-მა? „მიდიოდა?“ დგმხეა-ჭა-∅-ზ-ი? „არ მიდიოდა?“

შენიშვნა: 1.6; 2.4; 2.5; 2.6; 2.7 და 2.8 ქვერანგებ მოქმედნა რანგებას მოაკლენ.

სუფიქსები. მოხვედრილი საერთო რანგში, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობებს ატარებენ. ნულოვანი ქვერანგის არჩევის დაშვება ნიშნავს შესაბამის მნიშვნელობათა გამოტოვების შესაძლებლობას ფორმაში. ყოველი რანგიდან დასაშვებია თითო სუფიქსის არჩევა მხოლოდ.

ე. პინესის¹⁵ აზრით, აფიქსებისთვის, რომლებიც არ კომბინირებენ მომღვენო რანგის აფიქსებთან, მოსახერხებელია ცალკე სისტემის აგება. ჩვენს წოდელში უფრო მიზანშეწონილი ჩანს ასეთ აფიქსებს მომღვენო რანგებიც მიეწერათ¹⁶.

¹² ტაბულაში ავიღა სუფიქსური მორფემის თითო აღმორბევი წარმოადგენთ გარდა აღმორბევისა, რომლებიც მკაცრად დამატებითი დისკრიმინაციის გამოკლებულენაში არიან და არამჭირად მკეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

¹³ ოთხშეკვერანგითა და მათი მნიშვნელობა სრულად და ზუსტად არ ავიხსნა. პირველია სრულიების არსებობის შესაძლებელი დინამიკური ორმართა სრული სისტემის დროსა დასაადგინა. მეორეა, ანუ ორმართის მხოლოდ ბარგქმნა მოქმედია.

¹⁴ ივლისსებდა არანაცვალსახელოვანი და არასაბარგქმნობის კითხვები.

¹⁵ ე. ი. Пинес, ხს. შრ., გვ. 80.

¹⁶ ი. ი. Ревзин, Г. И. Юндашениа, ხს. შრ., გვ. 80.

მორფოლოგიური წესები

1. 1,2: → 2,5.
2. 1,1 ან 1,2 ან 1,3+2,2+3.1: → 4,2 ან 4,3¹⁷.
3. 1,4 ან 1,5: → 2,2.
4. 1+2.3+3: → 4,2 ან 4,3.
5. 1,1 ან 1,2 ან 1,3+2,2+3.2: → 4,1 ან 4,3.
6. 1.1 ან 1,2 ან 1,3+2,1+3.2: → 4,2.

იმის გამო, რომ უარყოფის მორფემის მხოლოდ სუფიქსური ალომორფა აისახება მოდელში, რაც არაა საკმარისი უარყოფით ფორმათა აღრიცხვისათვის, ყველა დინამიკურ ზმნურ ფორმას დაეყოფთ ორ კლასად იმის მიხედვით, წარმოდგენილია თუ არა მათში უარყოფის მორფემის პრეფიქსულა ალომორფი და მივანიჭებთ შესაბამისად 0 ან 1 ნიშანს ორობათი კოდისა. გვექნება ასეთი კონტექსტით შეზღუდული სამი მორფოლოგიური (და ორი მორფონოლოგიური) წესი.

- | | |
|-------------------------------------|----------------------------|
| 1. 2. → 2.2 ან 2,8 | გარემოცვა: 1 ¹⁸ |
| 2. 2,1+3.2. → 4,2 | 0 |
| 3. 1,1 ან 1,2 ან 1,3+2,1+3.1. → 4,2 | 1 |

მორფონოლოგიური წესები

აქ წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ალომორფების აღრიცხვას, რომლებიც:

1. არ მონაცვლეობენ თავისუფლად,
 2. არ არიან ფონემურად მსგავსნი.
- ა) კონტექსტურად შეზღუდული წესები.

1. 1,6 → $\begin{cases} /-ნ/ & \text{გარ. : 0} \\ /-ც/ & 1 \end{cases}$
2. 4,3 → $\begin{cases} /-ი/ & \text{გარ. 0} \\ /-მა/ \text{ ან } /-უ/ & 1 \end{cases}$

ბ) წარმოვადგენთ სამ წესს არარეგულარული „მერწყმული“ დაბოლოებებისათვის.

1. 1,2+2,4 → /-რგზარ/ ან /-რ/
2. 1,2+2,6 → /-ააბტ/
3. 1,2+2,1+3,1+4,2 → /-3/

დაბოლოს, {ზეა} მორფემის ალომორფთა განაწილების მარეგულირებელი წესები. მათი თანმიმდევრობა მკაცრადაა ფიქსირებული.

1. 2,3 → $\begin{cases} /-და/ & \text{გარ.: -3,2 ან 3,1} \\ /-ზე/ \text{ ან } z & -3,2 \\ /-ზეა/ \text{ ან } /-ზი/ \text{ ან } /-ი/ & -3,1 \end{cases}$
2. z+3,2 → 3,2+z (თავსუფიქსური ტრანსფორმაცია).
z → /ზეა/ ან /-ზი/ ან /-ი/.

¹⁷ „ნ“ იხმარება ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობით.
¹⁸ — ამბოლოთი იყრატლება გადასულა შესაბამის ქვერანგზე სხვა გარემოცვაში.

(აქ არ აკვისახავს [-ზ] და [-ზეა] მორფემების ალომორფთა შეხვედრისას /ზ/ ფონემების შერწყმის ფაქტი).

ლექსიკონში შემავალი ზოგიერთი სუფიქსის მორფემული სტატუსის დადგენისას მოგვისდა რიგი ცვლილებების შეტანა სპეციალური ლიტერატურაიდან ცნობილ დებულებებში აფხაზური სუფიქსური მორფემების შესახებ. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო მწყობრი სისტემის აგების მოთხოვნით. მიმოვიხილავთ ანალიზის ეტაპზე წამოჭრილ ზოგიერთ ასეთ საკითხს.

დრო-კილოთა სისტემა აფხაზურში მეტად რთული და არაერთგვაროვანია. მასში არაა სემანტიკურად მკაცრად გამოიხნული დროის და კილოს ფორმები. გვხვდება კილოს ნიუანსების შემომტანი ბევრი სუფიქსი. რომელთა ინტერპრეტაცია წირს. ამიტომ ამ ფორმათა კლასიფიკაციის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დისტრიბუციული კრიტერიუმი. რომელიც მეტად ეფექტური აღმოჩნდა დროის სისტემაში შემავალი მორფემების აღწერისა და კილოს სისტემის მორფემებისაგან მათი გამოყვანისათვის.

აფხაზურ ზმნურ წარმინაქმნებს მათა სინტაქსურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით სპეციალურ ლიტერატურაში ყოფენ ორ თანაუკვეთ კლასად: ფინიტურ და ინფინიტურ კონსტრუქციებად. დინამიკურ ზმნათა დროის სუფიქსებს ჩვეულებრივ აჯგუფებენ იმის მიხედვით, თუ ფინიტობის რომელ სუფიქსს უკავშირდებიან ისინი ფინიტურ კონსტრუქციებში¹⁹.

ცნობილია ფინიტობის სამი მორფემა: [-იღ], [-პ] და [-ნ]²⁰. აღნიშნავენ ხოლმე, რომ [-ნ] ნამყოობასაც გამოხატავს: ინფინიტურ კონსტრუქციებში მას [-ზ] მორფემა ცვლის. [-პ] მხოლოდ განსაზღვრული მყოფადის ფორმებში იძენს თავს დინამიკურ ზმნებში. ინფინიტურ კონსტრუქციებში მას განსაზღვრული მყოფადის სუფიქსი ცვლის. ლ. ჭკადუა²¹ დროის სუფიქსებს დინამიკურ ზმნებში ორ სერიად — აორისტის და აწმყოს სერიადად აჯგუფებს. პირველში გაერთიანებულია აორისტის, ნამყო განუსაზღვრელის, უკვეობითის. უკვეობითი წინარე წარსულის. განსაზღვრული და განუსაზღვრელი მყოფადის ჯგუფები, მეორეში კი — აწმყოს და ნამყო უსრულის ჯგუფები.

ჩვენი მოდელისათვის ვარჩიეთ უფრო ეკონომიური აღწერა დროის და ფინიტობის სუფიქსებისა. წარმოვადგინეთ ე. წ. მარტივი დროის ხუთი სუფიქსი: აწმყო - [-ჟა], უკვეობითი - [-ხა], განსაზღვრული მყოფადი - [-რა], განუსაზღვრელი მყოფადი - [-შა] და აორისტი - [-].

ეიტყვით, რომ ნებისმიერს ამ ხუთი სუფიქსიდან შეიძლება დაერთოს [-ზ] ან [-იჟ] ან [-ნ] მორფემა.

როგორც ითქვა, [-ნ]-ს მიაწერენ ნამყოობის და ფინიტობის მნიშვნელობას და ამ თვალსაზრისით იგი უპირისპირდება როგორც [-ზ], ისე [-იღ] მორფემებს: პირველს — ფინიტობის ნიშნით, მეორეს — ნამყოობის ნიშნით. ამავე დროს ის დისტინქციური ნიშანი, რომელიც [-ნ]-ს აპირასპირებს ერთერთ მათგანთან, მას საზიარო აქვს მეორესთან.

¹⁹ ქ. ლ. შ. თ. ა. ძ. ე. აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა, იყ. ტ. VII, თბ., 1955.

²⁰ მორფემებს გრაფიკულად წარმოვადგინეთ პარაბოთი სიმბოლოებით, რომლებიც მათ: ერთერთ ალომორფს დაუთხოვევს.

²¹ Л. П. Чкадуа, Система времен и основных модальных образований в абхазско-абхазских диалектах, Тбилиси, 1970.

თუ {-იტ} მორფემის {-ნ} და {-ზ}-საგან განსხვავებისას რელევანტურ ნიშნად ნამყოლობას ჩავთვლით, ჩვენი აზრით, ეს სირთულეს შექმნის, როგორც ნამყო დროის გამომხატველ სხვა სუფიქსებთან მათი ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე არანამყო დროის გამომხატველი მორფემებისადმი ნამყოს რელევანტური ნიშნის მქონე მორფემის მიერთების შედეგად მალებული ფორმების აღწერის თვალსაზრისით. ამიტომ ვარჩიეთ {-ნ} და {-ზ} მორფემათა რელევანტურ საერთო ნიშნად დაგვესახელებინა ზოგადად „რთულ დროთა წარმოება“. რაც სრულიად არ გამორიცხავს მიღებულ ფორმათა ნამყოობის სემანტიკას. {-იტ} მორფემა კი ამ ნიშნის მიმართ ნეიტრალური გამოდის.

ახლა შეგვიძლია მკაცრად გავმიჯნოთ „რთული“ დროის ფორმები (მათში {-ნ} ან {-ზ} იჭნება წარმოდგენილი) „მარტივი“ დროის ფორმებისაგან და დინამიკური ფორმები ({-ნ} ან {-იტ} მორფემით) ინფინიტურებისგან. მიღებული ორი დაპირისპირებული {-ნ} — {-ზ} და {-ნ}--{-იტ} წყვილისგან განსხვავებით {-ზ} და {-იტ} არ ქმნიან პრევატულ დაპირისპირებას და არ გამორიცხავენ ერთმანეთს ზმნურ ფორმებში.

{-ზ} მორფემას არ მივაყრთ ინფინიტობის ნიშანს, კარბი აღწერის თავიდან ასაცილებლად. მკვლევარები {-იტ} მორფემის შემცველი ფორმების ინფინიტურ შესატყვისებში არ გამოყოფენ ინფინიტობის სუფიქსს და ეს არცაა საპირო. ცხადია, შეიძლებოდა აქ ინფინიტობის ნულოვანი სუფიქსი დაგვეშვა. მაგრამ უფრო მარტივი და ეკონომიური აღწერა გვექნება, თუ ინფინიტობას საერთოდ არამარტივებულ კატეგორიად ჩავთვლით (ფინიტობის არქონად). {-ზ} მორფემისათვის ფინიტობის მიხედვით დაპირისპირება საერთოდ ირელევანტურია, რადგან უარყოფით წარმონაქმნებში იგი ხშირად ფინიტობის {-იტ} მორფემის /-ტ/ ალომორფთან ერთად გვხვდება. ასეთი ფორმები ფინიტურია როგორც მნიშვნელობით, ისე მათი სინტაქსური ფუნქციით, რასაც {-იტ} მორფემის გამოვლენასთან დაკავშირებით და გამოვყოფთ მას, როგორც ფინიტობის რელევანტური ნიშნის მქონე მორფემას. ამით თავიდან ვიცილებთ უარყოფით ფორმათა, როგორც ინფინიტური და ინფინიტურ-ფინიტური წარმოების ფორმების აღწერას; {-იტ} კანონსომიერად გამოვლინდება მხოლოდ ფინიტურ წარმონაქმნებში.

უარყოფით ფორმათა განხილვისას ფინიტობის თვალსაზრისით ერთ სირთულეს ვაწყდებით: აწყყოსა და მყოფადებში, სადაც ფინიტურ ფორმებში უარყოფის /-მ/ სუფიქსია წარმოდგენილი ჩვეულებრივ²² (უარყოფის მორფემას პრეფიქსული ალომორფიც აქვს), ფინიტობის {-იტ} მორფემა არ გვაქვს სხვა დროის ფორმებისაგან განსხვავებით. შეგვეძლო გვეთქვა, რომ აქ მისი ნულოვანი ალომორფია წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი ალომორფის პოზიცია ამ ფორმებში ცალსახად არ განისაზღვრება. ამიტომ ფინიტურ ფორმათა ინფინიტური ფორმებისაგან გამოიჯნის დროს გავითვალისწინებთ არა მარტო {-იტ} მორფემის გამოვლენას (უარყოფით ფორმებს ვგულისხმობთ), არამედ უარყოფის მორფემის სუფიქსური ალომორფის გამოვლენასაც, რაც შესაბამის დინამიკურ ფორმათა ფინიტობის მაჩვენებელია.

²² ქ. ლომთათიძე, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, იყ. ტ. V, თბ., 1953.

{-ნ} მორფემის გამოვლენა უარყოფით ფორმებში საერთოდ დაუშვებელია სალიტერატურო აფხაზურში²³. ეს ადვილად აიხსნება, თუ გაითვალისწინებთ ამ მორფემის რელევანტურ თვისებებს, რომლებიც ემთხვევა {-ზ} და {-იტ} მორფემების რელევანტურ თვისებათა ჯამს. ეს ორი მორფემა უარყოფით ფინიტურ წარმონაქმნებში, როგორც წესი, ერთდროულად ელონდება და ისინი ამიტომ ერთვებოდნენ დამატებითი არიან {-ნ} მორფემის მიმართ.

დროისა და ფინიტობის სუფიქსების შესახებ მთელს ამ მსჯელობაში გამოირიცხული გვქონდა {-პ} სუფიქსი, რომელიც ელინდება განსაზღვრული მყოფადის ფინიტურ ფორმებში. სადაც {-იტ} დაუშვებელია. ამიტომ /-პ/ სეგმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი ფუნქციის, კერძოდ, განსაზღვრული მყოფადისა და ფინიტობის ფუნქციების, მატარებელი. პარობითად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იგი როგორც ორი მარტივი სეგმენტის გაერთიანების შედეგი. ამ სეგმენტებიდან ერთ-ერთს მივაწერთ განსაზღვრული მყოფადის მორფემის წვერობას, ხოლო მეორეს ჩავთვლით {-იტ} მორფემის წარმომადგენლად. (აქვე აღვნიშნავთ, რომ {-პ} გამოირიცხულია რთული დროის მარტივების მქონე და უარყოფით ფორმებში).

/-პ/ სეგმენტის ამგვარი გახლეჩა გამოწვეულია ჩვენი სისტემისადმი უნიფიცირებული სახის მიცემის პრაქტიკული მოთხოვნათ და, ცხადია, არაფერს ამბობს ამ სეგმენტის ფონემური აგებულების შესახებ.

მეორე დაშვება იყო დროის ნულოვანი დაბოლოებისადმი აორისტის მნიშვნელობის მინიჭება. ამ დაბოლოების სემანტიკური ინტერპრეტაცია დაზუსტებას მოითხოვს. ნულოვანი მარტივების გამოყოფის შედეგად სისტემაში შეიქმნა ცარიელი უჯრედები და აღწერამ გაცილებათ უფრო თანმიმდევრული სახე მიიღო.

და კიდევ ერთი შენიშვნა: /-რზზ/, /-შყაზ/ (ფინიტური /-რზნ/, /შყა-ნ/) მარტივების მქონე ე. წ. შეპირობებითი ფორმები²⁴, რომლებსაც, როგორც წესი, კილოთა სისტემაში ათავსებენ²⁵, შევიყვანეთ დროის სისტემაში მათი აგებულების გათვალისწინების გამო. ეს ფორმები კავშირებითას სემანტიკას ატარებენ, მაგრამ ვევე სემანტიკა შეიძლება სხვა ზნურ ფორმებსაც ჰქონდეს. ხოლო შეპირობებითები, თავის მხრივ, სხვა მნიშვნელობითაც იხმარებიან²⁶. როგორც აღვნიშნეთ, აფხაზური ზმნების დროისა და კილოს ფორმებში საერთოდ ზშირია შინაარსობრივი დამთხვევები და გადასვლები, არაერთგვაროვნება ფორმათა აგებულებისა და ხმარების თვალსაზრისით. ამიტომ, კერძოდ, შეპირობებითების ინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭებთ ფორმალურ კრიტერიუმს, რომლის მიხედვით ისინი დროის და არა კილოს სისტემაში უნდა შევიდნენ ყველა ფორმალური ნიშნის მიხედვით (ასეთია ფინიტურ და ინფინიტურ ფორმათა წარმოება და განსხვავ-

²³ კილოს ფორმებს არ ევაფთ ფინიტურ და ინფინიტურ ფორმებზე, რადგან, როგორც ვინიშნავთ, კილოს მარტივებზე გამოირიცხავენ ფინიტობის მორფემებს.

²⁴ სახელწოდება „შეპირობებითი“ აღებულია პ. უსლარის და ქ. ლომთათიძის შრომებიდან: П. К. Услар. Этнографическая Кавказа, Языкознание, Абхазский язык. Тифлис, 1847, გვ. 31; ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა, იყ., ტ. VII, თბ., 1955.

²⁵ Л. П. Чкадуа, ხს. შრ., გვ. 14.

²⁶ იქვე, გვ. 174—176.

ეება, უარყოფითი, კითხვითი²⁷ ფორმების წარმოება და სხვ.) შეპირობებითე-
ზი დროის სისტემას მიჰყვებიან. მათი ამგვარი ინტერპრეტაციის შედეგად ეს
სისტემა მეტად სრული და მწყობრი ხდება მასში ცარიელი უჯრედების შეე-
სების გამო²⁸.

აფხაზურში დროის სისტემას გაცილებით მეტი თანმიმდევრულობა ახა-
სიათებს მასში შემავალი ფორმების სტრუქტურის თვალსაზრისით, ვიდრე
კილოს სისტემას, რომელიც ამ მხრივ მეტად არაერთგვაროვანია.

გარდა განხილული შეპირობებითი I და II ფორმებისა, კილოს სისტემა-
ში აფხაზურის მკვლევარები ჩვეულებრივ ათავსებენ ბრძანებითის, ნატური-
თის, თურმეობითების (I და II), პირობითის, მიზან-პირობითის და ე. წ. კო-
ნიუნქტივის (ჩვენ მას „ინიუნქტივს“ ეუწოდებთ) ფორმებს²⁹. აქედან მიზან-
პირობითს არ განვიხილავთ ჩვენს მოდელში, რადგან იგი პირობითი კილოს
ფორმებზე სხვადასხვა ე. წ. გარდაქცევითობის სუფიქსის დართვით, ანალიტი-
კურად იწარმოება³⁰ და ერთიან პარადიგმას არ ქმნის.

მოკლედ მიმოვიხილავთ იმ სირთულეებს, რომლებიც კილოს სისტემაში
გაერთიანებული ფორმების მაწარმოებელთა აღწერისას შეგვხვდა.

ბრძანებითის ფორმები წარმოების თვალსაზრისით განეკრძობებიან დგანან
კილოურ წარმონაქმნებს შორის. ითვლება, რომ ისინი „წმინდა“, ე. ი. დროის
და კილოს მაწარმოებლების არმქონე ზმნურ ფუძეს წარმოადგენენ. უარყო-
ფითში ამ ფორმებს სუფიქსი /-ნ/ უჩნდებათ, რომელიც, როგორც ქ. ლომთა-
ლიძემ დაადგინა³¹, ეტიმოლოგიურად უარყოფის მორფემის ალომორფია, გა-
მეორებული ბრძანებითის ფორმების სუფიქსურ ნაწილში და ნაწილობრივ
სახეცვლილი.

სალიტერატურო აფხაზურის სინქრონული აღწერის ფარგლებში თუ
დავრჩებით, მოგვიხდება ამ სუფიქსს მივაწეროთ ბრძანებითის მნიშვნელობა,
რაც, თავის მხრივ, გვაიძულებს დადებითი ბრძანებითის ფორმებში ამ მორ-
ფემის ნულოვანი ალომორფი დაეუშვათ. ეს ორი ალომორფი ერთმანეთის მი-
მართ მკაცრად დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იქნება.

I თურმეობითში ვლინდება /-ზააპ/, ხოლო II-ში — /-ზაარჯნ/ დაბო-
ლოება. ერთი შეხედვით, ამ დაბოლოებებში ფინიტობის /-პ/ და /-ნ/ სუფიქ-
სები გამოიყოფა და თითქოს ინფინიტური ფორმებიც გვაქვს: დაბაცა —
ზაარჯნ „სად წასულა?“ (ფინიტური დცა-ზაარჯნ „წასულა“) და მისთ.³², მაგ-
რამ ასეთი წარმონაქმნები იშვიათია და ხელოვნური. ისეთი ფორმების გვერ-
დით კი, როგორცაა დგმაცა-ზაარჯნტ „არ წასულა (თურმე)“ არსებობს უფ-

²⁷ კილოური წარმონაქმნები კითხვით ფორმებს საერთოდ არ აწარმოებენ. კითხვა მათში მხო-
ლოდ ინტონაციით თუ გამოიხატება.

²⁸ ქ. ლომთათიძე სწორედ დროის სისტემაში ათავსებს „შეპირობებითებს“ მათი ავბულების
ე.თვალისწინების შედეგად: ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის.

²⁹ კილოური ნიუანსების გამოხატვის საშუალებები აფხაზურში მეტად მრავალფეროვანია და
კილოს სისტემაში შემავალი ფორმების რაოდენობისა და მაჩვენებლების შესახებ მკვლევარებს შო-
ლის აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ ძირითადად ქ. ლომთათიძის და ლ. ჰვადას გაოკვლევებს ეყრ-
დნებით: ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის. . . ; Л. П. Хвацкая, ხს. შრ.

³⁰ ქ. ლომთათიძე, ე. წ. „მიზან-პირობითი კილო“ წარმოებისათვის აფხაზურ დილექ-
ტებში, იყ. ტ. II, თბ., 1948.

³¹ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნეში, ენობის მთაბე,
ტ. XII, თბ., 1942.

³² ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის.

რო გავრცელებული და ბუნებრივი პარალელური ფორმები დგმცა-ზაარჯ ტიპისა, რომლებიც მიჰყვებიან კილოებში უარყოფით ფორმათა წარმოების ზოგად წესს. I თურმეობითისათვის ინფინიტური ფორმები საერთოდ არა გვაქვს, ხოლო უარყოფით ფორმებში /-ზააპ/ დაბოლოება უცვლელია. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. სემანტიკურად თურმეობათები თითქმის არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ II თურმეობითი უფრო ხშირად ნამყოფის ნიუანსით იხმარება, I თურმეობითი კი — აწმყოს(!) მნიშვნელობით. ასეთი დაპირისპირება (მეტად არარეგულარული) თითქოს უნდა მიეწუნებოდა /-ნ/ და /-პ/ სუფიქსებს შესაბამის დაბოლოებებში. მაგრამ, ჯერ ერთი. დროითი დაპირისპირებები სრულიად დარღვეულია სხვადასხვა დროის მაჩვენებლებზე /-ზააპ/ და /-ზაარჯ/ დაბოლოებების დართვით მიღებულ ფორმებში; ასეთებია, ვთქვათ, დცა-ზა-ზააპ „უკვე წასულა (თურმე)“, დცა-ზა-ზაარჯ „უკვე წასულიყო“. დცა-ჟა-ზააპ—დცოზააპ „მიდის თურმე“, დცა-ჟა-ზაარჯ—დცოზაარჯ „მიდიოდა თურმე“ და მისთ.³³ მეორეც, /-ზააპ/ სეგმენტს თუ დავყოფთ, დაგვრჩება /-ზაა/ სეგმენტი, რომლის სემანტიკური ინტერპრეტაცია გავვიჭირდება II თურმეობითში /-ზაარჯ/ სეგმენტის გამოყოფის შემთხვევაში, და, განსაკუთრებით, მასში. /-რჯ-ნ/ სეგმენტების ცალკე გამოყოფისას (ადგილი ექნება დროის მაწარმოებელთა თავმოყვას, მათ შორის, ისეთების. რომელთა მნიშვნელობები შეუთავსებელია). რაც შეეხება ორსავე შემთხვევაში /-ზაარჯ/ დაბოლოების ცალკე გამოყოფას³⁴ და მისთვის თურმეობითის მნიშვნელობის მიწერას, უკვე ჩამოთვლილი ფაქტების და მთლიანად კილოს სისტემაში შემავალ ფორმათა სტრუქტურის გათვალისწინების შემდეგ ვარჩიეთ ამგვარი წმინდა თეორიული კონსტრუქტის თავიდან აცილება. ამგვარად (ცხადია, მხოლოდ სინქრონულ ასპექტში), /-ზააპ/ და /-ზაარჯ/ დაბოლოებებს განეხილავთ როგორც დაუშლელ სეგმენტებს³⁵. საერთოდ კი I და II თურმეობითის ფორმები თითქმის ყველგან თავისუფლად მონაცვლეობენ და ამიტომ მათი მაწარმოებლები საერთო ქვერანგშიც კი მოვითავსეთ. როგორც დაუშლელი სეგმენტები. /-ზააპ/ და /-ზაარჯ/ ფინიტობის მორფემებს გამოირცხვენ ზმნურ ფორმებში და დაერთვიან „მარტივი“ დროის სუფიქსებს (თითქმის უგამონაკლისოდ).

ნატკრიითის [-ნდა] მორფემის ინტერპრეტაციისას საცხებით ვეთანხმებით ლ. ჰკადუას³⁶.

ინიუნქტივის /-ზააპტ/ დაბოლოებაში /-იტ/ სეგმენტის, როგორც ფინიტობის მორფემის ალომორფის გამოყოფა უსაფუძვლო გვეჩვენება მისი ინფინიტური კორელატის არარსებობის გამო. ენაში რეალურად არსებული ვითარება ასეთ დაშლას მხარს არ უჭერს.

ინიუნქტივისა და პირობითის მაწარმოებელთა განხილვისას ერთ სირთულეს ვხვდებით. /-ზააპტ/ და /-ზარ/ დაბოლოებების გვერდით /-ააპტ/ და /-რ/ მაწარმოებელთა არსებობა თითქოს /-ზ/ სეგმენტის გამოყოფის საპირობებაზე

³³ Л. П. Чкадуа, ხს. შრ.

³⁴ ეს შესაძლებელია მხოლოდ /-პ/ სეგმენტის, როგორც რთული სეგმენტის ინტერპრეტაციას შემთხვევაში. იხ. აგრეთვე. ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის. . .

³⁵ იძულებული ვართ ნამყოფის ნიუანსი, რომელიც II თურმეობითის ზოიკრთ ფორმას I თურმეობითის უპირისპირებს, მიუწეროთ მთლიანად /-ზაარჯ/ დაბოლოებას.

³⁶ Л. П. Чкадуа, ხს. შრ., გვ. 15.

ნეტყველებს. მაგრამ ამ სეგმენტის მიჩნევა რთულ დროთა მაწარმოებელია (-ზ) მორფემის ალომორფად³⁷ დაუშვებელია შესაბამისი ზმნური ფორმების სემანტიკის გამო. დიგა-ჟა-ზააჩტ→დიგოზააჩტ „დაეუშვათ, მიჰყავს იგი“ ან „დაე მიჰყავდეს“ და დიგა-ჟა-ზარ→დიგოზარ „თუ მიჰყავს იგი“³⁸ ტიპის ფორმების სემანტიკა მიგვითითებს მათში დაუშლელი /-ზააჩტ/ და /-ზარ/ დაბოლოებების არსებობაზე. მაგრამ ასახსნელია მაშინ ამ სუფიქსთა ურთიერთობა /-ააჩტ/ და /-არ/ სუფიქსებთან. ისინი დროის ნულოვანი სუფიქსის (წმინდა ფუძის) შემთხვევაში კონტრასტულ ფორმებს ქმნიან. /-ააჩტ/ და /-არ/ დაბოლოებების მქონე ფორმათა სემანტიკა მყოფადის სემანტიკას უკავშირდება. /-ზააჩტ/ და /-ზარ/ სუფიქსიანი ფორმებისა კი — ნამყოს. მაგალითად, დიბა-ააჩტ→დიბააჩტ „დაე ხედავდეს მას“ ან „ვექვით ხედავს მას“; დიბა-არ „თუ სედავს მას“; დიბა-ზააჩტ „დაე დაენახა იგი“ ან „ვექვით, დაინახა იგი“, დიბა-ზარ „თუ დაინახა იგი“³⁹. განსაზღვრული მყოფადის ფუძიდან ინიუნქტივი საერთოდ არ იწარმოება, პირობითის ფორმათა წარმოება კი იშვიათია. /-რეზარ/ დაბოლოება მხოლოდ ფიცილის ფორმებში თუ შეგვხვდება⁴⁰. ამიტომ /-ააჩტ/ და /-არ/ დაბოლოებების მქონე გავრცელებული ფორმები შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც განსაზღვრული მყოფადის ფუძიდან ნაწარმოები ფორმები. რომელთა დაბოლოებებშიც გარკვეული ფონემურა ცვლილებებია მომხდარი⁴¹. /-რეზარ/ და /-არ/ დაბოლოებებისათვის მოგვახდება თავისუფალი ვარიანტების დაშვება: აღვნიშნავთ, რომ /-რეზარ/ დაბოლოებას გარკვეული სტილისტური შეფერილობა აქვს.

ამრიგად, ბრძანებითის გარდა ყველა კილოს მაწარმოებელი დაერთვის დროის სუფიქსებს (თითქმის ყველას) და გამოირიცხავს {-ზ}, {-ნ} და {-რტ} მორფემათა ალომორფების გამოვლენას.

დავერჩა განსახილველი კოთხის გამომხატველი სუფიქსები⁴².

„ნაცვალსახელურ-კითხვით“ ფორმებში გამოიყოფა ადამიანის კლასისათვის {-და} კითხვითი მორფემა, ნივთის (უფრო ზუსტად, არაადამიანის) კლასისათვის კი — {-ზეჲ} მორფემა, რომელსაც ოთხი ალომორფი აქვს: /-ზეჲ/, /-ზი/, /-ი/, /-ზე/. ბრველი სამი თითქმის ყველგან თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს და შეიძლება გამოვლინდნენ „მარტივი“ დროის მაწარმოებლების ან {-ზ} მორფემის შემდეგ. /-ზე/ ალომორფი მხოლოდ {-ზ} მორფემის წინ შეიძლება იდგეს. {-და} სუფიქსი ასევე {-ზ}-ს წინ დგას. მაგრამ „მარტივი“ დროის მაჩვენებლების შემდეგაც შეიძლება გამოვლინდეს {-ზ} მორფემის უქონლობის შემთხვევაში. {-ზ}-ს შემდეგ /-ზეჲ/, /-ზი/ ალომორფების გამოვლენისას ორი

³⁷ ლ. ჭვალუა ათავსებს ასეთ ფორმებს სწორედ რთულ დროთა პარადიგმებში: Л. П. Чкадуа, ხს. შრ.

³⁸ იქვე, გვ. 93.

³⁹ ქ. ლომთათიძე, თუმცა სულ სხვა მოსაზრებით, ამ დაბოლოებებს აერთეუვ განსაზღვრული მყოფადის ფუძეს უკავშირებს. იხ. მისი: აფხაზური ენის.

⁴⁰ Л. П. Чкадуа, ხს. შრ., გვ. 46-47.

⁴¹ იქვე, გვ. 173.

⁴² უარყოფის მორფემის მხოლოდ სუფიქსური ალომორფი შეიქმნა ტაბულაში. უარყოფით ფორმათა განხილვისას ეყრდნობოდ ქ. ლომთათიძის და ლ. ჭვალუას პარადიგმებს: ქ. ლომთათიძე, ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, იყე, ტ. V, თბ., 1953; Л. П. Чкадуа, ხს. შრ.

/-ზ/ ფონემის შერწყმა ხდება და ძნელდება იმის გარკვევა, გვაქვს საქმე /-ზ/+/-ზი/, /-ზ/+/-ი/, /-ზ/+/-ზეჲ/ დაბოლოებებთან. თუ მხოლოდ /-ზი/ და /-ზეჲ/ დაბოლოებებთან. ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში შესაბამის ფორმათა სენანტიკა გვეხმარება. მაგალითად, იცოზე ფორმის ორი მნიშვნელობა: 1. „რა სიდიოდა?“; 2. „რა მიდის?“ გვარწმუნებს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში ფორმა იშლება. როგორც იცა + ჟა + ზ + ზეჲ, მეორე შემთხვევაში კი როგორც იცა + ჟა + ზეჲ⁴³. [-ზ] სუფიქსიან ფორმებში /-ზე/ და [-ზეჲ] მორფემის დანარჩენი ალომორფები პარალელურ ფორმებს ქმნიან და ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს მოვათავსოთ [-ზეჲ] მორფემის ყველა ალომორფი ერთ რანგში: ფაქულტატური ტრანსფორმაციით წარმოვშობთ დასახელებული პარალელური ფორმების ერთ ჯგუფს.

არანაცვალსახელურ (და არასაგარემოებო) კითხვით ფორმებში გამოიყოფა სამი კითხვითი სუფიქსი: /-მა/, /-უ/, /-ი/. პირველი ორი თავისუფლად მონაცვლეობს სათანადო ფორმებში და გამოიყენება მხოლოდ დადებით წარმოებებში. /-ი/ იხმარება მხოლოდ უარყოფით ფორმებში. ჩვენს მოდელში სამივე გვაერთიანებთ საერთო მორფემაში [-მა]. /-ი/ ალომორფისათვის დაგეშვით დასარჩევნ ორ ალომორფთან მორფოლოგიურად შეპირობებული მონაცვლეობა.

რანგების გრამატიკის ძირითადი მიზანია წარმოშვას რაც შეიძლება ბევრი გამოსახულება მოცემული სიმრავლიდან და არ წარმოშვას არც ერთი არასწორი მიმდევრობა. ირკვევა, რომ ეს მოდელი წარმოშობს ისეთ ფორმებსაც, რომლებსაც თუმცა ვერ მივიჩნევთ გრამატიკულად არასწორ ფორმებად, მათი მნიშვნელობის გაგება და თარგმნა მკვიდრ მოლაპარაკეებს არ უჭირთ, რადგან მათი გამოვლენის ამკრძალავი სტრუქტურული კანონები ენაში არაა⁴⁴. ისინი ცოცხალ შეტყველებაში არ ვლინდებიან და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. განსაკუთრებით ეს ეხება გრძელ მიმდევრობებს. მაგრამ პრინციპულად ასეთი ფორმების ხმარება გამორიცხული არაა და ე. ი. მოდელი არასწორ ფორმებს არ წარმოშობს.

⁴³ კითხვით ფორმებში /-ზეჲ/ მორფემის ალომორფების განაწილება აღწერილია ლ. ჭკადუას მონოგრაფიაში: Л. Чкадуа, ხს. შრ.

⁴⁴ В. Я. Пятеев, ხს. შრ., გვ. 78.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ ჰეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ)

დარეჟან სპანო

დამწერლობისა და ბგერითი სისტემის ურთიერთ- ვიმართებობისათვის სირიულ ბრამატიკოსებათა

ბგერათა ფიქსაციის პრობლემას იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სირიულ გრამატიკოსებთან, რომელთაც დიდი სიძნელეების წინაშე აყენებდა სირიული ანბანის არასრულყოფილება როგორც საკუთარი, ისე უცხოური ბგერების გადმოცემის თვალსაზრისით. ამ მხრივ დამახასიათებელია VII საუკუნის ცნობილი გრამატიკოსის იაკობ ედისელის სიტყვები, რომ სირიული წერითი სისტემა მთელი თავის ნაკლოვანებებით და ხმოვანთა სიმცირით არ იძლევა უცხო ენათა ბგერების გადმოცემის საშუალებას¹. ამასვე აღნიშნავს XIII საუკუნის ცნობილი მოაზროვნე აბულ ფარაჯ გრიგორ ბარებრაია, რომლის თხზულებანი სირიული გრამატიკული მეცნიერების განვითარების მწვერვალად ითვლება. მის ვრცელ გრამატიკაში „სხივთა წიგნი“ ებრაული, სირიული და არაბული ენების დახასიათებისას შენიშნულია, რომ ამ ენათა (დამწერლობათა) ნაკლი ხმოვნებისა და თანხმოვნების აღმნიშვნელ ნიშანთა სისტემის არასრულყოფილებაში მდგომარეობს².

მე-5 საუკუნეში (სირიული ეკლესიის გათიშვის შემდეგ) მანამდე არსებული ერთიანი სირიული დამწერლობა „ნესტრანგელო“, მისი ორი სახესხვაობით, შეიცვალა დასავლეთ სირიულით ანუ იაკობიტურით (ე. წ. „სერტო“) და აღმოსავლეთ სირიულით, ანუ ნესტორიანულით. სირიული ენის ზემოაღნიშნულ „ნაკლოვანებათა“ აღმოფხვრას ცდილობენ როგორც ნესტორიანელი, ისე იაკობიტი გრამატიკოსები. X—XI საუკუნის ნესტორიანელი გრამატიკოსი ილია ნისიბინელი (ილია ბარ შინაია) დიდ სიზნულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სირიულ დამწერლობას არ შეუძლია ბგერათა ყველა სახეცვლილება გადმოსცეს. ამავე საკითხს განიხილავენ ბარ ზობი (XI—XII საუკ.) და ილია თირხანელი (XI საუკ.) ბარებრაია ხსენებულ გრამატიკულ ტრაქტატში „სხივთა წიგნი“ ცალკე თავს უთმობს სირიულ ანბანსა და ბგერათა სისტემას.

ასოების და ბგერების შესატყვისობის საკითხი აღეგებთ არა მარტო გრამატიკოსებს — ცნობილია სირიელი ბერის პავლე ანტიოქელის წერილი იაკობ ედისელისადმი, რომელშიაც ამ უკანასკნელს სირიული ანბანის სრულყოფას სთხოვს³. იაკობ ედისელმა ამ პრობლემის გადაჭრა ახალი ხმოვნის ნიშნების

¹ J. B. Segal, The diacritical point and the accents in Syriac, London, 1953, გვ. 8.

² Le Livre des smlendeurs. La grande grammaire de Grégoire Barhebraeus. Texte syriaque édité d'après les manuscrits avec une introduction et des notes par Axel Moberg, Lund, 33. 193.

³ J. B. Segal, დასახ. ნაშრ., გვ. 41. La grande grammaire de Grégoire Barhebraeus, გვ. 193.

ხმარებით სკადა, რომლებიც ბერძნულის ანალოგიით შემოიღო. მანვე დაუმატა სირიულ ანბანს სათანადო ასო ბერძნული π-ს გადმოსაცემად.

სირიულ გრამატიკოსებთან ყურადღებას იქცევს აზრთა სხვადასხვაობა თანხმოვანთა რაოდენობის განსაზღვრაში. ხშულთა სპირანტიზაციის კანონის შედეგად სირიულში ხმოვნის შემდეგ ექვსი მარტივი ხშული (არაგემინირებული) თანხმოვანი ხ, გ, დ, კ, პ, ო ნაპარლენებად წარმოითქვიან. ეს ორი ვანსხეავეებული წარმოთქმა (ხშული და სპირანტიული) სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება: *qasāḥā* („მაჯარა“) ხშული თანხმოვნისათვის და *rūkāḥā* („რბილი“) ნაპარლენი თანხმოვნისათვის.

გრამატიკოსთა უმრავლესობა ხსენებული თანხმოვნების სპირანტიზაციას ვარიანტს ცალკე ბეჭდვად განიხილავს მაშინ, როცა დანაჩენებისათვის (მაგალითად ილია ნისბინელიათვის) იგი დამოუკიდებლად არ არსებობს⁴. (თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო ფასეულია, რამდენადაც ითვალისწინებს არა მარტო ძირითად ფონემებს, არამედ მათ პოზიციურ სახეცვლილებებსაც). ანბანში ასოთა რაოდენობას განსაზღვრისას სირიული გრამატიკოსები მხედველობაში იღებენ ხმოვნებსაც. ზემოაღნიშნული ნიშნების გამო სირიული ანბანი მათ შრომებში ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოგვიდგება.

ბარ ებრაია სირიულ დამწერლობაში აღნიშნავს 36 ასოს (იმდენსავე, რამდენსაც ილია ედესელი). იგი 22 ძირითადს, რომლებიც მისი თქმით „სირიელებმა ებრაელებისაგან ვაღმოიღეს“, უმატებს 14-ს, აქედან შეიღ ასოს ხმოვნებისათვის *P^hḥā-a R^hāḥā^h, Z^hāpā-a, Ḥ^h ḥāḥā^h Ḥ^hāḥā^h...* ბელადქეთის⁵ რიგის სპირანტიზებულ თანხმოვანთა გამოხატეულ ასოებს და ბერძნული π-ს სირიულ ეყვიალენტს.

ასოთა სულ სხვა რაოდენობა გვაქვს ბარ ებრაიას წინამორბედ გრამატიკოსების ხობის, ილია ნისბინელისა და ილია თირხანელის ტრაქტატებში.

ბარ ზოზი სირიული ანბანის შემადგენლობაში ასახელებს 23 ასოს თანხმოვანთათვის, ცალკე გამოყოფს რა ხმოვნებს. მისთვის 28 ასო შეიკავს 22 ძირითადს და *rūkāḥā*-ს მქონე ასოებს. ილია ნისბინელი მხოლოდ 22 ასოს ასახელებს, ხოლო ილია თირხანელთან თანხმოვნების აღწნაშენელ ასოთა რაოდენობა 20-მდე იზრდება. თუნცა მისი კლასიფიკაციით უნდა შეადგენდეს 29-ს: 22 *rūkāḥā*-ს მქონე ასოები + P ნესამე „ვარიანტი“ (=π). ჩვენთვის უცნობი რჩება რას გელსხმობდა იგი ოცდამეათე თანხმოვნად, ილია თირხანელის ცხოვლი მკვლევარი ბეტგენი *Turrās mamla Suriāḥā*-ში (სირიული ენის გრამატიკა) გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხსენებული ოცდამეათე ასო შესაძლებელია წარმოადგენდეს ბერძნული γ და არაბული ج -ს შესატყვისის სირიულში (=g)⁶. უნდა აღინიშნოს, რომ g-ს ეს „ვარიანტი“ დასტურდება მხოლოდ დასავლეთ სირიულ გრამატიკოსებთან, მაგრამ საერთოდ არ გვხვდება ნესტორიანულ გრამატიკებში. მათ შორის არც ილია თირხანელის ტრაქტატში.

⁴ ბარ ებრაია განარჩევს *R^hāḥāḥā(e)*, *Ḥ^hāḥāḥā* (i) და *Ḥ^hāḥāḥā* (u) ხმოვნების მოკლე და გრძელ წარმოთქმას.

⁵ *Turrās mamla Suriāḥā* oder syrische Grammatik des Mas Elias von Tihon, Leipzig, 1880.

როგორც ვხედავთ, სირიულ ანბანში ასოთა რაოდენობის სხვადასხვაობა ძირითადად გამოწვეულია „ბელადქეჟათის“ რიგის, სპირანტიზებულ თანხმოვანთა გადმოცემით.

XIX საუკუნის ენობილი მარონიტი ფილოლოგი და პოეტი არსენიოს ფახური, რომლის გრამატიკა ყველაზე გვიანდელია ჩვენ ხელთ არსებულ სათანადო თხზულებებს შორის, ილია ნისიბინელის მსგავსად ანბანში მხოლოდ 22 ასოს ასახელებს. ეს აიხსნება პირველ რიგში იმით, რომ ფახური rukkaḳ-ს პოზიტიურ ფონეტიკურ მოვლენად მიიჩნევს. გარდა ამისა, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ამ პერიოდისათვის სირიულში ზოგი სპირანტიზებული ბგერა დაკარგულია, ფახური კი ამოდის თავისი ეპოქის ცოცხალი ინტუიციებიდან.

აქედან გამომდინარე, ფახური ცალკე გამოყოფს მხოლოდ ორ თანხმოვანს *h*-ს და *g*-ს. რომლებიც განიციდიან სპირანტიზაციას და აღნიშნავს ამ ბგერათა ხშულებად წარმოქმნის რამდენსავე შემთხვევას: 1. სიტყვის დასაწყისში *b*, *d*, *g*, *l*, *men* ნაწილაკების შემდეგ: *bkipā*, *dgbjā*; 2. ანლაუტში თუ წინაშავალი სიტყვა *i*, *u*, *a*-ზე ბოლოვდება: *hi* *gbiā*, *li* *gbiā*; 3. *k* ხშულია ყოველთვის, როდესაც წარმოადგენს მხოლოდბოთა რიცხვის სახელებთან შერწყმულ ნაცვალსახელურ წყვილს: *ktābēk*, *ktābak*.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ევროპელ მკვლევართა მიერ (თ. ნოლდეკი, ს. ბროკელმანი, ა. დუვალი) სპეციალურად არ განიხილება ასოთა და ფონემათა მიმართების საკითხი სირიულში, მათთან გამოყოფილია „ბელადქეჟათის“ რიგის თანხმოვანთა სპირანტიზებული ვარიანტები და ე. წ. ბერძნული *p* (მკვეთრი *p*), რაც სირიელ ავტორებთანაც დასტურდება.

ახრთა სხვადასხვაობა შეინიშნება აგრეთვე ხმოვანთა გადმოცემის საკითხშიც. აღსანიშნავია, რომ ხმოვანთა ნიშნების ესა თუ ის სისტემა სირიულში რომელიმე გარკვეული პერიოდით არ შემოიფარგლება. მოგვიანო გრამატიკოსების თხზულებებში შეიძლება შევხვდეთ ხმოვნის ნიშნებს, რომლებიც მოცემულია ადრეულ ხელნაწერებშიც. საყურადღებოა, რომ მერვე საუკუნის გრამატიკოსებთან გვხვდება არა მხოლოდ იმ დროს გავრცელებული რვახმოვანი სისტემა, არამედ აგრეთვე ადრე მიღებული ექვს და შვიდ ხმოვნიანიც⁶.

ილია ნისიბინელი შენიშნავს, რომ აღმოსავლეთ (ნესტორიანულ) დამწერლობაში განარჩევენ შვიდ ხმოვანს მაშინ, როდესაც დასავლეთ სირიულა (იაკობიტური) გამოხატავს ხუთ ხმოვანს, ხოლო არაბული — სამს. ილია თირხანელი სირიულ დამწერლობაში ექვს ხმოვანს აღნიშნავს, ხოლო მე-12 საუკუნის გრამატიკოსი ბარ მალქონი რვა ხმოვნის ნიშანზე მიუთითებს, რაც დასტურდება მე-9 საუკუნის გრამატიკოსებთან.

როგორც უკვე აღინიშნა, იაკობ ედესელმა შექმნა ხმოვანთა ახალი შვიდნიშნიანი სისტემა, ხოლო ბარ ებრაია ხმოვანთა განხილვისას სირიულში ხუთ ხმოვანს ასახელებს და მას სამი ხმოვნის გრძელ ვარიანტს უმატებს.

ამრიგად, სირიული ბგერების სათანადო გრაფიკულ ნიშანთა სისტემა არ არის ერთნაირად წარმოდგენილი არა მარტო სხვადასხვა პერიოდის. არამედ ერთი პერიოდის ავტორებთანაც კი.

⁶ J. B. Segal, დასახ. შრ., გვ. 32.

განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ხმოვანთა და შესატყვის ასოთა კლასიფიკაცია არსენოს ვახუტის ტრაქტატში. ფახური, რომელიც თავის ცრამატიკას არაბული გრამატიკული სისტემის პრინციპებზე აგებს, ბარ ებრაიას მსგავსად სირიულში გამოყოფს ხუთ ხმოვანს და ხმოვნებისა და მათი გრაფიკული ნიშნების გამოსახატავად ხმარობს არაბულ გრამატიკაში მიღებულ ტერმინებს. სირიული ხმოვანთა სახელწოდებები P^hiāhā, R^hiāā, Z^hāqā, H^hiāā ფახურისათვის მხოლოდ სათანადო ნიშნების სახელწოდებებია. რაც შეეხება ხმოვან ბგერებს, მათთვის, ყველა სხვა სირიელ გრამატიკოსთან განსხვავებით, არაბულში დამკვიდრებულ ტერმინებს გეთავაზობს: a — ფათჰა, ā — რაფყი, e — ქესრა, i — ხაფდი, u — დამმა. აქ ყურადღებას იქცევს გრძელი „ა“-სათვის ტერმინ „რაფყის“ გამოყენება. როგორც ცნობილია, არაბულ გრამატიკულ ლიტერატურაში რაფყი გამოიყენება სახელობითი ბრუნვისა და თხრობითი კილოს გადმოსაცემად. სირიულში ბრუნვის ფორმები არ არის წარმოდგენილი. აქ დასტურდება status emphaticus-ā და ბოლოებით, რასაც ფახური სახელის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს და ამის გამო ამ ფორმას არაბულ სახელობით ბრუნვასთან აკავშირებს. ისიც უნდა ითქვას, რომ სირიულ დამწერლობაში გრძელი „ა“-ს ნიშანი გარკვეულად არ განირჩევა არაბული დამმასაგან, რაც სახელობითი ბრუნვის (მხ. რ.) ნიშანს გამოხატავს.

სირიული H^hiāā-ს აღსანიშნავად ფახური არაბული სახელის ნათესაობითი ბრუნვის ანალოგიით გეთავაზობს „ხაფდს“, ხოლო e ხმოვნისათვის „ქესრას“. ეს უნდა აიხსნებოდეს სირიულში i და e ხმოვნების ხშირი მონაცვლეობით (აღმოსავლეთ სირიულის e ხმოვანს დასავლეთ სირიულში i შეესატყვისება).

ხმოვანთა და მათ ნიშანთა ასეთ ტერმინოლოგიურ სწავობას ჩვენ არ ვხედებით არც ერთ სირიელ გრამატიკოსთან, მათთანაც კი, ვინც ფახურის მსგავსად თავის გრამატიკულ ტრაქტატს არაბულ სისტემაზე აგებს. ამდენად ხმოვანთა და მათ გრაფიკულ ნიშანთა ფახურისეული დაყოფა სირიული გრამატიკული აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ტ ის ი ა კ ა ხ ი ა ნ ი

ო რ ი ა რ ა ბ უ ლ ე ნ ო ვ ა ნ ი ს ა ფ ლ ა ვ ი ს ქ ე ის წ ა რ შ ი რ ის
შ ე ს ა ხ ე ბ

1963 წ. ბ. ძნელადის სახელობის პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კანინეტის ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მხარეთმცოდნეობის კანინეტის გამგე ი. მიქელაძე, სოფ. ვარდისუბნის (დმანისის რაიონი) ეკლესიის ეზოს ტერიტორიიდან ჩამოიტანა არაბულწარწერიანი ორი საფლავის ქვა. ქვები ამჟამად დატულია ნორჩ ხელოვნებისმცოდნეთა გამოფენის მასალებში¹.

ერთ-ერთი ქვა² ხუთწახნაგოვანი პრიზმული სტელაა (სიმაღლე 45 სმ, სიგანე 21 სმ, სისქე 21 სმ). წარწერები ამოკვეთილია ქვის ოთხ გვერდზე (ფასადის a, მოპირდაპირე b გვერდებზე და სამკუთხად ჩამოთლილი თავის c, d ღერდებზე). ქვას წარწერების ირგვლივ გასდევს აშია.

a გვერდის წარწერა თათქმის არ არის დაზიანებული და თავისუფლად იკითხება:

هذه القبر 1
المرحوم 2
بيرمزيد 3
بن قاصي 4
حسن بن 5
قاسم 6

a გვერდის წარწერას შემდეგნაირად ვთარგმნით:

- 1 ესე არს საფლავი
- 2 განსვენებულისა
- 3 ბირმაზიდ
- 4 იბნ კასი
- 5 ჰასან ბარ-
- 6 კასმ ჰუსეინისა

¹ აღნიშნული ძეგლების შესახებ ცნობა მოყვანოდა ი. მიქელაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასწავებთ.

² ნორჩ ხელოვნებისმცოდნეთა გამოფენის მასალების მიხედვით № 12.

b გვერდზე წარწერის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სტრიქონები შედარებით ბუნდოვანია, მშლიანად წარწერას ასეთი სახე აქვს:

- 1 توفى من
- 2 دار الدنيا
- 3 الى دار الا
- 4 خرة فى شهر
- 5 جمادى الاول
- 6 سنة سبع
- 7 وسبعين و سبعمائة

b გვერდის წარწერის თარგმანი შემდეგნაირად გამოიყურება:

- 1 გარდავიდა
- 2 ამ ქვეყნიდან
- 3 საიტი-
- 4 ოს თვესა
- 5 ჯუნდა 1-სა
- 6 წელსა შეიდა
- 7 და სამოცდაათსა და შვიდასსა

სტელის ზემოთა ორივე c და d ფერდებზე ამოკვეთილია $\text{ا}||\text{ا}$ —აღლაჰა.

მეორე ქვა³ მოგვძო ფორმისაა (სიგრძე 51 სმ, სიმაღლე 23 სმ, სისქე 11 სმ). ქვის ზემოთა ნაწილზე წარწერის მხარეს ჰორიზონტალური მიმართულებით გასდევს აშია. ქვაზე შემორჩენილია წარწერის ფრაგმენტი: ...ر ذو القعدة ل... როგორც ჩანს, القعدة -ს უძღოდა ش , მის წინ კი ეწერებოდა გარდაცვალებულ ალმნიშენელი რომელიმე სიტყვა, მაგ., توفى . القعدة -ის მომდევნო სიტყვები კ, ალბათ, თარიღს აღნიშნავდნენ. ამ ფრაგმენტის აღდგენა დაახლოებით ასე შეიძლება:

...[ق]ر ذو القعدة [ش]

წარწერის აღდგენილი ფრაგმენტის თარგმანი ასეთია:


[გარდავიდა თვე]სა ზუ-ლ-კაჯდასა წელსა...

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მოგვძო ქვას ჰქონდა სუთწახანაგოვანი თავი, რომლის წარწერაში გარდაცვლილის საკუთარი სახელი და საწყისი ან დამაბოლოებელი ფორმულა იკნებოდა ამოკვეთილი.

აღნიშნული ქვები⁴ მოყვანილობით მუსლიმური სასაფლაოსთვის დამაბასია-თებელი საფლავის ქვების ფორმისაა. წარწერები შინაარსით წარმოადგენენ ეპი-

³ ნორჩ ხლონებისმოცოდნეთა გამოფენის მასალების მიხედვით № 13.

⁴ საფლავის ქვები გათლილია მომწვანო ტუფისაგან. ქანების შემადგენლობა იგივეა, რაც იყო დმანისის ქვებში. ქვების პეტროგრაფიული აღწერა ჩაატარა გეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ო. დუდაურმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.



პლატა № 12, ბ კოფა




პლატა № 12, ა კოფა

ტაფეებს. ასოები რელიეფურია, ხელი--ნასხი. ამოკვეთის ტექნიკის მხრივ სრულყოფილებით გამოირჩევიან № 12 ქვის ა გვერდის და № 13 ქვის წარწერათა



ქვა № 12, c, d ფერდები



ქვა № 13

ასოები. № 12 ქვის ს გვერდის წარწერის ასოები შედარებით უფრო ულაზათოდ და დაუდევრად არის გამოყვანილი. ჩნდება ეკვი, ს გვერდი ნაკლებკვალიფიციური ოსტატის მიერ რომ არ არის ამოკვეთილი.

როგორც წესი, ჩვენ მიერ განხილულა წარწერებისათვის დამახასიათებელია მარცხნივ მოხრილობუნიანი | -ები. № 12 ქვის ს გვერდზე ამოკვეთილია სწორბუნიანი |
الـ | სიტყვაში (მეორე სტრიქონი). ამავე გვერდზე ყურადღება მიიქცია სოლი-
სებრბუნიანმა | -ებმა და | -ებმა آخره (მესამე, მეოთხე, სტრიქონები) და الـ
(მეხუთე სტრიქონი) სიტყვებში. ლიგატურა | -ის ბუნები آخره სიტყვაში კუთ-
ხეს ჰქმნიან⁵.

კუთხეს ჰქმნიან მარცხნივ გადაბმული | -ს შემადგენელი ბუნები المرحوم
(ა გვერდის მეორე სტრიქონი), حـ (იმავე გვერდის მეხუთე სტრიქონი) და
حيز (იმავე გვერდის მეექვსე სტრიქონი) სიტყვებში⁶.

წარწერებში ამოკვეთილი | და | ასოები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა.
გამოირჩევა ს გვერდის ასო |, რომლის შემადგენელი ხაზები მობრუნებისას მა-
ხვილ კუთხეს ჰქმნიან, განსაკუთრებით, | (მესამე სტრიქონი) და | (№ 13 ქვა)
სიტყვებში. მარცხნივ მოხრილი | -ის ფორმისაა სიტყვა | -ის (№ 12 ქვის | გვერ-
დის პირველი სტრიქონი) ასო | და სიტყვა | -ის (№ 13 ქვა) ასო |. ამავე
სიტყვებში | და | ასოებისათვის მკრელებს მიუნიჭებიათ დეკორატიული დანიშ-
ნულება⁷.

წარწერებში შეინიშნება გამოზნეტილობუნიანი |, რომელიც ბოლოში კაუქის
ფორმას იღებს المرحوم სიტყვაში (№ 12 ქვის | გვერდის მეორე სტრიქონი),
დახრილობუნიანი |, რომელიც ბოლოში მომრგვალებულია | სიტყვაში (ამავე
გვერდის მეხუთე, მეექვსე სტრიქონები) და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ასო
|, რომელთა ბუნის მუხლი მოხრილია | (ამავე გვერდის მესამე სტრიქონი)
და | სიტყვებში (ს გვერდის მესამე, მეოთხე სტრიქონები). ამავე ტიპს განე-
კუთვნება | ასო | სიტყვაში (ა გვერდის მესამე სტრიქონი)⁸.

თავისი მოხაზულობით გამოირჩევა ასო |, რომელიც ტეხილი ხაზებისაგან
შედგება | სიტყვაში (12 ქვის | გვერდის მესამე სტრიქონი) და ორმხრივ
გადაბმული |, რომელიც სწორი ხაზით აღინიშნება |, | სიტყვებში
(ა გვერდის მესამე, მეხუთე სტრიქონები)⁹.

დაკბილული | -ის პარალელურად იხმარება უკბილო | სიტყვაში
(№ 13 ქვა)¹⁰.

ასოთა პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ
ჩვენ მიერ განხილულ ასოთა მოხაზულობა უმეტეს შემთხვევაში დამახასიათებე-
ლია XIII-XIV საუკუნეების დმანისის არაბული წარწერებისათვის.

ამჟამად შესწავლილ წარწერებში № 12 ქვის წარწერის თარიღი—777 წე-
ლია პიჯრით (ჩე. წ. 1375-1376 წწ).

ეპიტაფიების შინაარსი ისეთივე მარტივი და ტრადიციულია, როგორც
ყო ჩვენ მიერ გამოკვლევებულ დმანისის არაბულენოვან წარწერებში.

⁵ ანალოგიურ მოხაზულობას | -ები და | -ები გვხვდება ჩვენ მიერ გამოკვლევებულ ნაწილში
| -ის არაბული წარწერები“. თბ., 1965, იხ., მაგ., №№ 14, 4, 11 წარწერები.

⁶ იხ. იქვე, № 34 წარწერა.

⁷ იხ. იქვე, №№ 19, 16ა, 53 წარწერები.

⁸ იხ. იქვე, №№ 42, 31, 14, 29ა წარწერები.

⁹ იხ. იქვე, №№ 18, 43ა წარწერები.

¹⁰ იხ. იქვე, № 15 წარწერა.

წარწერაში მოხსენიებულ ბრძანში იხსენიება კანდიდატის ბარაკ ჰუსეინის ეთნიკური წარმოშობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ ტექსტში არაფერია აღნიშნული.

ამ წარწერებშიც იგივე მაგალითებია კლასიკური არაბული ენის ორთოგრაფიულ-გრამატიკული ნორმების დარღვევისა, როგორც დმანისის არაბულენოვან წარწერებში, მაგ., № 12 ქვის გვერდის წარწერაში ამოკვეთილია القبر, უნდა იყოს قبر, რადგან განსაზღვრულია მომდევნო المرحوم-ით. არის შემთხვევები, როდესაც დარღვეულია შეთანხმება სქესში: ამავე გვერდზე ნახმარია جمادی الاولى ნაცვლად جمادی الاولى-სი (უადგილო ადგილას არის ამოკვეთილი ასო ا جمادی-ში, წერია جمادی). ამავე გვერდზე წერია القبر هذه. უნდა ეწეროს قبر هذا. № 13 ქვის წარწერაში القعدة-ის მაგივრად უნდა იყოს القعدة ذى, რადგან მთელი კონსტრუქცია გენტივშია. ამავე მიზეზით القعدة-ის ة-ს შემდეგ ფაქტას მაგივრად უნდა იყოს ქესრა.

როგორც ვნახეთ, საფლავის ქვების მოყვანილობა, ქანების შემადგენლობა, ეპიტაფიების შინაარსი, ეპოქა, ასოთა მოხაზულობა, ტექსტში დაშვებული შეცდომები ანალოგიურია ჩვენ მიერ აღრე შესწავლილი დმანისის არაბული წარწერებისა. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ სოფ. ვარდისუბანში ნაპოვნი არაბულენოვანი წარწერები დმანისიდან უნდა იყოს წამოღებული (შესაძლებელია, საშენ განსაღად იყო გამოყენებული), მითუმეტეს, სოფ. ვარდისუბანი სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული დმანისის ნაქალაქარსა და გარეუბნის მუსლიმურ სასაფლაოს.

დმანისის ეპიტაფიებში ყველაზე გვიანდელად ჩვენ მიერ მიჩნეულია 1971 წ. დმანისის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ვ. ჯაფარიძე) გათხრილ № 4 აკლდამაში გამოვლენილი ჰაჯრის 766 წლის (ჩვ. წ. 1364-1365 წწ.) წარწერა. ამჟამად შესწავლილია № 12 წარწერა 777 წლისა ჰაჯრით (ჩვ. წ. 1375-1376 წწ.) აფართოვებს ამ ტერიტორიაზე არაბულენოვანი ეპიგრაფიული ძეგლების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

(წარმო... აქრთველ... სსრ მეცნიერებათა
...ელემენტოვანი ისტორიკოსი.)

Л. Г. НУЦУБИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ СЕМАНТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ АНГЛИЙСКИХ
КОНСТРУКЦИЙ ACCUSATIVE WITH THE INFINITIVE И
ACCUSATIVE WITH THE PARTICIPLE I.

Цель предлагаемой работы — дать такое описание конструкций Accusative with the Infinitive и Accusative with the Participle I, которое предсказало бы особенности употребления этих языковых единиц в речи (в той степени, в какой это употребление зависит от знания языка, а не от знания денотативной ситуации). В данной статье делается также попытка сравнить семантические признаки анализируемых конструкций со значением русского придаточного дополнительного предложения, вводимого союзами *что* и *как*, с помощью которых чаще всего переводятся конструкции Accusative with the Infinitive и Accusative with the Participle I.

Значение слова в данной работе отождествляется с той знаковой информацией, которую получит человек, владеющий языком, при восприятии означаемого слова, представленного в звуковой или графической форме, а также при мысленной речи — в их психическом корреляте. Под знаковой информацией понимается такая информация, которую лексема (звуковая оболочка) передает о денотеате слова или вообще о денотативной ситуации, а не о себе самой¹.

Таким образом, задача нашего исследования состоит в определении информации, заключенной в данных языковых единицах; в разграничении слова и денотативной ситуации, обозначенной этим словом; в установлении стилистической и экспрессивной характеристики анализируемых языковых единиц.

Для достижения поставленной цели мы использовали метод исследования, названный Л. В. Щербой применением эксперимента в языкознании. Для проведения исследования этим методом необходимо обработать имеющийся языковой материал, выдвинуть гипотезы об информации, передаваемой анализируемыми языковыми единицами и проверить правильность выдвинутых гипотез с помощью информантов².

Десять опрошенных информантов были жителями Англии и Америки; из них один информант — англичанка в данное время проживает в Советском Союзе.

В лингвистической литературе уже высказывались различные предположения о тех признаках, которые определяют различие между

¹ О. Н. Селиверстова. Значение слова и информации (коллективная монография). Глава 2, § 1. Теория речевой деятельности, М., 1968, стр. 136; O. N. Seliverstova — Deixis and Semantic Analysis Acta Linguistica Scientiarum Hungaricae Tomus 18 (3-4), Budapest, 1968, стр. 275.

² Л. В. Щерба, О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании, История языкознания 19-20 вв., ч. 2, М., 1965, стр. 306.

конструкциями Accusative with the Infinitive и Accusative with the Participle I.

Так, Г. Свит видит разницу между предложениями I saw him come и I saw him coming в том, что в первом случае акцентируется внимание на факте осуществления действия, напротив, выбор конструкции с причастием I придает предложению более описательный характер³.

Более подробно разбирает различие между анализируемыми конструкциями Г. Поутсма. Он полагает, что говорящий выбирает конструкцию с причастием I, когда он хочет представить длительный аспект действия. При этом Г. Поутсма приводит много примеров, которые помогают угадать различие между предложениями, построенными с причастием или, напротив, инфинитивной конструкцией, однако остается неясным, существенно ли только продолжительность действия, выраженного причастием, или же важен период его наблюдения, восприятия депотатом подлежащего. Г. Поутсма также отмечает, что инфинитивная конструкция указывает на завершенность действия. При этом, однако, он не говорит, в каких именно условиях реализуется информация о завершенности действия. Не ясна также роль признака «акцентирование внимания на субъекте действия в отличие от самого действия», который Г. Поутсма приписывает инфинитивной конструкции⁴.

Анализ рассматриваемых конструкций в других лингвистических работах близок к описанию, предложенному Г. Поутсмой⁵.

На основании проведенного исследования мы пришли к выводу, что конструкция с причастием I несет информацию: а) либо о том, что объектом наблюдения становится отдельный момент протекания действия (т. е. одна из точек, которая лежит на отрезке, изображавшем период протекания действия), б) либо о том, что объектом наблюдения горящего становится отдельный период протекания действия (несущественно, завершилось действие или нет).

Напротив, конструкция с инфинитивом сообщает: а) либо о том, что объектом восприятия депотата подлежащего главного состава предложения стало действие, которое завершилось в момент восприятия, б) либо инфинитивная конструкция не передает информацию о том, воспринимается ли момент завершения действия или нет.

Таким образом, полученный результат не является совершенно новым. Однако он вносит некоторые уточнения в существующие представления о различии между инфинитивом и причастием I.

В лингвистической литературе указывается, что инфинитивная конструкция в отличие от причастной сообщает о завершенности действия. В данной работе дополняется описание признака «завершенности-незавершенности»: указывается, в каких именно условиях речи реализуется данное противопоставление. (См. об этом ниже).

³ H. Sweet, A New English Grammar Logical and Historical, part. 2, Syntax, Oxford, 1931, стр. 123.

⁴ H. Poetsma, A Grammar of Late Modern English, part. I, The Sentence, Noordhoff-Groningen, 1928, стр. 986.

⁵ E. Kruijsinga, A Handbook of Present-Day English, Syntax, Noordhoff, part 2, v. I, 1931, стр. 239-252; M. Mincoff, An English Grammar, Sofia, 1958, стр. 239; G. Scheurweghs, Present-Day English, Syntax, London, 1961, стр. 243; Г. А. Резникова, Видовая дифференциация неличных форм глагола в современном английском языке, МОПИ им. Н. Крупин: Уч. Зап., Труды каф. ин. яз., том LXIV, 1958, стр. 361.

Англичане полагают, что причастная конструкция представляет описываемое действие как длящееся, развивающееся во времени. В данной работе получено следующее уточнение предложенного ранее определения: показано, что и причастная и инфинитивная конструкции характеризуют действие, обозначенное глагольной лексемой сложного дополнения, не сами по себе, а через их отношение к моменту наблюдения, восприятия; а именно: причастная конструкция сообщает не о длительном характере выраженного причастием действия, а о том, что объектом восприятия стало: а) либо действие, которое не было завершено в момент восприятия, б) либо объектом восприятия стал период протекания действия. Эта информация очевидно предполагает длительность самого наблюдения действия (если момент наблюдения не совпадает с моментом завершения действия, значит продолжительность действия равна отрезку, а не точке на временной оси).

Однако представление о длительном характере протекания действия выступает как следствие информации, заключенной в причастной конструкции, и не составляет достаточного условия для выбора этой конструкции: если скажем, говорящий хочет сообщить о том, что он наблюдал момент завершения действия, он выберет инфинитивную конструкцию даже в том случае, когда в контексте есть прямое указание продолжительности описываемого действия.

Кроме того, при исследовании той или иной языковой единицы выделение признака о факте осуществления действия, если этот признак характеризует анализируемую форму, недостаточно; в зависимости от того, чему именно противопоставлена форма, сообщающая о факте осуществления действия, она фактически получает разное наполнение (конкретное содержание), несет разную информацию.

В данном случае, противопоставляя инфинитивную конструкцию причастной, признак «факт восприятия данного действия» не характеризуется с точки зрения того, было ли оно завершено во время восприятия или нет. Сообщается только о том, что восприятие действия данного типа имело место, т. е. не сообщается о том, имело ли место восприятие периода протекания действия.

Постараемся показать, что выделенная информация объясняет особенности употребления конструкции с инфинитивом и с причастием I.

Если конструкция с причастием I вносит информацию о том, что объектом восприятия стал один из моментов протекания действия или же, — если само наблюдение над действием продолжалось некоторое время, — эта конструкция не может быть употреблена для описания такого действия, которое не ассоциируется с представлением о продолжительности его протекания во времени. Действительно, среди примеров, описывающих действия, которые не характеризуются как продолжительные, мы находим только конструкции с инфинитивом. Например: 1) *He heard the truck crash into the wall*°; 2) *I felt someone step on my toe*; 3) *...this was the instant he saw the youth stop dead in his tracks.* (D. Carter, *Fatherless Sons*, 1957, стр. 45).

Частным случаем таких действий, не связанных с представлением во времени, является мгновенное действие. Под мгновенным действием мы понимаем такое действие, время протекания которого можно считать равным точке на временной оси, а не отрезку. Действительно, при

° Правильность примеров, взятых из художественной литературы, была проверена с помощью информантов.

глаголах *stop, start, crash, step* и др., когда последние обозначают мгновенное действие (см. об этом ниже), в встретившихся примерах употребляется только конструкция с инфинитивом. Например: 1) *I heard a car stop and then the sound of some one splashing after us over the soggy ground.* (F. S. Fitzgerald, *The Great Gatsby*, 1953, стр. 175), 2) *I saw him spring off the wagon just as it stopped.*

Информанты считали предложения с причастной конструкцией при глаголах, обычно обозначающих мгновенное действие, не совсем обычными, странными. Оценку подобных предложений как странных, необычных, а не просто неправильных, можно объяснить тем, что не существует четкой границы между глаголами, обозначающими мгновенное и немгновенное действие. Так, хотя глагол *stop* как правило осмысливается как слово, описывающее мгновенное действие, в некоторых ситуациях может быть понят как обозначающий действие, имеющее некоторую временную длительность. Отсюда возникает потенциальная возможность употребления этих глаголов, или по крайней мере некоторых из них, в причастной конструкции. Однако такие случаи будут носить окказиональный характер. Например: *As I looked out of the garden I heard a motor truck starting on the road.* (E. Hemingway, *A Farewell to Arms*, 1957, стр. 15).

Кроме того, существуют глаголы, которые обозначают так называемые многоактные действия. Если эти глаголы обозначают отдельный акт такого действия, то они воспринимаются как мгновенные и могут использоваться только в конструкции с инфинитивом. Например: 1) *He swallowed and I saw Adam's apple go up and down.* (E. Hemingway, *A Farewell to Arms*, стр. 159) 2) *The boy watched him chop the og in two;* 3) *I saw him strike out with his left fist and hit his adversary's left eye and then his beautiful Roman Nose.*

При описании многоактности этих действий анализируемые глаголы ведут себя так же, как и все остальные глаголы, которые обозначают немгновенные действия, продолжительность которых равна отрезку, а не точке на временной оси.

Немгновенные действия могут описываться обеими анализируемыми конструкциями, что согласуется с предложенным нами определением.

Рассмотрим сначала употребление анализируемых конструкций в описательном стиле речи при терминальных глаголах (о понимании описательного стиля речи см. ниже).

Следует отметить, что не существует четкой границы между терминальными и нетерминальными глаголами. Так, глагол *hammer* — нетерминальный, а в сочетании *hammer in* предполагает наличие некоторого «логического» конца. Как показал опрос информаторов, выбор инфинитивной конструкции в рассматриваемых условиях приводит к появлению информации о завершении терминального действия в момент наблюдения, восприятия. Например: 1) *Horace saw Snopes enter the waiting room.* (W. Faulkner, *Sanctuary*, 1967, стр. 142); 2) *She stood still a moment, listening, and at last she heard Casper Goodwood walk out of the sitting-room and close the door behind him.* (H. James, *The Portrait of a Lady*, 1961, стр. 155); 3) *After a while he saw Goodwin come to the back door...* (W. Faulkner *Sanctuary*, стр. 81).

Употребление причастной конструкции при терминальных глаголах будет указывать на то, что объектом восприятия денотата подлежащего главного состава предложения был момент (но не момент завершения действия) или период в осуществлении данного действия. Например: 1) *She whirled and ran out of the door and saw Gowan going down the hill towards the barn.* (W. Faulkner, *Sanctuary*, стр. 42); 2) *Restlessly pacing the floor of the big kitchen Dave frowned as he saw Dan leaving.* (D. Carter, *Fatherless Sons*, стр. 62); 3) *I saw Catherine Barkley coming down the hall, and stood up.* (E. Hemingway, *A Farewell to Arms*, стр. 29).

Интересно заметить, что информация о завершении действия, содержащаяся в инфинитивной конструкции, способствует употреблению глаголов *to stand* и *to sit* в рамках этой конструкции в терминальном значении, тождественном значению сочетаний *to stand up* и *to sit down*. Например, предложения *I saw him sit* и *I saw him stand* могут употребляться для передачи информации о том, что автор речи сел или встал (соответственно).

Таким образом, в рассматриваемых условиях четко прослеживается противоположность анализируемых глаголов по признаку «завершенности-незавершенности» наблюдаемого действия в момент или период его наблюдения.

Информация о продолжительности акта наблюдения не влияет непосредственно на выбор той или иной конструкции. Однако, по-видимому, от нее может зависеть представление о том, завершилось ли действие в тот момент времени, с которым оно сопоставляется, или нет. Так, если предложение сообщает о том, что имело место в момент его «фиксации» воспринимающим субъектом, в этом предложении будет употреблена причастная конструкция, даже если из последующего текста можно понять, что действие завершилось в следующий за этим моментом период наблюдения или восприятия. Напротив, если цель высказывания — передать информацию о том, что происходило в течение периода наблюдения, восприятия и, если в течение этого времени действие завершилось, будет выбрана инфинитивная конструкция. Ср., например, следующие предложения *When I looked there I saw a stag swimming across the river* (в тот момент, когда автор речи посмотрел, олень переплывал реку; действие не завершилось) и *I watched the stag swim across the river* (действие завершилось в период наблюдения). Поскольку действие завершается в период его наблюдения, а не в самый момент «фиксации», при глаголах типа *to watch* чаще всего встречается инфинитивная конструкция. Например: 1) *I watched it get dark outside over the roofs of the town.* (E. Hemingway, *A Farewell to Arms*, стр. 87); 2) *We sat in the boat and watched the lock fill up with water. Then the lock keeper opened the gate and we rowed out.*

Напротив, если автор не хочет передать информацию о том, что действие обязательно завершается в пределах данного отрезка времени, он выбирает конструкцию с причастием I. Например: 1) *I heard her singing while she was taking a bath*; 2) *I heard her dusting the furniture when I was in the adjoining room.*

При нетерминальных глаголах инфинитивная конструкция, повидному, передает не только информацию о том, что объектом наблюдения, восприятия стал момент завершения действия, но и о том, что действие в целом было кратковременным (оно началось и завершилось в момент наблюдения). Напротив, причастная конструкция сообщает о том, что действие началось и скорее всего будет продолжаться после момента его «фиксации» воспринимающим субъектом; например: *We heard the dog barking loudly, and ran to the place as quick as we could. The next moment we again heard the dog bark and when we came up to him...*⁷ Употребление причастной конструкции в первом предложении указывает, что действие началось до момента восприятия и, возможно, продолжалось какое-то время в течение периода восприятия. Напротив, употребление инфинитивной конструкции в последующем тексте свидетельствует о том, что речь идет о кратковременном, мгновенном действии (действие началось и завершилось в тот момент, когда оно было зафиксировано).

Ср. также следующие примеры. 1) *They said they saw the flames sweep rapidly through the ground floor restaurant and engulf the building;* 2) *We saw the flames spreading through the ground floor and flaring up higher and higher until the whole building was ablaze in flames.* По утверждению информантов первое предложение передает информацию о быстроте развития событий, напротив, второе предложение предполагает продолжительность действий, обозначенных причастием 1.

Представление о кратковременности или быстроте смены действий возникает, повидному, только в тех случаях, когда нет явного указания на продолжительность акта наблюдения.

Итак, было показано, что инфинитивная конструкция вносит информацию о том, что объектом восприятия денотата подлежащего главного состава предложения стало действие которое завершилось в тот момент, когда происходит восприятие действия, или в тот период, в течение которого длится восприятие действия.

При терминальных глаголах и при отсутствии указания на продолжительность акта наблюдения, восприятия возникает также информация об общей кратковременности этого действия.

Напротив, причастная конструкция не сообщает о том, что объектом восприятия стал момент завершения действия. Она вносит информацию о том, что действие имело место в момент или период его восприятия денотатом подлежащего (т. е., возможно, действие происходило и до этого времени и, возможно, будет иметь место после него).

Рассмотренные выше случаи относятся к описательному стилю речи: а именно: говорящий либо описывает то, что непосредственно происходит перед его глазами в момент речи, либо пытается воссоздать картину протекания действия, а не просто сообщает о факте осуществления того или иного действия.

В других стилях речи использование конструкции с инфинитивом обязательно свидетельствует о том, что денотат подлежащего наблюдал, видел, слышал и т. д. момент завершения действия. Инфинитивная конструкция выбирается, когда говорящий хочет сообщить о том, что объектом восприятия стало действие данного типа.

⁷ Пример взят из указ. соч. Е. Крейзинга, стр. 248.

Так, действие будет описано безотносительно к моменту завершения-протекания, если цель высказывания — сообщить, имел ли место акт наблюдения, восприятия действия данного типа (эти высказывания как бы служат ответом на явное или неявное предположение о том, что акт наблюдения, восприятия не имел места). Например: *He saw Popeye return to the kitchen but he didn't follow him at once.* (W. Faulkner, *Sanctuary*, стр. 63). По утверждению информантов данное предложение необязательно предполагает завершённость действия. Выбор инфинитивной конструкции можно объяснить желанием автора речи подчеркнуть, что акт восприятия имел место, несмотря на то, что он не привел к ожидаемым последствиям.

Интересно отметить, что в отрицательных предложениях, в которых чаще встречается инфинитивная конструкция, говорящему важно обычно указать, на то, что акт наблюдения не имел места, а не то, именно не стало объектом наблюдения в определенный момент времени. Например: 1) *Of course, you've never heard me sing*, he said. (E. Hemingway, *A Farewell to Arms*, стр. 126); 2) *Do you know*, he added, *that I've never heard her mention his name*? (James, *The Portrait of a Lady*, стр. 120).

Естественно, что событие описывается безотносительно к признаку «завершения-протекания» в тех случаях, когда цель высказывания — сообщить не о том, что стало объектом восприятия, а о том, как часто имело место восприятие данного события. Например, только инфинитивная конструкция может стоять в контексте *What do you think of my sister's singing?*, *I had rather not give my opinion, because this is the first time I have ever heard your sister sing*. В данном примере предполагается заранее известным, что именно стало объектом восприятия. В высказываниях, описывающих многократное действие, вообще предполагается употребление инфинитивной конструкции, даже если цель речи — сообщить не только о том, как часто имеет место акт наблюдения, но и том, что становится при этом объектом наблюдения, восприятия. Например: 1) *I often hear her sing*; 2) *I've often seen him sleep on the couch after dinner*. При описании многократного действия важно указать на то, какое именно действие становится объектом восприятия, а не передать информацию о том, наблюдается ли момент завершения или протекания. Однако, если говорящий все-таки хочет сообщить о существовании таких моментов времени, в течение которых объектом восприятия было протекание некоторого действия, он выберет причастную конструкцию. Ср., например, следующие предложения *I have often seen artists paint their own portraits* и *I often saw artists painting their own portraits*. Первое предложение сообщает о том, что акт наблюдения события данного типа имел место, а второе предложение показывает, что были такие моменты или отрезки времени, в течение которых объектом наблюдения денотата подлежащего было протекание действия данного типа.

Речевые условия не всегда однозначно определяют выбор той или иной конструкции. Вследствие этого часто возможна взаимозамена

* Пример взят из указ. соч. Г. Поутема, стр. 986.

причастной и инфинитивной конструкции при условии, что описывается действие не завершённое в момент восприятия. Например, можно сказать: I heard a telephone ring (т. е. объектом восприятия стало действие данного типа, независимо завершилось оно в момент восприятия или нет) и I heard a telephone ringing (т. е. объектом восприятия стал момент протекания данного действия). Следует подчеркнуть, что возможность взаимозамены не свидетельствует о том, что значение анализируемых конструкций тождественно. Эта возможность определяется допустимостью разного семантического значения соответствующей ситуации.

В лингвистической литературе уже отмечалась зависимость выбора инфинитивной и причастной конструкций от типа высказывания. Однако характер этой зависимости определялся несколько иначе. Так,

Поутема считал, что в причастной конструкции акцентируется внимание на субъекте действия, а в инфинитивной — на самом действии⁹.

Мы полагаем, что выбор причастной конструкции не зависит от того стоит ли в центре внимания субъект действия или нет. Действительно, причастная конструкция очень часто встречается в контекстах, в которых логическое ударение падает на само действие, а не на его субъект, инфинитивная конструкция — в контекстах, в которых акцентируется внимание на субъекте действия: Например: 1) "Do you know what Mary is doing now?" "I think she is probably playing tennis. I saw her going out with her racket as I came in"; 2) "Was that Tennison singing on T. V. just now?" "I don't know. I have never heard him sing".

На рассматриваемую разницу обращал, по-видимому, внимание и Г. Свиг, когда он писал, что предложение I saw him coming более описательно по сравнению с предложением I saw him come, которое представляет собой по существу утверждение голого факта¹⁰. Это замечает

Г. Свиг, однако, недостаточно для установления различия анализируемых конструкций. В частности, Г. Свиг не раскрывает понятие большей или меньшей описательности высказывания. Если при этом предполагается принадлежность высказывания к описательному стилю речи, то данное значение вообще неверно, поскольку, как было показано выше, и инфинитивная и причастная конструкция могут встречаться в описательном стиле речи.

Итак, в данной работе было показано, что в описательном стиле речи различие между инфинитивной и причастной конструкцией определяется признаком «завершённости-незавершённости» действия: инфинитивная конструкция сообщает о том, что объектом наблюдения, восприятия стал момент завершения действия. Напротив, причастная конструкция вносит информацию о том, что объект восприятия — период или отдельный момент в протекании действия, причем не момент завершения (действие началось до его восприятия и, скорее всего, будет продолжаться после).

Было также показано, что в других стилях речи инфинитивная конструкция не сообщает о том, что денотат подлежащего обязательно видел, наблюдал и т. д. момент завершения действия. В этих условиях противопоставленность анализируемых конструкций определяется тем, передается ли информация о самом факте восприятия действия того

⁹ См. указ. соч., стр. 986.

¹⁰ H. Sweet, стр. 123.

или иного типа, без указания на завершенность или незавершенность этого действия. Напротив, причастная конструкция выбирается в предложениях, цель которых — передать информацию о том, что в описываемый момент времени, объектом наблюдения, восприятия стал момент или период протекания действия.

В данной работе также показано, что в других речевых условиях инфинитивная конструкция выбирается, если речь идет о том, имел или не имел место акт восприятия, наблюдения описываемого действия или, как часто он имел место. Выбор этой конструкции не зависит от того, стоит ли в центре внимания само действие или субъект действия, как это утверждается в некоторых грамматиках английского языка.

Соответствие выделенных признаков действительности было проверено через способность объяснить и предсказать многочисленные особенности употребления анализируемых конструкций, в частности запреты на их употребления. Такая проверка полученных результатов, во всяком случае в явном и относительно полном виде, не проводилась в предыдущих работах, рассматривающих анализируемые конструкции.

(Представил академик
АН Грузинской ССР Т. Гамкрелдзе)

ცნობები და შენიშვნები

და ზაქარიაძე

მეხსივეილთა ქალიგრაფიული სკოლა და მისი
ერთ-ერთი წარმომადგენელი — სოლომონ მეხსივეილი

ბევრი ქართული ხელნაწერი შემკვლავების დაცვა და გამრავლება-გავრცელება ქართველ კალიგრაფთა დამსახურებაა. ქართულ ხელნაწერ წიგნებზე შემორჩენილი ანდერძი-მინაწერები მათ შესახებ მრავალ სინტერესო ცნობას გვაწოდებს. ერთნაირი კულტურის ამ მესვეურთა დაუზოგავი შრომისა და მათი მშობლიური ლიტერატურის დიდი სიყვარულის შედეგად ქართულმა ხელნაწერებმა, ნიუ-იორკად მრავალი განსაცდელისა, ჩვენამდე მოაღწია. ამიტომ ამ პირთა დეაქლის აღნუსხვა, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სათანადოდ შესწავლა უდავოდ საპირო საქმეა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ გადაწერთა მოღვაწეობა ჩრდილოეთით ნაკლებად არის შესწავლილი. ეს სარგისი ქართულ პრესაში ჯერ კიდევ წინა საუკუნეში აღინიშნა: სურგულია, რომ თათო გადაწერლის ნაწერები ერთად შეგროვდეს, კატალოგები (სახები) გაუყეთდეს და ჩვენს ეურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდეს. ამასთანავე სასარგებლო იქნება, რომ მწიგნობარ-გადაწერის ცხოვრების ამბავი შეგროვდეს და იბეჭდებოდეს¹.

იყავდნენ რა განადგურებისაგან ბევრ ხელნაწერებს. ქართველი მწიგნობრები ამავე დროს ამრავლებდნენ ნუსხებს. ისინი „იმისთანა უსტამბობის დროს ერთად ერთნი გამაერცელებელნი იყვნენ მწიგნობრობისა“².

გადაწერნი, იმავე დროს, მთარგმნელობით და შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდნენ. მწიგნობარ-კალიგრაფი ხელნაწერის უბრალოდ გადაწერით არ იფარგლებოდა. გადაწერისას იგი ასწორებდა ტექსტს. ხვეწდა, ზოგჯერ სინტერესო და საგულისხმო შენიშვნებს ურთავდა, ნათარგმნ ნაწარმოებს თავის მხრივ კიდევ უღარებდა დედანს. ასე რომ, გადაწერი ხელნაწერის გამმართავიც იყო. ბევრ ქართულ ხელნაწერებზე შემორჩენილი მინაწერები მოგვიტანს გარდაწერთა შრომითი საქმიანობის შესახებ. ამ მხრივ სინტერესოა 1730 წლის ხელნაწერი კრებულის (Q—167) ამიგებზე გადაწერ-მთარგმნელის — ნიკოლოზ ორბელიანის მიერ გაკეთებული შენიშვნები: „ეს რუსულსა არ ემოწნა და მე დედას მიკყევი, მე რა ვქნა“ (32r), „არცა აქ ეწამა რუსულსა“ (38r). ამგვარი მინაწერები ნათლად გვიჩვენებენ, რომ კალიგრაფი, ზოგჯერ ხელნაწერის რედაქტორიც იყო. იმავე ნიკოლოზ ორბელიანს გაუცხოველებია XIII საუკუნის ხელნაწერი — „კათილორია“, ფილო-

¹ პ. უმიკაშვილი, გადაწერულ ქართულ წიგნებისა დათო რექტორი, „ეპერა“, 1877, № 39, გვ. 10.

² იქვე, გვ. 8.

სოფიურ ნაშრომთა კრებული (S--2574). ხელნაწერზე დართულ ანდერძში გვათხვლებთ: მოვიშოვე კათალიკია ესე, კეთილად განაზარძნობელი და თვალთა გულსათა აღმხილველი მკითხველთა, დაძველებული და გარდასრული. აწ კელითა ჩემ ცოდვილსადათა მოეცახოველე და ნაკული შევასრულებინე. ვინც იხილიდეთ, შენდობას მიბრძანებდეთ ღმრთის სიყუარულსათვის. რამეთუ ფრიადი ჰირი ვნახე ამის კეთებაზედ“ (1r).

გადამწერის შრომაზე მოგვითხრობს ე. წ. „პარხლის ოთხთავის“ (A—1453) ანდერძი: „ხველად ნაწერი მგრელოვანი ესე წმიდაა სახარებაჲ კვალად გაემუქლე სათვალავით და საძიებლითურთ“ (259 v). ასევე XIII ს. ოთხთავის (A—1459) გადამწერი თავის ანდერძში წერს: „ღმერთმან იყის, ამისებრი ოთხთავი ქართლს არა ძეს და უმართლესი ამისისა სიკეთისათჳს ესთენი მოვიკირვე, რომელ ორსა წელსა ვწერე და ვამოწმე ქართულთა ოთხთავთა სიკეთისათჳს“ (140v).

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები მრავალ საინტერესო და საპირო ცნობას გვაწვდის ხელნაწერის გადამწერისა თუ შემმოსველის, გამმართავისა, თუ დამკვეთის შესახებ. მათი საშუალებით ვეცნობით ისტორიულ პირთა ცხოვრების რომელიმე საყურადღებო მოწინეს, ზოგიერთ საგვარეულოთა გენეალოგიას და სხვ. ანტონაძე, „როგორც პალეოგრაფისათვის, ისევე ფილოლოგის-ისტორიკოსისათვის ანდერძების ცნობებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველთვის ყურადღებით უნდა იქნენ შესწავლილი“³.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით ირკვევა, რომ საქართველოში გადამწერლობა ზოგიერ ძირითადი თუ არა, დამხმარე საარსებო წყარო იყო. უთუოდ საფასურით გადაწერა ხელს უწყობდა გადამწერლობის პროფესიად გადაქცევას. განსწავლული და მაღალკვალიფიციური კალიგრაფი თავის ცოდნასა და გამოცდილებას შეილებსა და შეილიშვილებს გადასცემდა. ასე რომ, მწიგნობრობა და გადამწერლობა ხშირად ოჯახის ტრადიციად იქცეოდა ხოლმე. ასეთი იყო საქართველოში ჩაჩიკაშვილთა, მესხიშვილთა, ბედისმწერლის-შვილთა და სხვა მწიგნობარ-კალიგრაფთა ოჯახები. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მესხიშვილთა ოჯახის საქმიანობა: „მესხიშვილთა გვარამა... მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყვეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას“⁴. სამოღვაწეო ასპარეზზე მესხიშვილები მე-17 საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ. ისინი იყვნენ შესანიშნავი კალიგრაფები, ხელნაწერთა მომხატვანი, მთარგმნელები. ხელნაწერთა გამმართავნი, პოეტები და ამავე დროს მდიდარი და საინტერესო კერძო წიგნსაცავის მფლობელები. ამ ოჯახის პირობებმა წევრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერის კულტურულ ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მესხიშვილები თავის ხელოვნებას არა მარტო ოჯახის წევრებს — შეილებსა და შეილიშვილებს გადასცემდნენ, არამედ სხვებსაც. მათი ოჯახი იყო კერა, რომელშიაც ოსტატებოდნენ კალიგრაფ-მომხატვანი: «მესხიშვილებთანვე აღზრდილი ყოფილა კარის მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი. ანანურის ტაძრის მომხატვათ, რომელსაც არა ერთი წიგნი შეუმკია „მხატვრობებითა მშვენიერად ნახატითა, ოქროსა და ვერცხლს ნახატითა“⁵.

³ ივ. ავახანიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 74.

⁴ კ. ვეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბილისი, 1951, ტ. 1, გვ. 334.

⁵ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1953, გვ. 409.

მესხიშვილთა პირველი წარმომადგენელი გრიგოლ მესხიშვილი — გადმოცემით მწიგნობარი, მხატვარი და მეტად განათლებული პიროვნება ყოფილა. სამწუხაროდ, მის შესახებ მცირეოდენი ცნობები შემოგვრჩა. ეს სიმცირე ხელს გვიშლის მისი ნამუშავეების აღნუსხვაში. იგი იყო ამ დიდი ოჯახის მამამთავარი. მესხიშვილთა შემდგომი თაობებისათვის შთაგონების წყაროდ სწორედ ეს გრიგოლ მხატვარი გამხდარა. ცნობილია, რომ „გრიგოლი თან გაჰყვა ემიგრაციაში ვახტანგ მეექვსეს და, არ ვიცით, დაბრუნდა რუსეთიდან. თუ არა“⁶. გრიგოლი ხშირად არის ნახსენები მისი ვაჟის, თავისი დროისათვის მეტად განათლებული პიროვნების, ალექსის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში: „... ცოდვილი ესე და ყოვლად უბადრუკი და გლახაკი მონა ცათა მეფისა ქელოახმხატურის მღვდლის ძე, მღვდელი დეკანოზი ალექსი“ (H—2077, 334v); „ვიმუშავე და აღნუსწერე მცირე ესე ლოცვანი... ქელოანის გრიგოლ მხატვრის ძემან ალექსიძე...“ (S—3630, 62r); „მეუფეო იესუ ქრისტე, შეიწყალე მამა ჩემი გრიგოლ მხატვარი და დედა ჩემი თამარ და მე მათი ძე, დიაკონი ალექსი. დაწერე მე წლისა იე“ (S—2715, გვ. 401). თვით გრიგოლის ნაშრომები დღემდე მიკვლეული არ არის, შესაძლებელია ხელთა გვაქვს კიდევ მის მიერ გადაწერილი თუ მოხატული ხელნაწერები, მაგრამ ისინი ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია.

ძველ ქართულ ხელნაწერთა მინაწერებზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება XVII საუკუნის საეკლესიო კრებულის (S—1163) ერთმა მინაწერმა მიიქცია. ხელნაწერი დაწერილია ნუსხურად, თავბოლონაკლულია. ხელის მიხედვით განეკუთვნება XVII საუკუნეს. 36r-ზე არის მინაწერი მხედრული ხელით: „ღმთო, შეიწყალე გიორგი, ამისი მწერალი“. 159r-ზე კი ნუსხურით: „ამისა მწერალსა, დიაკონსა გიორგის შეუნდნეს ღმერთმან. ვისცა გრემენ(!) წიგნი ესე, თქუნცა მწნდს ღმერთმან“. მსგავსი მინაწერებია ხელნაწერის 51r, 116r, 124v და სხვ. როგორც ნუსხურად, ასევე მხედრულად. ერთ-ერთ მინაწერში გადამწერი ასახელებს თავის გვარს — „ართმელაძე“ (124v). მაშასადამე, ხელნაწერის გადამწერია დიაკონი გიორგი ართმელაძე. იგი წერს ლამაზი, კალიგრაფიული ხელით ნუსხურად და მხედრულად. ხელნაწერი მხატვრულად არის გაფორმებული. გადამწერი საზედაო ასოების მოსახატავად ზოგჯერ მწკნე ფერის საღებავს იყენებს, ზოგჯერ სინგურს. ხელნაწერი დასურათებულია წმინდანთა სურათებითაც (62v, 65v, 134r); აქვე ხშირად გვხვდება ხელის გამოსახულება კალმით (44r, 93r, 110r, 115v, 116r, 122r), ერთგან აშოიზე დახატულია მამაკაცი საერისკაცო ტანსაცმელში (130r). გადამწერი ზოგჯერ ძალიან წვრილად წერს, რისთვისაც ბოდიშს იხდის: „ქალაღი არა მქონდა და მისთვის წვრილკელ ვსწერე, ძმაო“ (9v). 74r-ზე კეთხულობთ: „ესე ქალაღი განჯას ვიშუე“.

როგორც ირკვევა, ხელნაწერის გადამწერი, ამავე დროს მისი მომხატვეც ყოფილა: „წაიძმა, შეიწყალე გიორგი. ჯმომსტვი შენი“ (71v).

ამ მინაწერით ცნობილი გახდა ერთ-ერთი ძველი ქართული მხატვრის — გიორგი ართმელაძის სახელი.

კიდევ ერთი ცნობა, რომელმაც მიიქცია ჩვენი ყურადღება: „ეს წიგნი მხატვრის გრიგოლისა რს. უწყოდეთ, მკითხველნო და მსმენელებო...“ (151v). მინაწერი მხედრულია, სხვა მხედრულ მინაწერთაგან გან-

⁶ იქვე, გვ. 406.

სხვაგვებელი. რადგან მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელთა ვაიდა ინდივიდუალური თავისებურებებისა, ერთი სტილი და წერის საერთო მანერა აქვთ, ჩვენ ეს მინაწერი შევუდარეთ მესხიშვილების სხვა წარმომადგენელთა ხელს. მინაწერის მსგავსება მესხიშვილთა კალიგრაფიულ სკოლასთან აშკარაა. საფიქრებელია, რომ ეს მინაწერი ალექსის მამას — გრიგოლს ეკუთვნოდეს. მით უმეტეს, რომ მინაწერის ავტორი — გრიგოლი, თავისთავს მხატვალს უწოდებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარადვე არს მოხსენებული გრიგოლ მესხიშვილი თავისი ძის ალექსის ანდერკებშიაც („მხატვრის ძე ალექსი“ ან „გრიგოლ მხატვრის შვილი ალექსი“). როგორ მოხვდა გიორგი ართმელაძის მიერ გადაწერილი ხელნაწერი გრიგოლის ხელში, რატომ უერთობა იყო ხელნაწერის გადამწერ-მომხატავს — გიორგი ართმელაძესა და ხელნაწერის მფლობელს — გრიგოლს შორის — ჭერ კიდევ გასარკვევია. რაკი დაიბეზნა მესხიშვილთა უფროსი წარმომადგენლის გრიგოლის ხელით შესრულებული ერთი პატარა მინაწერი. ეს შემდგომში უთუოდ დაგვეხმარება მის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა მიკვლევაში.

მამის საქმიანობას აგრძელებს გრიგოლის ვაჟი ალექსი მესხიშვილი. მრავალ ხელნაწერთა გადამწერ-გამმართავი, მომხატავი, მთარგმნელი, საღმრთაწილოთა შემდგენელი. ამ მხრივ აღსანიშნავია ალექსი მესხიშვილის მიერ 1730 წელს გადაწერილი ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი (S—4748), რომელსაც დართული აქვს მინიატურა ბერის გამოსახულებით. ლილი ქუთათელაძემ დაადგინა, რომ ეს არის სულხან-საბა ორბელიანის მინიატურული პორტრეტი. შესრულებული მესხიშვილის მიერ⁷.

ალექსი, ანტონ 1-თან მეტად დაახლოებული, თავისი დროისათვის ცნობილი პიროვნება, ამავე დროს მრავალრიცხოვან შთამომავალთა აღმზრდელიც იყო: „ალექსი, დეკანოზი ანჩისხატისა. ესე იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ქუცურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერნი მისნი. ამან მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გარდაასწერნა და ამან კეთილად აღზარდნა შვილნი თვისნი: გიორგი, სოლომონ და დავით, რომელთაცა ასწავლნა სამეცნიერო წერილნი, საღმრთონი და მგალობლობაცა“⁸. სინამდვილეში აქ ჩამოთვლილთ გარდა, ალექსის კიდევ ჰყოლია შვილები: ნიკოლოზი, ზაქარია, იოსები⁹. ამათგან ზაქარია და იოსები ადრე გარდაცვლილან. თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეუტანია მშობლიური კულტურის ზრდასა და განვითარებაში. ამ დროიდან ერგვლე მეფის ბრძანებით ალექსი მესხიშვილის შთამომავალთ ალექსი-მესხიშვილებს. ან უბრალოდ, ალექსიშვილებსაც უწოდებენ¹⁰. ალექსი მესხიშვილის შვილებს შორის განსაკუთრებით გამოიჩინოდნენ დავით და სოლომონ მესხიშვილები. დავითს შვილები არ ჰყოლია, სოლომონი კი დიდი ოჯახის მამა. მწერალ-მწიგნობართა ახალი თაობის აღმზრდელი ყოფილა. საყოველთაოდ ცნობილია სოლომონის ვაჟების — დიმიტრი, ივრონიმე, იოველ და ტარასი ალექსი-მესხიშვილების ლიტერატურული საქმიანობა.

⁷ ი. ბ. ბერიძე, „ს. ს. ორბელიანის მინიატურული პორტრეტი“.

„საქართველოს მესხიშვილი, ასანქონთა ხელოვნება“, 1962, № 10, 17-21.


⁸ ი. ბ. ბერიძე, „ს. ს. ორბელიანის მინიატურული პორტრეტი“, 1962, გვ. 2. (ხე-ნაწერთა № 2131 ხელნ. 4-ე რ.)

⁹ ი. ბ. ბერიძე, „ს. ს. ორბელიანის მინიატურული პორტრეტი“, 1962, გვ. 2.

„Archiv“, 1, გვ. 376. ა. ბერიძე, „ლილი მესხიშვილი“, 1938, 15, ტ.

„საქართველოს მესხიშვილი“, 1962, გვ. 14.

მესხიშვილთა გენეალოგია ასე წარმოვედგება:



ამგერად განვიხილავთ სოლომონ მესხიშვილის მოღვაწეობას.

სოლომონ მესხიშვილი, როგორც ვიცით, დაიბადა და აღიზარდა დიდი ენათმეცნიერულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ოჯახში. მან თავის მშობთან ერთად შეისწავლა და შეიყვარა მშობლიური ლიტერატურა. სოლომონის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ცნობილი გახდა მისი ვაჟის — ტარასი არქიმანდრიტის მეშვეობით. ტარასი მესხიშვილმა შეადგინა ხელნაწერი კრებული. რომელსაც დაურთო ქრონოლოგიური ცნობები, როგორც მასლობელთა, ასევე ზოგი სხვა პირის შესახებაც. ამ ხელნაწერში ვკითხულობთ „განსვენებული მამა ჩემი, ანჩისხატის დეკანოზი სოლომონ გარდაიცვალა ივლისის დ, მეორესა ეამსა დღისასა, წელსა 1808, იყო წლისა 66. დამარხულ არს ანჩისხატში, მარცხნივ ამბიონისა“ (96r)¹¹. მაშასადამე, სოლომონ მესხიშვილი დაიბადა 1742 წელს. ამავე ხელნაწერიდან ვგებულობთ სოლომონის ცოლის სახელსაც: „განსვენებული დედა ჩემი ბარბარე გარდაიცვალა სნებით, ნოემბრის 6, მეთორმეტესა ეამსა დღისასა, წელსა 1808, იყო წლისა 48. დამარხულ არს მის თანავე“. ტარასის მიერ მოწოდებული ცნობები ეკვს არ იწვევს. ხელნაწერში არსებული სხვა ქრონოლოგიური ცნობებიც ზუსტია. სოლომონ მესხიშვილის გარდაცვალების იმავე თარიღს — 1808 წ. გვაწვდის პლ. იოსელიანი: „სოლომონ დეკანოზი ანჩის-ხატისა ალექსიევი. მწერალი და მწიგნობარი: ძე ალექსი დეკანოზისა, მწერალისავე ჩინებელისა. მოკვდა 1808 წელს; ამან 1795 წელსა ზურგით გაიტანა ხატი პირის მღვთისისა ქალაქადმ, დაუდვა ურემსა მცხეთაშა და აქედამ გასული არაგვსა. წარვიდა თელავსა და დახიზნა მუნ იგი. წინ ქეთევან დედოფლის ეკლესიასა“¹².

სოლომონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახში იმ დროისათვის კარგი განათლება მიუღია: „ისწავეს ხუცურისა და მხედრულისა წერა, გარნა მხედრულს წერასა შინა ჯერეთცა არც ძველად და არც ახლა არვინ თქმულან უკეთეს ამათსა და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“¹³.

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1443 ხელნ., 96 V.

¹² პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეშვერისა, ა. განჯელისა გამოც., 1936, 260.

¹³ იოსებ ბაკრატიანი, კალწობა, ტ. II, 1943, გვ. 200 (H-2134, 490 r-V).

ცნობილია, რომ მესხიშვილთა სამოღვაწეო ადგილი ძირითადად თბილისი, ანჩისხატის ტაძარი იყო. „ერეკლე მეორეს სემინარია ანჩისხატის ტაძრის ეზოში, „საეპისკოპოსო სახლსა შინა“ მოუთავსებია. ეს გარემოება აღნიშნულ სავანეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქცევდა, ხოლო იქ მოღვაწე პირთ — სამეცნიერო-ლიტერატურული დარგის მუშაებად. ამას ერთვოდა ისიც, რომ ანჩისხატში თავშეფარებული და დასადგურებული იყო მესხიშვილთა ოჯახი, რომელმაც არა ერთი მწიგნობარი მისცა მშობლიურ კულტურას“¹⁴.

საინტერესო და მრავალმხრივია სოლომონ დეკანოზის მოღვაწეობა. იგი იყო კალიგრაფი, ქადაგებათა ავტორი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. არსებობს ცნობა, რომ სოლომონი 1771 წელს გაჰყვა რუსეთში ერეკლე მეფის ნიერ გაგზავნილ ამალას: „უნთ — 1771 წ. 29. ქრისტეშობისთვეს ერეკლემ გაისტუმრა რუსეთში ლევან ბატონიშვილი და ანტონ კათალიკოზი იმპერატრიცა ეკატერინესთან მთარეველობის სათხოვნელად ლეოვის ჩავონებით, თან გაატანა ქაიხოსრო მდივანბეგი ანდრონიკაშვილი, სულხან მდივანი ბე[გ]ათა-ნეგიშვილი. [დეკანოზი სოლომან ალექსის ძე მესხი] და სხვ.“¹⁵.

სოლომონის მითითებითა და წახალისებით მის უმცროს ძმას, შემდგომში ცნობილ კალიგრაფს, მეცნიერსა და მწერალს დავით რექტორს, 1784 წელს დაუწერია „ოთხ ნაწილენი სწავლანი“ (H—2144). ამაზე მიგვითითებს დავით რექტორის მინაწერი: „რომელმანცა მის მიერ თხოვნით იძულებულმან ვკჰმენნ წიგნი ესე გამოთქმით“ (1r). ამავე ხელნაწერში მოთავსებულია დავითის წერილი სოლომონთან, რომელშიაც დავით რექტორის მოწოდება ჩანს უფროსი ძმის მიმართ: „მგობარო უუსარწმუნოესო, თხოვისა შენისა მსკავესთა დასასრულთა შრომაჲ ჩემი ვერა კპობდა, რათამცა სწორზომანი თანკმად ჰქონებოდეს, ამით უკუჲ მიერიდენ და რომლისათვისცა ჰაზრნი შემოიკრებიეს და იტყვი, ვითარმედ ესე გვარნი ჩემ მიერთა დაწყებულთა საქმეთა შინა შესასმაოვისო. ამის უკუჲ მიზეზითა ლიტონად ჰაზრითცა და შეწყობითცა წარგიწერენ, რომელიცა თქვენის უკუშმართესისა ძმობისადმი მომიძღვნიეს. ხოლო თუმცაღა ამით უკუჲ მესმეს ვითარმედ საამოდ დასტკბმცა, მაშინ უკუჲ შევრაცხო თვით თავი ჩემი უბედნიერესად დროსა ამას და სწორზომისა შექმნეს. ვითარმედ ვკჰმენ იგი, რომელიცა სრულყოფდა და მდგომობასა ჩემსა მეგობარი და ძმა შენი უუსარწმუნოესისა სიყუარულსა შინა მყოფი ალექსიძე დავით“¹⁶.

სოლომონს შეუდგენია ქადაგებანი, რომლის შესახებაც თ. ჟორდანიას წერს: „ამ გიორგი მესხიევის, სოლომონ ანჩისხათელის და ვილაც იოანე კარის ბერის ქადაგებანი მრავალნი დაცულ არიან წ. კ. წიგნთ საცავში №№ 535. 1163. 1185. 1159. გიორგი და სოლომონ მესხიშვილების ქადაგებათა ეტყობათ ზედგავლენა ლათინთ სარწმუნოებისა. იმათში ტიმოთეს ქუთათელის ქადაგებაც ურეკეა და ბატონიშვილის ალექსანდრესაგან (ბაქარის ძის) რუსულით თარგმნილის მოძღვრებანი“¹⁷.

¹⁴ მ. ბერიძე, „საქართველოს მწიგნობრობის ისტორია“, თბილისი, 1962, I, ნაკვ. I, გვ. 170.

¹⁵ რ. ი. ანაბერიძე, III წიგნი, 1967, გვ. 323 (ზ. ხელნ. ხელნ., S—29).

ხელნ. II—2144, 2r—v.

და ს. ბერიძე, III წიგნი, 1967, გვ. 214.

ქადაგებათა გარდა სოლომონ მესხიშვილს დაუწერია ლექსი „ეტრფის მთიებსა...“. ტრ. რუხაძე ამ ლექსის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს ლექსი სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა პირთ მიეკუთვნება¹³.

ლექსი „ეტრფის მთიებსა...“ სხვადასხვა პირთა ავტორობითაა შესული ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ 10 ხელნაწერში: S — 2385 — მიეკუთვნება ვახტანგ ბატონიშვილს, S—3686, H—2130 — მარიამ ბატონიშვილს; H—2661 ხელნაწერში ეს ლექსი გვხვდება უავტოროდ. ხოლო ექვსი ნუსხა — H—390, S—1512, S—1543, S—3723, S—5131. A—1164 — დასახელებულ ლექსს მიაწერს სოლომონ მესხიშვილს.

ამ ხელნაწერთაგან უფრო ადრინდელია H—390 და S—1512 ხელნაწერები. H—390 ხელნაწერი დავით თუმანიშვილის მიერ 1820 წელს გადაწერილი კრებულია. ხოლო — S—1512 — დავით რექტორის ანთოლოგიას წარმოადგენს, გადაწერილს 1821—1823 წწ. ორივე ხელნაწერი მცირე პერიოდით შორდება სოლომონის გარდაცვალების თარიღს — 1808 წელს. ამავე დროს, დავით რექტორს, სოლომონის ძმას. ცხადია, ეცოდინებოდა ლექსის ავტორის ჩამდელი ვინაობა, ასე რომ, აღნიშნულ ექვს ხელნაწერში ლექსის „ეტრფის მთიებსა...“ სოლომონისათვის მიეკუთვნება სარწმუნოდ გვეჩვენება.

სოლომონ მესხიშვილს ეკუთვნის „შესხმა საქართველომსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი, ოდეს მოიქცა ძღვეთ აგარიანთაგან“. ეს ნაწარმოები ხელნაწერთა ინსტიტუტის სამ ხელნაწერშია დაცული: Q—1155, S—3282 და A—355.

ხელნაწერი Q—1155 XIX საუკუნისაა. გადამწერი უცნობია: „სიტყუანი შესხმითნი მცირე და ყოვლად უნდოა სრულიად საქართველომსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი, ოდეს მოიქცა ძღვეთ აგარიანთა, ყოვლად მდაბლისა და უღირსისა პროტოპრეზვიტერის სოლომონის მიერ წელსა 1789. ოკტ. 29“ (1r—4r). ამ ნუსხის გადამწერს სათაურში გადაუხაზავს „მცირე და ყოვლად უნდოა“ და „ყოვლად მდაბლისა და უღირსისა პროტოპრეზვიტერის“ — მის ნაცვლად მიუწერია — „თქმული ანჩისხატის დეკანოზისა“. ეს გარემოება გვაფიქრებინებს. რომ გადამწერს უსარგებელია სოლომონ მესხიშვილის ავტოგრაფით. ზოგი ფრანზა. რომელიც სოლომონის თავმდაბლობაზე მიუთითებს. შეუცვლია. თარაღი კი უცვლელად გადმოუწერია.

S—3282 ხელნაწერიც XIX საუკუნისაა: „სიტყუანი შესხმითნი მცირე და ყდ უნდოა სდ საქართველომსა მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი. ოდეს მოიქცა ძღვეთ აგარიანთაგან ყდ მდაბლისა და უღირსისა პროტოპრეზვიტელის სოლომონის მიერ წელსა 1789. ოქტომბრის 29. ალექსიე-მესტიევისაგან თქმული 1789 წელსა. ნიკონ იერომონახისაგან გადმოწერილი მანდილოსაგან“.

როგორც სათაურიდან ჩანს. ამ ხელნაწერის გადამწერს — ნიკონ იერომონახს. მსვავსად Q—1115 ხელნაწერის გადამწერისა, სოლომონის ავტოგრაფით უსარგებელია. ავტოგრაფისგული თარაღი (1789 წ. ოქტომბრის 29) ორივე ხელნაწერში ერთნაირია.

A—355 ხელნაწერი XVIII საუკუნისაა. შეიქცა სამ სხვადასხვა ნაწარმოებს. ხელნაწერის ფურცლები სამივე ნაწილში ფერთაგან განსხვავებულია.

¹³ რუხაძე, ძველ

როგორც ჩანს, ხელნაწერის სამივე ნაწილი, თავდაპირველად ცალ-ცალკე არსებული, შემდეგ ერთ წიგნად აუკინძავთ.

პირველი ნაწილი (1r—26r-მდე): „იგლის წერა სარწმუნოებისა ა-სა კვირიაყესა წმიდათა მარხუთასა წარსაკითხავი“ შესრულებულია დავით მესხიშვილის ხელით. მისივე ხელით გადაწერილია ხელნაწერის მესამე ნაწილი (29r—32v): „სწავლა მღუდელ-მთავრისაგან ახლად დადგინებულთა მღუდელთა მრთ, რა ყთა მღუდელთა აქუნდეს აღწერილა ქარტასა ზა. მცნება ესე მარადის წარკითხვიდეს გულს-მოდგინედ: ხ მცნება ესე აქა აღწერილო არს წთა და ყდ ქებულთა და ლთ-შემოსილთა მამათა მსჯულის კანონთა მიერ გამოკრებული“. ჩვენთვის საინტერესო ტექსტი — „სიტყუანი შესხმითნი...“ ხელნაწერის მეორე ნაწილშია (26r—28v). ხელნაწერის ეს ნაწილი თვით სოლომონ მესხიშვილის მიერ არის დაწერილი. ჩვენი აზრით, ეს ავტოგრაფული ნუსხა ჰქონდათ ხელთ Q—1115 და S—3282 ხელნაწერების გადამწერთაც. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ორივე ხელნაწერში გადამწერლებს სოლომონის მითითებული თარიღი უცვლელად გადმოუწერიათ. ჩვენს ვარაუდს აზუსტებს კიდევ ერთი გარემოება: A—355 ხელნაწერის 1r-ზე კვითხულობთ: „წიგნი ესე ეკუთნის იერომონახს ნიკონ ჯობინაშვილსა. წელსა 1888, ჩუპჰ; 1v-ზე იმავე ხელით წერია: „წიგნი ესე მღუდელ-მონაზონის ნიკონ ჯობინაშვილსა. 1881“. თავფურცელზე მიწერილია: „№ 31. ნიკონის ბიბლიოთეკისა“. ამ მინაწერთა ხელი შეუვდარეთ S—3282 ხელნაწერის ხელს და გავიკვავ, რომ S—3282 ხელნაწერი და A—355 ხელნაწერის ზემოთ დასახელებული მინაწერები ერთი და იმავე პირის მიერ არის შესრულებული. როგორც ჩანს, S—3282 ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონია სოლომონ მესხიშვილის ავტოგრაფული ნუსხა (A—355). საიდანაც დასახელებული ნაწარმოები გადმოუწერია თარიღის შეუცვლელად. ამგვარად გავიკვავ, რომ S—3282 ხელნაწერის გადამწერი ნიკონ იერომონახი გვარად ჯობინაშვილი ყოფილა. მას საოჯახო ბიბლიოთეკაც ჰქონია და, რალა თქვა უნდა, იგი ამ ბიბლიოთეკის გაზრდის მოსურნეც იქნებოდა. ამ მიზნით ნიკონ ჯობინაშვილს სოლომონის ავტოგრაფული ნუსხიდან გადაუწერია „დავითის შესხმა“ (S—3282). ამასვე ადასტურებს სათაურის ქვეშ მიწერილი: „გარდმოწერილი ნანდვალისაგან“. აქვე ვურთავთ სოლომონ მესხიშვილის ამ ნაწარმოებს მისი ავტოგრაფული ნუსხის (A—355) მიხედვით:

სიტყუანი შესხმითნი მცირე და უდ უნდოა სდ საქართუშლოისა მეფისა ირაკლი მეორისა მისა გიორგის ძისა დავითისადმი. ოდეს მოიქცა ძლეუთ აგარანთაგან.

უდ ნდაბლისა და უღირსისა პროტოპრეზვიტელის სოლომონის მიერ.

წელსა 1780. ოქტომბრის 20.

მის ერთისა საუჯუნოსა არისა, რალი სამობასა შა ცნობალ ექმნა ძესლ-სადამე წინაპრისა ვენსა მამთ-მთავრისა, და მის ძე მისი იქმნა მცნობელ და იკურთხა საყოფელი ისრაელ მცნობელისა საყოფელთა უკმ ისრაელ მამისა შენისათა. იქმენ ერეკელ და შეიძესრნა. მარტვი მტერთა შეწანა. მარტუშნითა მადლისათა და მკლავითა ძლეუბებისა მისისათა. იბრძოდეს. ქელმწიფეო ჩემო! მოლოცუნი ესე, ნუ დამაგდებ აღნაქუსნი უდ მდაბლისა და ღირსისა მონისა ნიერ შენისა. და მადლი იესოსი იყავნ დამკვდრებულ შენ თანა მდიდრად. მიულოცე ძლეუასა ძლევა-შემოსილასა განათლებულეზასა შენა. რალი აღიკურე ევა ელო. ძლეო. სულსა ღრისათა, წინამძღუანელი ახლისა ამის ისრაელისა მქედრობისა უკუსი-ღირსისა უცხო თესლთა შა. ოა განიბტიეე მარტუშნე ევე მარტუშნითა. მარტუშნით ნებისა მკდობარისათა, რომელმან ქმნა დიდებულ და ქებულ წარმართთა შორის სახელი წენ. ევა პირუშლ დავთ მამისა შენისა: ავა იქმნა სამიშრალ და საზარტხოდ სახელი შვი

შვლთა ზედა წარწყმედილათა მტერთა ქვესთა, რომელნი მოსრნა კელმან შენმან, და განაბნინა მარტყუნემან მტციკემან.

აჲა დიდ არს და ზესთა ქებულ სახლი მისი, რომელმან ინება ქებად საქმენი შენნა ერთა თქსთა მიერ და დიდებად განგებულება თქსი.

ეჲა, შენ სიმჰქინისა ზღუდელო და ძლიერებისა შეურყეველო გოდოლო, შენ ჰირითა ღირსათათა და გონებითა ბრძენითათა და ენაშბეთა ზრ ზარ საქებულ, ჯა არა ჩემებრ უღირსთა ენამოკლეთა, შენ სულითა საზეითა შემოსილთა კაცთა მიერ ზარ სამკობ, და არა ჩემებრ მარტივგონებთაგან. შენ შესაბამად მჰქინისა მძლეველობისა შენისა გმუშნისა შესხმანი და დიდებანი რიტორებნი, და არა ჩემებრ გონება და სიტყუა უძლურისა მიერ. შენ, მტილსა შინა სადაეითოსა აღმონაყენო რტოო ზეთის ხილისაო, რომელი აღიზარდე რწყუთა შიშისა ღმრისა სისითა, და განსტყცილო მამეულსა ლოკუსა სანოვაგითა:

შენ, ვარსკულაო ბრწყინალეო, სამყაროსა შჲს იესუხა აღმომჰვირკალეო, რომელი კტოო შორის მნათობთა ნახეთა შენთა საჩინოდ მნათობად:

შენ სირათა შენთაგან იუდიითისა ბაქისა ლეკუად ლომისად მოსჩან რომელ.

ქელნი შენნი ბუქთა ზჲა მტერთა შენთასა, შენ მიიდე ჰირმშოება განგებთა ღმრისათა შორის ძმთა შენთა. შენ იჰმენ რჲა ცხოვრებისა მამისა შენისა და შარაენდელ და დისკო სრეითისა.

შენ მახლებელ სახელოვნებასა ტომთა შენთასა, ამისთვის აღგაგო ქელავმან მარტყუნემან მშვლდსა ძლიერებისასა და გრტყორკა, ვითარცა ისარი გულებასა მტერთასა და მოსრნა წარმართნი და დაეცნეს, და შეჰქმსრნა შენ მიერ ზღუდენო უღმრთობისა მათისანი შით. რამეთუ ჭურბსა ქვესთა შეხებულეო, ღმრისა შიშითა აღღესილი მახვლი შენი შეირტყ წელთა შენთა, ძლიერო, შეშნიერებთა შენითა და სიყუითთა შენითა. და გარდააუე და წარებართე და სუფელეო კეშმარტებისათჲს და სიმჰქდისა და სიმართლისა: და მოაკლდა ბლარგუსა ნახვლსა მანისა. აღოჰრდენ და დანთქვენ განსაკრწნელსა. შით რგმოდოდა სული ღმრისა. და განსტყცილო მარტყუნითა მისითა.

ეჲა შენ, საუნჯეო მამისა შენისა საუნჯისა შიშისა ღმრისაო, და სიქადლეო ძმთა შენთათა, შენ შენთა ერთეულთა გულებისა სიხარულისა ნათლისა შარაენდითა მზიურითა განმნათობრწყინებულეო. შენ შენთა მახლობელთა სიხარულისა სიმდიდრედ ქმა-საყოფელეო. სენ უევე მიეშალდე ღმრისა მიერ ნიქად უფასოდ მამასა შენსა და სიმდიდრედ მოუკლებედ. და და გოდად და ზღუდედ უძლეველად შით, რჲა კიეჲა მის შორის დმერთმან სული შიშისა და გულსხმის-ყოფისა. სული მონებისა და სული სიმართლით მახურებისა ღმრისა და ამ-თ უეჲს „დიდ არს ზესთა წყალობა მისი, რომელ ღრუბელთამდე არს სიმართლე მისი“.

ამისთვის უეჲს, ქელმწიფეო ჩემო, უხარის შენთა ერთეულთა გულთა თანა გულსაყო ჩემსა: და აღმეცხების სახლი შინაგანისა კაცისა ჩემისა სიხარულისა ყუაელითა, და მადლობისა და ქებისა მიმრთმელ ვარ იესოსადმი ჩემისა, რჲა ქმნა შენ მიერ საქმენი დიდნი დეი იხსნა დავით მონა თქსი მახვლისაგან ბორბისა“. და მოჰქცია სიმჰქენ შემოსილება ევე შენი უენებელ მამისა მიმართ ღმრისა მსახურისა.

და შემდგომთა: „განადიერდინ ქელნი შენნი და ამაღლდინ მარტყუნე შენი...“ და იჰქვენ მალეველ ათასთა და ბევრის ბევრთა. ქჲა სამუსიონ უცხო თესლთა ზედა: და იუვე განმარტყუნებულ ბედნიერებთა ჯა მალეველობითა ჯა წელთა და ეამთა სერაჲითა უეჲე.

სავარაუდებელია, რომ სოლომონს კიდევ ჰქონდა სხვა ნაწარმოებებიც. რომლებიც ჭერ მიკვლეული არ არის. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია XVIII საუკუნის ერთი მეტად საინტერესო ხელნაწერი — სხვადასხვა ხელით დაწერილი კრებული (H—1283). ხელნაწერის 40r-v დავით რექტორის ნაწერია, 144r—146v კი — სოლომონ მესხიშვილის. 146v-ზე კეთხულობთ: „ძალითა ღმრისათა სრულეყავ წიგნი, ესე მეფობასა ირაკლი მეორისსა მე. სოლომონ, ოდეს ვიყავ წლისა ოცდა ერთისა. წელთა თთვესა ღეკემბერსა“. თარიღის ადგილი ხელნაწერში გამოტოვებულია. ბოლოში კეთხულობთ: «ხანდეჲი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების „რჲა ცხოვრებისა“». 144r-ზე იმავე ხელით წერია: „სოლომონ, ლექსთა სირათთა კალამ მმეჲქმე“. ეს მინაწერი გვეარაუდებინებს, რომ სოლომონს სხვა ლექსებიც ჰქონია. იგი „ლექსთა სირათთა კალამ მმეჲქმე“ ყოფილა.

ნაყოფიერია სოლომონ მესხიშვილის, როგორც კალიგრაფის მოღვაწეობაც. იგი წერდა ნუსხურადაც და მხედრულადაც. მას დადიანის ასულ დედოფალ დარეჯანის დაკვეთით 1778 წელს გადაუწერია ანტონ I-ის თენი (Q—56). რომელიც დედოფალ დარეჯანს შემდეგ ნამარნევის მარტილის ნიკანდავისათვის შეუწირავს. ამასთან დაკავშირებით საკიროდ ვცნობთ დარეჯან დედოფლის დაკვეთით გადაწერილ ორ სხვა ხელნაწერსაც შევეხებით, რომელიც მას აგრეთვე მარტილის წიგნთსაცავისათვის შეუწირავს. ესენია Q—57 და Q—59 ხელნაწერები. სამივე ხელნაწერი (Q—57, Q—58 და Q—59) ანტონ I-ის თენების სხვადასხვა თვეებს შეიცავს: იანვარი-აპრილი (Q—58), მაისი-აგვისტო (Q—59), სექტემბერი-დეკემბერი (Q—57) სამივე ხელნაწერს წინასიტყვაობად დართული აქვს ერთი და იგივე ტექსტი. შესრულებული ერთა ხელით. ხელნაწერი Q—57-ის გადამწერია სოლომონის დეიანოზი ნიკოლოზ: გვარი ხელნაწერის ანდერძში არ ჩანს. პალეოგრაფული ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ გადამწერი ალექსის ვაჟი ნიკოლოზ მესხიშვილია. Q—58 ხელნაწერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსის მეორე ვაჟის — სოლომონის მიერ არის გადაწერილი. Q—59 ხელნაწერის გადამწერი დღემდე უცნობი იყო. ჩვენ ეს ხელნაწერი შევედარეთ მესხიშვილითა კალიგრაფული სკოლის წარმომადგენელთა ნაწერებს, რის შედეგად გაირკვა, რომ Q—59 ხელნაწერი ალექსი მესხიშვილის მესამე ვაჟის — გიორგის მიერ არის გადაწერილი.

მამასადამე, დარეჯან დედოფალს თენის გადაწერა დაუვალებია მესხიშვილითა ოჯახისათვის ძმებს: გიორგი, ნიკოლოზ და სოლომონ მესხიშვილებს გაუნაწილებიათ შრომა და დედოფლის დავალება პირნათლად შეუსრულენიათ. სამივე ხელნაწერი მხატვრულად გაფორმებულია მესხიშვილებისათვის დამახასიათებელი საზღვაო ასოებითა და ლამაზი კამარებით.

სოლომონს 1778 წელს გადაუწერია „ლოცვები“ (S—73). ამავე წელს არის მის მიერ გადაწერილი საეკლესიო კრებული (A—618). გარდა ამისა, გადაუწერია ხელნაწერები: „ვახტანგის სამართლის წიგნი“ 1794 წელს (S—51); „საეკლესიო კრებული“ (S—1179) — გორში, 1796 წელს; „სძლის პირი“ (H—2282) — 1787 წელს. ამავე წელს არის გადაწერილი ვახუშტის „ისტორია საქართველოსა“ (A—1106). ხელნაწერი მდიდრულად არის შემკული. კადები ოქროთი მოტყეფრული. ამიბუნე გადამწერის ხელით ვახუშტისეული შენიშვნებია. 61v—62r-ზე არის ჩართული „ლექსი თამარ მეფისა ხალიფაზე გამარჯვებისა გამო“. იქვე გადამწერის ხელით არის შენიშვნა: „ეს იამბიკონები ვახუშტისაში არა ჰსწერია“. ჩანს, გადამწერს ავტოგრაფული ნუსხიით სარგებლია და აღნიშნულ ადგილას თვითონ ჩაუწერია ეს იამბიკონი.

1860 წელს პეტერბურგიდან ჩამოსულ ბესარიონ არხიმანდრიტს ხელნაწერი A—1106 მიუძღვნია ანტონ ჩიქოვანისათვის (იხ. მინ. 335r).

სოლომონ მესხიშვილის ძირითად სამოღვაწეო ადგილს თბილისი, ანჩისხატის ტაძარი, წარმოადგენდა. მაგრამ სხვადასხვა ვითარებათა გამო სოლომონი ზოგჯერ იძულებული იყო ადგილსამყოფელი ეცვალა და დროებით საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო. თუმცა ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას. A—356 („სძლისპირი“) ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ჟ. ეს სძლისპირი პირისაგან რომ ავიყარენით, მაშინ ვსწერე აქა-იქ

სოფლებში და თელავს, ხ^რ სრულ იქმნა წელსა ჩლეთ, ქ^რეს უპზ, ოკტომბერს. ქ. დეკანოზი სოლომონ“ (108v).

ცნობილია, რომ 1770 წელს თბილისში დაიწყო კირიანობა, რომელიც შემდგომ სხვა ქალაქებსაც მოედო. იმ პერიოდში კირის ეპიდემია რამდენჯერ-ჩე განმეორებულა¹⁹.

აღნიშნული ხელნაწერი (A—356) სოლომონს სწორედ ერთ-ერთი ეპიდემიის დროს გადაუწერია. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ სოლომონს ერთხანს ბელოთშიც უცხოვრია. მის მიერ ბელოთშია გადაწერილი „სახარება-ოთხთაი“ 1770 წ. (Q—268). სოლომონი ზოგჯერ ხელნაწერს ანდერძს არ ურთავს, მაგრამ ხელნაწერთა ხელის შესწავლითა და სოლომონისეულ ხელნაწერებთან მათი შედარებით ჩვენ გავარკვეეთ, რომ A—275 („შემოკლებული ფიზიკა“) და A—276 („მარხვის მეტაფრასი“) მის მიერაა გადაწერილი. A—276 ხელნაწერს აქვს სოლომონის ეყის, ტარასი არქიმანდრიტის მინაწერიც: „ღმერთმან საუკუნოს ღიდებაში დაგამკვიდროს, მამა ჩემო, ამის დაწერისათვის, რ^{ლი} მიპყრიეს მე სახსენებლად შენდა, შენს შვილს არხიდიკონს ტარასის 1816 წელსა“ (106v).

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ 1771 წელს ერეკლე მეფემ სოლომონი გააყოლა რუსეთში მიმაკვალ ამაღას. ამაღის ნაწილი ასტრახანში შეჩერდა. მათთან ყოფილა სოლომონ მესხიშვილიც. ასტრახანში მას გადაუწერია „პონაქსი ლოლიკისა, ნაწილი პირველი. სათეორეტკო ანუ სამთავეს მოკმედებათა გონებისათა“ (A—15): „აღიწერა ქალაქსა ასტრახანს თთუშსა იანუარსა 29, წელსა 1773, აღექსის ძის სოლომონის მიერ“ (171r). როგორც ცნობილია, სამშობლოს მოშორებული ქართველები ასტრახანშიაც არ იეიწყებდნენ ერის წინაშე მოვალეობას და ზრუნავდნენ ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე²⁰. თუმცა, სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როდესაც ასტრახანშივე იყიდებოდა ქართული ხელნაწერები. ასე მაგალითად, იოსებ თბილელის ავტოგრაფული ხელნაწერი (S—15) „დიდმოურავიანი“, როგორც მინაწერიდან ირკვევა, ასტრახანში გაცივლულა: „ენიან იავორ ავალისშვილისაგან ასტრახანს ნაყიდი“ (01r). ასე რომ, შესაძლებელია, სოლომონმა ასტრახანში სხვა ხელნაწერებიც გადაწერა, რომლებიც იქვე გაიყიდა²¹.

მის მიერ გადაწერილია საეკლესიო კრებული (S—1179) 1796 წელს: „ქალაქ გორს ესწერე საჩქაროდ იულისს კბ, ქ^რეს უპდ. დეკანოზი სოლომონ“ (64v). სოლომონის, როგორც კალიგრაფის, შრომის ნაყოფიერებაზე მიგვიტოთებს საკმაოდ ვრცელი ხელნაწერის ანდერძი: „უღირსი სოლომონ დავშვერ სამს დღესა. განსრულდა ეს კრელის ნუსხა. ფებერვალს ვ. ქ^რეს უოე“ (H—2282, 113r). ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირის მიერ შევსებულ კრებულს წარმოადგენს (S—3723 ბ). სო-

¹⁹ თ. კორდანიძე, „რონეები, III წიგნი, 1957, გვ. 317.

²⁰ ასტრახანში გადაუწერია გიორგოტორს „წიგნი მაკაბელთა“ 1813 წელს (S—156); პირველ თქმანიშვილს — S—1077 ხელნაწერი კრებული, 1726—1727 წწ.; იოვანე მთავარდიკიანს — A—1369 ხელნაწერი კრებული 1788 წ.; ტრიფილუ ხუცეს-მინაზონს—ანტონ I-ის კატეხიზმა 1772 წელს (S—37) და სხვ.

²¹ ცნობილია, რომ გაიორგოტორის დის შვილმა გურგენ ნაკელიშვილმა 1822 წელს ასტრახანის სასულიერო სემინარიას შესწერა 273 წიგნი (იხ. ტ. რ. რ. უ. ხ. ა. ძე, ასტრახანის ქართული მასალები, ტფილისი, 1936, თხუ შრ., V). სავარაუდებელია, რომ მათ შორის სოლომონის მიერ გადაწერილი ხელნაწერი წიგნებიც იყო.

ლომონს შეუტანია „ნარკიზოვანა“. მისგანვე აღდგენილია XVI საუკუნის გულანის (A—426) ზოგიერთი დაზიანებული ფურცელი.

დიდი დამსახურება მიუძღვის სოლომონ მესხიშვილს ხელნაწერთა მხატვრულად გაფორმების საქმეშიც. წიგნის მხატვრულ გაფორმებას საქართველოში ძველთაგანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა. ქართული ხელნაწერები მხატვრულად ფორმდებოდა: მონათული საზედაო ასოებით, თავბოლოკაზმულობებითა და ხელრთვით. წიგნის დასურათებას, მის მხატვრულ გაფორმებას ჩვენში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მხატვართა შრომა, ისევე როგორც ქართული კულტურის სხვა დარგის მოღვაწეთა, საქართველოში სათანადოდ იყო დაფასებული. კულტურისა და განათლების მოამბე ერეკლე II-ით მიმართაც დიდ მზრუნველობას იჩენდა. ამის დამადასტურებელია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი საბუთი — ერეკლე მეფის მიწერილობა ემიციალსბაშ ზაალ ყაფლანიშვილისადმი, რომელშიაც იგი ავალებს ზაალს, რომ უპატრონოს „ნახროვნილი“ მხატვრის ცოლ-შვილს (ქმ 6429). ირკვევა, რომ მხატვრობაში საგანგებოდ ოსტატდებოდნენ, ზოლო ის, ვინც თავისთა ეუფლებოდა ამ საქმეს. განსაკუთრებით აღნიშნავდა კიდევ ამ ფაქტს. „მხატვრობაც, რომელსაცა ამა წერილსა შინა იხილავთ, ჩემის მცირედის გონებით უოსტატოთ მიმილია“, — ამბობს ერთ-ერთი გადამწერი (S—1535, 25v). მხატვრობა, ისევე, როგორც კალიგრაფია, მესხიშვილთა საგვარეულო საქმიანობას წარმოადგენდა. სოლომონი ამ ტრადიციის ღირსეულ გამგრძელებლად გვევლინება. ცხადია, სოლომონ მესხიშვილი კარგად იცნობდა გრიგოლ და ალექსი მესხიშვილების მხატვრულ ხელოვნებას, ოჯახშივე სწავლობდა ასოთა მოსახატავად გამოყენებულ ხერხებს, თავის მხრივ ხეწევდა მათ. მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები მხატვრულად შემკულია ლამაზად მონათული საზედაო ასოებით. კამარებით, ხელრთვით, თხზული და დაქსელილი ასოებით. სოლომონის ასოები გამოირჩევა მკაფიო და სადა მონათულობით. შორად საზედაო ასოები ასომთავრულით არის შესრულებული. ასოთა მხატვრული შესრულება ამკარად მოწმობს, რომ სოლომონი ქართულ ასოთა მოსატეაზე საგანგებოდ მუშაობდა. ამის დამადასტურებელია შესანიშნავად მონათული ქართული ანბანის ნიმუში, რომელიც მან დაურთო მის მიერ 1770 წელს გადაწერილ „სახარება-ოთხთავს“ (Q—268, 182r). ანდერძის ზემოთ, სამ სტრიქონად, სოლომონს კალიგრაფიული ხელით ჩამოუწერია ქართული ასომთავრული ანბანი მხედრული შესატყვისებით.

ერთ-ერთ ხელნაწერში (Q—975) არის მხოლოდ ქართული ანბანის ნიმუშები, მინაწერი „ეს სოლომონისა“ მოწმობს, რომ ეს ანბანიც შესრულებულია სოლომონის მიერ. მისთვის დამახასიათებელი სისადავე, ხაზების თავისებურება, მდიდარი და ფაქიზი გემოვნებით მონაზულა ასოთა ნაირსახეობა მის მიერ გადაწერილ ხელნაწერებს ღირსებას მატებს.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნათ, რომ სოლომონ მესხიშვილი იყო უაღრესად საინტერესო კერძო წიგნთსაცავის მფლობელი. რას წარმოადგენდა ეს წიგნთსაცავი, როგორი იყო მოცულობითა და შედგენილობით, რა ბედი ეწვია მას, როგორ განაწილდა და სად გაიბნა ამ წიგნთსაცავის წიგნები — ეს საკითხები სათანადო შესწავლას მოითხოვს და მათ ცალკე განვიხილავთ.

თაბაზ ნათროშვილი, გოჩა ჯაშარიძე

ცდა ერთი თარიღის დადგენისა*

ეპისტოლური მასალა

წვენი შინ-შია, დაწერილებით განვიხლოთ ფრანგი რაინდის გ. დე ბუას წერილი (გაგზავნილი სირია-პალესტინიდან საფრანგეთს) და შეიღებოსღა-გვარად ვცადოთ მისი ზუსტი დათარიღება¹.

ვამოწმებთ ზ. ავალიშვილის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს:

„ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ა(მედეს). ღვთის განგებით ბეზანსონელ არქიეპისკოპოსს, გ. დე ბუა, მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხარულოა. ამისათვის საცნობელ იყოს თქვენსდა, რომ ნებითა ღვთისათა, მე და მეუღლე ჩემი ჭანპრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.

ალექსის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან შემდეგი განვიზრახებ მოკლედ აღმენიშნა — სულ თუ არა, ზოგიერთი რამ მინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს საჩიკნოზებთან: ანტიოქიის სამთავროსაც, რომელმან ურიცხვი ღვინა განიცადა ხან ბაბილონის სულთნისაგან. ხან სომხეთის მეფისაგან, ხანგრძლივი დაზავება აქვს ზემოთქმულ სულთანთან².

* დასასრული. დასაწყისი იხ. ნაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1.

¹ წერილის ლათინური დეიანი რახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. პირველად გამოცემის რ. რორბტა თაის კრებულში. იხ. Regesta Regni Hierosolymitani, 1097—1291, edidit Reinhold Röhricht, Oeniponti, 1893, № 868, გვ. 233—234 (წვემით ყველაგან: Regesta). განმეღ გამოქვეყნდა ფრანგული თარგმანი. იხ. Histoire Littéraire de la France, ouvrage commencé par religieux Benedictins de la Congregation de Saint-Maur, et continué par des Membres de l'Institut (Académie des Inscriptions et Belles-Lettres), t. XXI, Paris, 1847, გვ. 781—783; მთარგმნელ? პარის (P. Paris) კრებულში იხ. იქვე, გვ. 781; დე ბუას წერილი ქართულად თარგმნა ზ. ავალიშვილმა. იხ. ზ. ავალიშვილი, იეროსალიმის დროიდან, თბილისის სპსტორიკო-ნარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 137—138. წერილის ლათინური ტექსტი იხ. იქვე, გვ. 151—152.

² ევროპელი გამომცემლები არ განმარტავენ „ბაბილონის სულტნის“ მნიშვნელობას, როგორც საკმაოდ ცნობილ დასავლეთის ლიტერატურაში. „ბაბილონი მაშინ კაიროს ნიშნავდა“, — შენიშნავს ზ. ავალიშვილი (დასახ. შრ., გვ. 134). შუა საუკუნეთა ევროპულ წყაროებში „ბაბილონი“ ეწოდება კაიროს, რომელიც იყო აუბიანთა სახელმწიფოს საცაბტო ქალაქი და ამიტომც „ბაბილონის სულტნებად“ მოიხსენიებენ აუბიანთა სულტნებს (დაწვრი. იხ. C. H. Becker, Babylon, The Encyclopaedia of Islam, New Edition, Leiden-London, vol. II, გვ. 844—845). ამ ტერმინის პოპულარობას მეტყველებს ის ფაქტი, რომ „სალადინი, სულტანი ბაბილონისა“ გვხვდება „დეიამერონის“ ფურცლებზე (მეათე დღე, ამბავი მეცხრე). იმდროინდელ ქართულ წყაროებში „ბაბილონი“ ეწოდება ბაღდადს (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 11, 221, 232). უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას ლეჟაიონში დასახელებულია „ბაბილონი ვევიპტისა“ და „ბაბილონი ბაღდადისა“. იხ. სულხან-საბას ორბელიანის, თხზულებანი ტ. IV, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი, 1966, გვ. 635.

აწ ისმინეთ სხვა რამ საყვირველი და საყურადღებო. ამაღ მივიღე. და საქმის სიკეთეშარტე სანდო მოციქულთაგან გავივეთ. რომ ივერიითგან ვინმე ჭრისტეანენი. გიორგენებად წოდებულნი, ურიტვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებულ დახმარებით ძალითა ფრად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 ღიდი ქალაქი, მაგარნი ლიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარ-ტეიტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი. ვეფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი. იმ ქალაქმა პატრონი ნაბილონის სულთანის შვილი იყო: და ზემოთ ნათქვამ ჭრისტეანეთს ტყვედ ქმნილს. თავი მოგვეთა. თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

ეკრძოდ რაღა მოგახსენიო? ზემო აღნიშნულნი წმიდა იერესალაჲმის მიწის სასწნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაჰმორჩილებენ. მეუღ მათი წარჩინებული, თეგამეტი წლისა, აღექსანდრეს პადალი ძალით და სიყვითით. თუმცა არა საწმუნოებით. ქაბუკი ესე დედის მისის დედოფლს უძლიერესის თამარის ძელებს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შეიღსა თვისსა სთხოვა. თუ მოცვალებოდა, რომ ძელები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი დედის თხოვნითა სურადმღებელმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა. დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიედ...

მოტანილი ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ თამარის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს. თუ რომელ წელს დაიწერა დე ბუას წერილი. არც ამის თაობაზე არსებობს აზრთა ერთსულოვნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დე ბუას წერილი ფრანგულ ენაზე თარგმნა პ. პარიმ. მანვე გამოარკვია ფრანგი რაინდის ადრესატის ვინაობა. პარის სიტყვით, ერთადერთი პრელატი ბეზანსონისა, რომლის სახელი იწყება A-ზე (XII საუკუნიდან XIV საუკუნის დამლევამდე) არის ვინმე ამედე დე ტრემლე. ბეზანსონის არქივისკოპოსი 1195—1220 წლებში³. შემდეგ პ. პარი აღნიშნავს, რომ უახლესი გამოკვლევების მიხედვით თამარ დედოფალი გარდაიცვალა 1201 წელს⁴. პ. პარი ეყრდნობა ამ თარიღს და შესაბამისად ხსნის წერილში აღნიშნულ დანარჩენ ფაქტებს, რომლებიც ორიოდ სიტყვითაა განხილული: ამასთან შეინიშნება უზუსტიობანი და, რაც მთავარია, სრულიად იგნორირებული არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა დე ბუას წერილის დასათარიღებლად: ზავი ანტიოქიის სამთავროსა და „ბაბილონის სულთანს“ შორის. პ. პარი საბოლოოდ ასკვნის, რომ წერილი შედგენილია 1202 წელს⁵.

რ. რორიხტმა დე ბუას წერილის ლათინურ დედანს დაურთო მოკლე შენიშვნები. რ. რორიხტი არ იზიარებს პ. პარის მოსაზრებას ფრანგი რაინდის ადრესატის ზეობის წლებზე. მისი სიტყვით, ამადეო იყო ბეზანსონის არქივისკოპოსად 1197 ან 1208 წლიდან 1220 წლამდე⁶. რ. რორიხტი არ განიხი-

³ P. Paris, დასახ. შრ., გვ. 781..

⁴ იქვე; დამოწმებულია შემდეგი ნაშრომი: Le Beau, Histoire du Bas-Empire, not. de M. Brosset, t. XVII, Paris, 1834, გვ. 286.

⁵ P. Paris, დასახ. შრ., გვ. 781.

⁶ Regesta, გვ. 233, შენ. 1.

ლავს წერილში მოხსენიებულ ფაქტებს⁷ და, პ. პარის მსგავსად, წერილის დასათარიღებლად ეყრდნობა თამარის გარდაცვალების თარიღს. რ. რორიხტი აღნიშნავს, რომ თამარი არ გარდაცვლილა არც 1201 წელს⁸, არც 1207 წელს⁹, არამედ გარდაიცვალა 1212 წლის 18 იანვარს¹⁰.

რ. რორიხტი ფრანგი რაინდის წერილს ათარიღებს 1213 წლით¹¹. ამჟამად საბუთს გაკვრიტ მოიხსენიებს 1213 წ. ამბების თხრობისას თავის ფრცულ გამოკვლევაში¹².

მოდებ ერთი უცხოელი მკვლევარი, სახელდობრ რ. პენიგი, ითვალისწინებს თამარის გარდაცვალების თარიღს (მ. ბროსეს მიხედვით), მაგრამ დე ბუას წერილს რატომღაც უკავშირებს მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას (1217—1221 წწ.) და მიიჩნევს, რომ წერილი შედგენილი უნდა იყოს 1220 წელს¹³.

თარიღი სავსებით შეუსაბამო რამ არის, ვინაიდან ფრანგი რაინდის წერილში ყვეოვანსავე ლაშქრობა კი არაა მოხსენიებული. არამედ იერუსალიმის სამეფოსა და სარკინოზებს შორის დადებული ხავი.

როგორც ვხედავთ, უცხოელი მკვლევარნი ფრანგი რაინდის წერილს ათარიღებენ თამარის გარდაცვალების თარიღის მიხედვით¹⁴.

ქართველ მკვლევართაგან დაახლოებით ასეთივე გეზი აიღო პ. ინგოროყვამ, რომელმაც თამარის გარდაცვალების თარიღის (1212 წ.) შესაბამისად დაასკვნა, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1215 წლის ახლო ხანებში, როდესაც ქართველთა ჯარმა დაიპყრო ხლათის ქვეყანა¹⁵.

ს. კაპაბაძე დე ბუას წერილში ყურადღებას აქცევს ერთადერთ ცნობას და წერს: „თანამედროველ იერუსალიმელ ფრანგი რაინდის გ. დე-ბუას წერილიდან ბეზანსონის (საფრანგეთში) მთავარეპისკოპოსისადმი ჩანს, რომ 16 წლის ლაშას, მამასადამე, 1209 წელს, თავისი დედის (თამარის) ნუშტი მიჰქონდა იერუსალიმში თანაქრძალავად“¹⁶.

ამჟამად კნობის საფუძველზე ათარიღებს დე ბუას წერილს ბ. სილვაჟაძეც. მისი მოსაზრებით, წერილი დაწერილია 1208—1209 წლებში. „ე. ი. იმ დროს, როცა ლაშას-მამა დაახლოებით 16 წლისა იქნებოდა“¹⁷.

⁷ მხოლოდ ითხოვს, რომ ქართველთა ლაშქრობანი სარკინოზთა წინააღმდეგ აღწერილია იმ ალასირის თანხლებში (დეფურეპრის თარგმანი); იქვე, გვ. 234, შენ. 3.

⁸ იმდროს, პარის მთავრ დასახლებულ წყაროს (Le Beau. .).

⁹ მათთვისვე იმ ალასირის ცნობა (დეფურეპრის მიხედვით).

¹⁰ თარიღი უმწიკბელია მ. ბროსეს ნაშრომებთან.

¹¹ Regesta, გვ. 123.

¹² R. Röhrich, Geschichte des Königreichs Jerusalem (1100—1291), Innsbruck, 1899, გვ. 715, შენ. 2.

¹³ P. Хенниг, Неведомые земли, перевод с немецкого А. В. Лисовской, предисловие и редакция И. П. Маридовича, т. III, Москва, 1962, გვ. 30—31.

¹⁴ ს. ავალიშვილი აღნიშნავს ამ ვარაუდებს და მიუთითებს პ. პარის და რ. რორიხტის დასკვნებს. ს. ავალიშვილი, დასახ. შრო., გვ. 152, შენ. 7.

¹⁵ პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 145—146; რუსთველიანის და რუსთველიანის ეპილოგის დამატებანი და შენიშვნები, იქვე, გვ. 873—874. პ. ინგოროყვა არ ეხება ფრანგი რაინდის ინიორმაცას სირია-პალესტინაში მომდინარე მოვლენებზე.

¹⁶ ს. კაპაბაძე, რუსთველი და მისი ეთნოგრაფიკისანი, გვ. 229.

¹⁷ ბ. სილვაჟაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგადი საკითხი იმ ალასირის ცნობათა შესახებ, გვ. 123.

ღე ბუას წერილში მოცემული ინფორმაციიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე ნაკლებად გამოდგება წერილის თარიღის დაღგენისათვის ლაშა-გიორგის ასაკი. ერთობ საეკვია, ზუსტად სკოდნოდა ქართველი მეფის წლოვანება სირია-პალესტინაში მყოფ ფრანგ რაინდს.

ღე ბუას წერილის დათარიღების ყველაზე საფუძვლიანი ცდა ეკუთვნის ავალიშვილს, რომელმაც ქართულ თარგმანს საკმაოდ ვრცელი კომენტარი დაურთო. უპირველეს ყოვლისა, მან განმარტა, რომ წერილში მოხსენიებული „ბაბილონის სულტანი“ არის აიუბიანთა სახელმწიფოს სულტანი ალ-ადილი (1200—1218 წწ.), სახელგანთქმული სალადინის ძმა და მეგვიდრე¹⁸.

ზ. ავალიშვილმა უფულებელყო თამარის გარდაცვალების თარიღი და ლაშა-გიორგის ასაკი ღე ბუას წერილის დასათარიღებლად და სრულიად სხვა ცნა აირჩია. ზ. ავალიშვილი წერდა: „რაც აქ ქართველების ლაშქრობაზეა ნათქვამი, ნამდვილ საქმეთა გამოქაზილი უნდა იყოს. მაგრამ ამ ცნობებს ვაზვიადება და გადასხვაფერება ეტყობა. ამ წერილის თარიღის გამოაშკარავება უფრო ადვილი იქნება, თუ კი მის, ასე ესტყვით, ადგილობრავ ინფორმაციას განვივიყენებთ. მართლაც, ბეზანსონელ ეპისკოპოსის კორეესპონდენტი ისეთ რამესაც იხსენიებს, რაც მას უკრად ანუ ამბად კი არა უკონდა გაგონილი, არანელ მტკიცედ უნდა სკოდნოდა. წერილში ნათქვამია, რომ იერუსალიმის საწეფოს ბაბილონის სულთანთან დაზავება აქვსო და ანტიოქიის სამთავრომაც ამ ბაბილონის სულთანთან ზავი შეკერაო“¹⁹.

ზ. ავალიშვილი მიუთითებს აიუბიანთა სახელმწიფოსა და იერუსალიმის სამეფოს შორის დაღებულ ზავებს (1204—1210 წწ. და 1211—1217 წწ.), შემდეგ ეხება ანტიოქია-ტრიპოლის ჯვაროსნების ერთადერთსა და ხანმოკლე შეტაკებას აიუბიანთა სულტან ალ-ადილთან, რომელიც დამთავრდა ზავით (1207 წ. ზაფტული) და საესებით სამართლიანად მიიწნევს, რომ „სწორედ ეს დაზავება უნდა იგულისხმებოდეს ფრანგის ეპისტოლეში“²⁰. მკვლევარი „ადგილობრივი“ ინფორმაციის საფუძველზე ვარაუდობს, რომ ღე ბუას წერილი შეღგენილია 1207 წელს. ალბათ სექტემბერში და ფრთხილად დასძენს: „მაგრამ მივიღოთ 1207—1208 წწ.“²¹.

ამის შემდეგ ზ. ავალიშვილი განიხილავს ფრანგი რაინდის წერილში მოცემულ „გარემუ“ ინფორმაციას და წერს: „1207—1208 წწ. თარიღის მიხედვით საფიქრებელია, რომ მნიშვნელოვანი ქალაქი ეფფრატზე ჰღებარე და ქართველთა მიერ დაპყრობილი არის კარი (კარინ, ე. ი. ერზერუმი)“²². მკვლევარი იმწმებს ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობას „კარის“ აღებაზე და მიუთითებს, რომ იქაც არის მოხსენიებული ლაშა-გიორგი, მაგრამ ღე ბუას წერილში მისი როლა ვაზვიადებუღია²³. ზ. ავალიშვილი თვღის, რომ ხსენებული ქალაქი ეკუთვნოღა ხღათის მფლობელს და ეს იყო მაშინ ეგვიპტე-სირიის ანუ „ბაბილონის“ სულტნის ლეიღლი შვილი, სახელად ალ-აუჰადი²⁴. დასასრულ

¹⁸ ზ. ავალიშვილი, დაახ. ნმრ., გვ. 137.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, გვ. 137—140.

²¹ იქვე, გვ. 141.

²² იქვე.

²³ იქვე, გვ. 141—142.

²⁴ იქვე, გვ. 153—154

ვითხოვლობთ: „ამგვარად ეს ცნობებიც 1207—8 წ. თარიღს ადასტურებენ. „ადგილობრივი“ და „ვარაშე“ ინფორმაცია ერთმანეთში შეთანხმებულა“²⁵.

ზ. ავალიშვილის ზოგიერთი მოსაზრება არ გაიზიარა პ. ინგოროყვამ. მისი სიტყვით, ზ. ავალიშვილმა ერთმანეთში აურია „კარსუ-ქალაქი“ (არზრუმში) და „კარი“ (ყარსი)²⁶.

საბუღალდე სამართლიანია პ. ინგოროყვას შენიშვნა. მართლაც, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევთ არზრუმად ქართული წყაროების „ყარს“ (ე. ი. ყარსს)²⁷. ხოლო არზრუმში ეს არის ძველი კარინი. რომელსაც ეწოდებოდა აგრეთვე კარსუ-ქალაქი. გარდა ამისა, არზრუმის პატრონად ხლათის მფლობელი არ ითვლებოდა. სინამდვილეში არზრუმში 1201 წლიდან ექვემდებარებოდა იკონიის ანუ რუმის სულტნებს²⁸.

ბასილა ენოსმოდღარის ცნობაში, რომელსაც ეყრდნობა ზ. ავალიშვილი, ნამდვილად ყარსის აღება გადმოცემულა, მაგრამ ვერც ყარსზე ვაგრცელებდა დე ბუს მტკიცება, რომ ამ ქალაქის პატრონი იყო „ბაბილონის სულტნის“ შვილი. იბნ ალ-ასირის ზემოთ დამოწმებულა ცნობიდან ჩანს, რომ ქართველთა მიერ აღყაშემორტყმული ყარსი იმ ხანებში თითქოს ხლათის მფლობელს ეკუთვნოდა²⁹. მაგრამ ისიც უნდა გაიხსენოთ, რომ თვით ხლათი ჯერ კიდევ არ იყო აიუბიანთა ხელში. არაბული წყაროების მიხედვით, ალ-აუჰადი, ეს ალ-ადილისა, დაეუფლა ხლათს 604 (1207/8) წელს³⁰.

მაშასადამე, ქართველთა მიერ ყარსის აღება (1206/7 წ.) ამგვარად წინ უსწრებს ალ-აუჰადის გაბატონებას ხლათში, ამიტომაც ფრანგი რანდი ყარსის პატრონად ვერ მოიხსენიებდა „ბაბილონის სულტნის“ შვილს³¹.

ზ. ავალიშვილმა „ადგილობრივი“ ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა წერილის მიახლოებითი თარიღი და მასვე შეუთანხმა ქართველთა ლაშქრობა. ამის შედეგად გაჩნდა მის მსჯელობაში აღება „ყარისა“, რომელიც არც არზრუმს უდრის, არც ევფრატზე მდებარეობს და, რაც მთავარია, აკუნძიანთა სამ-

²⁵ იქვე, გვ. 142. ზ. ავალიშვილის აზრით, დე ბუს წერილში მოცალბებული მიახლოება არ იზიარის, სხვა ამგვარ ცნობებთან ერთად, დაეთ სოსლანის სიყვითლით გამოწვეული ხლათის გაშლას ხილთა უნდა ეყრდნობა (იქვე, გვ. 144).

²⁶ პ. ინგოროყვა, თხზ. კრებული, ტ. I, გვ. 274.

²⁷ შორ. პართლის ცხოვრება, ტ. II, საერთო სახელთა საძიებელი, გვ. 665.

²⁸ Halil Inalcik, Erzurum, El², vol. II, გვ. 712. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ „ყარის“ აღების გარდა დე ბუს წერილში ასახული უნდა იყოს ბასიანის ომი (ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 141—142). ვერ დავთანხმდებით ამ მოსაზრებას, რადგანაც სამართალი არაა იმის მიუხედავად, რომ ბასიანის ომი და თვით წერილის სავარაუდო თარიღის საკმაოდ შორეულ ბასიანის ომის თარიღს (1202—1203 წწ. იხ. ა. გ. ამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 247—256; ზ. ავალიშვილის სიტყვით, ბასიანის ომის თარიღი სეჟიკია: 1204—1205 წწ. იხ. ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., ტ. 141). ამათთან ერთად, იკონიის სასულტნო დასრულებული იყო ჭაროსანთა ინტერესებს და საეკლესიო, რომ რეჟენ ალ-დინის დამარცხებას დიდი გამოცდილება ქონოდა სირია-პალესტინაში.

²⁹ იბნ ალ-ასირი, გვ. 289.

³⁰ იბნ ალ-ასირი, გვ. 296; Ibn Wasil, Mufarrij al-Kurub Fi 'Akhhbar Banj 'Ayyub, vol. III, Ed. by Gamal el-din el-Shayyal, Cairo, 1960, გვ. 176; სინ ტიბ ნ ალ-ჯაუზი, მიწათ აზ-ზაფნ ღნ თა'ირის ალ-აინა'ინ, ტ. VIII (2), პარიზი, 1952, გვ. 534—535.

³¹ ზ. ავალიშვილის ნაშრომში მოთხოვნილი თარიღი „ყარის“ აღებისა (1207/8 წ.) არაა შესაბამისი. როგორც ჩანს, „ყარის“ არზრუმთან გაყოფის გამო, ზ. ავალიშვილმა მხედველობაში არ მიუღია ვარდანიისა და იბნ ალ-ასირის ცნობები ქართველთა მიერ ყარსის აღებაზე.

ფლობელოს არ წარმოადგენდა. „ქარის“ (ე. ი. ყარსის) სასარგებლოდ მეტყველებს მხოლოდ მისი აღების თარიღი, რომელიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა „ადგილობრივი“ ინფორმაციიდან მიღებულ თარიღს. მაგრამ ბუნებრივია, დასივას კითხვა. რამდენად ზუსტია ეს უკანასკნელი?

უზრადლება უნდა გავამახვილოთ დე ბუას წერალში მოხსენიებულ ზავზე ანტიოქიის სამთავროსა და „ბაზილონის სულტანს“ (ე. ი. ალ-ადილს) შორის. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ზავი დაიდო 1207 წლის ივლისის დამლევს³². შემდეგ ესება ანტიოქიის სამთავროს კონფლიქტს კილიკიის სომხეთთან, 1206 წელს ალექსის მფლობელ ალ-ზაჰირსა და სომეხთა მეფის ლეონ II-ს შორის დადებულ ზავს, რომლის პირობებში ანტიოქიის სამთავროც შეიტანეს, როგორც ალ-ზაჰირის მოკავშირე, და ასევე: „1206—1214 წწ. ანტიოქიის დაზავება, როცა დე ბუამ თავისი წერილი გაგზავნა, ჯერ ახალი რამ უნდა ყოფილიყო (ანტიოქიას ზავი დიდი ხნით აქვსო)“³³.

აქ აშკარა წინააღმდეგობა შეიმჩნევა. ვინაიდან ურანგი რაინდის წერილში მოხსენიებულია მხოლოდ და მხოლოდ ანტიოქიის სამთავროსა და „ბაზილონის სულტანს“ შორის დადებული ზავი, რომელზეც, ცხადია, ვერ გავრცელდებოდა ალექო-კილიკიის ზავის ხანგრძლივობა.

ჩვენი აზრით, დე ბუას ლათინური ფრაზის („... per longum tempus treguas habet cum predicto soldano“) ქართული თარგმანი („ხანგრძლივი დაზავება აქვს შემოქმედულ სულთანთან“) არ წარმოადგენს ადეკვატურ თარგმანს. გამოთქმა „per longum tempus“ უნდა ითარგმნოს ქართულად, როგორც: „დიდი ხნის განმავლობაში“³⁴.

მამასადამე, დე ბუა იმას კი არ ამბობს, რომ ანტიოქიის სამთავროს ხანგრძლივი დაზავება აქვს „ბაზილონის სულტანთან“, არამედ იმას, რომ უკვე დიდი ხანია, რაც დაიდო ზავი მათ შორის³⁵.

ცხადია, 1207 წ. ზავზე ფრანგი რაინდი ვერ იტყოდა ამას 1207—1208 წლებში: ალბათ ვერ იტყოდა 1209 წელსაც. ხოლო 1210 წლის შემოდგომაზე ომი უკვე განახლებული იყო. მაშინ ირკვევა, რომ დე ბუას წერილში მოხსენიებული ზავი იერუსალიმის სამეფოსა და სარკინოზებს შორის გულისხმობს არა 1204—1210 წწ. ზავს, არამედ იმ ზავს, რომელიც დაიდო 1211 წელს, წმ. იოანეს დღესასწაულის (24 ივნისი) შემდეგ, დაახლოებით ივლისში³⁶.

ვარდა ამისა, ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ დე ბუა თავისი წერილის დასაწყისში წერს: „პირველად საცნატურ იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს ზავი აქვს სარკინოზებთან“...

³² ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 140; შტრ. R. Grousset, Histoire des Croisades et du royaume franc de Jerusalem, vol. III, Paris, 1936, გვ. 129.

³³ ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 140—141.

³⁴ ლათინური ენის ლექსიკონებში და სახელმძღვანელოებში მოტანილია სიტყვათა მავალით-პერ idem tempus—მავე ხნის განმავლობაში; per multos annos — მოკლე წელი განმავლობაში და უნდა შევსწრება მართებულად მოწინის უკუთ ენათა შედგენიერა ინ. კაქუტაძის პუბლიკაცია ს. რა. ჩინაია ავალი. ს. ნაუხიშვილმა. კონსულტაციისათვის ეღრეს მადლობა მოვინებთ.

³⁵ დაზავების არის დათქმული ხანგრძლივობის გამოსახატავად ალბათ ისმარდა გამოთქმა: cin longum tempus (შტრ. „in omne tempus“—სამართაღობო, საუცენოდ).

³⁶ L'Estoire de Eracles Empereur, Recueil des Historiens des Croisades, Historiens occidentaux, t. II, Paris, 1859, გვ. 317; შტრ. R. Röhricht, დასახ. შრ., გვ. 702; R. Grousset, დასახ. შრ., გვ. 194.

როგორც ვხედავთ, ეს ცნობა პირველ ადგილზე დგას. საეკეოა, რომ 1207—1209 წლებში ასეთი ხაზგასმით ეუწყებინა თავისი კორესპონდენტისათვის ფრანგ რაინდს 1204 წელს დადებული ზავი.

ამრიგად, „ადგილობრივი“ ინფორმაციის დაზუსტების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დე ბუას ეპისტოლე დაწერილია არა უადრეს 1211 წლის შემოდგომისა.

რას გვაძლევს „გარეშე“ ინფორმაცია?

ქართველები ეომებიან „ბაბილონის“ (ე. ი. აიუბიანთა) სულტნის ძეს, რომელსაც ეკუთვნის „ქალაქი, ევფრატზე მდებარე“, თუმცა არაა მითითებული ქალაქის სახელწოდება, მიუხედავად ამისა, დე ბუას მინიშნება საკმაოდ გამკვირვალეა, ვინაიდან საქართველოსა და აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი — თავად ხლათი. სხვა ასპარეზი კონფლიქტისა ამ ორ სახელმწიფოს შორის ისტორიამ არ იცის³⁷.

შეესაბამება თუ არა ხლათს დე ბუას სიტყვები: „ყველა წარმართთა ქალქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი“?

თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ქალაქს აიუბიანები ჭერ კიდევ მათი დინასტიის ფუძემდებლის, სახელგანთქმულ სულტან სალადინის დროიდან, ადვილი საფიქრებელია, რომ სირია-პალესტინიდან დაშორებულ ხლათს ასეთივე შეფასება დაემსახურებინა ჭვაროსანთა შორის. „ხლათი დიდად იზიდავდა სალადინის ყურადღებას, — წერს ვ. მიწნორსკი, — მაგრამ მხოლოდ შემდგომი თაობის ხანაში განხორციელდა ეს ოცნება“³⁸. არაბულ წყაროებში აღნიშნულია სალადინის „ლტოლვა“ ხლათის დასაპყრობად, აგრეთვე ორი წარუმატებელი გალაშქრება ხლათისკენ (ერთი მათგანი — თვით სალადინის სარდლობით 1185 წელს)³⁹.

აიუბიანთა ვარდა, აზერბაიჯანის ათაბაგთა და რუმის სულტანთა თვალის იყო მიპყრობილი ხლათზე, რომელიც მესოპოტამიასა და არაქსის ველს შორის კომუნიკაციების ხაზზე მდებარე საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა⁴⁰.

იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს: სანამ ავად გახდებოდა, 1193 წელს სალადინმა იხმო თავისი ძმა ალ-ადილი და რჩევა ჰკითხა: „ჩვენ გავანადგურეთ ფრანგები და აღარავინ არის ამ ქვეყანაში (იგულისხმება სირია-პალესტინა). იისაც შეეძლოს მისი დაპყრობა. ახლა რომელ მხარეს გავწიოთ?“ ალ-ადილმა ურჩია ლაშქრობა ხლათზე. მაშინ სალადინმა უბრძანა: „წაიყვანე ჩემი შვილი და ლაშქრის ნაწილი, დაიძარ ხლათისკენ, ბოლოს მოველდები რუმს და მეც თქვენთან მოვალ. ხლათიდან შევიჭრებით აზერბაიჯანში, მივალწვებ სპარსთა ქვეყანას და იქ არავინ არის, რომ შეეძლოს ჩვენი მოგერიება“⁴¹.

³⁷ აქროტიტებს რა ზ. ააო-მეფის მოსაზრებას პ. იმეროვიცა წერს: „წერაში აღნიშნულია ამასთან, რომ ჯეიანი, სოცელ ლაშქარის ლაშა-ვიტარკს (ე. სოცელ მფებარიბოა მოხსენებული ქალაქი, ევფრატზე მდებარე) — ყოფილა სემეო. „ბაბილონს სულტნის შეიღოსა“, აქუან ცხადოა, რომ ეს ქვეყანა ხლათის სსულტნისა“. პ. იმეროვიცა, იბნ. კრებული, ტ. 1, გვ. 674.

³⁸ V. Minorsky, Prehistory of Saladin, Studies in Caucasian London, 1953, გვ. 126.

³⁹ იმერ. იბ. V. Minorsky, შრ., გვ.

⁴⁰ იმერ.

⁴¹ იბნ ალ-ასირი, 295, შრ. Г. Г. Михайлович, История кизилкинского армянского государства, Ереван, 1932, გვ. 142—149.

თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ხლათის აღებას აიუბიანთა აგრესიულ გეგმებში⁴².

სალადინის არ დასცალდა თავისი მიზნების განხორციელება, მაგრამ ექსპანსიას ხლათისკენ განაგრძობენ მისი მემკვიდრეები და საბოლოოდ წარმატებას აღწევს სალადინის ძმისწული ალ-აუჰადი, გამგებელი მაიაფარიკინისა. ხლათის დაუფლებაში ალ-აუჰადს აქტიურ დახმარებას უწევდნენ მისი ძმა ალ-სრაფი და მამა — თვით აიუბიანთა სულტანი ალ-ადილი⁴³.

ზემოთ მოტანილი ფაქტები აიუბიანთა მისწრაფებისა, დაპატრონებოდნენ ხლათს, ცხადად ამტკიცებს მის მნიშვნელობას და გვაფიქრებინებს, რომ ფრანგი რაინდის წერილში აღნიშნული ქალაქი სწორედ ხლათი უნდა იყოს.

შეეძლო თუ არა დე ბუას მოეხსენიებინა ხლათი, როგორც „ქალაქი ევფრატზე მდებარე“?

ზ. ავალიშვილი, როდესაც ასაბუთებდა თავის მოსაზრებას, გარდა ქართულ წყაროებში დამოწმებულ „ქარის“ არზრუმთან გაიგივებასა, ჩანს, ითვალისწინებდა იმასაც, რომ მდ. ევფრატი სათავეს იღებს არზრუმის მიდამოებში⁴⁴. მაგრამ არსებობს მეორე ევფრატიც, რომელსაც, სენ-მარტენის სიტყვით, თურქები უწოდებენ მურად-ჩაის, ხოლო სომხები თვლიან „ქემშ-მარიტ ევფრატად“⁴⁵. სენ-მარტენი აღნიშნავს, რომ ევფრატი ანუ მურად-ჩაი მიედინება სომხეთის შუაგულიდან დასავლეთისაკენ და უერთდება არზრუმიდან მომავალ ევფრატს⁴⁶. დღევანდელი მურად-სუ ისტორიულ რუკებზე აღნიშნულია. როგორც აღმოსავლეთი ევფრატი⁴⁷. სწორედ ეს დიდი მდინარე, რომელსაც ქემშ-მარიტ ევფრატს უწოდებენ სომხები, ჩაივლის ქალაქ ხლათის შორიახლოს. ადვილი დასაშვებია, რომ მისთვის ცნობილ მდინარეზე მდებარედ მიეჩნია ფრანგ რაინდს არანაკლებ ცნობილი ქალაქი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ალ-აუჰადი. ძე ადილასა, ხლათს დაეპატრონა 604 (1207/8) წელს.

საქართველოს სამეფოს გაცილებით სერიოზული და საშიში მეტოქე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, არ შეწყვეტილა XIII საუკუნის დამდეგიდან დაწყებული ომები ხლათის ქვეყნისა და მეზობელი სომხური ტერიტორიების შემომტკიცებისათვის. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამ კერსს ხლათის მიმართ განაპირობებდა ეკონომიური ხასიათის ფაქტორები⁴⁸.

⁴² ვ. ზეციერისა ანბანი, მესამე წიგნისნული დაწმობის ნაწილსა და ეომევიან სულ-ტანისა-ბაჰაუბის და-სტებისა შევიდა მკორ ასაშო, სომხეთა და რანში შეი შანე-ჯოთობ-ხელსა-ყრდისი სიარობა სათაჲ-ნისათ და-მათა-იული ქვე-მნისა და-სტებობაჲ (Г. М. У а д а н и, დასახ. შტ., გვ.)

⁴³ ი. ს. ბერიძე, 176-177; V. Minorsk, 24

⁴⁴ Saint-Martin, დასახ. შტ., I, გვ. 45.

2

Геродот, История в девяти книгах — перевод и примечания Г. А. Сперанского, Ленинград, 1972, включает карту древнего мира по Геродоту, на которой: Das Gebiet derweldes des Herodotes von Halikarnassos. Übertragen von Th. Braun, Berlin, 1931.

⁴⁵ ი. ს. ბერიძე, იტ. რიზ. Византийской империи, т. III, Москва-Ленинград, 1978.

Minorsk, Syria, Byzantologie, XIII—XIV тт., გვ. 24.

⁴⁶ ბერიძე, იტ. რიზ. საქართველოს ისტორია, — 217 (1978).

ქართული საბჭოთაო ენციკლოპედია, II, თბილისი, 1965.

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო მიზნად ისახავდა მთავარ სა-
ვაკრო მაგისტრალეზზე გასვლას და ამ საეპრო-საქარავნო გზებზე განუყო-
ფელ ბატონობას. ამ მიზნის განხორციელებას უკავშირდებოდა ირანიდან ლე-
ვანტიკის მიმავალი საეპრო გზის დაპყრობის ამოცანაც⁴⁹.

ვ. გაბაშვილის აზრით, საქართველოს სახელმწიფო აპირებდა შეესრულე-
ბინა შუანაჟლის როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის საეპრო ურთიერ-
ობებში⁵⁰. ხლათის დაპყრობა ხელს შეუწყობდა ამ ამოცანის მნიშვნელოვან
ნი ნაწილის წარმატებით გადაკრას.

თავის მხრივ, აიუბიანთა სახელმწიფოს ფიზიკალ ეპირა თვალი ხლათზე,
ხელიდან რომ არ წასვლოდა ხანგრძლივი ლტოლვის შედეგად აღებული ქა-
ლაქი. პ. გიბი აღნიშნავს, რომ აღ-ადილის მოღვაწეობის მთავარ ასპარეზს
სირია-პალესტინასთან ერთად წარმოადგენდა მესოპოტამია, სადაც მის შეი-
ლებს კონფლიქტი ჰქონდათ არა მარტო ზენგილებთან, არამედ საქართვე-
ლოსთანაც (ხლათში აღ-აუჰადის გაბატონების შემდეგ)⁵¹.

605 (1208/9) წელს ქართველებმა აილეს ქ. არქეში და ააოხრეს. აღ-
აუჰადი ხლათში იყო დიდი ლაშქრით, მაგრამ ვერ გაბედა გამოსვლა მტრის
წინააღმდეგ და ქართველები დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში მშვიდობით და
უენებლად⁵².

აღ-აუჰადი დაეინებით ითხოვდა მამისგან დახმარებას ქართველების წი-
ნააღმდეგ საბრძოლველად. აღ-ადილმა გადაწყვიტა ჩარევა და დაიპარა თავის
ქვეშევრდობთა გაერთიანებული ლაშქრით ხლათისაკენ 606 წლის დამდეგს
(ე. ი. 1209 წლის ზაფხულში), მაგრამ მესოპოტამიის მაჰმადიან მფლობელებ-
თან ურთიერთობის მოწესრიგებამ დააყოვნა, ალყა შემოარტყა ქ. სინჯარს და
ხლათამდე არ მიულწევია, მით უმეტეს, რომ აღარც ქართველები იმყოფებოდ-
ნენ ამ დროს ხლათის ქვეყანაში⁵³.

ბრძოლას ხლათისათვის საკმაო გამოხმაურება უნდა ჰქონოდა სირია-
პალესტინის ყვაროსნებში. ვინაიდან მათ წინაშე იმლებოდა მიმზიდველი
პერსპექტივა: აიუბიანთა ძალების დაქსაქსევა და საკუთარი პოზიციების გან-
მტკიცება იერუსალიმისათვის ბრძოლაში. აღ-ადილას წინაშე დგებოდა ორ
ცრონტზე ომის ერთობ რთული პრობლემა.

საქართველოსა და აიუბიანთა შორის კონფლიქტის კულმინაციურ მო-
მენტს წარმოადგენს ქართველოა მორიგი ლაშქრობა ხლათის ქვეყანაში და
საკუთრივ ხლათის გარემოცვა. რაც სათანადოდ აისახა თითქმის ყველა თანა-
დროულ არაბულ წყაროში. ვფიქრობთ, რომ იგივე ეპიზოდი უნდა იყოს ასა-
ხული დე ბუას წერილშიც.

⁴⁹ იხილეთ საქართველოს საეპრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თბ. შპნ-
ის გამომცემი, 1967, გვ. 205.

⁵⁰ H. A. Gibb, The Aiyubids, History of the Crusades,

695.

ბრძ.

5. 130-131; Мухаммад ал-Хамани, Ал-

Таїрის ბრძენი (Мансуба хреника), Указание текста, предисловие и приложение П.
Григораша, Москва, 1966, 252-253. Kamal al-Din Ibn al-Adim, History
of Aleppo, t. III, (509-541), 1173-1219), Damas, 1962, გვ. 160. იხილეთ ალ-ეპროდ,
ტ. კარბი, 1962, გვ. 126-127.

არაბული წყაროების თანახმად. ხლათის გარემოცვის უტყუარ თარიღა წარმოადგენს 607 (1210/11) წელი⁵⁴.

ზ. ავალიშვილი, თავის დასკვნების მიუხედავად, ბოლოს მაინც ამახვილებდა ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ დე ბუას წერილში „ბაბილონის სულტნის“ ძეს (ანუ ალ-აუჰადს, ხლათის მფლობელს) მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და წერდა: „ამ ეპისტოლეში ხლათის ომი და ქართველების ვანის ტბის ფრონტზე 1208—11 წ. სხვა ბრძოლანი ხომ არ იგულისხმება? ეს საეჭვოა, კერძოდ, ხლათის ომი, ივანე მხარგრძელის შემთხვევით დატყვევების მიზეზით, ნაადრევი დაზავებით დაამთავრეს ქართველებმა. ვანის ტბის ნაპირზე ვერ შესსლეს მათი უპირატესობა გაემტკიცებინათ“⁵⁵.

ხლათის ომის დამთავრება ნაადრევი დაზავებით სრულიადაც არ გამოირიყვანს ჩვენს ვარაუდს. თვითონ ზ. ავალიშვილი საცხებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ცნობებს ქართველთა ლაშქრობაზე ვაზუაღება და გადასხვაფერება ეტყობა⁵⁶. რაც მთავარია, ხლათი და ალ-აუჰადი უფრო ემთხვევა დე ბუას წერილში მოცემულ ინფორმაციას, ვიდრე „კარი“ და მისი ამირა.

უნდა ითქვას, რომ ხლათის გარემოცვის შედეგები ჩვეთვანად არ არის შესწავლილი. ამას ამტკიცებს ზოგიერთი მოსაზრება, გამოთქმული უცხოურ ისტორიოგრაფიაში. ასე მაგალითად. ჰ. გიბი წერს: „ქართველები სასტიკად დაამარცხა (1210 წ.) ალ-აუჰადმა და აიძულა დაედოთ ოცდაათწლიანი ზავი“⁵⁷. შეუძლებელია ვილაპარაკოთ სასტიკ დამარცხებაზე, როდესაც ყველა წყარო ერთხმად გვაუწყებს, რომ ალყაშემორტყმული ხლათი ქართველთა ხელში გადასვლას გადაურჩა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ქართული მხედრობის სარდალი ივანე მხარგრძელი, ვ. მინორსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მოულოდნელად შეიქნა მსხვერპლი თავისი უანგარიშო მამაცობისა“⁵⁸.

იბნ ეასილი (1208—1298) მოგვითხრობს: „607 წელს ქართველები გაემართნენ ხლათის წინააღმდეგ და ალყა შემოარტყეს მას... ივანემ, ქართველთა მალიქმა⁵⁹, დალია ღვინო და აცდუნა იგი სიმთვრალემ ამხედრებულყო და

⁵⁴ იბნ ეასილი, გვ. 201; იბნ ქასირი, ალ-ბიღიათ ვა-ლ-ნაჰიათ, ტ. XIII, კაირო, 1932, გვ. 56. (იბნ ქასირი იმოწმებს აბუ შამას); იბნ ალ-ჯარდი, გვ. 127; A b u - l - F i d a', Al-Mukhtasar fi Akhbar al-Bashar, Cairo, ტ. III, გვ. 113; [Al-Mak'rīfāt] Chronicle of Ahmad ibn 'Ali al-Mak'rīfāt entitled Kitab al-Suluk li-Ma'rīfat Duwal al -Muluk, Ed. by M. Mustafa Ziada vol. I, pt. I, Cairo, 1934, გვ. 171; ალ-აბანი, 'იდ ალ-ჟუმანი ჭინწარბ აზ-ჯამანი, ტ. III (სსრ კავშირის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი. C 350), გვ. 629—630. მხოლოდ სიბტ იბნ ალ-ჯაუზი იძლევა განსხვავებულ თარიღს (ჰაქრის 606 წ.), მაგრამ იქვე დასძენს: ამბობენ ივანესთან ბრძოლა მოხდაო ქ. სინჯარის ალყის შემდეგ 607 წელს (სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, გვ. 540—541). მისივე სიტყვით ქ. სინჯარის ალყა ქონდა შემორტყმული ალ-ადილის მიერ 606 წ. რაბი ალ-აუჰადიდან ვიდრე რამდანამდე (იქვე, გვ. 541), ე. ი. 1209 წლის სექტემბრიდან 1210 წლის მარტამდე, ამდენად, ვერ დავეთანხმებით ბ. სილაგაძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ხლათის გარემოცვა მომხდარა 1208 ან 1209 წელს (დაწერ. იბ. ბ. სილაგაძე, დასახ. შრ., გვ. 121—123). სხვათა შორის, ხლათის გარემოცვას იბნ ქასირი (1300—1373) უკავშირებს ალა-უღრის წინააღმდეგ შამადთან მფლობელთა კოალიციის საქმიანობას. ის გვაუწყებს, რომ ალყას, მოსვლის ირბილის და სინჯარის მფლობელებმა დახმარებისათვის მოუწოდეს ქართველთა მეუფეს, რათა მას ელაშქრა ხლათზე. იბნ ქასირი, გვ. 56.

⁵⁵ ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 154.
⁵⁶ იქვე, გვ. 139.
⁵⁷ H. Gibb, დასახ. შრ., გვ. 696.
⁵⁸ V. Minor sky, დასახ. შრ., გვ. 150.
⁵⁹ ასე მოიხსენიებენ ივანე მხარგრძელს სხვა არაბული წყაროებიც (სიბტ იბნ ალ-ჯაუზი, იბნ ქასირი, აბულ-ფიდა, იბნ ალ-ჯარდი).

წასულიყო ხლათისკენ ოცი მხედრით. ცხენმა გაღმოაგდო ძირს იგი და და-
ატყვევეს მუსლიმებმა თანამებრძოლებთან ერთად და მიჰკვარეს ალ-მალიქ
ალ-აუჰადს⁶⁰. იბნ ქასირი აბუ-შამას (1203—1268) მიხედვით, ამბობს, რომ
ივანეს დატყვევება მოხდა 607 წლის 19 რაბი ალ-ახირში⁶¹, ე. ი. 1210 წლის
10 ოქტომბერს⁶².

ივანე მხარგრძელის დატყვევება იყო ძლევა მოსილი სამხედრო კამპანიის
ფინალი, რომელმაც მკვეთრად შეატრიალა ხლათის ბედი და დაპყრობას გა-
დაარჩინა ქალაქი. ქართველებს ხელიდან გაუსხლტათ გამარჯვება, მაგრამ და-
მარცხებაზე, და მით უმეტეს სასტიკ დამარცხებაზე, ლაპარაკიც კი ზედ-
მეტია⁶³.

კირაკოზ განძაკელი მოგვითხრობს, რომ ხლათელებმა ივანეს შეპყრობა
ამცნეს სულტანს (ე. ი. ალ-ადილს), რომელმაც დიდი კმაყოფილება გამო-
თქვა და ბრძანა, მასთან ჩაეყვანათ ტყვე. როდესაც ეს ამბავი შვიტყო ზაქა-
რია მხარგრძელმა, ხლათელებს მუქარა შეუთვალა: გამოუშვით ჩემი ძმა, თო-
რემ დალუბა არ აგცდებთ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებო-
ნებ და აქაურობას გავაუღებურებო. შეშინებულ ხლათელებს აღარ გაუგზავ-
ნიათ ივანე აიუბიანთა სულტანთან⁶⁴.

ივანემ გაათავისუფლა ხუთი ათასი მუსლიმი ტყვე, დაუბრუნა ალ-აუჰადს
მრავალი ციხე, გადაუხადა ასი ათასი დინარი და შეპირდა, რომ ცოლად მი-
ათხოვებდა თავის ასულს. და ბოლოს, დაიდო ოცდაათწლიანი ზავი⁶⁵.

ხუთი ათასი ტყვისა და მრავალი ციხის დაბრუნება იმას მეტყველებს,
რომ სანამ ხლათს ალყაში მოაქცევდნენ, ქართველებს სერიოზული წარმატება
მოუპოვებიათ⁶⁶.

⁶⁰ იბნ ეასირი, გვ. 201; შარ. აბუ-ლ-ფილი, გვ. 113; იბნ-ალ-ბატონი, გვ. 127—128, ოდნე განსხვავებულად მოგვითხრობენ ივანე მხარგრძელის დატყვევებას ზაქა-
რია ალ-ჯინი (Zakharija el-Cazwini's Kosmographie, Zweiter Theil, Die Denkmäler der Länder, Herausgegeben von Ferdinand Wüstenfeld, Göttingen, 1847, გვ. 352) და კირაკოზ განძაკელი (გვ. 82). ზაქარია ალ-ჯინის მკვლელ აღნიშნავენ ივანეს ვარსკ-
ელაფმარცხველის წინაწარმეტყველება: იბნ ქასირი, გვ. 56; სიბტ იბნ ალ-ჭაუ-
ბი, გვ. 541.

⁶¹ იბნ ქასირი, გვ. 56.

⁶² XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ ბაგრატიონის სიტყვით, ივანე ათბაგი ტყვედ
ნ. ა. სლავინი 1210 წელს. იხ. Аракел Даврижеви, Книга историй, перевод с
армянского, предисловие и комментарий П. А. Хачатуряна, Москва, 1973, გვ. 478; ამავე
საზღვარს ეხ. გულისხმობს მთავარ ანთონელი (1222—1291). იხ. Mkhitar d'Ani-
vank, Histoire Chronologique, trad. par. M. Brosset, St.-Petersbourg, 1869, გვ. 105; Хро-
нологическая история, составлена отцом Мхитаром Анриванским, перевод и примечания
К. П. Патканова, СПб, 1869, გვ. 413.

⁶³ გორ (აღოთსმშობი) ლ. ბაზაიანს, რომელიც ამტკიცებს, რომ ხლათზე დაპყრობის წარუ-
მატებლობას მთავრი იყავს. იხ. ივანე აბუ-ლ-ფილი, ამავე საწარმოველის სამეცნიერო დაწვეტილი
როლი (იხ. M. Бабаиан, 1973, გვ. 29—30), ეს მოსაზრება არაა დასტურებული და ესა-
ბუთდება.

⁶⁴ კირაკოზ განძაკელი, გვ. 82; იბნ ეასირი, გვ. 201; შარ. აბუ-ლ-ფილი, გვ. 113; იბ-
ნ-ალ-ბატონი, გვ. 127; სიბტ იბნ ალ-ჭაუბი, გვ. 541; იბნ ალ-ჯინი, გვ. 352; ამავე
საზღვარს ეხ. გულისხმობს მთავარ ანთონელი (1222—1291). იხ. Mkhitar d'Ani-
vank, Histoire Chronologique, trad. par. M. Brosset, St.-Petersbourg, 1869, გვ. 105; Хро-
нологическая история, составлена отцом Мхитаром Анриванским, перевод и примечания
К. П. Патканова, СПб, 1869, გვ. 413.

⁶⁵ ზაქარია ალ-ჯინის სიტყვით, სულავეუბმა ივანე მუსლიმებს და-
ათხოვდა ასი ათასი დინარს და შეპირდა, რომ ცოლად მიათხოვებდა თავის ასულს.
იხ. ზაქარია ალ-ჯინი, გვ. 352.

კირაკოზ განძაკელი არაბულ წყაროებში მოხსენიებული საზავო პირობებიდან აღნიშნავს ივანეს ასულის დაქორწინებას ხლათის მფლობელზე და გვაუწყებს, რომ სულტანთა სამფლობელოებში ქრისტიანთა ხვედრი შემსუბუქდა. ხლათსა და ტარონის მხარეში არსებული მონასტრები გაათავისუფლეს გადასახადისაგან, ზოგი — სანახევროდ, ზოგიც — მთლიანად. ებრძანა სულტანის ყველა ქვეშევრდომს, რომ პატივით მოპყრობოდნენ იერუსალიმის სალოცავად მიმავალ ქართველებს. ისინი არ იხდიდნენ გადასახადს აიუბიანთა ქალაქებში და თვით იერუსალიმშიც. „დამყარდა მშვიდობა და მეგობრობა საქართველოს სამეფოსა და სულტანთა სახელმწიფოს შორის“, — დასკვნის სომეხი მემეტიანე⁶⁷.

ჩამოთვლილი პრივილეგიები, ცხადია, წარმოადგენს ოცდაათწლიანი ზავის პირობებს⁶⁸.

ყიდევ ერთი საზავო პირობა აღნიშნულია ევროპულ წყაროში. ეაკ დე ვიტრის წერს ქართველების დახასიათებისას: „... ისინი შემოდინ წმიდა ქალაქში გამლილი დროშებით და არავის უხდიან ხაკს. სარკინოზები ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რამეთუ შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ შერი იძიონ თავის ნეზობელ სარკინოზებზე“⁶⁹.

ეაკ დე ვიტრის ცნობაში, საქართველოს „მეზობელ სარკინოზებად“ აშკარად ნაგულისხმევია ხლათში გაბატონებული აიუბიანები, ხოლო ქართველთა საპატრო უფლება იერუსალიმში გამლილი დროშებით შესვლაზე წარმოადგენს ოცდაათწლიანი ზავის ერთ-ერთ პირობას⁷⁰.

ყიდევ ერთ საზავო პირობას გვამცნობს იბნ ალ-ასირი. მისი სიტყვით, ხლათელები იძულებული შეიქნენ ხლათის ციხეში აეშენებინათ ქართველებისათვის ეკლესია, სადაც რეკდა ზარი⁷¹.

სიბტ იბნ ალ-ჯაუზი (1186—1256) მოგვითხრობს, რომ ალ-აშრაფი (ალ-აუჰაღის ძმა და მემკვიდრე) სიკეთესა და სამართლიანობას იჩენდა ხლათის მოსახლეობის მიმართ, რის გამოც იგი შეიყვარეს და ემორჩილებოდნენ⁷². ალ-აშრაფის „სიკეთე და სამართლიანობა“ მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იქნებოდა განპირობებული ქრისტიანულ საქართველოსთან დადებული ოცდაათწლიანი ზავით.

კირაკოზ განძაკელის მიხედვით, ივანეს განთავისუფლებამდე ქართველებს ფეხი არ მოუცვლიათ ხლათიდან⁷³ საომარი მოქმედება, ცხადია შეწყვეტილი იყო. ხლათელებმა ძვირფასი მძევალი იგდეს ხელთ, მაგრამ ალყა-

⁶⁷ კირაკოზ განძაკელი, გვ. 82—83; ავტორი ყოველგვ აპს მიწერს ივანე მხარგრძელის ასულის — თამთას გაუფლო-ლებას ხლათში. თამთას როლი, რა თქმა უნდა, უზომოდ გაზეიდებულია.

⁶⁸ შირ, ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 302.

⁶⁹ Jacques de Vitry, History of the Jerusalem, translated from the original latin by Aubrey Stewart, Palestine Pilgrims' Text Society, vol. XI, London, 1895, გვ. 84—85, ეაკ დე ვიტრიოაწერილ მოცენათა თანმცრობი. იგი იყო კონსტანტინოპოლისა (1217 წ.) იბ. ივე, გვ. IV; ეაკ დე ვიტრის ცნობას იმეორებენ მძელონი ხანის ერთი კელი ავტორები.

⁷⁰ შ. ბროსის აზრით, ჩრდილოდს ეს დროება მიიჩნევა ივანეს ასულის ხლათის მოსახლეობის მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, გვ. 1 ნქთა მშველ პრი-

ვილიანის ი. ჯავახიშვილი (ქართველი ისტორიკოსი), ტ. II, გვ. 323.

⁷¹ იბნ ალ-ასირი, გვ. 367.

სიბტ იბნ ალ-ჯა გვ. 562.

⁷² ანალიტიკური დასკვნის ციფრ გეოგ გვ. 68

შემორტყმული ქალაქი ვერ დაიტრიალებდა გამარჯვებას. თუ ვიანგარიშებთ დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, რომელიც წინ უძღოდა ივანეს დატყვევებას (10 ოქტომბერს) და მთელ რიგ ამბებს, რომელთაც გადმოგვცემს ივანეს ვანთავისუფლებამდე კირაკოზ განძაკელი, საფიქრებელია, რომ ხლათის გარემოცვა 1210 წლის ზაფხულიდან 1211 წლის დამდეგამდე გაგრძელდებოდა⁷³.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხლათს არსაიდან არ ელოდა რეალური დახმარება. სწორედ ამავე პერიოდში აიუბიანთა სულტანი ალ-ადილი ჭეაროსნებს ეომებოდა სირია-პალესტინასა და ეგვიპტეში. საზავო ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა საქართველოს სამეფოსა და ხლათის ქრისტიანულ მოსახლეობას, ერთადერთი გამოსავალი იყო ალ-აუჰადისათვის. სამაგიეროდ, ოცდაათწლიანი ზავი ხლათის მფლობელს აღუთქვამდა უშეშრობას საქართველოს მხრიდან, ხოლო ქართველებს დამარცხებამ კი არ უქარახა ზავის დადება, არამედ სარდლის შემთხვევითი დატყვევების შედეგად შექმნილმა ვითარებამ. ივანე მხარგრძელის სიცოცხლემ, საქართველოს მთავრობის თვალში გადაწონა საბოლოო გამარჯვების წყურვილი და სომხური პროვინციების განთავისუფლების გეგმა.

ყოველივე ზემოთქმული მთლიანად აქარწყლებს ხლათზე ლაშქრობის ცალმხრივ შეფასებას და კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ფრანგი რაინდის ფანტაზიით შეფერადებულ სურათს უნდა კვებავდეს ხლათის გარემოცვის ამბები.

3. ინგოროყვამ ზუსტი გეზი მისცა დე ბუას წერილში მოტანილი „გარე-შე“ ინფორმაციის გაშიფრვას, მაგრამ დაათარია ხლათზე ლაშქრობა 1215 წლით⁷⁴. მკვლევარი საამისოდ იმორჩებებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის სიტყვებს: „ამისა შემდგომად მოწუა და მოარბივა ხლათისა ქუეყანა“⁷⁵. აქ მითითებული არაა, თუ ვის ეხება ეს ცნობა, თვით ლაშა-გიორგის თუ ივანე მხარგრძელს. 3. ინგოროყვას აზრით, იგულისხმება ლაშა-გიორგი. ი. ჭავჭავაძის შვილი ფიქრობდა, რომ ლაშა-გიორგის დროინდელ მატრიანეში აღნიშნული ლაშქრობა ხლათზე მომხდარა ივანეს სარდლობით⁷⁶.

ჩვენი აზრით, ქართულ წყაროში, მიუხედავად ერთგვარი განსხვავებისა. მოხსენიებულია იგივე ლაშქრობა, რომელსაც არაბული წყაროები ათარიღებენ 607 (1210/11) წლით.

3. ინგოროყვა ფრანგი რაინდის ინფორმაციასთან ანალოგიისათვის ითვალისწინებს მხოლოდ ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის ცნობას ხლათის ქვეყნის მოწვა-მორბევაზე და ათარიღებს ამ მოვლენას თამარის გარდაცვალების აღიარებული თარიღის (1212 წ.) შესაბამისად. მაგრამ ქართველთა

⁷³ ალ-ადინის ცნობით ივანეს ვითავისუფლება მოხდა დეკემბერში. ა. ლ. - ' ა. ა. ნ. ი. გვ. 630.

⁷⁴ 3. ინგოროყვა, რუსთველანა, გვ. 144—146; დამატებანი და შენიშვნები, გვ. 874.

⁷⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 370.

⁷⁶ ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 13; მემკვიდრე მანამდე მოიხსენიებს ზაქარაის და ივანეს, შემდეგ აღნიშნავს: „პირველსა“ (ე. ი. ზაქარაის) და ჩამოთვლის ზაქარა მხარგრძელის სარდლობით ჩატარებულ ლაშქრობებს. ადგილი დასაშვებია, რომ ხლათზე ლაშქრობა ეყენე მოწვევა ივანე მხარგრძელს და ამის მაჩვენებელი რაიმე გამოთქმა გამოჩვენდა ვადაშვებს. ცხადია, ი. ჭავჭავაძის არ აიგვივდა ამ ლაშქრობას ხლათის გარემოცვასთან, რომელიც თამარის გარდაცვალების თარიღის (1213 წ.) მიხედვით თამარის მეფობაშია შეტანილი.

ლაშქრობა ხლათზე 1215 წელს არც ერთ წყაროში არაა აღნიშნული, და რაც წთავარია, არც შეიძლება იყოს აღნიშნული, ვინაიდან 1215 წ. ხლათზე ლაშქრობას გამორიცხავს 1210 წელს დადებული ზავი⁷⁷.

ამ ზავმა, კირაკოზ განსაკელის სიტყვით, მშვიდობა და მეგობრობა დაამყარა საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის. ზავს რომ თავი დავანებოთ, ისედაც წარმოუდგენელია ხლათის ქვეყნის „მოწევა და მორბევა“ ქართულთა მიერ (მით უმეტეს ივანე მხარგრძელის სარდლობით), თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხლათში დედოფლად იჭდა თამთა. ასული ივანესი.

კირაკოზ განსაკელის, ესეც დე ვატრისა და იბნ ალ-ასირის მიერ აღნიშნული საზავო პირობების გაცნობის შემდეგ გასაგები ხდება ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრის სიტყვებიც: „შემოახუნევა ხლათელი და ძლევა-შეწოსოლმან მას ზედა მისცნა ზავისა სინტიციენი მათგან შეუცოდებლობასა შინა წყობისნი“⁷⁸.

მამასადამე, ერთადერთი დასკვნა ისაა, რომ ქართული წყაროც ხლათის გარემოცვასა (1210 წ.) და ოცდაათწლიან ზავს გადმოგვცემს. საწინააღმდეგო დასკვნის გამოსატანად არაერთარი საბუთი არ არსებობს⁷⁹.

ქართველთა ლაშქრობას ხლათზე დიდი რეზონანსი ჰქონია მაჰმადიანურ სამყაროში. ამას შესანიშნავად ადასტურებს იბნ ალ-ასირი. არაბი ისტორიკოსი 623 (1226) წლის ქვეშ მოგვითხრობს ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღებას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რაოდენ ბრწყინვალე იყო ხვარაზმშაჰის ეს გამარჯვება და რატომ დაიჭირა მან საპატიო ადგილი მუსლიმთა გონებაში. იბნ ალ-ასირის სიტყვით, ქართველები აღზევდნენ მუსლიმებზე და აყვებდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ. ისინი მიემართებოდნენ აზერბაიჯანის ქალაქებისკენ. ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ უპაჟეცვდა მათ და ვერაფერ იგერიებდა მათს შეტევებს. შემდეგ აღნიშნულია, რომ არზრუმის გამგებელი შეიმოსა ქართველთა მეფისაგან ნაბოქები საპატიო სამოსელით და თავისი დროშის წეერზე მოათავსა ჯვარი, ხოლო შვილს ქრისტიანობა მიადებინა ქართველთა დედოფალზე დასაქორწინებლად, რასაც უნდა აღეცეთა მათი თავდასხმები. შემდეგ იბნ ალ-ასირი ეხება ბასიანის ომს და წერს, რომ ქართველთა გაძლიერების გამო იკონიის სულტანმა რუქნ ედ-დინმა, ყილიჯ-არსლანის ძემ, შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოსთან საომრად. მაგრამ ქართველებმა გაანადგურეს იგი⁸⁰.

⁷⁷ ეს ოცდაათწლიანი ზავი მხოლოდ ერთხელ, ისიც ნაწილობრივ, დარღვა 1223 წელს, სურნაოლ ცხის გამგებლის მიერ პროვოცირებული კონფლიქტის შედეგად. საქართველოს მთავრობამ შეახსენა ხლათს მფლობელს, ალაშრაუს, რომ საქართველოსა და აიუბიანთა შორის არსებობს ზავი, და ხლათის დალუცუნებლობა ჩარევამ აღადგინა მშვიობა (იხ. იბნ ალ-ასირი, გვ. 350—351). ამასთან ერთად, ეს ხანმოკლე კონფლიქტი სურმარის მოღამობა იყო ლაქაღაზზელი, ხოლო ქართველი მემკვიდრე უშუალოდ ხლათს აახელებს!

⁷⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 370 („წყობისნი“ ი. ჯავახიშვილის კონიექტურაა. დედანი წერია: „წყალობისნი“). შესაძლოა, ქართულსა და სომხურ წყაროშიც ცალკეობიერად იყოს გაშუქებული ოცდაათწლიანი ზავი, მაგრამ იგივე ბრალდება უნდა წაუქეცნით არაბულ წყაროთა უმოკლესობას.

⁷⁹ თუ არ ჩავთვლით საბუთად თამარის გარდაცვალებს საეკეო თარღს.

⁸⁰ იბნ ალ-ასირი, გვ. 356—357.

როგორც ვხედავთ, იბნ ალ-ასირს მოკლედ აქვს მოხსენიებული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის შემდეგი ადგილი: „რაც შეეხება სომხეთს, ქართველები შეიჭრნენ ქალაქ აჩქეში, დაეუფლნენ ყარსს და ალყა შემოარტყეს ხლათს. აღაპს რომ არ შეეწყალებინა მუსლიმები — ქართველთა ლაშქრის საარდლის ივანეს დატყვევებით, ისინი დაიპყრობდნენ ხლათს“⁸¹.

იბნ ალ-ასირი ქართული მხედრობის ხლათზე ლაშქრობას ჩამოთვლის იმ ღირსშესანიშნავ მოვლენებთან ერთად, რომლებიც მაჰმადიანთა თვალში საქართველოს ძლევა მოსილებსა და აღზევების დამამტკიცებელი იყო.

თუ გავითვალისწინებთ კირაკოზ ვანძაქელის, იბნ ალ-ასირისა და ლაშაგიორგის დროინდელი მემკვიდრის ცნობებს, აღარ უნდა გავვიციოდეს დე ბუას წერილის შინაარსიც. ფრანგი რაინდი აღნიშნავს სამასი ციხისა და ცხრა დიდი ქალაქის აღებას. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ციხე აიღეს ქართველებმა ხლათის ქვეყანაში. სამაგიეროდ ვიცით, რომ დაზავებისას აღაუჰადს დაუბრუნეს მრავალი ციხე⁸². შესაძლოა, ცხრა დიდი ქალაქის აღებაც არ იყოს გადაკარბება⁸³. ხლათის ქვეყანა შეიცავდა დაახლოებით სამოცდაათ ქალაქს⁸⁴.

მაგრამ ვიკმაროთ, ორიოდ დეტალს დამთხვევატ. ჩვენი აზრია: ბევრს ნიშნავს. დე ბუას წერილი თვითმხილველის ხელით აკურატულად შედგენილი ოქმი ზომ არ არის, რომ ხლათის გარემოცვის ზუსტი სურათი გადმოგვცეს. გაზვიადება და გადასხვაფერება ფრანგი რაინდის ინფორმაციაში არც ისე შორსა დგას ქართული წყაროს ცნობიდან. სადაც აღნიშნულია ხლათის ქვეყნის მოწვა-მორბევა და არაა აღნიშნული ივანე მსარგრძელის დატყვევება.

უეჭველია, დე ბუას აღფრთოვანებას ასაზრდოებს ხლათის გარემოცვა და ის ბრძოლებიც, ქართული მხედრობა რომ გადაიხდიდა ხლათის მისადგომებამდე.

კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ზ. ავალიშვილს: „რაც აქ ქართველების ლაშქრობაზეა ნათქვამი, ნამდვილ საქმეთა გამოძახილი უნდა იყოს“⁸⁵.

თუ გავაზიარებთ ამ მოსაზრებას და გამოვრიცხავთ ძნელად დასაშვებ ვარაუდს, რომ ფრანგი რაინდის ინფორმაცია ქართველთა ლაშქრობაზე მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია, მაშინ იმ ერთადერთ ნამდვილ საქმედ, რომლის გამოძახილს შეიძლება წარმოადგენდეს დე ბუას წერილში მოთხრობილი ამბავი, გვეგულება ქართველთა ლაშქრობა ხლათზე 1210 წელს.

მაგრამ რას ნიშნავს „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება ქართველთა მიერ და სიკვდილით დასჯა?

⁸¹ იქვე, გვ. 367. იბნ ალ-ასირი დასძენს, რომ ამ ამბების დაწვრილებით აღწერა უცუე ქართულია. მაგრამ იბნ ალ-ასირის თხზულების გამოკვლევებში, როგორც ცნობილია, არაფერი ამის მსჯელობა არ ეუხდება. დეფრემერის დასკვნით, ხაჩუნი გადამწერთა წყაროზეთ უნდა იყოს გაჩენილი. იხ. Defrémery, დასახ. შრ., გვ. 519, შენ. 2.

⁸² იბნ ვასილი, გვ. 201; სხვა წყაროს მიხედვით-ოცდაერთი ციხე (იბნ-ქასირი, გვ. 56).

⁸³ გამოთქმა „დიდი ქალაქი“ ერთბაშე პარაბოლად ეუბრს. ივანე ათაბაგი თავის ცნობილ წერილში რომის პაპს ატყობინებს, რომ მისი ძალად შეიძლება თხუთმეტი დიდი ქალაქის პატრონია (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 9; შდრ., ლათინური ტექსტი, გვ. 565).

⁸⁴ იბნ ვასილი, გვ. 175.

⁸⁵ ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 133.

ზ. ავალიშვილი წერს: „აქ დაბეჭდილ წერილში „ბაბილონის სულთნის“ შვილის მოკვეთილი თავი იხსენიება. ეს ცნობა საეკვოა. კარის ამირა ქალაქს დიდხანს იტყუდა, მეგრე კი ქართველებს კაპიტულაციით გადასცა. შესაძლებელია. ქრთამიუ მიიღო, თავსაც უვნებლად შეინახავდა“⁸⁶. მაგრამ ზ. ავალიშვილის აზრით, კარინ-არზრუმის პატრონად ხლათის მფლობელი ითვლებოდა ანუ ალ-აუჰადი აიუბიანთა გვარიდან. „ასე რომ უსაფუძვლოდ კი არ დაასახელა ფრანგმა „ბაბილონის სულთნის“ იმე, ზემო ევფრატზე დამარცხებული; ნხოლოდ თავი მოაკვეთინა უბრალოდ“⁸⁷.

მნელი საფიქრებელია, რომ კარის ამირას კაპიტულაცია გარდასახულიყო „ბაბილონის სულთნის“ მის თავის მოკვეთად. მით უმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველების მიერ „კარის“ აღებისას, არა თუ კარი, არამედ თვით ხლათიც არ ეკუთვნოდათ აიუბიანებს.

პ. ინგოროყვას სიტყვით, ხლათის სულტანი ალ-აუჰადი ტყვედ წამოუყვანია ქართველებს და ამის გამო სირია-პალესტინის ჭვაროსანთა შორის გავრცელებულა ხმები სულტნის სიკვდილით დასჯაზე. „მაგრამ ეს ხმები არ იყო ნართალი. დაზავების შემდეგ ხლათის სულტანი ლაშა-გიორგიმ განთავისუფლდა და დასტოვა ხლათის ქვეყნის მფლობელად, როგორც საქართველოს სასახელმწიფოს „ყმად-ნაფიცი“. ვასალი საქართველოსი“⁸⁸.

როგორც ჩანს, პ. ინგოროყვას ქართული წყაროს ცნობაში გადმოუტანია დე ბუას მიერ მოთხრობილი „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება. თუმცა ლაშა-გიორგის დროინდელი მემკრთინე არსდაც არ აღნიშნავს ხლათის მფლობელის (ალ-აუჰადი იქნება თუ ალ-აშრაფი) დატყვევებას და ზავის შემდეგ განთავისუფლებას⁸⁹.

ორივე ზემოხსენებული ახსნა არადამაკმაყოფილებლად გვეჩვენება. ჩვენი აზრით, ეს ცნობაც გადასხვაფერებით ასახავს სინამდვილეს, მაგრამ ვფიქრობთ, უფრო მეტად უნდა ჰგავდეს აღნიშნული ფაქტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი შთავგონების წყაროს, ვიდრე კარის ამირას კაპიტულაცია ანდა ხლათის მფლობელის დატყვევება. რაც თავად დე ბუას წერილის გარდა არსად არაა დამოწმებული. ცნობა „ბაბილონის სულტნის“ შვილის სიკვდილით დასჯაზე უნდა გაჩენილიყო აიუბიანთა სულტნის მის, ხლათის მფლობელ ალ-აუჰადის გარდაცვალების შემდეგად.

საქმე ისაა, რომ ხლათის გარემოცვას და ოცდაათწლან ზავს თითქმის მაშინვე მოჰყვა ალ-აუჰადის სიკვდილი. მაგრამ გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის მისი ორნაირი დათარიღება არაბულ წყაროებში⁹⁰. სპეციალურ ლიტერატურ-

⁸⁶ იქვე, გვ. 153.

⁸⁷ იქვე, გვ. 154.

⁸⁸ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 146; მეკლევარი იზრწმებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემკრთინის ცნობას ხლათის ლაშქრობაზე.

⁸⁹ პ. ინგოროყვას, რომელიც ხლათზე ლაშქრობას ათარიღებს 1215 წლით, მხედველობიდან გამორჩა, რომ 1215 წლისათვის ალ-აუჰადი აღარ იყო ცოცხალი. შემდგომში მეკლევარმა შეასწორა ეს უმნიშვნელო შეცდომა და მიუთითა, რომ ამ ხანებში მესოპოტამიისა და ხლათის გერთანებული სამეფოს სათავეში იღვა ალ-აშრაფი, მისი ალ-აუჰადისა. იხ. ევხისტყვისიანი, პ. ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლიეთ, წ. I; პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1970, გვ. 79.

⁹⁰ 627 (1210/11) წელს აღნიშნავენ: ალ-ქამაყვი, გვ. 268; იბნ-ეასილი გვ. 203; აბუ-ლ-ფიდი, გვ. 113; იბნ-ა-ლ-ე-არ-დი, გვ. 130, აღ-შაყრბი, გვ. 171; ალ-აჰნი, გვ. 632. ხოლო 609 (1212/13) წელს: სრაჰ-იბნ-ალ-ქაუზი, გვ. 561; იბნ-ქა-ს-ირ-ი, გვ. 64; იბნ-თა-დ-რ-ბ-ი-რ-დ-ი. აღ-ნ-ე-რ-წი აღ-ჰჰირა ღწ მულქწ მისრ-ე-ა-ლ-ქირა, კირი,

რამი აღ-აუჰადის გარდაცვალების თარიღად მიუთითებენ 607 (1210/11) წელს⁹¹. ამ თარიღს სხვა გარემოებაც უჭერს მხარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწვევებისა ივანე მხარგრძელმა აღუთქვა აღ-აუჰადს, რომ ცოლად მიათხოვებდა თავის ასულს⁹². პირობა შესრულებულ იქნა და თამთა შეირთო აღ-აუჰადმა, ხოლო მისი სიყვდილის შემდეგ — მისმა ძმამ აღ-აშრაფმა⁹³. მაკრამ არსებობს სხვა ხასიათის ცნობებიც, ვარდანის სიტყვით. თამთა ცოლად მიათხოვეს ხლათის მფლობელ აღ-აშრაფს⁹⁴. იბნ-ქასირი გადმოგვცემს, რომ საზავო პირობების თანახმად ივანეს თავისი ასული უნდა მიეთხოვებინა აღ-აშრაფისათვის და აღ-აშრაფმა შეირთო კიდევ იგი⁹⁵.

ეტყობა, აღ-აუჰადის დაქორწინება თამთაზე, მისივე გარდაცვალება და აღ-აშრაფის მიერ მისი ადვილის დაჭერა ისე სწრაფად მიჰყვა ერთმეორეს, რომ მომდევნო ხანის წყაროებმა ვერ შეძლეს ზღვარი გაეცლოთ ამ ფაქტებს შორის. არც ის არის გამორიცხული, რომ ხლათში ჩასულ თამთას უკვე აღ-აშრაფი დახვდა იქაურობის ბატონ-პატრონად. ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ აღ-აუჰადის სიყვდილის შემდეგ ხლათს დაეუფლა აღ-აშრაფი და სწორედ მან შეირთო თამთა⁹⁶. ანდა შეირთო იგი აღ-აუჰადის ცოლობის შემდეგ (ნუჟეირის მიხედვით)⁹⁷.

ორივე შემთხვევაში აშკარაა, რომ ეს ამბები დროის უაღრესად მოკლე მონაკვეთში უნდა მომხდარიყო. რამაც განაპირობა მათი განსხვავებული გადმოცემა სტადასხვა წყაროში. ასე რომ, აღ-აუჰადის გარდაცვალების თარიღად 607 (1210/11) წელი უფრო შეიძლება მივიჩნიოთ.

აღ-ადილის შვილის უეცარი გარდაცვალება საყურადღებო ფაქტი იქნებოდა ჭეაროსნებისათვის. აღსანიშნავია, რომ ხლათის მფლობელი მანინცა-მანინც არ გამოირჩეოდა სათნოებით. იბნ-ვასილი გეაცნობს აღ-აუჰადს, როგორც „უშიშარს, მამაცსა და სისხლისმღვრელს“⁹⁸. არაბულ წყაროებში ვკითხულობთ, თუ რა სასტიკად გაუსწორდა იგი ამბობებულ ხლათელებს: „და-

1929/30—1936/7, ტ. VI, გვ. 207. Ibn Khalikan's Biographical Dictionary, tr. from the Arabic by de Slane, t. III, გვ. 487.

⁹¹ V. Minor'sky, დასახ. შრ., გვ. 150; H. Gottschalk, Al-Malik al-Kamil von Egypten und Seine Zeit. Otto Harrassowitz-Wiesbaden, 1958, გვ. 36; H. Gibb, დასახ. შრ., გვ. 696; К. Э. Босворт, Мусульманские династии, Москва, 1971, გვ. 95; Cl. Cahen, Ayyubids, EI², vol. I, 1960, გვ. 805; ამავე ტომში მოთხოვნილია 609 (1212/13) წელიც (V. Minor'sky, Akhlal, გვ. 329).

⁹² იბნ ვასილი, გვ. 201; სიბტ იბნ აღ-ქაუზი, გვ. 541; აბულ-ფილა, გვ. 113.

⁹³ კირაკოზ განცხადილი, გვ. 82; მოკვანებო, არაბულ წყაროებში თამთა „ქუჩაქას“ სახელით (აღ-აშრაფის ცოლად) არის მოხსენიებული.

⁹⁴ ვარდან, გვ. 170

⁹⁵ იბნ ქასირი, გვ. 56; ეს ცნობა სექუთა, ენაიდენ საზავო პირობებში აღ-აშრაფის თამთაზე დაქორწინების შეტანა გაუმართლებელი იქნებოდა, აღ-აუჰადს თავად ესაქორებოდა ივანე მხარგრძელთან დამოკიდება, როგორც ხლათის უსაფრთხოების გარანტია მომავალში, ხოლო აღ-აშრაფი პარანის მფლობელი იყო აღ-აუჰადის გარდაცვალებამდე.

⁹⁶ V. Minor'sky, Prehistory of Saladin, გვ. 150.

⁹⁷ იქვე, შენ. 2, აღ-აშრაფი თავისი მისი გარდაცვალებისას ხლათში იმყოფებოდა. იბ. იბნ ვასილი, გვ. 208; სიბტ იბნ აღ-ქაუზი, გვ. 562. ამ უკანასკნელის სიტყვით, მომავლედან აღ-აუჰადმა თვითონ უანდერდა თავისი საფლობელი აღ-აშრაფს (იქვე).

⁹⁸ იბნ ვასილი, გვ. 273.

ხოცა ბერი. დაატყვევა წარჩინებულნი, რომელთაგან ცოტა-ღა გადარჩა⁹⁹. აღ-აუჰადისგან მხოლოდ უბედურება და ხოცვა-ყლეტა ახსოვდა ხლათის მოსახლეობას¹⁰⁰.

ინელი სათქმელია. თვითონ შეიხზა ფრანგმა რაინდმა აღ-აუჰადის სიკვდილით დასჯის ამბავი. თუ მართლაც ასეთი იყო სირაა-პალესტინაში ჩასული ჰმები. არც ერთია წარმოუდგენელი და არც მეორე. ხლათის მფლობელის უეცარი სიკვდილი ძალაუვნებურად უკავშირდებოდა ხლათის პრობლემასა და გარემოცვას. ყოველ შემთხვევაში, დე ბუას მიერ მოთხრობილი ქართველთა ძლევამოსილება სწორედ ასეთ შტრიხს მოითხოვდა. „ბაბილონის სულტნის“ შვილის დატყვევება და თავის მოკვება ორგანულად ერწყმის მთელი წერილის პათოსს.

გამოდგება თუ არა წერილის დათარიღებისათვის მის ბოლო ნაწილში აღწერილი მიწისძვრა?¹⁰¹.

დე ბუას სიტყვით. მიწისძვრა მომხდარა „ლოსორის ქვეყანაში, რომელიც ესაზღვრება იკონიის სულტნის ქვეყანას“¹⁰². ჩვენი აზრით. „ლოსორი“ უნდა წარმოადგენდეს „ლასკარის“ დამახინჯებას. მაშასადავე. „ლოსორის ქვეყანა“ ნიშნავს ნიკეის იმპერიას. რომელსაც განაგებდა ლასკართა დინასტრია¹⁰³. ჩვენს მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ სწორედ ნიკეის ტერიტორიაზე მდებარეობდა ფრანგი რაინდის წერილში დასახელებული ქალაქი. სახელდობრ ფილადელფია¹⁰⁴. ამასთან ერთად, ეს ქალაქი იკონიის სასულტნოს საზღვართან მდებარეობდა¹⁰⁵. დე ბუა მოგვითხრობს. რომ დიდ მიწისძვრას დაუწვავდა მრავალი ქალაქი და მათ შორის — ფილადელფია¹⁰⁶. რ. რობრისტი სეპტიკურად შენიშნავს, რომ ამაო არის ვეძებთ ქრონიკებში ამგვარი მიწისძვრის მოხსენიება¹⁰⁷. ჩვენი აზრით, თუნდაც აღმოვაჩინოთ რომელიმე წყაროში აღნიშნულ ტერიტორიაზე მომხდარი მიწისძვრის თარიღი, მას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება დე ბუას წერილს დასათარიღებლად, ვინაიდან ფილადელფიის მიდამოები წარმოადგენს ტექტონიკურ ზონას. ირკვევა, რომ ქ. ფილადელფია და მის შორიახლოს მდებარე ქალაქები (ლალიკია, აპამეა) ხშირად განიცდიდნენ მიწისძვრებს¹⁰⁸.

⁹⁹ იქვე, გვ. 177; იხ ალ-ასირი, გვ. 297.

¹⁰⁰ იხ ნ ვასილი, გვ. 177—178, 187; იხ ალ-ასირი, გვ. 297.

¹⁰¹ ზემოხსენებული დრამენტი არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე.

¹⁰² Regesta, გვ. 234; რ. რობრისტი განმარტებით. „ლოსორის ქვეყანა“ გელისპონის ისაერას (იქვე, შენ. 7). მაგრამ ისაერის მხარე ამ ხანებში ეკუთვნოდა იკონიის სასულტნოს, ხლო დე ბუა ამბობს, რომ აღნიშნული ქვეყანა ქრისტანულა.

¹⁰³ ნიკეის იმპერია წარმოიშვა ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში 1204 წელს და იარსება 1261 წლამდე. დაწერ. იხ. Ф. Успенский и, დასახ. შრ., გვ. 536—606; A. Gardner, The Lascarids of Nicea, London, 1912.

¹⁰⁴ Ф. Успенский и, დასახ. შრ., გვ. 544.

¹⁰⁵ Ф. Успенский и, იქვე, დასახ. რუკა, გვ. 544—545; Летопись великого логота Георгия Акрополита, перевод под редакцией И. Троицкого, СПб, 1863, გვ. 120.

¹⁰⁶ დღევანდელი ალაშქი (თურქეთის ტერიტორიაზე).

¹⁰⁷ Regesta, გვ. 234, შენ. 6.

¹⁰⁸ Страбон, География, перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского, Москва, 1964, გვ. 542, 588. დიდი მიწისძვრები აქვთ აღმოწმებული ფილადელფიის მეზობელ ქალაქებში სხვა აუტორებსაც. დაწერ. იხ. W. M. Ramsay, The cities and Bishoprics of Phry-

ზემოთქმული კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ფრანგი რაინდის წერილში მოტანილი ცნობები სინამდვილეს ემყარება.

თავისთავად, შემთხვევითი არ უნდა იყოს მიწისძვრის მოხსენიებაც. ფილადელფიაში რომ მომხდარა, რადგან ნიკეის იმპერია ჯვაროსანთა ინტერესებს უკავშირდებოდა¹⁰⁹.

დღე ბუას მიერ აღწერილი მიწისძვრა ერთობ ფანტასტიკური იერით ხასიათდება. მაგრამ აქაც ზემოთ აღნიშნულ მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი: ამბის გაზვიადება და გადასხვადება (რაც შეიძლება დიდი შთაბეჭდილების მოსახდენად მუთხველსა და სსპენე(ზე)¹¹⁰). ფრანგი რაინდის სიტყვით, მიწისძვრას შუაზე გაუსულქია წია და მთელი დღის განმავლობაში ინთხოვდა ერთი მხრიდან რძე და სვირედან სისხლი. სოლო მომდევნო დღეს იმავე ადგილას უნახავთ მყარლი წყალი და ჭიწის გროვა¹¹¹. თუ არ ვცდებით, ეს უცნაური სურათი მიგვაჩვენებს, რომ მიწისძვრის გარდა, ვულკანის ამოფრქვევაც მომხდარა ფილადელფიის მიდამოებში. მაშინ მტკიცდება, რომ დღე ბუას ფანტასტიკური ცნობაც კა ნაწილობრივ სინამდვილიდან მომდინარეობს. ვინაიდან ვულკანური მოქმედება, მიწისძვრათა სვავსად, ძველი დროიდანვე ახასიათებდა ფილადელფიის რაიონს¹¹².

საფიქრებელია, რომ ფრანგი რაინდი წინა წლებში დატრიალებულ ბეებს არ მისწერდა თავის ადრესატს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: დღე ბუა აღნიშნავს, რომ მიწისძვრა მომხდარა 22 ივნისს. სოლო ეს ამბავი შეუტყუვით აგვისტოს დამლევს¹¹³, ე. ი. დაახლოებით ორი თვის შემდეგ. ასევე ახალი ამბავი იქნებოდა 1211 წ. ივლისში დადებული ზავი იერუსალიმის სამეფოსა და აიბიანთა სახელმწიფოს შორის. აგრეთვე ქართველთა ლაშქრობა ხლათზე და ალაუქადია სიკვდილი.

vol. I, Oxford, 1895, გვ. 36; XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურთა ტყვეობა აღნიშნავს, რომ აღამგირი, რომელსაც წინათ ერქვა იოლაუციო, მთლანად დაწვრიულა და კვლავარებზე რაც გახდის მიწისძვრებს. J. B. Tavernier, Les six voyages, Paris, 1676, გვ. 36.

¹⁰⁹ 1210 წელს დაიწყო ახალი ცივილიზაციის ბრძოლა ბიზანტიისა და კონსტანტინოპოლის ლათინურ იმპერატორს შორის. 1211 წელს თებერვალში დასკრის მთი იკონი სულტანს დამარცხებამ და თურქებთან დაიხვეწა. მაშინ აღნიშნავს, რომ ნიკეის შირანებულს მოვიდა. რადიბა გორაქანა ლათინებთან ბრძოლა. დასკრის მოწოდება ბიზანტიის სხვადასხვა ოლქებს, რომ სიკოლო ოლქებთ განდევნა ქვერთა დაბრუნონ კონსტანტინოპოლი. 1211 წ. სეპტემბერში მხოლოდ გაქაზებული შეტევა დაიწყო, რომელიც დამთავრდა დასკრის დამარცხებით. იხ. Ф. Шенников, დასახ. შრ., გვ. 543—549, A. Gardner, დასახ. შრ., გვ. 82—84; Историю Византии, т. III, Москва, 1967, გვ. 53—54.

¹¹⁰ რა თქმა უნდა, ასეთი „ბრალდება“ თანაბრად უფლებით შევეძლია წაეყენოთ ფრანგი რაინდის ინფორმატორებს, მაგრამ ყოველგვარ გადახვევას სანაშეულისაგან პირობითად მივაწეროთ წერილის ავტორს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღე ბუას წერილს განვიხილეთ მხოლოდ მისი დათარიღების თვალსაზრისით და ამდენად განზე ვტოვებთ ცნობას, სადაც აღნიშნულია თამარის ანდრძის და ლამა-გიორგის განზრახვა (ამ საკითხის შესახებ იხ. ზ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 145; შ. ამირიანი, შ. ი. ი. შ. ი. ი., ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 361—363.

¹¹¹ Regesta, გვ. 234.

¹¹² სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ფილადელფიასთან მიწის ზედაპირი დაუარულია ფერფლით, კლდეები და შიგნით შივი ფერისა, ნახანძრალეთი; დედამიწის წიაღიდან ამოხეთქილ გახრიებულ ლოდებს კლდოვანი ბორცვები წარმოუქმნია (სტრაბონი, გვ. 589). რაც შეეხება მყარლი წყალს, შესახებ ივლისხმობდეს მინერალური წყლები. ფილადელფია დღესაც ცნობილია თავისი ცხელი წყაროებითა და ბუნებრივი აბანოებით. იხ. R a m s a y, Historical Geography of Asia Minor, London, 1890, გვ. 121; თავის დროზე ასევე აღნიშნავდა სტრაბონი (გვ. 570).

¹¹³ Regesta, გვ. 234.

ჩენი საბოლოო დასკვნით, ღე ბუას წერილის ყველაზე დამაჯერებელი თარია 1211 წლის შემოდგომა (ალბათ სექტემბერი).

წერილში თამარი გარდაცვლილად მოიხსენიება, უფრო ზუსტად, ის ცოცხალი აღარ ყოფილა ხლათზე ლაშქრობის დროს (1210 წლის მეორე ნახევარი)¹¹⁴. მამასადამე, ღე ბუას წერილი ადასტურებს ნუმისმატიკურ მონაცემებს თამარ მეფის გარდაცვალების შესახებ 1210 წლის პირველ ნახევარში.

რას უნდა გამოეწვია ფრანგი რაინდის წერილში მითითებული ამბების გასვლა და გადასხვაფერება?

ჯვაროსნები ღიდ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ ქართველები — „მებრძოლი ქრისტიანი ხალხი“ (ევროპულ წყაროებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმა) დახმარებას გაუწევენ მათ საკინოზებზე შეტევით ჩრდილოეთ მესობოტომიაში¹¹⁵. ხლათზე ლაშქრობის კარგი დასაწყისი და თვით ხლათს გარემოცვა კიდევ უფრო გააღვივებდა ჯვაროსანთა იმედებს.

მორეული მოკავშირის გამოჩენით აღძრული აღტაცება ბადებს მომხიბლვე ოცნებას, რომ საქართველოს ურაცხვი მხედრობა დაიხსნის იერუსალიმს „ბაბილონის სულტნის“ ხელთაგან და მთელ მამადიანურ სამყაროს დაიმორჩილებს¹¹⁶.

წარმოქმნილ ოცნებას მშვენივრად ეხმიანება „ღედოფლის უძლიერების თამარის“ ანდერძი, რომლის შესრულებას („წარმართთა ნებით თუ უნებლიედ“), ესწრაფვის მისი ძე და მემკვიდრე, ალექსანდრე მაკედონელის ბადალა კაბუცი მეფე. დამოუკიდებლად იმისგან, მოეპოვება თუ არ მოეპოვება ხსენებულ პასაეს რაიმე რეალური საფუძველი. იგი სარწმუნოდ ხდის უახლოეს ხანში იერუსალიმის კედლებთან ქრისტიანული ქვეყნის მხედრობის მოხლოებას. ეს ნახევრად ზღაპრული ოცნება სინამდვილის ელფერიით ემოსება. რასაც განაპირობებს ერთი მხრივ — იმდროინდელი საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, და მეორე მხრივ — სასოწარკვეთილ ჯვაროსანთა სეფისკვეთება.

წ. ავალიშვილი წერდა: „საქართველოს მოსალოდნელი დახმარებით უცებ დაიქმდებული რაინდი სამშობლოში ერთს ნაცნობ მღვდელთ-მთავარს დაუცხვანბლივ წერილს უგზავნის, გაგონილი ამბის შესაფერა გაზვიადებით. რომ ქ. საფრანგეთს, საჯვაროსნო ქადაგება ამით წააქეზოს და მას ახალი საზრდო ნაწოდოს. სწორედ ამგვარ საპროპაგანდო ეპისტოლებს მაშინ ეკლესიებსა და კრებებში საჯაროდ ჰკითხულობდნენ ევროპის ქვეყნებში“¹¹⁷.

ღე ბუას წერილს, რომელსაც პროპაგანდისტული დანიშნულება გააჩნდა, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ისტორიული სინამდვილის ზედმიწევნით ზუსტ ასახვას, და როდესაც გარკვეული ასპექტით განვიხილავთ წერილში დამოწმებულ ცნობებს, აღარ გავვაოტებს ნამდვილად მომხდარ მოვლენათა ტრანსფორმაცია, ზოგჯერ უკიდურესობამდე მისული.

¹¹⁴ დამოუკიდებლად ღე ბუასგან, ამსვე ვეამცნობს ლაშავიორგის დროინდელი მემბრანე.

¹¹⁵ C. R. Conder, The Latin Kingdom of Jerusalem, London, 1897, გვ. 303.

¹¹⁶ ჯვაროსანთა ისტორიაში არც ისე იშვიათია ანალოგიური ილუზიები და არა პარტო საქართველთან დაკავშირებით. თუნდაც ის რად ღრს, რომ დამარცხების პირას მისული მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა მონღოლთაგან ელოდა შეკლას! (ღაწერ. იხ. P. Хенниг, დასახ. შრ., გვ. 28—29.

¹¹⁷ წ. ავალიშვილი, დასახ. შრ., გვ. 144—145.

ვიმეორებთ. დე ბუას წერილი პროპაგანდისტულ ნაწარმოებს წარმოადგენს და სწორედ 1211 წელს იყო მართებული და მიზანშეწონილი ასეთი სასიათის წერილის გაგზავნა დასავლეთ ევროპაში.

ექვსწლიანი ზავი იერუსალიმის სამეფოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის დასრულდა 1210 წლის ზაფხულში. ფრანკებმა უარი თქვეს ზავის განახლებაზე, ოღონდაც რამდენიმე თვით, და საომარ მოქმედებას შეუდგნენ პალესტინაში¹¹⁸. ამის საპასუხოდ, ალ-მუაზამმა (ძე ალ-ადილისა, დამასკოს მფლობელი) შეუტია ქ. აქრას. ფრანკებმა მდგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან გააბრუნეს. მაგრამ აქრას მიდამოები აობრებულ იქნა¹¹⁹. 1211 წლის მაისში იერუსალიმის ნომინალურმა მეფემ იოანე დე ბრიენმა ათასი მეომარი გადასხა ზღვით ეგვიპტის სანაპიროზე, ქ. დამიეტას მახლობლად, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ამო იყო წარმატებაზე ფიქრი ევროპიდან დახმარების გარეშე¹²⁰. იერუსალიმის მეფე დაიხივებით ითხოვს სამხედრო ძალებს. რომის პაპი ინოკენტი III (1198—1216) კიდევ ერთხელ აჩალებს ჭვაროსნული ლაშქრობის ქადაგებას მთელს ევროპაში, მაგრამ ვერ პოულობს აქტიურ გამოხმაურებას¹²¹.

ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობია რომის პაპის ინოკენტი III-ის ეპისტოლე საქართველოს მეფისადმი, დათარიღებული 1211 წლის 7 ივნისით¹²². ეპისტოლეს ასეთი სათაური აქვს: „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს — მოწოდება წმიდა მიწის დასაცავად“¹²³.

ინოკენტი III-ის ეპისტოლე, ჩვენი აზრით, პასუხი უნდა იყოს საქართველოს მეფის ეპისტოლეზე. ამას ადასტურებს თვით მისი ტექსტი, სადაც რომის პაპი უწონებს საქართველოს მეფეს „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ გალაშქრების საქმეზე განზრახვას. საფიქრებელია, რომ ლაშა-გიორგიმ 1210 წლის ზაფხულში გაუგზავნა რომის პაპს ეპისტოლე, რომლითაც აუწყა მომავალი

¹¹⁸ W. B. Stevenson, *The Crusaders in the East*, Cambridge, 1907, გვ. 297.

¹¹⁹ R. Grousset, *დასახ. შრ.*, გვ. 193.

¹²⁰ იქვე, გვ. 194; Stevenson, *დასახ. შრ.*, გვ. 298.

¹²¹ M. Hardwicke, *The Crusader States, History of the Crusades*, ტ. II, გვ. 537; ფრანკები იძულებული გახდნენ კიდევ ერთი ექვსწლიანი ზავი დაედოთ. რა თქმა უნდა, ეს დროებითი შესვენება იყო. 1217 წელს დაიწყო მეხუთე ჭვაროსნული ლაშქრობა.

¹²² როგორც ჩანს, მ. თამარაშვილს გამოიჩინა ეს დოკუმენტი. მის არსებობას მიუთითებენ რ. რორიხტი (R. Röricht, *დასახ. შრ.*, გვ. 715, შენ. 3) და რ. გრუსე (R. Grousset, *დასახ. შრ.*, გვ. 231, შენ. 7). ისინი იძიებენ ა. პოტასტის კრებულს, სადაც აღწესვლია რომის პაპთა ეპისტოლენი სხვადასხვა ქვეყნის მეფეებზე: ადმი და მოღელმსაერებზე: ადმი (XII—XIV სს. იხ. A. Potthast, *Regesta Pontificum Romanorum*, t. I, Berlini, 1874, № 4267, გვ. 268. სრული ტექსტი დასახელებული ეპისტოლესი გამოქვეყნებულია შემდეგ გამოცემებში: S. Baluzius, *Innocentii epistoliarum*, t. I, Parisi, 1682, გვ. 536; O. Reynaldus, *Annales Ecclesiastici*, t. I, Lucae, 1747, გვ. 314; I. Migne, *Patrologiae cursus completus*, t. 216, Parisi, 1855, გვ. 433.

¹²³ შტრ. «Illustri regi Avoguiæ — Hortatur ad defensionem Terræ Sanctæ». ლათინური «Rex Avoguiæ» იგივეა, რაც ქართული წვარობის „მეფე ახახთა“ (resp. აფხაზთა“). რუსულად დედოფლის ეპისტოლეში ეკითხებობთ: «Russudana. . regina de Aveguia» (იხ. მ. თამარაშვილი, *დასახ. შრ.*, გვ. 563) ანუ „რუსულად აფხაზთა დედოფალი“ (იქვე, გვ. 7). ოღონე განსხვავებულ ვარიანტს იძიებენ რ. რორიხტი (R. Röricht, *დასახ. შრ.*, გვ. 120, შენ. 3) და განმარტავს: «David rex Aveziae das ist Grusiens».

ლაშქრობა ხლათზე. რომში ამავე დროს შეიტყობდნენ, რომ საქართველოში დედოფლის ნაცვლად ტახტზე ასულა მეფე¹²⁴.

მწელი დასაშვებია, რომ თამარის, სახელი და ვინაობა არ სცოდნოდათ რომში. მამასადამე. 1211 წლით დათარიღებულ ეპისტოლეს საქართველოს მეფის (და არა დედოფლის) სახელზე უყოღინარობით ვერ ავხსნივთ.

რ. რორიხტი არ ამახვილებს უურადლებას აღნიშნულ გარემოებაზე¹²⁵. ნაგრამ რ. გრუსე, ეტყობა. დაუბნევეია იმ შეუსაბამობას, რომ თამარი გარდაიცვალა 1212 წელს (მ. ბროსეს მიხედვით). ხოლო 1211 წლის 7 ივნისით დათარიღებულ ეპისტოლეში რომის პაპი მიმართავს საქართველოს მეფეს და არა დედოფალს. რ. გრუსე გვერდს უვლის ამ დაბრკოლებას და ფრთხილად აღნიშნავს, რომ ინოკენტი III-მ მისწერა „საქართველოს სამეფო კარს“ ლათინათა და ქართველთა ჭვაროსნული ლაშქრობის შესათანხმებლად¹²⁶. მიუხედავად ამისა, ფრანგ მკვლევარზე გადამწყვეტი შთაბეჭდილება მოუხდენია დასახელებულ ეპისტოლეს და ეჭვი შეჰპარგია ბროსესეულ თარიღში. რ. გრუსე იქვე წერს: „სახელგანთქმული დედოფალი თამარი (1184—1211 ან 1212)“. თუმცა უკომენტაროდ სტოვებს ამ ორკოფულ თარაღს.

რომის პაპის ინოკენტი III-ის ეპისტოლე საქართველოს მეფისადმი. დათარიღებული 1211 წლის 7 ივნისით, ადასტურებს, რომ 1211 წელს თამარი ცოცხალი აღარ იყო.

უკვე შეიძლება შევაჩამოთ ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები.

ბასილი ეზოსმოდვარის მიხედვით, დავით სოსლანი გარდაიცვალა 1206 ან უფრო 1207 წელს (ყარსის აღების შემდეგ). ასე რომ, მთელ რიგ წყაროებში დამოწმებული ეს თარიღი, რომელსაც შეცდომით მიიჩნევენ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად, სინამდვილეში უნდა ეკუთვნოდეს დავითს.

სამი თანადროული ქართული წყაროს ცნობით, ლაშქრობა ირანში მომხდარა თამარის მეფობისას. ხოლო ამ ლაშქრობის ყველაზე სარწმუნო თარიღს წარმოადგენს 1209 წელი.

ნუმიზმატიკური მასალების თანახმად, თამარი გარდაიცვალა 1210 წლის პირველ ნახევარში. ამ თარიღს ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მატინანე, სადაც ლაშქრობა ხლათზე (1210 წლის მეორე ნახევარი) შეტანილია ლაშა-გიორგის მეფობის აღწერაში.

ღე ბუას წერილში მოცემული ინფორმაციის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1210 წლის მეორე ნახევარში თამარი ცოცხალი აღარ ყოფილა. ამასვე მეტყველებს რომის პაპის ეპისტოლე საქართველოს მეფისადმი.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თამარის გარდაცვალება და ლაშა-გიორგის გამეფება მოხდა 1210 წელს.

¹²⁴ ანალიგური სურათი წარმოგიდგება რუსულანთან დაქაობით. თვის ეპისტოლეს რუსულადი ხელს აწერს. როგორც „regina“ და რომის პაპი საპასუხო ეპისტოლეში მიმართავს საქართველოს დედოფალს. იხ. A. Pothias, *ლასხ. შრ.*, № 7242, გვ. 625.

¹²⁵ მხოლოდ მიუთითებს: „ihren König (rex Avogiaz)“. R. Röhrich, იქვე. თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მას სწორედ თამარის გარდაცვალების თარიღს (1212 წ.) მიხედვით აქვს დათარიღებული ღე ბუას წერილი.

¹²⁶ R. Grousset, იქვე.

ლევინ ლანგის ვიზიტის გამო

1974 წლის იანვარში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ მარშალ ლანგი. ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს და აფასებს დ. ლანგის ღვაწლს ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი მრავალმხრივი მკვლევარია — ისტორიკოსი, საკუთრივ ნუმისმატიკოსი, და ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე. ლანგმა მშვენივრად იცის ქართული და რუსული ენები, გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ჩვენი მეცნიერებლწინსვლას და რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობას. იშვიათი ბიბლიოფილია, წყაროების საუკეთესო მცოდნე. ცოცხალი კავშირი აქვს დამყარებული ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებებთან. ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. საფუძვლიანად იცნობს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. ცნობილია დ. ლანგის წიგნი „ქართველები“, რომელიც ჭკად ამერიკაში დიპლომატიკა და შემდეგ პოლონურად გამოქვეყნდა (ვარშავა, 1972). ამ პატარა ნარკვევში ჩვენ ვეხებით დ. ლანგის ფილოლოგიურ ნაშრომებს. დასავლეთის სხვა ქართველოლოგებისაგან დ. ლანგი იმით გამოირჩევა, რომ ქართული სასულიერო მწერლობის გარდა სწავლობს და იკვლევს საერო მხატვრულ ლიტერატურას. სპატიოა ის ღვაწლი, რაც დ. ლანგს მიუძღვის „ბალავარიანის“ მიმართ. მან ძაყრად გააკრიტიკა გერმანელი ბიზანტინისტის დელგერის ნიპილისტური შეხედულება. ინგლისელი მეცნიერი ბეჯითად და საპუთიანად ამტკიცებს, რომ „სიბრძნე ბალავარიანის“ ბერძნული რედაქციის ავტორია ექვთიმე ათონელი და არა იოვანე დამასკელი. ფაქტობრივ ლანგმა გამოავლინა „სიბრძნე ბალავარიანის“ უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული იერუსალიმური ნუსხა და მისი ტექსტის ინგლისური თარგმანიც გამოსცა (ლონდონი, 1966). საგანგებო წერტილთ შეხებთან დ. ლანგი პეტრე იბერის საკითხს (1951).

მთელი რივი ნარკვევებ მიუძღვნა ლანგმა ქართული კლასიკური პერიოდის ეპიკურ ძეგლებს. კერძოდ, „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“.

დ. ლანგს დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ხელნაწერ ფონდში იპოვა და შეისწავლა „ამირანდარეჯანიანის“ მისი უცნობი ქართული თარგმანი, რომელიც ახალ დროს, XIX საუკუნის პირველ მესამედს ეკუთვნის. აღნიშნული ძეგლის აღმოჩენისა და „ამირანდარეჯანიანის“ სტიციენსონისეული ინგლისური თარგმანის გამოქვეყნების გამო დ. ლანგმა ინგლისელ ირანოლოგ გ. მერედით-ოუენსთან ერთად დაბეჭდა სინტერგოს. მაგრამ ბევრ რიგად სადავო ხასიათის ნაშრომი (1959 წ.). ამ ნაშრომის თაობაზე უკვე ვეაქვს გამოთქმული ჩვენი მოსაზრება (ნარკვევები, IV, 1964) და აქ აღარ გავიგეორებთ. საყურადღებოა დ. ლანგის გამოკვლევა „ხალხური და კურთუასური ელემენტები ქართულ ეპოსში“

(1970 წ.). აქ ავტორს გარჩეული აქვს ქართული ეპიკური სამწერლობო და ფოლკლორული ძეგლები უძველესი დროიდან გიორგი ლეონიძის პოემამდე „ბაეშობა და ყრობა“. შიგადაშიგ მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ როგორც პრობლემურ საკითხებს. არსებითად ანალიტიკურ საკითხებს მოიცავს მისი ნოხსენება ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში „შუა საუკუნეთა ქართული ლიტერატურის პრობლემები“ (ნოხსენების ტექსტი დაბეჭდილია ამ კონგრესის შრომებში. მოსკოვი, 1963). საგანგებო ინტერესს იწვევს დ. ლანგის შესავალი ლექცია, რომელიც მას წაუკითხავს ლონდონის უნივერსიტეტში 1965 წლის 2 ნოემბერს (ლექციის ტექსტი დაიბეჭდა ცალკე წიგნად, ლონდონი, 1966). ამ ლექციაში განზოგადებულია და თანმიმდევრულად განვითარებულია ქართული მწერლობის ისტორიაზე მისი თვალსაზრისი. ლექციის სათაურიც საეხებით გამოხატავს მისი შინაარსის ხასიათს — „ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები“. ლექციაში ავტორი ჩერდება ქართული მწერლობის სათავეებზე. მკაფიოდ აანალიზებს ქართული სასულიერო მწერლობის, უპირატესად ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებს. ამბობს, რომ იაკობ ცურტაველი „ცოცხალი რეალიზმის“ კვალობაზე მხატვრულად აღწერს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ასევე რეალისტურია და მძლავრი რელიგიურ-პატრიოტული სელისკვეთებითა გამსჭვალული იოვანე საბანისძის „აბოს წამება“. ღირსეულად აფასებს დ. ლანგი ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს, ათონელების, იოვანე პეტრიწისა და სხვა სახელოვან ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას. პეტრე იბერზე ამბობს, ეს სწორედ ის პეტრეა, რომელიც თავის დროის ერთ-ერთ უდიდეს თეოლოგად ითვლებოდა და რომელსაც განსვენებული ერნესტ პონიგმანი და შალვა ნუცუბიძე დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილ შრომების ავტორად მიიჩნევენ.

ლექციაში შედარებით ვრცლად არის მიმოხილული კლასიკური პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება (კლასიკურ პერიოდს დ. ლანგი უწოდებს „ოქროს ხანას“). განსაკუთრებით შთამბეჭდავია „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი. ძალიან ცოტას ამბობს მკვლევარი ე. წ. აღორძინების პერიოდზე, ორიოდ სიტყვით იხილავს ნ. ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიას, გაცილებით უფრო მეტ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობის დახასიათებას. დასასრულ საუბარია მიხეილ ჭავჭავაძისა და კონსტანტინე გამსახურდიაზე. დ. ლანგი დიდად აფასებს ქართველი ხალხის შემოქმედებითს ნაყოფს როგორც წარსულში, ისე აწმყოში და დიდ წარმატებას უქადის ქართულ კულტურას სამერმისოდ.

ლექცია დ. ლანგს დაუმთავრებია განცხადებით, რომ სანამ მას ლონდონის უნივერსიტეტში კავკასიათმცოდნეობის პროფესორის საპატიო პოსტი ექნება დაკავებული, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ „ორიგინალური და კემპარტიად ჩინებული“ ლიტერატურის სრულყოფილად შესწავლას.

ჩვენ ღრიალ საყურადღებო გარემოებად ვთვლით ქართული სულიერი კულტურის მძალე შეფასებას ლონდონის უნივერსიტეტის კათედრიდან. მაგრამ ნებას ეძლევა ჩვენს თავს ორი რამ მანაც გარკვევით შევნიშნოთ პატივცემულ ინგლისელ მეცნიერს. პირველი: უსაფუძვლოდ გეჩვენება ქართული დამწერლობის წარმოშობის მისეული ახსნა, მეორე: სრულიად დაუსაბუთებელია ლექციაში გატარებული თვალსაზრისი (ამ თვალსაზრისის ავითარებს

იგი მის სხვა შრომებშიც — თითქო „ეფუხისტყაოსნის“ განთქმული პროლოგ-გაილოგი შემდეგდროინდელი დანართი იყოს და თითქო ჩვენი უკედავი პოეზია დაიწერა თამარის შემდეგ.

ძვირფას საინფორმაციო ცნობებს შეიცავს დ. ლანგის ნარკვევი „ქართვლოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“. რომელიც ქართულადაც გამოქვეყნდა („ცისკარი“, 1957, № 4).

დვიდ ლანგმა ბევრ ინგლისელ ახალგაზრდას შეასწავლა ქართული ენა და შეაყვარა ქართული მწერლობა. ქართველი საზოგადოება არ ივიწყებს მის ამავს. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ კი დ. ლანგი უკვე 1968 წელს აირჩია თავის საპატიო დოქტორად.

ა. ბ.

ქ რ (ო ნ ი კ ბ

1975 წლის 17—23 აგვისტოს ლიდსში (ინგლისი) გაიმართება ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების კონგრესი.

მისამართი: Prof. Mac-Carthy, Secretary General of the Congress.
Special Courses Division,
Department of Adult Education and Extra-Mural Studies,
Leeds University,
Leeds LS2 9IT,
England